

67

# მეტეოროლოგია



1967



# მნათობი

საქართველოს  
საბჭოთა კავშირის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა სსრ კავშირის მწერალთა მეოთხე ყრილობისადმი  
და სასოციალისტური ვაკეში მნიშვნელოვანი შურობის

წელიწადი 44-ე

№ 6

ივნისი, 1967 წ.

საპარტვილოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა კ ს ი


საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა სსრ კავშირის მწერალთა მეოთხე ყრილობისადმი	3
საბჭოთა კავშირის მწერლების მეოთხე ყრილობა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტს	7
გიორგი კაპაბაძე — ლექსები	9
ვიქტორ ყიფიანი — წითელი ღრებლები, რომანი, ნაწილი პირველი, გაგრძელება	11
ალექსანდრე ქუთათელი — ჭადაგად ვიქტორ ლექსი	53
ხუტა გაგუა — ლექსები	60
ანდრო ლომიძე — იაშვი და გური, მოთხრობა	61
მ. შერაზადიშვილი — ლექსები	83
პოლიკარპე კაპაბაძე — მეფე ბაგრატ მეშვიდე, დრამა ოთხ მოქმედებად, დასასრული	85
რეჯიზარდ კიბლინი — ლექსი წავსე მონადირე ხომალდებზე, თარგმანი მურმან ლებანიძისა	110
ელფუა შაღრაძე — ცხოვრება გრიგოლ ორბელიანისა, მხატვრულ-ისტორიული ნარკვევი, გაგრძელება	115

### ღიალი 50 წელი

რ. გრძელიძე — ოქტომბრის რევოლუცია და რუსეთის ჩაგრული ხალხების განთავისუფლება	137
ვ. ხიზარულიძე — ვ. ი. ლენინი — სულსჩამდგმელი და ორგანიზატორი სოციალისტური მშენებლობისა საქართველოში	145



გიორგი ლომიძე — ზოგადკაცობრიულის, ინტერნაციონალურის და ეროვნულის დიალექტიკა მწერლობაში. დასასრული . . . . . 154



ჩვენი კალენდარი

შოთა ძიძიგური — აკაკი შანიძე . . . . . 169

ფაქტები, მოგონებანი

მიხეილ კვეციელაძე — ათასი ფუთი ბრალდება. ვანკდილი და ვავონილი. ვაგრაქლემა . . . 175

წიგნების მიმოხილვა

მავალი თოდუა — „ვეფხისტყაოსანი“ სპარსულ ენაზე . . . . . 187

მანანა გვებაძე — ნ. კლასონიას ლექსების ახალი კრებული . . . . . 191



მთავარი რედაქტორი გრიგოლ აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი, ე. მაღრაძე, ბ. შდენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. უიფიანი (პ/მგ. შდივანი), ს. შან-შიაშვილი, ვ. წულუკიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექნიკური რ. ჩავეტაძე

ბელმოწერილია დასაბეჭდად 24/VI-67 წ. ქალღმერთის ზომა 70x108. ინაწეობის ზომა 7 1/4 x 12 1/2. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პარკსაუკეთი № 12.

უფ. 02153. ტირაჟი 8.300. შეკვ. № 1962.

ბილეთდონები: რედაქტორის — 8-55-11, პ/მგ. შდივანის — 8-55-13, ვანუფიელეების — 8-55-15, 8-55-17, 8-55-20.

საქ. კბ ცვ-ის გამომცემლობის პ/კომპენატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



## სსრ კავშირის მწიკალთა კომოსე ყრილობას

კპირფსსრ) ამხანაგებო!

მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ცხოვრებაში დღეს დიდი დღეა — მუშაობას იწყებს სსრ კავშირის მწიკალთა მეოთხე სრულიად საკავშირო ყრილობა. ეს ყრილობა დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის განვითარების გზაზე, მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი საზოგადოების მთელ სულიერ ცხოვრებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითადად მიესალმება ყრილობის დელეგატებს, ყველა მწიკალს — საბჭოთა შემოქმედი ინტელიგენციის მებრძოლ რაზმს.

წელს საბჭოთა ადამიანები და მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს. ნახევარი საუკუნის წინათ ჩვენი ქვეყნის ხალხებმა ლენინური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აღმართეს ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუციის დროშა, დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას. ოქტომბრის გამარჯვებით დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ერა — იმ ტექნიკურად ადამიანური წყობილების შექმნის ერა, რომელიც სინამდვილედ აქცევს მშრომელი მასების სანუკვარ ოცნებებსა და მისწრაფებებს.

საბჭოთა ხალხს მოუხდა ბევრი დაბრკოლებისა და სიძნელის გადალახვა, იგი იარაღით ხელში იცავდა ოქტომბრის მონაპოვრებს, კომუნიზმის იდეალებს. მუშების, გლეხების, ინტელიგენციის, მთელი ჩვენი ხალხის უმაგალითო გმირობამ შექმნა მძლავრი სოციალისტური საბელმწიფო, რომელსაც ახლა მოწინავე მიჯნები უჭირავს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში.

ეს გმირობა მკაფიოდ აისახა საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებში. ისტორიის ყველა ეტაპზე — მშვიდობიანი შემოქმედების წლებშიც და ომის წლებშიც — ჩვენი ლიტერატურა იყო გმირული დროის მართალი მატთანე, ახალი საზოგადოების გამარჯვებისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილე, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების მძლავრი საშუალება დიდი მხატვრული დამაჯერებლობით ასახა ლიტერატურამ ჩვენი ეპოქის დიადი სიმართლე, ცხადყო, რომ გზა, რომელიც ავირჩიეთ, შეესაბამება მილიონობით მშრომელი ადამიანის ძირეულ ინტერესებს. ამ უკვალავ გზაზე განვითარდეთ დიდ გამარჯვებათა სიხარული, გვექონდა დანაკლისიც, დროებითი წარუმატებლობანი და შეცდომები. მაგრამ ისტორიამ დაადასტურა, რომ გზა, რომელიც აირჩია ჩვენმა კომუნისტურმა პარტიამ, ჩვენმა ხალხმა, ახალი საზოგადოების მშენებლობის ერთადერთი სწორი, ლენინური გზა იყო და ლიტერატურამ ღირსეულად განვლო ეს გზა თავის ხალხთან ერთად.

საბჭოთა ლიტერატურამ, რომელიც იშვა ისტორიის მკვეთრი შემობრუნების დროს, რევოლუციის ცეცხლში, დაიწყო ახალი ეტაპი კაცობრიობის მხატვრული კულტურის განვითარებაში. ჩვენი ლიტერატურის საერთაშორისო მნიშვნელობასა და ავტორიტეტს განსაზღვრავს ის, რომ მან ასახა საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის, სოციალიზმისათვის ბრძოლის მსოფლიო-ისტორიული გამოცდილება, ყოველთვის უნერგავდა ადამიანებს კომუნიზმის, თავისუფლების, მშვიდობისა და პროგრესის მაღალ იდეებს.

საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც გამსჭვალულია რევოლუციურ-კომუნისტური, შემოქმედებითი პათოსით, ადამიანის უსაზღვრო შესაძლებლობათა რწმენით, უპირისპირდება ბურჟუაზიულ დეკადენტურ ხელოვნებას.

შექმნა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისა, რომელმაც შემკვიდრებამდ მიიღო და გაამდიდრა რუსეთისა და მსოფლიო კულტურის საუკეთესო ტრადიციები, საბჭოთა წყობილების ცხოველმყოფელი ძალის მკაფიო დადასტურებაა.

ჩვენი ლიტერატურის პრინციპულად ახალი თვისება ისიც არის, რომ იგი ვითარდება როგორც მრავალეროვნული ლიტერატურა, ითვისებს ყველა იმ ეროვნული კულტურის პროგრესულ ტრადიციებსა და მოწინავე გამოცდილებას, რომლებიც ასახავენ საბჭოთა კავშირის თვითეული ხალხის ისტორიული გზის თავისებურებას. ეროვნულ ლიტერატურებს ასახაიანებს საერთო იდეალები და მიზნები, ტრადიციებისა და ფორმების მრავალფეროვნება. მათი აყვავების საფუძველია ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება, საერთო ძირეული ინტერესები, ხალხთა ძმობა და მეგობრობა. ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ლიტერატურების ძმობის შემდგომი განმტკიცება, მათი ურთიერთგამდიდრება თბიქტური კანონზომიერება და კომუნისტური მომავლის კულტურის წარმატებითი მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი პირობაა.

სოციალისტურმა სინამდვილემ, ბრძოლამ კომუნისტების იდეალების განხორციელებისათვის ჩამოაყალიბა ახალი ტიპის ხელოვანი — აქტიური სასოგადო მოღვაწე, მოქალაქე, მებრძოლი. საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენცია ხალხის ღვიძლი შვილია, მისი განუყოფელი ნაწილია.

პარტია და ხალხი ღირსეულად აფასებენ საბჭოთა ლიტერატურის წარმატებებს, რომლებიც ასახავენ სასოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა დარგის საერთო აღმავლობას. მწერალთა III სრულიად საკავშირო ყრილობის შემდეგ განვილილ პერიოდში შეიქმნა ბევრი ნიჭიერი ნაწარმოები, რომლებმაც ფართო აღიარება პოვეს. მსატერული სიტყვის ოსტატები, ავითარებენ რა სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების ტრადიციებს, ცდილობენ გამოავლინონ ჩვენი სინამდვილის სიმდიდრე, მართლად და მკაფიოდ ასახონ საბჭოთა ადამიანების საქმეები და ჩანაფიქრები. ლიტერატურა სულ უფრო მეტად მიმართავს ცხოვრების ახალ პროცესებსა და მოვლენებს, პრობლემებს, რომლებიც კომუნისტური მშენებლობის დროს წარმოიშობა.

იმ ისტორიული მიჯნიდან, რომელსაც ჩვენ დღეს მივადგინეთ, უფრო მკაფიოდ ჩანს გადაუჭრელი საკითხები, ნაკლოვანებანი და ცალკეული არასწორი ტენდენციები ლიტერატურის განვითარებაში, რომლებიც უნდა აღმოიფხვრას. სამწუხაროდ, ჩვენში იქმნება იდეურად და მსატერულად არასრულფასოვანი ნაწარმოებებიც, რომლებიც ზერეულედ და ცალმხრივად ასახავენ ჩვენს ისტორიასა და თანამედროვეობას. პარტია, საბჭოთა სასოგადოებრიობა ამას მიაპყრობენ მწერალთა ყურადღებას და მოითხოვენ იდეურ-მსატერული კრიტიკიუმების სიზუსტეს, ხელოვანის კლასობრივი პოზიციის მკაფიობას, მაღალ ესთეტიკურ მომთხოვნელობას. პარტია ესწრაფვის იმას, რომ ჩვენმა ლიტერატურამ, მთელმა ხელოვნებამ კიდევ უფრო წარმატებით შეუწყონ ხელი კომუნისტური მშენებლობას, უფრო აქტიური გავლენა მოახდინონ ახალი ადამიანის იდეური და ზნეობრივი აღზრდის პროცესზე.

კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს სკკპ XXIII ყრილობის მიერ მიღებულ იმ კურსს, რომ განამტკიცოს და განავითაროს სოციალურ-ეკონომიური პროცესების ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები, კიდევ უფრო სრულყოს წარმოებითი ურთიერთობა და სოციალისტური დემოკრატია. ცხოვრებას ყოველთვის უნდა ვხედავდეთ მოძრაობასა და პერსპექტივაში, უნდა ვხედავდეთ მის რეალურ სირთულეს, უნდა ვიცოდეთ მშრომელთა განწყობილება, მათი მოთხოვნები და მისწრაფებანი. ახლა

განსაკუთრებით დიდია მეცნიერების, მარქსისტულ-ლენინური თეორიის როლი, ლიტერატურისა და ხელოვნების როლი სინამდვილის შექმნებასა და გარდაქმნებასა და ასალი საზოგადოების მშენებლობის ახლანდელი ეტაპის მხატვრული შეცნობა. თანამედროვეობისადმი მიმართვა ამდირებს ხელოვანს იდეურად და ესთეტიკურად, აფართოებს მის თვალსაწიერს, ეხმარება გამოიჩინოს ნიჭი.

ხელოვნება იჭრება ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში, ზეგავლენას ახდენს მისი აზრების, გრძობებისა და ხასიათის ჩამოყალიბებაზე. მწერლები მოწოდებული არიან კომუნიზმის მშენებლებს შთაგონონ ასალი გმირობა და მიღწევები, განუვითარონ შემოქმედების, ინიციატივის სულისკვეთება, პასუხისმგებლობის გრძნობა დიდი ოქტომბრის იდეალების განხორციელებისათვის.

ლიტერატურის საბრძოლო ამოცანაა მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდა. საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმს საფუძვლად უდევს თანამედროვე მსოფლიოში ჩვენი სახელმწიფოს ისტორიული როლის, სოციალიზმის დიად უპირატესობათა ღრმა გაგება. ლიტერატურა განამტკიცებს ადამიანის რწმენას კომუნიზმის იდეების გამარჯვებისადმი, მის უსაზღვრო სიყვარულს ჩვენი სოციალისტური სამშობლოსადმი. ლიტერატურა მოწოდებულია ჩაუნერგოს ახალგაზრდობას სიამაყე ჩვენი ყველა გამარჯვებისა და მიღწევისათვის, რაც ხალხმა მოიპოვა ძალების უდიდესი დამაბვის ფასად, გაჭირვებისა და სიძნელის გადალახვის შედეგად, ჩაუნერგოს ახალგაზრდა თაობას ახალი საზოგადოების ამენებისათვის მებრძოლთა თვისებანი.

ჩვენს დროში განუზომლად გაფართოვდა საბჭოთა ლიტერატურის გავლენის სფერო. წიგნი გახდა თვითთული ოჯახის, თვითთული სახლის აუცილებელი საგანი. თეატრის, კინოს, რადიოს, ტელევიზიის საშუალებით მწერალს შესაძლებლობა აქვს მიმართოს მრავალმილიონიან აუდიტორიას. ეს კიდევ უფრო ზრდის მის როლსა და პასუხისმგებლობას თავისი შემოქმედებისათვის, ნაწარმოებების იდეური მიმართულებისა და მხატვრული დონისათვის.

პასუსსაგებია საბჭოთა ლიტერატურის ამოცანები თანამედროვე იდეურ ბრძოლაში მილიონთა გონებისა და გულისათვის. მთელ მსოფლიოში იგი არის სოციალიზმის ისტორიულ მონაპოვართა, კომუნიზმის ნათელი და კეთილშობილური იდეალების მქადაგებელი და პროპაგანდისტი. სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ საბჭოთა მწერლები კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღებენ შეტევას ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, საკადრის პასუსს გასცემენ ანტიკომუნიზმის მებაჯრეებს, მარქსიზმის ყოველგვარი ჯურის რევიზიონისტებსა და ვულგარიატორებს, დაეხმარებიან გამონახონ სწორი გზა იმათ, ვისაც თავგზა აუბნია მტრის პროპაგანდამ.

მსოფლიოს დემოკრატიულმა საზოგადოებრიობამ მაღალი შეფასება მისცა და დამსახურებულად აღიარა საბჭოთა მწერლების აქტიური საქმიანობა საერთაშორისო ასპარეზზე, მათი წვლილი ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლაში, ფაშიზმის, იმპერიალისტური რეაქციის, კოლონიური მონობის წინააღმდეგ ბრძოლაში. და დღეს, როცა ამერიკის იმპერიალიზმი გამოდის როგორც საერთაშორისო ჟანდარმი, ეწვევა სამარცხვინო ომს გმირი ვიეტნამის წინააღმდეგ, საბჭოთა მწერლების ავტორიტეტული ხმა ერწყმის მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის ხმას, რომლებიც გულისწყრომით გამოხევენ აგრესორთა დანაშაულობებს.

მშვიდობისა და სოციალური პროგრესის დროში ერთიანდებიან ახლა მსოფლიო ლიტერატურის მთელი ჯანსაღი ძალები. საბჭოთა მწერლების მოვალეობაა აქტიურად შეუწყონ ხელი ამ შეკავშირებას. ჩვენ მივესალმებით ჰუმანისტ ხელოვანთ, რომლებიც ამხილებენ ცხოვრების ბურჟუაზიულ წესს, კაცთმოძულეობის იდეოლოგიას, აქტიურად იბრძვიან მშვიდობის, დემოკრატიისა და პროგრესისათვის.

მსოფლიო ხელოვნების განვითარების მთავარ ძალას სოციალისტური ხელოვნება წარმოადგენს. მისი გავლენის გაძლიერება, სოციალისტური რეალიზმის პრინციპების განმტკიცება, სოციალიზმის ქვეყნების ლიტერატურათა თანამეგობრობა თანამედროვე მხატვრული ცხოვრების ღირსშესანიშნავი და ნაყოფიერი ტენდენციაა.

ლიტერატურის განვითარების პროცესზე პარტიული გავლენის მძლავრი საშუალება, მშრომელთა ესთეტიკური აღზრდის საქმეში სერიოზული ძალა მარქსისტული მხატვრული კრიტიკაა. მას ყოველთვის უნდა ახასიათებდეს პრინციპულობა, იდეური შეურიგებლობა, მეცნიერული დასაბუთება, ობიექტურობა, გონივრული მიდგომა ხელოვნების რთული მოვლენებისადმი, სათუთად მოპყრობა ტალანტისადმი. სწორედ ასეთი კრიტიკა მოიხვეჭს ავტორიტეტსა და პატივისცემას ხელოვანთა და მკითხველთა შორის.

პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სსრ კავშირის მწერალთა კავშირის საქმიანობას, რომელიც მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ყველა რაზმს აერთიანებს. მწერალთა კავშირმა კვლავაც უნდა იმუშაოს, რათა დარაზმოს შემოქმედებითი ძალები პრინციპულ პარტიულ საფუძველზე, გამოიმუშაოს კოლექტიური აზრი ძირეულ იდეურ-შემოქმედებითს პრობლემებზე, ხელი შეუწყოს მწერალთა იდეურ წრთობას, მათში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ახალგაზრდა ლიტერატორებს.

მწერალთა ორგანიზაციამ კვლავაც უნდა იმოქმედოს, როგორც საბჭოთა ლიტერატურის პარტიულობისათვის, ხალხურობისათვის, იდეური საფუძვლების ურყეობისათვის მებრძოლთა შემოქმედებითმა კავშირმა.

მაღალია მწერლის დანიშნულება სოციალისტურ საზოგადოებაში. იყო საბჭოთა ქვეყნის ლიტერატორი — ნიშნავს ყოველთვის და ყველგან იყო პარტიის მტკიცე მებრძოლი, ახსავდე კომუნისტური შემოქმედების ჰეროიკას, შეურიგებლად იბრძოდე ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველი გამოვლინების წინააღმდეგ.

იყო საბჭოების ქვეყნის ლიტერატორი — ნიშნავს ზედმიწევნით გრძობდე დროის მჯავსცემას, ხალხთან იყო ბრძოლაში და მშენებლობაზე, ცხოვრობდე მისი საქმეებითა და საზრუნავით, ხალხს ახმარდე მთელ შენს ნიჭსა და ოსტატობას, შენი გულის მთელ მგზნებარებას.

იყო საბჭოების ქვეყნის ლიტერატორი — ნიშნავს შენი სიტყვით ფრთას ასხამდე ადამიანს, უღვიძებდე მაღალ ზრახვებსა და გრძობებს, ანიჭებდე მას სისარულსა და ესთეტიკურ სიამოვნებას.

ამიერიდან სსრ კავშირის მწერალთა კავშირის დროშას ლენინის ორდენი დაამშვენებს. ეს მოწმობს, რომ მთელმა ხალხმა აღიარა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის დიდი დამსახურება, მისი წვლილი კომუნისტურ მშენებლობაში და ფაშისზმზე ჩვენი ხალხის გამარჯვებაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტი გულითადად ულოცავს ყველა საბჭოთა მწერალს მაღალ ჯილდოს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ ჩვენი დიადი სამშობლოს მწერლები კვლავაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ კომუნისმის მშენებლობაში, კიდევ უფრო ენერგიულად იმრომებენ ხალხისათვის, მოიპოვებენ ახალ შემოქმედებითს გამარჯვებებს.

ნაყოფიერ მუშაობას გისურვებთ, ამხანაგო დელეგატებო!

ახალ წარმატებებს გისურვებთ კომუნისმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის



საბჭოთა მწერლების IV ყრილობა, რომელიც ჩვენი ქვეყნის მთელ მრავალეროვნულ ლიტერატურას წარმოადგენს, გულითადად მიესალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

ჩვენი ყრილობა მიმდინარეობს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეათე წლისთავის წელს, რევოლუციისა, რომლის კაპიტნის ბოგაზე მსოფლიო ხედავს და მარად დანახავს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს, — კომუნისტა მძლავრი პარტიის შემქმნელს.

ჩვენ, საბჭოთა ლიტერატურის მოღვაწენი, მთელ ჩვენს შემოქმედებას, მთელ ჩვენს აზრებს ეუკავშირებთ პარტიას, რომელიც გამობატავს ხალხის უღრმეს ინტერესებს. „კომუნისტებო, წინ!“ — ეპოქის ეს მძლავრი მოწოდება გაისმოდა სამოქალაქო ომის ფრონტებზეც, ხუთწლეულების მშენებლობებზეც, ბერლინის შტურმის დროსაც, გაისმის ამ ბოლო წლების დიად საგმირო საქმეებშიც.

ვაჯამებთ რა გმირობით, გამარჯვებებითა და უძნელესი განსაცდელით აღსავსე ნახევარი საუკუნის მანძილზე ლიტერატურის განვითარების შედეგებს, უწინარეს ყოვლისა საჭიროდ მიგვაჩნია განაცხადოთ, რომ ჩვენი ლიტერატურა მიგვაჩნდა და კვლავაც მიგვაჩნია საერთო-პარტიული, კომუნისტური საქმის ნაწილად.

წმიდად ვიცავთ რა საბჭოური და მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებს, ჩვენ, საბჭოთა მწერლები, ლიტერატურას ვთვლით საზოგადოებრივ საქმედ, პროგრესის მძლავრ ფაქტორად. იგი მოდის ხალხიდან, ეკუთვნის ხალხს, ერთგულად ემსახურება ხალხს თავისუფლების, თანასწორობის, მშობისა და სამართლიანობის დიადი პრინციპებისათვის, კომუნისუმის მაღალი იდეალებისათვის ბძოლაში.

ჩვენ პირდაპირ და ამაყად ვუწოდებთ ჩვენს ლიტერატურას პარტიულს იმიტომ, რომ მას არა აქვს და არც შეიძლება კჷონდეს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა, რომლებსაც ჩვენი პარტია გამობატავს. ჩვენს ლიტერატურას პარტიულს ვუწოდებთ იმიტომ, რომ პარტიის პოლიტიკაში ვხედავთ პროგრესული კაცობრიობის სანუკვარ მისწრაფებათა ყველაზე სრულ განხორციელებას. და დღეს მთელი ჩვენი მრავალეროვნული ლიტერატურის სახელით ვამბობთ: „ავირჩიეთ რა ჩვენს იდეალად კომუნისმი — ბოლომდე ერთგული ვიქნებით მისი!“

ორმოცდაათი წლის მანძილზე ჩვენი ხალხი იბრძოდა და აშენებდა, და ლიტერატურა მასთან ერთად იყო შრომითსა და მხედრულ საქმიანობაში. დღეს საბჭოთა კავშირი დედამიწის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო გახდა. ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელმაც გადაწყვეტი დარტყმები მიაყენა ფაშიზმს და დაუცხრომლად იცავს მშვიდობის საქმეს. ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომლის იდეები, მაგალითი, გამოცდილება ალაფრთოვანებდა და ალაფრთოვანებს ხალხებს სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ყოველი ფორმის წინააღმდეგ ბრძოლაში, და თუ დღეს მსოფლიო სხვანაირი გახდა, ამაში დამსახურება მიუძღვის სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურასაც. ამის შეგნება ჩვენთვის, საბჭოთა მწერლებისათვის, სიამაყისა და შემოქმედებითი შთაგონების წყაროა.

ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ ჩვენს ლიტერატურულ საქმეში ბევრია ნაკლოვანებანი, სიძნელენი და გადაუჭრელი პრობლემები. უნდა სრულყოფთ ჩვენი კავშირის საქმიანობა, განვაავითაროთ თვითეული ლიტერატორის შემოქმედებითი ინიციატივა და მოქალაქეობრივი აქტივობა, მუდამ უნდა გვახსოვდეს, თუ რა მაღალი პასუხისმგებლობა აკისრია საბჭოთა ხელოვანს დროისა და ხალხის წინაშე.

ერთი წუთითაც არ ვიციწყებთ, რომ ჩვენი საქმიანობა მიმდინარეობს მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში, რომელმაც არ იცის დაზავება და სანსენებო-გამორიცხავს იდეოლოგიური თანაარსებობისა თუ ნეიტრალიზმის რაიმე ფორმას.

ყოველივე ეს დიდი ძალითა და ნათლად არის ნათქვამი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში ჩვენი ყრილობისადმი. ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი მიგვანინა კიდევ ერთ დადასტურებად იმისა, თუ რა დაცხრომილად ზრუნავს პარტია საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის.

მწერალთა მეოთხე ყრილობა აღუთქვამს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ საბჭოთა ლიტერატორები ყოველ დონეს იხმარენ, რათა გაამართლონ პარტიისა და ხალხის ნდობა, სამშობლოს უმაღლეს ჯილდოს — ლენინის ორდენს უპასუხებენ იმით, რომ ყოველი ღონისძიებით აამაღლებენ შემოქმედებითს აქტივობას, თავიანთი შრომით ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნისმის მშენებლობაში, მხატვრულ ნაწარმოებებში ასახავენ ხალხის ცხოვრებას, შექმნიან მისი ბრძოლისა და შემოქმედებითი შრომის ფართო სურათს.

საბჭოთა მწერლები სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ლიტერატორებთან და ყველა კონტინენტის პროგრესულ ხელოვანებთან ერთად კვლავაც მგზნებარედ დაიცავენ მშვიდობას, აღიმაღლებენ ხმას იმპერიალისტური ავანტიურებისა და ნეოფაშიზმის წინააღმდეგ. ყოველთვის გვახსოვს, რომ პროგრესული ძალების ერთიანობა, წარმატების საწინდარია რეაქციისა და ომის შავბნელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას — რევოლუციის დიად მესაჭეს!

გაუმარჯოს ცხოვრებისა და შემოქმედების, ხელოვნებისა და რევოლუციის კავშირს!

**საბჭოთა კავშირის მწერლების IV ყრილობა**

## პოლიტ. აგანთეთ. ახალგაზრდებო!

აქ მზეც მათობდა,  
მცემდა ქარბუჭიც,  
შრომამ სიკეთის ნერგად მახარა.  
ამ ორლობიდან წაველ ჭაბუკი,  
ახლა დავბრუნდი უკვე ჭალარა.

აქ ყველგან ჩემი ყრმობის ფრთებია,  
ვეძებ ძველ ნიშნებს გზის გაყოლებით.  
ახალგაზრდები სად არ მხედდებიან,  
აქა-იქ ჩანან ჩემი ტოლები.

ომს ჩაუჭრია ზოგის ვარსკვლავი,  
ზოგის — დროდადრო ბედის სიმუხთლეს.  
რომლებიც დარჩნენ შერჩათ მხარ-  
მკლავი,  
ვინ იცის, ადრე ვინ ჩაიმუხლებს!

და თვალს ვარიდებ ბედის კამათელს,  
რატომ ვიფიქრო, ხვალ რა მომელის.  
ახალგაზრდებო, მოდით, ამანთეთ,  
დრო დამიბრუნეთ დაუდგრომელი.

ნურვის ვეხილო სუნთქვაშეკრული,  
მველოს ჩემს გზაზე დიდხანს ამაყად.  
მოდით, ამანთეთ, თორემ ეს გული  
არ მომასვენებს, ვიცეი, ამაღამ.

## ჩემი დაბნელება



ამ სიჩუმეში ეს რა ხმებია  
 გულის გამსხნელი, ჭირის ამკლები!  
 რად დამესიზმრე, ჩემო ბებია,  
 რამ გამახსენა შენი ზღაპრები!

რამ მომაგონა ძველი მარანი,  
 სუფრა გაშლილი შუაცეცხლამდე!  
 იქნებ, გაიგე ჩემი ვარამი,  
 მიტომ სიზმარში გამომეცხადე.

არაფერია, რა მჭირს ისეთი,  
 წვა და დუდილი გულის ხვედრია.  
 კაცს რომ ვუკურებ, რწმენით ვივსები,  
 ყბედს ვინ დაუშლის ქარში ხეტიალს.

ყველა სიამის კარის გამღები,  
 ვიცი, ჩემთვისაც ჩემი ხალხია.  
 შენ ის გიკვირდეს, ახლა ბალები  
 უკვე ბაბუას რომ მეძახიან.

მათთან ჩუმიც ვარ და მოტიტიჩიც,  
 ჭმუნვა სულისა ვცდილობ დავმალო.  
 გუშინ დავეცი, მუხლი ვიტკინე  
 და მომენატრა შენი მალამო.

თუ დავსუსულვარ, ლხენაც მრგებია,  
 ყველა სიმღერის ხმას არ ავეყვები.  
 რად დამესიზმრე, ჩემო ბებია,  
 რამ გამახსენა შენი ზღაპრები



საქართველოს მწიგნობართა კავშირი

# ნითელი ლაპარაკი

რ მ მ ნ ი

ნაწილი პირველი

დ უ მ ი ლ ი

ნელოზით აღმუშავებული პირი

შეხვედრა იწყება ხელის ჩამორთმევით. ბათუ ბენედიქტეს პირდაპირ ჯდება. არ ეხველება, მაგრამ ახველებს. მათ შორის ოთხკუთხა საწერი მაგიდაა. ბენედიქტე დუმს. არ საყვედურობს ბათუს, რაიღმასკომში რომ ესტუმრა, არ ახსენებს დათქმულს, რომ ის და ბენედიქტე ერთად, აქ არავინ არ უნდა დაინახოს. არც იმის ფამო საყვედურობს, მიღების საათებს რომ დაამთხვია თავისი ვიზიტი, იმდენ ხალხს რომ ალოდინებს დერეფანში. ბენედიქტემ იცის, რამ აიძულა და რამ შემოიყვანა მის კაბინეტში ბათუ. ჯერ სხვა საგანზე იწყებს საუბარს სტუმარი. მერე ხუმრობით ეკითხება ბენედიქტეს, ხომ არ „დავიღუბეთ“, ხომ არაფერი დამართნია იმ მომაკვდავ მოხუცსო. ბენედიქტე იმედს გამოთქვამს, რომ დროა სატირლად მოემზადონ. ამას გარდა, ახალ ამბავსაც აღუწყებს ამფსონს: ჟუჟება, როგორ შეიარა გუშინ ვაკის სასაფლაოზე და როგორ დაიხვია მესაფლავისგან ძალიან კარგი ადგილი, პირდაპირ გზისპირას. უპატრონო არავის ეგონოს სამსონ ბატონი, დიდი პატივით უნდა დავასაფლავოთ, ეჭვი რომ არ შეიტანონ ჩემს უფლებებშიო. ბათუ უწონებს ამ საზრია-

ნობას, მაგრამ თავის მხრივ უმატებს, რომ ბენედიქტემ არ უნდა გადააქარბოს, ზედმეტი მზრუნველობა არ უნდა გამოამყლავნოს, თორემ შეიძლება სწორედ მაშინ აღეძრას ეჭვი ზოგ-ზოგებს. თანაც საღ და შუშის თეალსაც ბენედიქტეს აპყრობს, აბა რამდენად დაუჭდა ჭკუაში ჩემი რჩევაო, მაგრამ ვერცერთი თვალი ვერავითარ ინფორმაციას ვერ აწვდის ბათუს გონებას, ვერ ასწრებენ ბენედიქტეს სახეზე გარბენილი ფიჭრის წაკითხვას: „ხომ არ გგონია, ჩემო ბათუ, რომ იმ მოხუცის ბინიდან გარგებ რამეს?“

კარი იღება და კაბინეტში რაიღმასკომის თანამშრომელი ქალი შემოდის: „კორესპონდენტია, ბატონო ბენედიქტე, თქვენი ნახვა უნდა“. ბენედიქტე აღელვებისგან ფითრდება. მერე წითლდება, მერე სკამიდან წამოხტება და იმ ქალს აბარებს, დამიყადოს კორესპონდენტმა, ახლავე მივიღებო. ვინ მოთვლის რამდენი ხანია, რაც ამ წუთს ელოდება ბენედიქტე — გაზეთში თავისი სურათის, სურათის თუ არა, გვარის გამოჭიმვას მინც. და ახლა ასე მოულოდნელად, სულ ასე უბრალოდ სრულდება ოცნება. ეს ბათუ კი წასვლას არ აპირებს...

— ჩემო ბენო, აღარ შეგიშლი ხელს. მომეცი ბარემ და წაეალ! — ამბობს ბათუ.

— რა მოგეცე?! — უკვირს ბენედიქტეს, თვალები უდიდდება.

— ჩემი წილი... სამი ათასი.

— სამი ათასი სად წაიკითხე... ჯერ ეს ერთი. და მეორე — ფული შინ მაქვს.

— მომეცი, ბენო...

— კაცო, ზომ ხედავ, ხალხი მელოდება, რა დროს ეგ არის?!

— აქედან არ გავალ, ბენო.

— არ გახვალ და ძალით გაგიყვან. აქ ის ნუკი გგონია შენ!

— სწორედ ის მგონია აქ...

ამ დროს კვლავ იღება კარი, კვლავ შემოდის რაიალმასკომის თანამშრომელი ქალი და კვლავ მოახსენებს ბენედიქტეს: კორესპონდენტი ამბობს, თუ ახლა არ სცალია, სხვა დროს შემოვივლიო.

— არა, მოიცადოს, არა, ამ წუთში! — ხელებს ასავსავეებს ბენედიქტე, — ამ წუთში, ორ წუთში მივიღებ, — და როგორც კი ქალი გადის, ცეცხლგამძლე ყუთს აღებს, ათ აშამენითიანს ითვლის და ხელში უჭმუჭუნის ბათუს.

— სამი ათასი, ბენო...

— აქ მეტი აღარ მაქვს!

— სამი-მეოთხე!

ბენედიქტე მერყეობს, შუბლზე ოფლი გადასდის. ცალი თვალი კარისკენ აქვს, ცალი ბათუსკენ, გონების თვალი ცეცხლგამძლე ყუთს დასტრიალებს. ხან გამოაქვს ამ მესამე თვალს იქიდან ფული, ხან უკანვე დებს. ბოლოს მაინც გამოიტანა. მეორე ათასს ითვლის და ახლა კიბეში უტენის ბათუს.

— მორჩა, შენი ვალი გასტუმრებულია. წადი ახლა, თუ ძმა ხარ, და საღამოს შეგხვდეთ სადმე.

— ბენედიქტე, ათასი მანეთი აკლია შენს კაცურ სიტყვას!

— არაფერი არ აკლია, მეტიც მოგეცე. და ამ გამარცხისთვის მერე მოგელაპარაკები, გასწი ახლა!

— გამარცხისთვის?!... გამარცხისთვის, ხომ? — რადგან ეგრეა, არაფერი აღარ მინდა შენი, აღარაფერი. ამა, წაი-

ლე! — ისტერიულად გაჰყვიროს ბათუ, ფულს სახეში აყრის და

ღია კარებში ვიღაც ქაბუკი დგას და ბენედიქტეს უდიდის. სადღაც უნახავს... ეს ხომ დუდანას ამხანაგია! რაშია საქმე? კორესპონდენტი სადღაა?

— მობრძანდით!

— გამარჯობათ, ბატონო ბენედიქტე!

— ერთი წუთით!

ბენედიქტე დერეფანში იხედება. ერთბაშად აწყდება მომლოდინეთა მთელი ნაკადი. თითქოს ბენედიქტესკენ გადაყირავდა დერეფანი.

— ბატონო ბენედიქტე, აი, მოვიტანე ნებართვა!

— ეს ცნობა არ მიიღეს...

— ხვალაც გექნებათ მიღება?

— მე მხოლოდ ორი წუთით, პატივცემულო, მხოლოდ ორი წუთით.

— ბატონო ბენედიქტე, ჩემს შესახებ დაგირეკეს, მე...

მაგრამ ბენედიქტე კორესპონდენტს ეძებს.

— აქ კორესპონდენტი იყო სადღაც!

და მაშინვე ხედება, რომ ეს არ უნდა ეთქვა ხმაბალა, რომ კორესპონდენტი ის არის: ზომ თქვა იმ დღეს, რედაქციაში ვმუშაობო. ცივად ბრუნდება კაბინეტისკენ და მნახველებს უტოვებს თავსატეხ ფრახანა:

— ვერაფერს გეტყვით... ან ხვალ!

ჰო, ეს ყმაწვილია კორესპონდენტი, აპარატივი უჭირავს ჩელში. ახლა ყველაფერი გასაგებია. დუდანა! რა თქმა უნდა... ბევრ რამესაც წაიღებს!

ბენედიქტე ღიად დარჩენილ ცეცხლგამძლე ყუთს კეტავს. მაგიდასთან ჯდება და იქიდან უწვდის ხელს:

— გამარჯობა შენი, ყმაწვილო!

— გამარჯობათ, ბიძია ბენო...

ჯაბას საქციელი წახდენია. ორი, ერთმანეთის მოქიშზე და ერთმანეთის გამოპრიცხავი მისიით შემოაბიჯა აქ. რედაქციიდან ბენედიქტეს კაბინეტის კარამდე იგი იყო თავისი აღშფოთებისა და პროტესტის წარმომადგენელი, ნდობით აღ-

ჭურვილი პირი, ვისაც მიწასთან უნდა ვაეწირობინა ეს თავბუდი, დედის ამცრემლებელი, მამის სახელის შეურაცხყოფელი. ანგარიში არ უნდა გაეწია იმისთვის, რომ ეს შეიძლება სწყენოდა დუდანას. უნდა ენიშნებინა ამ ვაჟბატონისთვის, ანდა, პირდაპირ ეთქვა, რომ რედაქციის მუშაია და ამ საქმეს მოუვლის, საქვეყნოდ გაახმაურებს ყველაფერს, რაც აქ ხდება.

— გისმენ, ყმაწვილო, თქვენი მონა და მორჩილი! — ამბობს ბენედიქტი.

მერე კი რაღაც უცნაური რამ მოხდა — შემოაბიჯა თუ არა კაბინეტში, ჯაბას აღმფრთხილისა და პროტესტის წარმომადგენელი, ის ნდობით აღჭურვილი პირი, საცოდავად დაპატარავდა, ჭონდრის კაცად იქცა და პარკეტის ღრიკოში გაქრა. და უცბად თავი წამოჰყო კეთილშეგობრობის მისიით აღჭურვილმა, მშვიდობის ყველა შესაძლებელი გზის მაჩვენებელმა ელჩმა, დიპლომატის შეუვალე ღმირით დაიმშვენა სახე და საგარძელში მოსვენებულმა, ფეხი ფეხზე შემოიღო.

ფიქრობს, რა უთხრას. რაც ენაზე მოადგება?

— ზომ კარგად ბრძანდებით, ბატონო ბენედიქტე?

— უფრო კარგადაც შეიძლებოდა, მაგრამ... ხე, ხე.

— იმ დღეს კინაღამ დაგვათვრე.

— თქვენ რა დაგათრობთ, მე კი ვთვრები მალე.

ახლა რაღა უთხრას?

— ბატონო ბენო, იმ დღეს დიკენსი გამოგონებრით მალაზიაში, ზომ არ მოსულა, თუ იცით, პირველი ტომი?

— არ ვიცი... არ შემვიღია.

— რომ არ გაგაცდინოთ, ბარემ პირდაპირ გეტყვით, მინდა თქვენზე, ესე იგი, თქვენს მუშაობაზე... ნარკვევი დავწერო ჩვენი ჟურნალისათვის, ჟურნალ „განთიადისათვის“.

— ჩემს მუშაობაზე?! — ვითომ უკვირს ბენედიქტეს და აღელვებისაგან ველარ ამჩნევს სარმას რომ უღებს თა-

ვისი სკამის ფეხს, მერე ორივე მუხლით რომ აწეება ქვევიდან მავიდას და ოღნავ აყრავებს, — კერძოდ, რა გინდობრებს? — ისე ეკითხება, თითქოს მობურთებული ჰქონდეს თავი კორესპონდენტებისაგან.

რედაქციას თურმე აინტერესებს რაიონის საბინაო მშენებლობის მასშტაბები, როგორ კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილება, როგორი პერსპექტივებია დასახული, შენდება თუ არა საქალაქო მნიშვნელობის დაწესებულება რაიონში, კიდევ სხვა და ბევრი ასეთი.

ბენედიქტეს ყველაზე გრძელი და ამომწურავი პასუხი ოთხ-ხუთ სიტყვას არ აღემატება. ჯაბას რედაქციის შტაბიანი („რედაქცია „განთიადი“ ლიტმუშაი“) ბლოკნოტი დაუდვია წინ და სწრაფად სწერს „პასუხებს“:

„დაე, ამ ფურცელმა გამახსენოს, თუ პირადი გამორჩენისათვის როგორ ავიღე ხელი სინდისზე და როგორ მოვიწოდებე ჟურნალისტური ქრთამის გაცემა, ბინა რომ მიმეღო...“

ბენედიქტე გაიუმბეულიყო.

— რაიონს სოცშეჯიბრებაში თუ ჰყავს გამოწვეული ქალაქის სხვა რაიონი? — ჰკითხა და, როგორც კი ბენედიქტემ ლაპარაკი დაიწყო, ისევე განაგრძო ბლოკნოტში წერა:

„...მერე როგორ გავბრახდი ჩემს თავზე და როგორ დავრწმუნდი, რომ უკვე გვიან იყო — ბოლომდე უნდა გამეთამაშებინა საქმიანი კორესპონდენტის როლი. დაე, ამ ფურცელმა გამახსენოს ისიც, თუ როგორ მეშინია ახლა, აი, ამ წუთში, მართლა არ დავბუქდო რამე ამ კაცზე, მართლა არ გამხადოს იძულებული ქრთამი ნამდვილად გავიღო. ახლა, აი, ამ წუთში არ ვიცი, რატომ მოვიქეცი ასე. იმის მაგივრად, რომ წავკიდებოდი და გამომელანძლა, რატომ მივეხმატებოდი.“

1. ან იმიტომ, რომ დუდანას ბიძაა.
2. ან იმიტომ, რომ მინდა თავი მოვეჭონო...“

— ახალაშენებული სახლის კედლები დაბზარულა მასივში! — სიჩუმემ თავი ააწვეინა ჯაბა, — ხომ არ მეტყვით მიზეზს?

— მაგისათვის დაისაჯა ხალხი. აღმასკომი, რაშაკვირველია, არაფერ შუაშია. საქმე ის არის, რომ...

„...3. ან იმიტომ, რომ დარწმუნებული არა ვარ, ნამდვილად თაღლითია, თუ არა. ერთი საბუთიც არა მაქვს ხელთ“.

— რას იტყვი?

— რა ბრძანეთ?

— მშენებლობაზე ხომ არ გავიაროთ-მეთქი, რას იტყვი? უცბად, მივალთ ტაქსით.

— სიამოვნებით!

ჯაბა დაწერილ ფურცელს ზევს ბლოკნოტიდან, ოთხად კეცავს და პიჯაკის უბნს ჯიბეში ინახავს.

— ბატონო ბენედიქტე, როდის გამოაკრავენ ბინების განაწილების სიას? — ეს ფიქრი არ არის, ამას ხმამაღლა ამბობს.

ბენედიქტეს ათასმეერთედ აძლევენ მსგავს შეკითხვას, იგი ავტომატურად პასუხობს:

— მომავალ გაზაფხულამდე არაფერი იქნება, — მაგიდაზე ქალაღლებს აგროვებს, უჯრაში აწყობს.

— სულ რამდენი კაცია სიაში?

— როგორ გითხრა, — ბენედიქტეს კორესპონდენტის მორიგი შეკითხვა ჰგონია ეს, — სხვადასხვა სიეზია. წავიდეთ? — ბენედიქტე მზადაა. ხელში გასაღებს აქლარუნებს, — მთავარ ინჟინერსაც მივუტყობ.

— მე მაინტერესებს იმ მოქალაქეთა სია, პირველ რიგში რომ უნდა მივეცეთ ბინა. ყველაზე გაჭირვებულებზე ვლაპარაკობ.

ბენედიქტეს ჯაბას გამომწვევი კილო ეუცნაურება, თვალბში შესცქერის: რამე ხომ არ უთხრეს ამ კორესპონდენტს?.. ბათუმი?!

— დიახ. ეგეთი სიაც არსებობს... — ხმა ეპარება ბენედიქტეს, როგორც სილას წყალი.

— თუ განსოვთ ასეოცე ნომრად/ვინ არის შაგ სიაში?

კორესპონდენტს თვალბში უცვნიეს. გამომწვევად ელიმება. აშკარად ამქლავნებს, რომ ყველაფერი იცის... ის ქალი კარგად ახსოვს ბენედიქტეს... ის ქალი, გუშინწინ რომ ეჩხუბა, თართიშვილის თხუთმეტი ათასის ხათრით რომ გადაასკუბა უჯან... აი, რისთვის მოსულა ეს კორესპონდენტი. გაათამაშა ბენედიქტე, მასხარად აიგდო, და ახლა დაღუპვას უპირებს.

— ზეპირად საიდან უნდა მახსოვდეს? — ზელებს შლის საქციელწამხდარი ბენედიქტე — ვნახოთ აგერ...

მაგიდის უჯრას აღებს, ეძებს, პოულობს. ახლა ნომერს ეძებს სიაში, დიდხანს ეძებს...

— ეე, ასეოცე ნომრად ვიდაც დონაქია... ზინაიდა პორფირეს ასული... — ცრუობს ბენედიქტე, უნდა გაიგოს, ნამდვილად ყველაფერი იცის კორესპონდენტმა, თუ ყურმოკრული ცნობებით აპირებს მის გაფუჭებას.

— პორფირეს ასული? — უკვირს კორესპონდენტს, მაგრამ ღიმილს ზაინც არ იშორებს სახიდან, — იქნებ ალექსანდრეს ასულია, აბა, კარგად ნახეთ!

მორჩა. დაიღუპა ბენედიქტე... ყველაფერი ცოდნია.

— უჰ, ბოდიში. მე... მე ასეთოთხმოცე წამიკითხავს. დიახ, ალექსანდრეს ასულია, „ალავიძე ნინო ალექსანდრეს ასული“.

— რომელიც, — აგრძელებს ჯაბა, — ამ რამდენიმე თვის წინათ სიის თავში რყო!

მთელი სხეული ოფლით ენამება ბენედიქტეს, ერთბაშად წონაში იკლებს. რატომღაც ფანჯარას ზურავს. მერე კარსაც ამოწმებს, ჩაეკტილია, თუ არაო. ცეცხლგამძლე ყუთთან ჩერდება და ჯაბას მიმართავს:

— სამი საცმარისი იქნება? აქვე — ამ წუთში....

„ორი ბზუკუს, სამი ამას, ათი მიინც დამრჩება,“ — ანგარიშობს გულში.

ჯაბა ყურადღებას ვეღარ ამახვილებს ბენედიქტეს ამ წინადადებაზე, რადგან გაკვირვებულია — ალავიძის გვარის ხსენებამ რატომ არაფერი არ ანიშნა ბიძია ბენოს, და უცბად ხვდება — ამ კაცმა არ იცის შისი გვარი, შეიძლება, სახელიც არ ახსოვს.

— ბატონო ბენედიქტე, ნინო ალექსანდრეს ასული დედაა ჩემი, მიხვდით? ხომ მიხვდით?

— დედა?! — პირს ალებს ბენედიქტე.

— დიას, ათ წელზე მეტია ველოდებით ბინას. ველოდებით და აგერ ვიღაცას სიის ბოლოში გადავუვლივართ. დედა იყო ამას წინათ თქვენთან, რალაც წალაპარაკებულხართ კიდევაც... ძალიან გთხოვთ, ბატონო ბენო, დედა მეცოდება, თორემ...

„აუუ. — გუგუნს იწყებს ბენედიქტეს თავი, — აუუ, რამხელა შეცდომას უშვებდა?! თურმე რაში ყოფილა საქმე!“

ცეცხლგამძლე ყუთს შორდება, გადაარჩა სამი ათასი, სამი ათასი იქით იყოს, კინაღამ საკუთარი ხელებით წა-

იხრჩო თავი. ყველაფერი დღესაცით ნათელია! ეურნალში გამოსჭირვავს ბენედიქტემ კი ბინის საქმეც უნდა მისცეს კაროს.

ბეჭზე ხელს ურტყამს ჯაბას. ალერსიანად აჯანჯლარებს.

— ყველაფერს ვეცდები, ყმაწვილო, ჩემს ხელში არ არის? დარდი ნუ გექნება, შენ შენი საქმე აკეთე.

მერე დარბაისლური, მძიმე ნაბიჯით უახლოვდება მაგიდას, თითქოს ხელახლა აღედგინოს ეს დაკარგული წონა, ჰკეტავს უჯრას და კარისკენ უთითებს ჯაბას.

— წავიდეთ მშენებლობაზე, თორემ ხალხს ვეღარ მივუსწრებთ, კაბინეტში არ ღირს სურათების გადაღება.

— რა თქმა უნდა, იქ ჯობს, — ამბობს ჯაბა.

— ექვსი სახლი შენდება ჩვენი შეკვეთით, სულ ასორმოდამთხი ბინაა... ეე, როდის გამოვა ეს... ის ეურნალი, სადაც...

— ოქტომბერში, ან ნოემბერში.

— აუჰ, რა ამბავია, ვიცოცხლებ კი მანამდე? ხე, ხე...

## რ ა მ ი დ ა რ ო მ უ ლ ი

— ადე, ქალო, რა დროს ძილია, გაიცანი ეს ყმაწვილო, დუღანას მეგობარია, ეურნალის თანამშრომელია, ჩემი ძმა-კაცია, და შეიძლება... ა? შეიძლება ძმაკაცზე ახლობელიც გახდეს, ხე, ხე.

თითქოს ქალი ტახტიანად წამოიშართა, ისე დიდი მოეჩვენა ჯაბას მარგო. ქალი თვალებს აცეცებდა, ბოდიშს იხდიდა, ცალი ფეხით ჩუსტებს ეძებდა. იატაკზე დახედვისა რცხვენოდა.

— თვალბუქია დედოფალაა, ბატარა ქალიშვილი მინც მყავდეს, დაწვევა — ეხუჭება თვალები, წამოდგება — ეხილება. აბა, მარგო, იქნებ კაი ვახშამი გვარგო? ხე, ხე...

— ეხლავე, ეხლავე, ჩვენც არ გვივახშამია, ეხლავე.

ტახტი დერეფანში გადანიდგარდა. ოთახი ერთბაშად დაცარიელდა.

— ჩვენ კი აქეთ წავიდეთ. მოდი, ნახე, რა ბიჭი მყავს!

როდესაც მშენებლობაზე სურათების გადაღება დაამთავრეს, უზომოდ კმაყოფილმა ბენედიქტემ ჯაბა ოჯახში მიიპატიო. ეს ისე მოულოდნელი იყო ჯაბასთვის, უარი ყვირილად აღმოხდა, რას ამბობთ, როგორ გეკადრებათო, და უნებურად უკან დაიხია, თითქოს ბენედიქტე ხელის წაგლებას უპირებდა. მიპატივება გათანაბრების მინიშნებად მოეჩვენა ჯაბას — რომ ერთი ხის წაყოფნი იყვნენ, ორივენი ერთ უღელს სწევდნენ თურმე, ერთ ტაფაში იწვოდნენ. ამას ვერ გაუბედავდა ბენედიქტე კორესპონ-

დენტს, არც მოუვიდოდა აზრად, რომ საფუძვლიანი საბაზი არ ჰქონოდა.

არ გეგონოს, ყველა ნაცნობს ვპატივებდე შინო, მეწყინება იცოდე, ასეო, ისეო. ჯაბა კი ზმით რომ ვერ ფარავდა, თავისა და ხელების ქნევით იგერიებდა ბენედიქტეს სიტყვებს.

— იქნებ დუღანაც იქ დაგვხვდეს! — ბოლოს სათადარიგო ბადე ისროლა ბენედიქტემ და ჯაბაც თავით ფეხამდე გაიხლართა შიგ.

ერთხელაც არ გაფართხალებულა. ერთხელაც არ უცდია ბადის გაგლეჯა. გაყუჩებული მიჰყვებოდა ცბიერ მებადურს, იმედი ჰქონდა, სანამ სულს გაღაფავდა, ერთხელ მაინც მოჰკრავდა თვალს ზღაპრულ ქალთევზას.

...მოაჯახუნეს თუ არა კარი და ბენედიქტე ტანტზე მძინარე მეუღლეს თავს დაადგა, ჯაბამ იგრძნო, რომ დუღანა იქ არ იყო. ამ გარინდულ, უსიცოცხლო სახლში თითქოს ათმაგად იზადავდა დედამიწა და ფეხებს უბორკავდა. სიხალისის ფრთები, ცისკენ რომ ეწეოდა ჯაბას, თითქოს იმ მოჯახუნებულმა კარმა შემოამტვრია. ერთბაშად აზრი დაეკარგა ყველაფერს. უფრო სწორად, ყველაფერს თავისი აზრი მიეცა, თავისი ნამდვილი სახელი დაერქვა. ჯაბამ თითზე იკბინა, ნამდვილად იკბინა, მერე ძეწყვივით გადამხულ სველ ნაქილარს დააკქერდა ამბობებული სულის ამ უსუსურ ნაკვალევს ზანდათან ისევ ავსებდა და აღჩინარებდა ტკივილს მიუჩვეველი, სიამის მაძიებელი ხორცი.

„სულაც ცის ქვეშ რომ ვიცხოვროთ მე და დედამ, ამ კაცზე არაფერს არ დავეწერ!... თუ ასეა, რატომ არ გავრბინვარ? რა მინდა აქ?... ცნობისმოყვარეობა, მხოლოდ ცნობისმოყვარეობა, მეტი არაფერი. საინტერესოა, გააკეთებს თუ არა ეს კაცი რამეს ჩემი ქრთამის წყალობით. დავრწმუნდები, ჩემი თვალით ვნახავ, მართლა იჩარხება თუ არა ასე საქმეები“.

და ჯაბას წუთით მოეჩვენა, რომ უბრალო მოკვდავთაღვის მიუწვდომელი და ბურუსით მოცული ამბის უნებური

მონაწილე გამხდარიყო, რომ სულ მალე გამოარღვევდა ამ ბურუსს და სინათლეზე გამოიტანდა სიმამინჯვს. ერთხელდღემი სახელოვან ეურნალისტად იქცეოდა.

მავრამ საიდანღაც, სულის სიღრმიდან ესმოდა შორეული, ყრუ ხმა, თითქოს ჩაკეტილ კარს იქით იდგა ვიღაც, მუშტებს ამრახუნებდა, უყვიროდა ჯაბას, აფრთხილებდა, რომ კეთილმეგობრობის მისიით აღტურვილი, მშვიდობის ყველა შესაძლებელი გზის მაძიებელი ელჩი ისევ ატყუებდა, რომ თვალის ასახვევად მოიგონა რაღაც ცნობისმოყვარეობა, რაღაც ბურუსით მოცული ამბავი, ვითომ სინათლეზე რომ გამოიტანდა ჯაბა. ესმოდა ეს და მაინც არ უღებდა კარს, იმ მაცდური უფლების იმედით, კაცს რომ ამშვიდებს ხოლმე — „ყოველ წუთში, როცა კი მოვისურვებ, შემიძლია ამ კარის გაღება“.

დერეფანი დაბალი, რძისფრად შეღებილი კარით თავდებოდა. ჯაბას ზეთის საღებავების სუნი ეცა. ბენედიქტემ სახელური ჩასწია და კარს მიაწვა.

— ჩაუკეტავს. რა ისწავლა ამ ბიჭმა კარის ჩაკეტვა! — დააკაუნა. — მხატვარია ვაჟბატონი, ხელი შეეშლება.

ისევ დააკაუნა.

— რომული, რომული!

და კვლავ კაკუნი მიაყოლა ძახილს. მოისმა კლიტის ჩხაკუნი. ლითონის რბილი ხმა. კარი მოდუნდა, თითქოს შვებით ამოისუნთქა, მავრამ არავის არ გაუღია.

— მიბრძანდით! — თქვა ბენედიქტემ და კარი შეაღო.

პირველად ჯაბამ ბიჭს მოჰკრა თვალი-სწორედ იმ დროს, კარიდან გაბრუნებულმა ისევ თავის სამუშაო კუთხეს რომ მიადწვია, ფუნჯი მოიმარჯვა და ტილოზე ლამაზად ჩაზნექილი მრუდე მოხაზა, უკან არც მოუხედავს, სანამ მამამ არ უთხრა:

— რომული, გაიკანნი ჩვენი სტუმარი!

ხელი არ გამოუწვდენია, ოდნავ თავი დაუკრა ჯაბას, თითქოს გაკვირვება გამოეხატა სახეზე, რომ ასეთი ახალ-

გაზრდა სტუმარი მოეყვანა მამას. ისევ სამუშაოს მიუბრუნდა და, ეტყობა, მაშინვე დაიფიქრა ყველა და ყველაფერი, იმ ტილოსა და საღებავების გარდა. ჩვიდმეტი-თვრამეტი წლისა თუ იქნებოდა. მუჭი, ნაცრისფერი პერანგი ეცვა, სახელოებაკაიწებულისა და შარავლის ზემოდან გადაშვებული. თხელი, თხელი, ნახი კანი ჰქონდა, ბუსუსით დაფარული, გოგოსავით წითელი ტუჩები და ხუჭუჭა, ოქროსფერი თმა.

„ერთი მილიგრამი სუფთა ოქრო მინც გამოვა“, გაახსენდა ჯაბას სადღაც, გახეთქი ამოკითხული: „იცი თუ არა თქვენ, რომ... ოქროსფერი თმა შეიცავს...“

მრგვალ მაგიდაზე მოწითალო ხავერდის სუფრა ეფინა, ზედ წყალში ახალგავლებული ვერცხლის სინი იდო ხილით სავსე. დაყვითლებულ გულამ მსხლეზეც და სავსემარცვლებიან ყურძნის მტევანზეც წყლის წვეთები ციმციმებდა. შუაწელამდე კანშემოთლილი ვაშლის ბურბუშელაში დანა იყო ჩატოვებული, თითქოს უჩინარი ხელი კვლავ განაგრძობდა ვაშლის თლას.

ახალგაზრდა მხატვარს თითქმის დაემთავრებინა ეს გაცოცხლებული ნატურმორტი, მაგრამ კედელზე მიყუდებული და პირდაპირ იატაკზე დაყრილი ნამუშევრებიდან სულ სხვა ქვეყანა იყურებოდა. სწორკუთხა თუნუქის თეთრად შეღებილ ფირფიტაზე შავი ასოებით ეწერა: „გაუფრთხილდით ავტოს!“ პატარა ფირფიტაზე: „პროფ. ე. ვ. ერკემლიძე“, მესამე ფირფიტაზე: „უცხო პირთათვის შესვლა-სასტიკად აკრძალულია!“ მოზრდილ აბრაზე: „კოსმეტიკური კაბინეტი“.

— სარეკლამო საამქროში მუშაობს რომელი, — ამბობდა ბენედიქტე, ხელები უკან შემოეწყო და ისე შეპყურებდა ნახატებით მოფარულ კედელს, თითქოს ცდილობდა გამოეცნო, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა შვილის მხატვრობა ჯაბაზე, — შინ მოაქვს შეკვეთები, ძალიან აქებენ, ძალიან. ძალიან მაღლობენ არიან...

2. „ნათობი“, № 6.

...აბრაზე ეხატა ერთად მიმავალი ორი ქული, და ეწერა: „ქულდები... მუხრეკი. პლისსე“.

— ვერძო სამუშაოებსაც იღებს. თუ ვინმეს რამე დასჭირდეს, შენს რედაქტორს ან... ვთქვათ, კარებზე გვარის დაწერა, სიამოვნებით.

მარცხნივ, კედელზე, ნახატი აბრა იყო მიყუდებული, უკულმა იდგა. ჯაბა წელში მოიხარა და კისერი მოიღრცა — ეზოდან ქუჩაში გამოვარდნილ ბურთს გამოჰყოლოდა ბიჭუნა, მოსდევდა და ვერ ამჩნევდა გამოქანებულ მანქანას. ჯაბა წელში გაიმართა, ბურთიც და ბიჭუნაც ცისკენ გაფრინდნენ, მანქანა იატაკზე გადაბრუნდა.

— ახლა ჩემმა მეგობარმა, გუშინწინ იყო აქ, რესტორნის დირექტორია, მთხოვა, სასოვრად რამე დამიხატოსო. — ბენედიქტემ ხელი გაიმვირა ნატურმორტისკენ, — უფასოდ ვუხატავთ!

„ვუხატავთ!“

რაც აქ შემოვიდნენ, შვილს ერთხელაც არ შეუხედავს მამისათვის, ხმაც არ გაუცია. ოთახი ჰკავდა კერძო საამქროს, ბიჭი კი — დაზგას, საამქროს პატრონი რომ სურვილისამებრ ჩართავდა და გამორთავდა ხოლმე. და ჯაბას არ უნდოდა ამის დაჯერება, არ უნდოდა რომ ამ დაზგას, ამ ოქროსფერთმიან რობოტს, ადამიანური ნიჭის თუნდ ერთი ნაპერწკალი არ აღმოჩენოდა. ამის საბაბსა და იმედს ის მეტყველი, გასულიერებული ნატურმორტი აძლევდა. და ოთახის კუთხეებში მიყრილ-მოყრილ, კედლებზე მიყუდებულ ნამუშევრებს შორის ჯაბა ეძებდა იმ დღეს და იმ წუთს, როდესაც ამ ბიჭის სულში მხატვარი ცოცხლობდა.

— მაშ, როგორ, უკვე თვრამეტი წლისაა ჩემი ბიჭი.

„ჩემი დაზგა!“

— ხომ უნდა შემატოს რამე ოჯახს? ჯაბას ახლა გაახსენდა სასაიდლო ოთახში დადგმული სერვანტი, ბროლით სავსე, ვერცხლულისა გაქვდილი შუშისკარიანი ბუფეტის თაროები, ხალიჩებით მოფარდავული იატაკი. ოთა-

10.366

ხები, სადაც რამეს თუ დააკლებდი, თორემ მიმატებოდა ვერაფერს მიუმატებდი. მოეჩვენა, რომ ეს სიმდიდრე განზრახ იყო გამოფენილი, ვითომდა, ეს იყო და ეს ოჯახის მთელი ავლა-დიდება, თორემ კიდევ რომ ჰქონოდათ, ხომ იმასაც გამოაჩენდნენ. ნამდვილი განძი კი ტახტებში იყო ჩამალული, კედლებში ჩატანებული, იატაკქვეშ დამარხული. ამ სახლში გამეფებული იყო შექენის, დაგროვების, კაპიტის კაპიტზე მიმატების კულტი. ეს იგრძნო ჯაბამ ამ სახელოსნოში, სადაც ოდითგანვე სიღარიბესთან დაკავშირებული ზეთის საღებავების სუნი ამოდ ცდილობდა შთაბეჭდილების შეცვლას.

— რად უნდა სამხატვრო აკადემია, — ამბობდა ბენედიქტე, — იმათზე კარგად ხატავს უკვე. ტყუილად უნდა მოცდეს.

ჯაბას არ ახსოვდა, ჰკითხა თუ არა რამე სამხატვრო აკადემიის შესახებ. ეტყობა, ჰკითხა.

— სკამიც არ არის, რომ შემოგთავიზო! — თქვა ბენედიქტემ. ძველებური სკამი მოსინჯა, ამ ოჯახის ადრინდელი ავეჯის ნარჩენი, მორყეული ხომ არ არისო. ზედ შავყლიანი ალბომი იდო, აილო, — დაბრძანდი, — აღარ იცოდა სად წაეღო ალბომი, იატაკზე დაუპირა დაგდება.

— გმადლობთ, თქვენ დაბრძანდით, — ანგარიშიუცემლად ალბომი ჩამოართვა ბენედიქტეს, მტვრიანი იყო, პიჯაკს განარიდა, ფურცლის კუთხეები ჩანდა, ცალი თითით ნახევრად ასწია სქელი ყდა. ეღლა ეცა, ერთბაშად ვერ გაერკვა; ალბომში კი არა, თითქოს წყაროში ჩაიხედაო, თავის თავს მოჰკრა თვალი. მერე შრგვალი, უჩარჩოო სარკე ალბომიდან ამოიღო და თაროზე შემოდლო.

— ახლა ელექტრონის რეკლამა უნდა გააკეთოს, ნეონის, პარფიუმერიის მაღაზიისათვის. მოტოციკლეტის ყიდვას აპირებს და არ მიშეხლს. ხომ, რომელი? ზე, ზე... მე შენ გიჩვენებ მოტოციკლეტს!

ოქროსკულულებიანი რობოტი დემდა. მხოლოდ იატაკის ჭრიალი ისმინდა, როცა საღებავის შესაზავებელი გადაიხრებოდა პალიტრისაკენ.

ჯაბა ალბომის სუფთა გვერდებს ფურცლავდა. პირველ ნახატს ბოლოში წააწყდა, ეტყობა, უკუღმა ეჭირა ალბომი. ახალგაზრდა ქალის მკერდი იყო დახატული. ქალი პერანგს იცვამდა, ან იხდიდა, ორივე ხელი მაღლა ჰქონდა აწეული და სახე არ უჩანდა. მეორე გვერდზე ქალის ლამაზი წვივები ეხატა. ცალი ფეხი გამართული ჰქონდა, მეორე მოხრილი და ოდნავ გვერდზე გაწეული.

„ალბათ, წინდების რეკლამისათვისაა“, — გაიფიქრა ჯაბამ.

შემდეგმა ნახატმა ერთბაშად მოხიბლა. ალბათ კომპოზიცია იყო თვალისათვის საამო, ან — შესრულება უნაკლო, ან რაღაც სხვა, შეუცნობელი. ისევ ქალი იყო, მძინარე. ტანზე თხელი ზეწარი ჰქონდა გადაფარებული, სამხრეთის ცხელ, დახუთულ ღამეებში რომ იხურავენ. მხოლოდ პატარა ტერფი უჩანდა შიშველი, და ეს ცოცხალი ნაკვთი თითქოს აუჩინარებდა მთელ ზეწარს, გამკვირვალეს ხდიდა. ქალი გვერდზე იწევა, ამობურცულ, ოდნავ გახვიადებულ თეძოდან, როგორც გამყოფი ქელიდან, სათავეს იღებდა ორი საწყისი — ქალის სახისკენ, ბალიშზე დაფენილ თმისაკენ, ნაზი, მიჰქრქალი, პოეტური ხაზები მიედინებოდა, შიშველი ტერფისაკენ კი — ენებიანი, უხეში, მშოთვარე მრუდეები.

„ამის ზეპირად დახატვა შეუძლებელია“, — გაუელეა ჯაბას, მერე ხმამაღლა თქვა:

— შესანიშნავია! — რომელის გახედა. ბიჭი სწრაფად შემობრუნდა და გაშეშდა. — ეს მართლა შესანიშნავია, ბატონო ბენედიქტე, რომელი-აუცილებლად უნდა შევიდეს სამხატვრო აკადემიაში!

— ვითომ? — სადღაც, ქვემოდან მოესმა ჯაბას, დაიხედა. ბენედიქტე ჩაცუცქულიყო და იატაკის ფიცრებს შორის

ჩავარდნილი წითელი საშლელის ამოღებას ცდილობდა.

უეცრად ჯაბას ხელიდან წაგლიჯეს ალბომი. თითქოს საყრდენი გამოეცალაო, ოდნავ წაბარბაცდა. მის გვერდით რომელი იდგა, ბიჭის უსიამოვნოდ გაფითრებული ლოყები ჯაბას თვალწინ წითლად იღებებოდა. ნაზი ნესტოები დაპბერვოდა, ვეღარ აუდიოდა გულმკერდისაკენ დაძრულ ჰაერს. თვალეზი აქეთ-იქით გაურბოდა, თითქოს აღარ იცოდა, რა გაეკეთებინა იმის შემდეგ, რაც გააკეთა. ჯაბას გონებამ იმ წამშივე განგაში ატეხა — მოითხოვდა უსწრაფესად გამორკვეულიყო ბიჭის საქციელის მიზეზი.

— რა მოხდა, ხომ არ გავაფუჭე რამე? — უხერხულად გაეღიმა ჯაბას.

„ვითომ იმ ნახატების შერცხვა? შიშველი ნაკეთების? თვითონ დახატა და...“

რომულის ხელები უთრთოდა, თითქოს ძლივძლივობით ევირა შავყდიანი ალბომი. თვალეზში შეხედა ჯაბას. მერე თავი ჩაღუნა.

„პატიებას მთხოვს!“

— აბა, მიჩვენეთ, რაზე თქვი, შესანიშნავიაო? — წელში ძლივს გაიმართა ბენედიქტე, მაგრამ მაშინვე თვალეზი მოხუჭა, — თავბრუ დამეხვა ეს ოხერი, — შუბლზე ხელისგული მიიღო, მერე საჩვენებელი თითი ცხვირწინ დაიტრიალა, — აი, ამ რგოლებს თუ დახატავ, ბიჭო?! — თქვა და თვალეზი გაახილა, გაიღიმა თავის ხუმრობაზე.

— კარგად ხატავს-მეთქი, რომული, ძალიან კარგად. უნდა მიიბაროთ ავადღემიაში, ნამდვილი მხატვარი გამოვა.

„ანდა, სხვა ნახატი იყო რამე, ნახვა რომ ვერ მომესწრო, გამოვგლიჯა“.

— ეხლაც ნამდვილი მხატვარია, ნამდვილი რომ არ იყოს, ფულს ვინ მისცემდა?

რომული რაღაცას ეძებდა, იატაკზე, მაგიდაზე, თაროებზე. რამდენჯერმე გადაშალა ალბომი, აღელვებას ვერ ფარავდა, ბოლოს თაროზე მოჰკრა თვალი მრგვალ სარკეს, აიღო, ისევ ალბომში

ჩაღო. ფეხისწვერებზე აიწია, მის თავზე მოთ ალბომი გამოჩნდა, შავ ყდაზე თითქოს ბელილით დაეხატათ იონი გრძელი, ფერმკრთალი თითი. ალბომი სულ ზედა თაროზე შემოდო, მერე ბელილა მოლღვა და ქვემოთ ჩამოიღვარა.

„ან ვინმე ჰყავდა დახატული, არ უნდოდა, მაშას ენახა“.

ბიჭი მოლბერტს დაუბრუნდა. ფუნჯი აიღო.

— რაღაც არ გვეძახის მარგო, ეტყობა, სტუმრისათვის ახალი კერძი წამოიწყო, — თქვა ბენედიქტემ, — მგელივით მშაა!

უეცრად გადაიხარა, ვერცხლის სინიდან წყლის წვეთებით დაცვარული მსხალი აიღო და თვალისდახამხამებაში ნახევრამდე ჩაიბინა, ტკბილი წვენი ჩამოეწუწუა ნიკაზე. ჯაბა შეცბა, კინაღამ დაუყვირა, რას შვებო. რომულის ჰაერში გაუშვლდა ხელი, მერე მოზრდილ ფუნჯს დასწვდა, სწრაფად აურია ერთმანეთში საღებავები, თავი მალა ასწია და ფართო, მოწითალო ზოლი გადაუსვა ქარვისფერ მსხალს ნახატზე. ბენედიქტე მადიანად ატრიალებდა ყბას.

ნამდვილი და ნახატი მსხალი ერთდროულად გაქრა. ბენედიქტემ გამოაძრო ნახევრადგათლილი ვაშლის ბურბულელებში ჩატოვებული დანა, მეორე მსხალიც აიტაცა ვერცხლის სინიდან, შუაზე გაქრა და ჯაბას მიაწოდა.

— ვეღარ დახატავს! — წამოიყვირა ჯაბამ და ორივე ხელი გაიშვირა სურათისაკენ.

ბენედიქტეს წუთით თვალეზი გაუშტერდა:

— უჰ, მაპატიე, შეილო, მაპატიე, რომული... ეს ოხერი, სულ არ დამავიწყდა?! მოველაგ მარგოს; დამამშია ამღენხანს! — მსხლის ნაჭრები ერთმანეთს მიადო, გაამთელა და ისევ სინზე დადო, მსხალი წაიქცა და კვლავ ორად გადაიხსნა, — მგონი, ასე უფრო კარგად გამოვივა, ა, რომული! მადაზე მოიყვანს კაცს... რას შერები, ბიჭო!

რომული ფუნჯს გაშვავებით უსვამდა ტილოზე, კი არ უსვამდა, სვრიდა, კი

არ სვრიდა, სცემდა, სწრაფად კვდებოდა ცოცხალი ნატურმორტი... აი, მოკვდა, გაქრა, და ტილოზე — თითქოს დიდი აფეთქების შემდეგ — ფერების ნაფლეთებილა დაჩნა.

— ბიჭო, ხომ ვითხარი, შევეციდი-მეთქი, მაპატიე-მეთქი! — აზრზე ვერ მოსულიყო ბენედიქტე.

რომელიმე მოძულებულივით მოისროლა ფუნჯი, ფეხისწვერებზე აიწია, თაროდან შავი ალბომი ჩამოიღო და კარისკენ შეტრიალდა.

— ბიჭო, ათ ტონა მსხალს გიყიდი ახლავე, ამ წუთში, რა მოხდა ასეთი?!

— ხელებს დავიბან!

როგორც იქნა, გაიგონა რომელის ხმა ჯაბამ. მოეჩვენა, რომ ეს ისევ ბოდინის მოხდა იყო სტუმრის წინაშე. სხვა შემთხვევაში ვილაციასდმი შეფიცულ დუმილს არ დაარღვევდა ბიჭი.

— კი, ბატონო, დაიბანოს, — თქვა ბენედიქტემ, როდესაც რომელი ოთახიდან გავიდა, — მაგრამ ასე გაფხუკიანება გამოვიდა? რას იზამ, ამ ასაკში ბიჭები ძნელი მოსათოკები არიან. ყოველდღე ვჩხუბობთ. რა ვიცი, იქნებ ცოლია ახლა მაგისტვის საჭირო? მე კი ოცდამეცხრამ წლისამ შევირთე და... ისიც ჩემზე ხუთი წლით უფროსია... მანამდე არც მიფიქრია ქალზე, ზედაც არავის ვუყუარებდი, ჩემი საქმე მქონდა... არც ჩემი გაკეთებული ფული მინდაო, არც — შენი კაპიკო, მეუბნება. აბა, რა გინდამეთქი, თავისუფალი მინდა ვიყო. უფულოდ მონა იქნები-მეთქი, ვუთხარი. მონა ახლა ვარო. მაგრამ რატომ არის მონა, ვერ ამხსნა, არც იცის, რას ნიშნავს ეს სიტყვა. ვერ გაუგებ ვერაფერს; ჭერ ცივ უარზე იყო, შორს დაიჭირა, სარეკლამო სახელოსნოში მოწყობა რომ შეეთავაზე, დიდხანს ჯიუტობდა, ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელად დამთანხმდა. მას შემდეგ დღედაღამე მუშაობს. ფულის ნაწილს ვუგროვებ, ეტყობა, რაღაცის ყიდვას აპირებს, მაგას ჰგონია მივეცი... ახლა პატარა ბიჭის მეშინია. ისიც ასეთი უხიბავი არ გამეზარდოს... ნიჭო, ნიჭო, რად მინდა

მაგის ნიჭი, თუ კაცად არ იგზავნებს. შენ გგონია, ვერ დაჯიანხე, როგორ წაგვღვიჯა ხელიდან ალბომი? მაგრამ... წავეყურა რუე, თვალთ დავიბნეულე... ალბათ, შენც ეგეთი აფრენილი იყავი თვრამეტი წლისა, — გაიღიმა ბენედიქტემ.

— მე ახლაც ეგეთი ვარ!

— ჰოდა, გიშველოს ღმერთმა. — ბენედიქტე გაჩუმდა. უეცრად ვერცხლის სინი აიღო და ჯაბას გაუწოდა, — ვეამით ბარემ, ხილი სახატავად არავის გაუჩენია.

მარგომ კიდევ „ერთი წუთის“ მოთმინება მოთხოვა სტუმარსა და ქმარს. ბენედიქტემ თავის კაბინეტთან მიიყვანა ჯაბა, ინგლისური გასაღები დაადრო ჯიბიდან და სტუმარს ოთახში შეუძღვა. დანოტიოებული გაჩის წმახე სუნი ეცა ჯაბას. ბენედიქტემ ფანჯარა გამოაღო. ჯაბა მაგიდასთან იდგა და წიგნების კარადის თაროებს ათვალიერებდა.

ბენედიქტეს გულში ეცივნებოდა — ამას წინად სწორედ ამ მაგიდის უკრიდან ამოიღო რვეული და ფანქრის ერთი მოსმით გადაწყვიტა ამ ყმაწვილის ბედი. მაშინ რას იფიქრებდა ბენედიქტე, რომ დაზარალებული თავისი ფეხით მოვიდოდა ბედის შესაცვლელად.

„ვნახოთ, — ფიქრობდა ბენედიქტე, — ვნახოთ...“

ჯაბასაც ეცივნებოდა გულში: თაროებზე ბალზაყის ტომებს მოჰკრა თვალი. „აი სიიდან იცის ასე მშვენიერად ბალზაყი!“ კარადის გვერდით, კედელზე, თეთრი მუყაო იყო გაკრული, შავი ასოებით ეწერა: „მე წიგნებს ნუ მთხოვთ, მთხოვეთ სიცოცხლე!“, ალბათ რომელის დაწერილი იყო მამის კარნახით.

— დიკენსი აქ აღარ დაგვევით, ბატონო ბენედიქტე! — ჯაბამ კარადის კარი მოსინჯა, ჩაკეტილი იყო.

— ახალ კარადას ვიყიდი, ანდა... ხე, ხე, აბა, გაიხედე! — ბენედიქტეს ღურბინდი ეჭირა ხელში, — მხოლოდ ამ მხრიდან გაიხედე, — და უკუღმა მიადო თვალეებზე ჯაბას.

კარადა გაიქცა, გაიქცა კედელიც, ია-

ტაკი დათავდაღმართდა, ოთახის ბოლოს ძლიერ უწვედნდა თვალს ჯაბა.

— ა? საოცარია, ხომ? ხომ დაეტევა ასი კარადა! — ბენედიქტემ დურბინდი ჩამოართვა და ახლა თვითონ გაიხედა, — სოფლიდან წამოვიღე, პირველად რომ ჩამოვედი თბილისში, რვა მეტრიანი ოთახი ვიშოვე, როგორც თითი ხელთათმანში, ისე ვიყავი გაჭედული შიგ, მაშინ ცოლი არ მყავდა ავიღებდი ამ დურბინდს, გაეხედავდი ასე უკუღმიდან ჩემს კოლოფივით ოთახს და სულს ამოვითქვამდი, გულზე ლოდი მომეხსენებოდა... და ვოცნებობდი და ვოცნებობდი.

— ავიხდათ კიდეცაც ოცნება, ამხელა ბინა გაქვთ!

— არა, დურბინდამდე ჯერ სად არის, — ბენედიქტემ სერიოზული გამომეტყველება მიიღო და ჯაბამ იგრძნო, რომ სწორედ ახლა იტყოდა იგი ყველაზე უმეტროდ რამეს, — რას იტყვით თქვენ, ჩემი აზრით, ასეთი საოცარი გამოგონება არ არსებობს მსოფლიოში, რის ტელეფონი, რა ტელეფონი, ანდა, თუ გნებავთ, ფუნქციონირი, გახედავ და კოლოფივით ოთახი სასახლედ იქცევა, თვითმფრინავი ზედ ქოჩორზე გადავივლოს, ანდა, იქ, ფანჯარაში რომ ქალია, უცბად ცხვირს ცხვირზე მოგადებს. საოცარი გამოგონებაა, მიკვირს, ფასს რატომ არ უმატებს სახელმწიფო...

კარზე ვილაკამ დააკაკუნა.  
რომული იყო — მობრძანდითო, დედა.

— მობრძანდით, მობრძანდით, ძალიან დაგამწივით, სამაგიეროდ, აგერ... — შემოვიგება სასადილო ოთახში მარგო.

მაგიდას პატარა, ლამაზი ბიჭუნა უჯდა, ვაოფლილი და სახეამტკვერილი. ალბათ ეზოში თამაშობდა, ახლა კი გულშოდგინედ შეექცეოდა ცხელ ხაჭაპურს. თითები ეწვოდა, ტუჩებიც, მაგრამ არ ეშვებოდა.

— ეს ჩემი უმცროსი ბიჭია — რემი, — თქვა ბენედიქტემ — აბა, რემი, ხელი ჩამოართვი ძიას.

— ო, რა კარგი ბიჭი ყოფილა, რა ჰკვიანი, — თქვა ჯაბამ და ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა. ბიჭუნას ყურადღება არ მიუქცევია.

— მე ახალი გამოცანა ვიცი, — აცნობა ბავშვმა მამას.

— აბა თქვი, მერე მეც ვეტყვი, — შეებაასა ჯაბა.

— „მალა ავაგდე, რა არის?“ — რემიმ ლუკმა გადააყლაბა, პირთან ხაჭაპური მიიტანა, მაგრამ მოითმინა და არ ჩაკბიხა:

„მალა ავაგდე, რა არის?  
ძირს ჩამოვარდა ჭვა არის,  
ბალახს ჭამს, ძროხა არ არის,  
კვერცხს დებს, ქათამი არ არის.“

— რა არის? — და მაშინვე დაედგერა ხაჭაპურს.

— აბა, რა ვიცი, რა არის, — გაიციინა ბენედიქტემ, — ეხლა მაგისტვის არ გვცალია, ქათამი თუ არ არის, ინდაური იქნება, ან კვატა.

— არა, არა! — გაეხარდა რემის, — შენ არ თქვა, თუ მიხედები, — გააფრთხილა ძმა.

— კუ ხომ არ არის? — თვალი ჩაუტრა ჯაბამ.

— კუ არის... — ბიჭუნას ეწყინა, რომ გამოიცნეს, თვალბში შუქი ჩაუქრა, — ნეტავ სულ არ არსებობდეს კუ, — უეტრად ინატრა მან.

— რატომ?

— ვისაც ვკითხე, ყველა მიხვდა, რომ კუ არის.

— დაბრძანდით, დაბრძანდით, ბატონო, აი, აქ ჯობს, — სკამი შესთავაზა მარგომ, — მერე ბენედიქტეს მიუბრუნდა, — სად არის ამდენხანს ლუდანა?

ჯაბამ იგრძნო, თითქოს დაინახა კიდეც, როგორ შეეცვალა სახის ფერი.

— სადილად უნდა მოსულიყო? — ჰკითხა ბენედიქტემ ცოლს.

— ტანის დაბანვა მინდო, ისადილებდა კიდეც.

— რომული, — მიუბრუნდა მამა შვილს, — ხომ იცი, ამდამაც უნდა დაიძინო ლუდანასთან, თორემ შეეშინდება და..

ჯამამ დაინახა — როგორ შეკრთა რომელი, როგორ აელანდა სახე — და კვლავ განგაში ატეხა მისმა გონებამ.

— ნუ მოხვალო, ამალამ ამხანაგები გაათევენ ღამესო.

— ასე თქვა? შენ მაინც მიდი, იქნებ არ მივიღწენ ის ამხანაგები, მაშინ? მიდი მაინც... აბა, ჯერ ეს გადაიღე, ჯაბა ბატონო, გადაიღე, გადაიღე!

არაფინ და არაფერმა, მხოლოდ დუღანამ მოიყვანა აქ ჯაბა, აქაც და იქაც

— ბენედიქტეს სამსახურში, მხოლოდ-დამხოლოდ — დუღანამ!

თითქოს დუღამიწამ მისი დუღანა და-ჰკარგა, თითქოს ამ სახლის კარებში შემომტვრეული ფრთები ისევე გამოესხა.

„უნდა წავიღე, ახლავე ავღებები და წავალ, გაგიუღებთან, მაგრამ უნდა წავიღე!“

მზერა გააპარა და რომულის მოციმციმე თვალებს შეაწყდა.

### ნ ა წ ნ ა მ ხ ი ა ნ ი ა ზ მ ო ზ უ ს ი

ჯერ იყო ქაოსი, ქარიშხალივით მბრუნავი სიბნელე. მერე გამოჩნდა თეთრი წერტილები. წყვდიადი თანდათან იცნკებოდა, რადგან თანდათან მატულობდა თეთრი წერტილების რიცხვი. ძალა ეცლებოდა სიბნელეს, და თითქოს თეთრი მტვრით იცნებოდა ქვეყანა.

უეცრად განათდა.

და მიხვდა, რომ ეს თვითონ იყო. თურმე მას ეჩვენებოდა ის წყვდიადი და თეთრი წერტილები. მიხვდა იმასაც, რომ ცოცხალი იყო და თვალი რომ გაეხილა, იქნებ ნამდვილი წყვდიადი დაეინახა, ან ნამდვილი სინათლე. მაგრამ თვალს ვერ ახელდა. არ იცოდა, სად ჰქონდა ხელები... ყოველთვის ის თეთრი წერტილები შველოდა, ყოველთვის.

აღბათ მალე შეეხება ქალის ხელები და სამსონს ყველაფერი გაახსენდება...

ახსოვს!! — ფატი მოკვდა! მისი საყვარელი ადამიანი, მეუღლე. ორი კვირის წინათ დაასაფლავა, მერე რა იყო, აღარ ახსოვს... შინ დაბრუნდნენ, ამხანაგებმა შესანდობარი დალიეს!.. იქნებ ორი წლის წინათ იყო ეს?

იქნებ სამსონიც მოკვდა?

იქნებ ასეთია სიკვდილი? ვერც საკუთარ თავს ხედავ, ვერც გრძნობ საკუთარ სხეულს, ოღონდ გახსენდება ძველი ამბები, განვლილი ცხოვრება, მაგრამ ვერ აზროვნებ, ერთმანეთს ვერ უკავშირებ... იქნებ ასეთია სიკვდილი? კიდევ კარგი, ასეთი მაინც რომ არის,

რადაცას მაინც რომ იხსენებ. იქნებ უკვე ათასი წელიც გავიდა სამსონის სიკვდილის შემდეგ, მაშინ ჩონჩხილა დარჩებოდა, ჩონჩხი კი ველარაფერს მოიგონებდა. რას არ ამბობდნენ; — სიკვდილის შემდეგ სამოთხეში მოხვდება სულიო, ზოგის — ჯოჯობეთშიო, სიკვდილის შემდეგ იმქვეყნიური ნეტარი ცხოვრება დაშვიდრდებაო, სხვები ამტკიცებდნენ — საუკუნო ღუმელი და არარაობაო. თურმე არც ერთნი იყვნენ მართალნი, არც მეორენი, არც ნეტარი, იმქვეყნიური ცხოვრება არსებულა სიკვდილის შემდეგ, არც არარაობა. უბრალოდ, გაგონდება მთელი განვლილი ცხოვრება, არეულ-დარეულად, დაულაგებლად, მაგრამ მაინც გაგონდება. ამას ვერასოდეს ვერ გაიგებენ ცოცხლები, ვერასოდეს... მხოლოდ ბავშვებია ცოდო, თურმე ამიტომ ყოფილა დიდი საცოდობა პატარა ბავშვის სიკვდილი... თურმე იმიტომ ყოფილა, რომ პატარა ბავშვს ძალიან ცოტა რამ თუ მოაგონდება სიკვდილის შემდეგ, თითქმის არაფერი, სულ არაფერი. თოჯინა მოაგონდება, ბურთი, ან კამფეტი... ხედავ, რატომ ყოფილა თურმე ბავშვის სიკვდილი საცოდობა? ნამდვილი სიკვდილი ყოფილა მისი სიკვდილი. მითუშაც ნამდვილად მოკვდა? ოცი წლის იყო სამსონის ერთადერთი ბიჭი, ცოტა რამ მაინც მოაგონებოდა სიკვდილის შემდეგ. მაგრამ უკვე იმდენი ხანია, რაც დაიღუპა, რომ ახლა სულ

ერთიდაიგივე ამბები ახსენდება ალბათ. მალე შემოეღოდა ხელში მოგონებები, მოკლე სიცოცხლე ჰქონდა საწყალს. ნეტავ შეიძლებოდეს, — სამსონი სიამოვნებით აჩუქებდა თავის მოგონებებს, თვითონ დაიკლებდა, რომ მიტუშას უფრო დიდხანს ეცოცხლა სიკვდილის შემდეგაც... ნეტავ თუ ახსენდება მიტოს, როგორ მოკვდა, ვინ ესროლა, ან სად დაეცა... დაღუპვის წინ სწერდა სოლომონს პოლოცენიკი, ულოცავდა, ორდენით დაეჯილდოეთო; თვითმავალში ფაშისტები შემოუცვივდნენ თქვენს შვილს, ქვეშების ქურვს დასტაცა ორივე ხელი და ორივე გერმანელს სული გააფრთხობინაო. მერე მიტუშაც იწერებოდა — ყუმბარით გავმუსრე, ისე რომ ყუმბარა არ გამოსერიოა..

სამსონს რატომ არ აგონდება თავისი სიკვდილი? როგორ მიიცვალა, რამ ამოაცალა სულა? ალბათ, არ მომეკვდარა! ასე რომ არ იყოს, ვერ იგრძნობდა იმ ქალის ხელს, ნემსის ჩხვლეტას, საკმელს... მაგრამ, ალბათ, ასე ფიქრობს ყველა მიცვალებული, ხავსს ეჭიდება, რომ როგორმე დაარწმუნოს თავი, ცოცხალი ვარო. ცოცხალი რომ იყოს სამსონი, მარტო წარსულის სურათები კი არ მოაგონდებოდა—ეცოდინებოდა სად არის, ილაპარაკებდა, აღგებოდა, რამე ეტყინებოდა, ან რამე გაეხარებოდა. ახლა კი ძველი სურათები, მხოლოდ სურათები, არაფრით ერთმანეთს რომ არ უკავშირდება, არცერთი ხმა რომ არ იწვევს მსგავს ხმას, არცერთი მოგონება — მომდევნო ამბავს. დაფლეთილი წიგნივითაა გონება.

რეზინივით შეკუმშული უხარმახარი სიბნელე ბორგავს ტვინში, თავის ქალას აწვება შიგნიდან და ნელნელა ბზარავს. მხოლოდ ერთი განათებული ქუჩკრტანაა ამ ბნელ ბურთში, და იმ ხერხიდან ძველი სურათები და წარსულის ხმები ამოდის.

„სამსონა, შენ რომ არაფრად მაგდებ, პარიმანმა ქული მომიხადა, ბიძია!“

ო, ეს ივანიკა, აყლაყულა ივანიკა, ვაგონების გადამბმელი.

ის როგორ იყო, პიტველად რომ ჩამოვიდა ქიათურაში ივანიკა? მაშინ მისრედ მუშაობდა სამსონი. გაეხარდა დიდიხნის უნახავი მეზობლის სტუმრობა.

წაიჭიფეს.

შეთვრნენ.

სამსონი სამორიგეოდ უნდა წასულიყო. ადგა ბანცალ-ბანცალით მოძებნა თავისი ფარანი, აიღო პეტარდები, ფერადი ალმები.

— რა დროშებია ეგ? — ჰკითხა ივანიკამ. სულ ახალგაზრდა იყო მაშინ ივანიკა.

— ამით, ჩე-ჩემო ბიძია, — უთხრა კარგა შემთვრალმა სამსონმა, — რამე რომ ი-იყოს, მა-ტარებელს გავაჩერებ.

ბევრი იცინა ივანიკამ.

— შენ რა მატარებლის გამჩერებელი ხარ, ანდა ტინჯით ვის გაუჩერებია, რომ შენ გააჩერო.

— ა-ა-არ გჯერა და დაე-დაენაძლევედი!

დანაძლევედნენ მთვრალები.

მოდიოდა ჩქარი მატარებელი, რომელიც მხოლოდ დიდ სადგურებში ჩერდებოდა.

სამსონმა ასწია წითელი ალაში და, ჩუქ, ჩუქ, ჩუუქ, გააჩერა მატარებელი.

— ხო-ხოო ვითხარო! — ნიშნისმოგებით თქვა სამსონმა და ივანიკას ბეჭზე ხელი დაარტყა, — მოკაცვე თი-თითი!

მატარებელიდან გადმოხტა გზის უბნის უფროსი ორლოვსკი, შემანქანე, რევიზორი.

— В чем дело, что случилось? —

— მოცივედნენ შეშინებულები.

— არა — არაფერია, — ნუ-ნუ გეშინიათ, — ჩაისლოკინა სამსონმა, — აგერ ივანიკა და-დამენაძლევა, ვერ-ვერ გააჩერებო, და მეც ავი-ლე და გავაჩე-ჩე-რე... ა-ამას თამაშობა გო-გონია რკინი-გზა...“

სამსონი მოხსნეს და გზის მწმენდავად გადაიყვანეს...

თითქოს უფრო დიდდება, თანდათან ფართოვდება ის განათებული ქუჩკრტ-

ტანა და ათონის მონასტრის ეზოს ანათებს... ქალის განსაკვეთილი ხელთათმანი ხედება ბეჭეში სამსონს.

„ძალი მიაკვდეს სულში თადეოზ მღვდელს!“ — მოესმა სამსონს მამის ხმა.

მაშინ ყმაწვილი იყო სამსონი. ერთადერთი ვენახის საწამლავი მანქანა ჰქონდათ მთელ სოფელში. ხან ერთი უბანი წამლავდა ვენახს, ხან მეორე. თადეოზ მღვდელი პირიდან ცოფებს ყრიდა, ღვთის რისხვას უგზავნიდა გლეხებს, საუკუნო სატანჯველს პირდებოდა; ღმერთის დაგმობაო, ვის გაუგონია მოწამლული ღვინოო, როგორღა უნდა ვაყურთხოო.

გლეხები კი მაინც არ იშლიდნენ; ვენახი რომ ჭიას არ შეექვამა და ორი წვეთი გასაყიდი ღვინო მოსვლოდათ, წამლავდნენ ვენახს. ერთ საღამოს მამა შინ დაბრუნდა. ილიმებოდა, თავისთვის იციანოდა.

— ბენა, რა სულელივით იცინი, რა დაგემართა?! — ჰკითხა გაკვირვებულმა ღვინო.

— აგერ მივდიოდი გზაზე, თადეოზ მღვდლის კარ-მიდამოს რომ ჩავუარე, რაღაც ხმა მომესმა ვენახიდან, საქონელი არ იყოს-თქვა, შევედი, შევედი და თადეოზს წავადექი თავზე. გითხრა, რას შევბოღა? საწამლავი მანქანა მოგვდო ზურგზე, აქანავებდა ზევით და ქვევით ხელს, და წამალს ასხურებდა ვენახს, კი ლორთქო ბალახით გამწვანებოდა წვერი. „ამას რას აკეთებთ, მამაო?“ — ვკითხე მე...“

ეს ამბავი არასოდეს არ გახსენებია სამსონს.

ერთი რამ აკვირვებს; — ამ ბოლო დროს, როგორც კი მოგონებებში ჩაიძირება, როგორც კი წისქვილის ქვა დაფქვავს იმ თეთრ წერტილებს და უეცრად განათდება, — უცნობი ხმები მოესმის, ვიღაც იცინის, ვიღაცეები კისკისებენ, ლაპარაკობენ, ხან ხმამალა, ხან ჩურჩულით. მერე ერთბაშად აყვირდებიან, მერე მხოლოდ ცალკე ხმა მოესმება, — ახალგაზრდული, ზარივით

ხმა, გოგოსი, ხან ბიჭის. ველარ გაურკვევია, წარსულისაა ეს ხმები/თუ არა.

როგორ შეეჩვია ბოლო დროს/ამ სიცილს, ელოდება ხოლმე... მოლოდინისაგან იძაბება, სუნთქვა უხშირდება, წვალობს, და სიამოვნებს ეს წვალბა...

გუდული! სად იყავი, გუდულო?

გუდული მარდანია თბილისის რკინიგზის სადგურზე მუშაობდა გაზეთების კიოსკში, ძველი მეგობარი, სამსონის კბილა. მიტუშა ეკითხებოდა:

— მართლა გაზეთებს ყიდდი, გუდული ბიძია?

— ვყიდდი რომელია, ქუჩა-ქუჩა დამქონდა. გაზეთი „კომუნისტი“ ჩემს მკლავზეა გაზრდილი, ბიძია.

გახსოვს, გუდულო?

გუდული ილიმება, თავს უქნევს.

და სამსონს ის ახალგაზრდული ხმებიც ესმის, ზარივით წყრიალა სიცილიც, მერე ერთმანეთში ითქვიფება ყველაფერი...

— ბოდიში, — ამბობს გუდული, — მე ამხანაგი ვარ, ამბის გასაგებად მოვედლი!

— არ მაქვს იმედი, შვილო, თუ მოსაბრუნებელი პირი ჰქონდა, აქამდე უნდა მობრუნებულყო! — მოხუცი მძიმედ ჩადის კიბუზე, მარცხენა ხელი გულმოდგინედ ჩაუჭიდნია სახელურისათვის, არ უშვებს. ზედვე მიასრიალებს.

— ექიმს იმედი აქვს, გუშინაც ნახა, — თქვა ღუდანამ, — ეს ავადმყოფობა, იყო შემთხვევები, წლობით გაგრძელებულაო.

— რალა ასეთი ავადმყოფობა და რალა სიკვდილი! — დამწუხრებულაა მოხუცი. — ჯერ შვილის სიკვდილმა დასცა, წამოიწია, ის იყო სიცოცხლეს უნდა დაბრუნებოდა და, ახლა ცოლის გარდაცვალებამ დასცა. აწი წამოდგომა სასწაული იქნება...

ქუჩაში გამოვიდნენ.

— კარგად იყავით, შვილებო, — მოხუცმა ხელი ჩამოართვა ღუდანას და ჯაბას, — თუ ღმერთმა ქნა სასწაული და მოიხედა, შემატყობინეთ, თქვენს გაზრდას, მაშინვე შემატყობინეთ, ნუ

დაიზარებთ. მე რკინიგზის სადგურზე მომნახავთ, გუდული მარლანია იკითხეთ, — მოხუცს პასუხი არც ჰქონდაოდა თითქოს, შებრუნდა, ზურგზე ცალი ხელი შემოიღო, ცალი გააქან-გამოაქანა და მისი ასაკისთვის უჩვეულოდ სწრაფ ნაბიჯებს აუწყო. მოულოდნელად შეჩერდა. — თქვენ მეზობლები ხართ, ხომ?

— დიახ. არა, ჩვენ... — დაიბნა დუღანა.

— არ დაიზაროთ, მაღლი იქნება, — გაიშეორა მოხუცმა და გზა განაგრძო.

დუღანამ დაიმორცხვა, როცა მართლდარჩა ჯაბასთან, შემკრთალმა მიიხედ-მოიხედა, ნაცნობი ხომ არაფერ მიყურებსო. აღელდა, არ იცოდა რა მოხდებოდა ახლა, საით შესთავაზებდა ჯაბა წასვლას, რას გააკეთებდნენ, ან რის შესახებ ილაპარაკებდნენ. ეშინოდა, რამე არ ეთქვა ჯაბას, რაღაც არ ეთქვა ერთ-ბაშად...

— ჯაბა, შენ გაიგონე საწოლის ჰრიალი? — სახე შეიშფოთა დუღანამ.

— ავადმყოფის?

— როცა ეს მოხუცი შემოვიდა ოთახში, — დუღანამ ხელი გაიშეორა, გუდული მარლანია უკვე შორს მიჩანჩალებდა, — და როცა საშსონი იკითხა, მომჩვენა, რომ საწოლი აჭრიალდა, შენ? შენ მოგჩვენა?

— არა, — თქვა ჯაბამ, — მე ნამდვილად მომესმა.

— ნუ ამბობ რა! — წამოიძახა დუღანამ.

— რა მოხდა, ცოცხალია ადამიანი, გაიძრევა, აბა, რა იქნება!

— არასოდეს არ განძრეულა... მეშინია, ამაღამ აღარ დავწევები აქ — უეცრად რომ ადგეს და მკითხოს, ეინა ხარო? უჰ, ახლა მართლა შემეშინდა.

— რა თქმა უნდა, გკითხავს, და გაგადებს კიდევ გარეთ, შენც გაგადგებს და რომელისაც მიყაოლებს.

— რომლის? შენ საიდან იცნობ რომლის? შენ რა იცი, რომ... რომელი...

— გუშინ ბიძაშენთან ვიყავი, ბენედიქტესთან.

— რა გინდოდა?!

— რედაქციის საქმეზე ცხუცი-სამსახურში. მერე შენ მიმიპატიე: მეგონა, შენ გნახავდი აქ... რომლის უთხრა: — ამაღამ უნდა ვაათიო ღამე დუღანასთან.

— ბენედიქტე ჩემი ბიძა არ არის, ჯაბა, მამა და ძია ბენო სხვადასხვა დედამისის შვილები არიან.

— მით უმეტეს!

— რა, მით უმეტეს?

— არაფერი...

— ისე მეცოდება რომელი, — განაგრძო დუღანამ, — ჯერ სულ ბავშვია და უკვე ამუშავებს ძია ბენო.

— ჰო, სულ ბავშვია, მაგრამ ძალიან კარგად ხატავს, განსაკუთრებით... ძალიან კარგად ხატავს, საერთოდ.

— ფული თავზესაყრელი აქვს ძია ბენოს, და მაინც ამუშავებს, ისეთი ნიჭიერი და არ სწავლობს. არაფერი არ გამოვა მისგან.

— შენ რა იცი, რომ თავზესაყრელი აქვს ფული?

— ვიცი, ისეთი კაბა მიყიდეს, რომ...

— მე კი ორჯერ გავიგონე საწოლის ჰრიალი, — უეცრად შეცვალა საუბრის თემა ჯაბამ.

— მაშინებ! — შეკრთა დუღანა, — მაშინებ, ხომ?

— ჩემ მოტანილ ჟურნალში ბალმასკარადის ფოტოებს რომ ათვალიერებდი, და უეცრად შენი თავი რომ იცანი, ტაში რომ შემოჰკარი სიხარულისაგან...

— მერე? — თვალეზი გადიდებოდა დუღანას.

— მაშინ აჭრიალდა საწოლი პირველად.

— იქ აღარ დავიძინებ ამაღამ, საერთო საცხოვრებელში დავბრუნდები, ანდა... ვინ იცის, გოგოები რომ ვეკრიბებოდით და ისე ხმამალა ვიცინოდით, მაშინაც ინძრეოდა და აჭრიალებდა საწოლს, ანდა, პატრონს რომ ვუქრავდით და ვცეკვავდით...

— რომელიც შენსავეთ მშინარაა?

— ალბათ. მთელი ღამეები არ სძა-

ნავს. გავიღვიძებ დილით და ფეხზე მხედება. აუცილებლად დაებრუნდება საერთო საცხოვრებელში!

— ნუ დაბრუნდები.

— რატომ?

— ასე მგონია, იმ მოხუცის წამალი ხმაური.

— ეგეთი წამალი ჯერ არ გამოგონია, — გაიცინა დუდანამ.

— ეს ყველაზე ძველი წამალია და ყველაზე უბნარი. ახლა მეც კი მჭირდება ეგ წამალი.

— ხმაური?

„შენი ხმა!“

— ხმაური, სირბილი, დაღლა, თორემ მომვლა რედაქციაში ჯდომამ.

— შენ იცი სირბილი? გამასწრებ მე?

— ეშმაკურად აუციმციმდა თვალები დუდანას.

— ოცი მეტრით გავიშვებ წინ და ცალი ფეხით დაგეწევი.

— ეგრე გგონია? ვნახოთ. მე თხუთმეტ წამში გავრბივარ ას მეტრს.

— ეს ალბათ, როცა თხუთმეტი წლისა იყავი. ახლა ოცდაორი წამი დაგჭირდება.

— არაფერიც, მე ოცდაერთი წლისა ვარ!

— მე — ოცდაოთხის, ჯაბა ალავიძე, ეურნალისტი, სასიამოვნოა თქვენი გაცნობა.

— თქვენიც, ავრეთვე!

— როგორ ბრძანდება თქვენი უსტუდენტესობა?

— როგორც თქვენი უმაღლესობა... ესე იგი, როგორც თქვენი უეჭურნალისტესობა!

— უჰ, რა ქართულად ეღერს! მე გირჩევდით, რედაქციაში მოწყობილყავით სტილისტად.

— რედაქციაში მუშაობს ერთი ჩემი ნაცნობი ვაჟი, რომელიც მოკლა სულ სკამზე ჯდომამ.

— იმ ვაჟს ყოველდღე უნდა ნახვა ერთი გოგოსი, თუმცა იცის, რომ არა აქვს ამის უფლება, და აინტერესებს, ექნება თუ არა ოდესმე?

— ჯაბა, ჯაბა! — წამოიძახა დუდა-

ნამ, — აბა, დამანახე სად წერია აშენების თარიღი? აიენიდან ეუწყურებ ხალხმე და... — დუდანა ოპერის შენობისაკენ მიბრუნებულიყო.

ჯაბამ მზით შეყვითლებულ ფასადს გახედა, ვერ გაბედა დუდანას მხარზე დაედო ხელი.

— სამ დიდ წრეს ხედავ? — ხელი გაიშვირა, — განაპირა წრეების კუთხეებთან, ზემოთ, პატარა წრეებია...

— ვერ ვხედავ.

— ორნამენტებში იკარგება, კარგად დააკვირდი.

— ვერ ვხედავ, ჯაბა.

— დიდ წრეებს ხომ ხედავ?

— კი.

— განაპირა წრეებს?

— ვხედავ.

— მათ ზემოთ, დიფონალურად, პატარა წრეებია, მარცხენაში ამოჭრილია — „18“, მარჯვენაში — „87“, 1887 წელი.

— ალბათ თვალს მაყლია, ვერ ვხედავ, — და თითქოს თავისი ნათქვამის გასაბათილებლად ჯაბას შემოანათა ამფორი-აქებული თვალები.

— მაშინ გადავიღებ და მერე ფოტოსურათზე დაგანახებ მაგ წარწერას, — ჯაბამ პიჯაკის ჯიბიდან აპარატი ამოაცურა.

— ჰო, მართლა, გუშინწინ ვიღაც კაცი ამოვიდა ჩვენი სახლის სახურავზე, ოპერას იღებდა, მოსკოვიდან ვარო, ეურნალიდანო.

„ვიტალი!“

— მერე მოხოვა, თქვენს აივანზე ოუ შეიძლება გასვლაო, გავიდა და იქიდანაც გადაიღო.

„მერე შენც გადაიღო.“

— მერე მეც გადამიღო, მისამართი ჩაიწერა, აუცილებლად გამოგიგზავნითო, ისეთი კარგი ბიჭი იყო...

— იმასაც მოეწონე?

— რა ვიცი — დაიმორცხვა დუდანამ.

— ჩემი მეგობარია ის ბიჭი!

— რა იცი შენ?

— ჩემი მეგობარია, რა ცოდნა უნდა!

— რა იცი-მეთქი, რომ...

— წინა საღამოს აპირებდა გადაღებას სწორედ თქვენი სახლიდან, მეორე დღისთვის გადასდო. ჩვენი რედაქციის სტუმარია.

— მართლა, ჯაბა? მაშინ სთხოვე რა, ნამდვილად გამოგიგზავნოს ჩემი სურათი.

— აუცილებლად, — ჯაბამ აპარატი ხელში შეათამაშა, — მე აღარ გადაგიღებ, დღეს შენს გადაღებას ვაპირებდი, მაგრამ ვიტალის ვერ ვაჭოებ.

— არა, არა, რას ამბობ, ვადაშილე, ძალიან გთხოვ, შენ ნამდვილად მომცემ სურათს, გადაგიღებ ხომ, ჯაბა?

— სად წავიდეთ? — ჯაბას ესიამოვნა დუდანას დაეინებულ თხოვნა.

— იცი, სად? ან ბოტანიკურ ბაღში, ან... — დუდანას ფეცვა მწვანე, უსაყულო ჯაბა, მკიდროდ შემოტმასნული. შალალ, ცოცხალ ღეროს ჰგავდა დუდანა, და ამ ღეროზე, თითქოს ეს ესაა, ყვავილებივით გაფურჩქენილიყო ორი ლურჯი თვალი, — ...ანდა, მთაწმინდაზე, კარგი, ჯაბა? — ლურჯი ყვავილები წუთით გაქრა და მერე უფრო ფართოდ გაიფურჩქნა, — იქნებ არ გინდა? დრო არა გაქვს იქნებ?

— წავიდეთ! — თქვა ჯაბამ.

ისინი შეტრიალდნენ და ხალხით საესე პროსპექტს დაჰყვნენ. კვირა დღე იყო, ალბათ შემოდგომის ერთერთი უკანასკნელი თბილ დღეთაგანი. ფილანჯანი მოფარული იყო ქადრის დამქნარი ფოთლებით და ქალაქელები სიამოვნებით მიტოპავდნენ ამ მშრალ მდინარეში, საყუთარი ფეხისხმა აჯადოებდათ, ოდესღაც სოფლების ბილიკებზე მიტოვებული და მიიწყებულნი. ერთი წუთით რომ გაჩერებულიყო და გატვრენილიყო მთელი ტრანსპორტი, რომ გამოეთიშათ ბოძებზე მიამაგრებული ვერცხლისფერი რადიორეპროდუქტორები, ტყის ნაზი შრიალი ჩაურბენდა და ამოურბენდა პროსპექტს.

ჯაბამ რამდენჯერმე მოსინჯა ჯიბეში ერთადერთი თუნჩიანი. ეშინოდა ტაქსების გაჩერებასთან გავლა, თავისუფალი ტაქსი რომ დახვედროდათ და დუდანა

ჩასაჯდომად გაწეულიყო, ეს ფული არ ეყოფოდა მთაწმინდის პლატომდე ასასვლელად. ფუნიკულორის ქვედა სადგურამდე შეიძლებოდა ტაქსით ასვლა, მაგრამ მერე დუდანას რომ წყალი მოეთხოვა, ან ნაყინი?

— მოდი, რა გაჩვენო! — თქვა ჯაბამ, დუდანას მკლავში ხელი გამოსდო და რკინისგისოსებით მოორნამენტებულ სადარბაზო შესასვლელისაკენ წაიყოლია.

— სად მიგყავარ?

— მოდი, ნახე!

ისინი ღია კარში შეჩერდნენ. მარმარილოს იატაკი რეაქტივანი ვარსკვლავების მოზაიკით იყო მოხატული. ზღურბლთან ქვაში ჩაჭედილი ყვითელი ლითონის გაცრეცილ-გაპრიალებული ასოებით ეწერა „Andreolletti“ — იტალიელი მარმარილოს მწარმოებლის გვარი.

— აბა, მოხურე კარი!

— რატომ? — გაუკვირდა დუდანას.

— მოხურე და ნახავ!

დუდანამ ხელი ჩასქიდა სახელურს და თავისკენ მოსწია, ზანტად დაიძრა მძიმე კარი და უეცრად ამღერდა, სასიამოვნო ეღერა გამოსცა. დუდანამ სწრაფად უშვა ხელი და გაოცებულ-გაღიშებული თვალები მიაპყრო ჯაბას.

— რა არის?

— აბა, თუ იტყვი, რა და რა ნოტაა?

— საიდუმლოს უცბად გახსნა არ უნდოდა ჯაბას.

დუდანამ მხრები აიჩჩა, თავი გაიქნია, არ ვიციო.

— მი და ლა, კვარტა, — თქვა ჯაბამ, — ამ ინტერვალით იწყება „ინტერნაციონალი“, — ჯაბამ წაიშლრა „ინტერნაციონალის“ დასაწყისი, — მარშა „აიდადან“, — ესეც წაილილია, — ჩვენი ქვეყნის ჰიმნი. საერთოდ, კვარტა მხნე, გამორულ განწყობილებას ჰქმნის. ამიტომ იყენებენ კომპოზიტორები მარშებისა და ჰიმნების წერისას. გადაცემა დამთავრებულია. შემდეგი გადაცემა მოისმინეთ პარასკევს, დღის 11 საათსა და 30 წუთზე!

— შეკითხვების გამოგზავნა შეიძლება?

— კი, ბატონო, გამოგზავნეთ!

— გიგზავნით: როგორ მღერის კარი?

— აქ საქმე გვაქვს სრულიად შემთხვევით მოვლენასთან. ასე ვთქვათ, ინდუსტრიულ სტიქიურობასთან, კრიალებს კარის ზედა და ქვედა საკიდი.

— მეორე შეკითხვა: საიდან იცით, რომ ეს მი და ლა არის?

— დავიმასხოვრეთ, სახლამდე ვირბინეთ და პიანინოზე შევამოწმოთ!

— თქვენ შინ პიანინო გავტოვ?

— დიახ, ძველი, დანჯღრეული, მაგრამ უკვდავი.

დუღანას გაცეინა.

— ვინ აღმოაჩინა ეს მომღერალი კარა?

— მე. ეს ჩემი პირველი აღმოჩენა გახლავთ, ჯერ კიდევ მოწაფეობის დროინდელი.

— განა მეორე აღმოჩენაც გავტოვ?

„მეორე შენ ხარ!“

— დიახ, მეორეც მაქვს — მე ვფიქრობ, როცა ადამიანი ბედნიერია, როცა მხნედ გრძნობს თავს და რაიმე გმირული გადაწყვეტილების წინაშე დგას, მისი ძარღვებიც კვარტას ინტერვალივით არის მომართული, მისი სხეულიც მღერის!

— ეს უკვე მეორე გადაცემა გამოვიცდათ! მალე დადგა პარასკევი...

— რას იზამთ, როცა მსმენელები ასე დაინტერესებულნი არიან...

— ჯაბა, მართლა მითხარი, როგორ მღერის ეს კარი?

— რა ვიცი, ალბათ შემთხვევით ისეთი სიმძიმე აქვს კარს, რომ სიმებივით ჰკივავს საკიდებს, და უსიამოვნო კრიალის მაგივრად, მუსიკალურ ბგერას გამოსცემს.

— შენ ძველი თბილისელი ხარ...

— მაქვს პატივი.

— ისიც კი იცი, რომელი სახლის კარი როგორ კრიალებს, შენ ახლოს ცხოვრობ აქედან?

— რატომ შეკითხები?

— სახლამდე ვირბინე და პიანინოზე შევამოწმო...

— კი. აი, აქ ჩაუხვევ, წახვალ კარდაპირ, კიდევ ერთხელ ჩაუხვევ და ჩემს სახლს დაეჭახები.

— ჯაბა, მითხარი კიდევ რამე!.. რაც მე არ ვიცი...

ჯაბამ სწრაფად მოაბრუნა თავი დუღანასკენ. საოცარი იყო, მაგრამ ათერთოლა მისმა ხმამ, ამ უბრალო სიტყვებში, ამ სულ უბრალო სიტყვებში, —

„...მითხარი რამე.. რაც მე არ ვიცი...“

გული აუჩქროლა თითქოს ქვეყნის სხვადასხვა კიდეზე ცხოვრობდნენ, და უეცრად, როგორც ზღაპრებში ხდება, ერთმანეთის გვერდზე აღმოჩნდნენ. თითქოს ეს იყო ჯადოქრის დაროგება; —

ვინც ამ სიტყვებს წარმოთქვამდა, ყველას თავს შეაყვარებდა. დუღანა იხსენებდა, იხსენებდა ამ სიტყვებს, ვადიოდა წლები, საუკუნეები... და ასლა შემთხვევით გაახსენდა. და ჯაბა უეცრად გაჩნდა მასთან, და ცხადად იბილა აქამდე ოცნებაში მოღაანდებული საყვარელი ქალი.

— ჯაბა, მითხარი, აღარაფერი იცი?

— ისეთი რამ ვიცი, მთელი სიცოცხლე რომ გელაპარაკო, მაინც დამჩნება სათქმელი.

— მაშინ დაიწყე ახლავე!

მუხლები წაერთვა, დუღანა კი არა, ვილაც სხვა ქალი ლაპარაკობდა, დუღანას თვალეებში მცხოვრები მკლავში გამოსდო დუღანას ხელი, და თითქოს მისი სისხლი გადაიღვარა დუღანას ძარღვებში, მოიარა ქალის სხეული და ისევ უკან დაუბრუნდა ჯაბას. და სისხლმა მოიტანა დუღანას საიდუმლო, საამოდ შემაშფოთებელი ამბავი...

დუღანამ უბიძგა რკინის ორნამენტებით შეჭაფუნულ მძიმე კარს, ჯადოქრის სასახლის კარს, და ამღერდა კარი, აქღერდა ორი ნოტა — ორი ადამიანი, ჯადოქრის მიერ უხსოვარ დროს დატყვევებული და ბგერებდა ქცეული.

კარი გაჩერდა. გაქრა სიმღერის ხმა და იმავე წუთს სასახლეს განშორდა ულამაზესი გოგონა და მოხდენილი ქა-

ბუცი — ათასი წლის შემდეგ ჯადოქარმა ისევ აღამიანებად აქცია ბგერები, რადგან იყო ერთი ულამაზესი დღეთაგანი ჭეყნის განენის წუთიდან.

— იცი რა, — თქვა ჯაბამ, — მე გამბობ ერთ ზღაპარს.

— ზღაპარს?

— ჩემს გამოგონილს. მისმინე... იყო ერთი პატარა გოგონა...

— ჰო, — თავი დაუქნია დუდანამ, თითქოს ნებას რთავდა, რომ ზღაპარში ერთი პატარა გოგონა ყოფილიყო.

— ისეთი პატარა, რომ ფანჯრის რაფას ვერ წვდებოდა, და ამიტომ მხოლოდ ცას ხედავდა. დილით მზეს უღიმოდა, აღმა-დაღმა მიმავალ ღრუბლებს შორიდან ხელს უქნევდა, მერე თვალეში დაუნაღვლიანდებოდა, ნანობდა, რომ მათთან თამაში არ შეეძლო. ღამითაც იგივე მეორდებოდა, ისევ ცას გასცქეროდა, რადგან ძალიან პატარა იყო და ფანჯრის რაფას ვერ წვდებოდა. შეპყრებდა მბრწყინავ ვარსკვლავებს, ხან ნამგალა, ხან სავსე მთვარეს, და ეგონა, რომ ქვეყნად მხოლოდ ცა იყო, უსაზღვრო და უნაპირო ცა. ერთადერთი, ვინც მის ოთახში შემოდებოდა, წვიმა იყო, ვერაგინ აღწერს, როგორ უხაროდა გოგონას წვიმის მოსვლა; ფანჯრიდან შემოქრილ მსხვილ წვეთებს ლოყებს უშვერდა, კისკისებდა, ეთამაშებოდა და ეცეკვებოდა მხეფების ნაქადს. მერე, როცა წვიმა წავიდოდა, გრძელ ნაწნავებსა და კაბას იწურავდა. და ეგონა, რომ წვიმა მისი სახლის ქვემოთაც თავის გზას ცაში აგრძელებდა.

გადიოდა დრო. გოგონა ნელ-ნელა იზრდებოდა, უკვე ნიკაპსაც უწვდენდა ფანჯრის რაფას.

ერთ მშვენიერ დილას კი გოგონამ გაიღვიძა, ფანჯარასთან მიიბრძინა და ალტაცების ძახილი აღმოხდა; — მან დაინახა, რომ ქვემოდან ცას მთები შედგებოდა, ფერდობებზე ნაირნაირი ყვავილები ხარობდა, დაინახა მოშრიან ზეები, ბუჩქები, პეპლები, ტოტიდან ტოტზე მოხტუნავე ჩიტები...

— და პატარა გოგონები, — თქვა დუდანამ.

— არა, — ხელი გაიქნია ჯაბამ, — ჩემს ზღაპარში მხოლოდ ერთი გოგონა ცხოვრობს.

— მეტი არავინ? ბიჭი?

— მეტი არავინ, გოგონა და შადრევანი!

— შადრევანი?

— ჰო, მისმინე...

ფანჯრის რაფაზე შესკუპდა გახარებული გოგონა, ქვემოთ გადაიხედა და უეცრად თვალეში გაუფართოვდა განცვიფრებისაგან, ლამაზ პარკში მან დაინახა წვიმა, რომელიც ქვემოდან ზემოთ მიჩქეფდა. ასეთი რამ არასოდეს არ ენახა გოგონას. ის წვიმა სულ სხვანაირი იყო; უფრო ძლიერი, უფრო ლამაზი, მზის სხივებზე ათასფერად ბრწყინავდა და, გოგონას ძალზე, ძალზე მოუნდა მასთან თამაში.

შადრევანმაც დაინახა გოგონა, მოეწონა, მოიხიბლა მისი სიმშვენიერით, თან იგრძნო, რომ გოგონას მასთან თამაში უნდოდა.

ამოიწვერა, ამოიზარდა შადრევანი, ფანჯრის რაფას უწია მისმა მჩქეფარე ქავლმა და გოგონას მიმართა:

— მოდი, ჩაგიყვან!

გოგონას ჯერ შეეშინდა, მერეუობდა. მერე ცალი ფეხით შედგა შადრევანის ქავლზე, მერე მეორეთი.

შადრევანი თანდათან დადაბლდა, ჩავიდა, ჩავიდა და პარკში ჩაიყვანა გოგონა.

და დაიწყო თავბრუდამხვევი, თავდამავიწყებელი ცეკვა. შადრევანი მალდა ისროდა გოგონას, მერე პაერშივე იჭერდა, გოგონა ხან წნელივით შემოერთყმოდა გარშემო, ხან ჩაეხუტებოდა, ხან ცალი ფეხის წვერით შედგებოდა ზედ. გატაცებით ცეკვავდნენ შადრევანი და გოგონა. ამ უზომო სიამოვნებისაგან ლამის იყო გონება დაქარაგვოდა გოგონას, მას აღარ ახსოვდა ცა, ბრწყინავე მზე, ქათქათა ღრუბლები...

უეცრად ზემოდან, მთის ფერდობიდან, მისუსტებული ძახილი მოისმა:

— გო-გო-ნაა! მო-დი, გო-გო-ნაა!

— ვინ ეძახდა? — ველარ მოითმინა დუღანამ.

— გოგონამაც ეგ ჰკითხა შადრევანს. შადრევანმა უპასუხა:

— ერთი მინგრეული საგუბარია, ნუ მიაქცევ ყურადღებასო! — და კვლავ ჰაერში შეათამაშა გოგონა.

მაგრამ ძახილი განმეორდა. ახლა ის უფრო მუდარას გამოხატავდა:

— გო-გო-ნაა, მო-დი ჩემთან, გო-გო-ნაა!

— წავალ! — თქვა გოგონამ და ფერდობისაკენ გაიხედა.

— რა გინდა, ხომ გეუბნები, ერთი მინგრეული ბინძური საგუბარია-მეთქი. — გაუმერა შადრევანმა.

— უნდა წავიდე. მე არასოდეს არ მინახავს საგუბარი.

გოგონამ მთის ფერდობი აირბინა და საგუბართან შედგა. მრგვალი საგუბარი იყო, მიწიდან კოშკით ამოწვდილი. შიგ ოდნავ ირხეოდა მღვრიე წყალი, წყლის ზედაირზე გამხმარი ფოთლები და ხის ტოტები დაცურავდნენ, საგუბარის ძირიდან რკინის მილი გამოდიოდა და მიწაში იკარგებოდა.

— ვინა შენ იყავი, რომ მეძახდი? — თითქოს გოგონას არ უნდოდა, რომ ეს ასე ყოფილიყო.

— ჰო, — ამოიოხრა საგუბარმა, — მე ვიყავი.

— მერედა, ასე ულამაზო ხარ?

— ჰო, ასე ულამაზო ვარ!

— სულ ასე ჰუქუქიანი?

— ჰო, — ამოიკენესა საგუბარმა, — სულ ასე ჰუქუქიანი.

— სულ ასე უმოძრაო?

— ჰო, სულ ასე უმოძრაო.

საგუბარს თანდათან ხმა ეკარგებოდა, თითქოს რტყვენოდა თავისი სიმახინჯის.

— მაშინ შენ ცეკვა არც გეცოდინება.

— არ ვიცი, გოგონა, მაგრამ დარჩი ჩემთან და...

— ვერ დავრჩები! — გოგონამ ქვემოთ, შადრევანისაკენ გაიხედა. ის ისევ

მიჩქედა ცისკენ და ათასფერად ბრწყინავდა მზეზე.

— დარჩი, გემუდარები, ჩემთან არასოდეს მოსულა შენისთანა კარგი გოგონა! — თქვა საგუბარმა.

— ვერ დავრჩები, მე ცეკვა მინდა!

— სულ მარტო ვარ, ყველასაგან მიტოვებული, — განაგრძობდა საგუბარი. — დარჩი ჩემთან.

— არა, უნდა წავიდე, მე შადრევანთან ყოფნა მინდა! — გოგონა შემოტრიალდა და ფერდობზე დაეშვა.

საგუბარმა ამოიგმინა. ჰქვითინიც კი წასკდა. უეცრად დადუმდა. მერე რაღაც ბოროტული ხმა აღმოხდა.

ქვემოთ, პარკში, კვლავ თავდავიწყებით ცეკვავდნენ გოგონა და შადრევანი.

— ვნახოთ, ვნახოთ, — მუქარით ჩაიბუებუყა საგუბარმა და უეცრად რკინის მილზე დატანებული დიდი, ენგია-ნი ონკანი შემოტრიალდა.

და ქვემოთ, პარკში, შადრევანს მუხლი მოეკეცა, ოდნავ დადაბლდა, მაგრამ იგი კვლავ გატაცებით აცეკვებდა გოგონას.

— ჰრრ! — გაისმა ისევ ონკანის ხმა და შადრევანი განახევრდა, — ჰრრ — მერე თითქმის მიწას განერთხო შადრევანი და ბოლოს სულ გაქრა.

— ხე, ხე, ხე, — ახარხარდა საგუბარი.

— რა ბოროტი ყოფილა! — თქვა დუღანამ.

— მოიცა, მისმინე...

გოგონა განცვიფრებული იდგა აუზის წინ, თვალებით დაეძებდა თავის შადრევანს. მერე გარშემოუარა აუზს, შიგ ჩაიხედა, ცას ახედა, აღარსად იყო ლამაზი, მომხიბვლელი შადრევანი.

და გოგონას ტირილი წასკდა. ტიროდა გულამოსკენილი. ცხარე ცრემლებს აფრქვევდა.

— ხე, ხე, ხე — ხარხარებდა საგუბარი. მაგრამ უეცრად მის ყურთასმენას გოგონას ტირილის ხმა მისწვდა. ენა ჩაუვარდა, გაინაბა, დიდხანს იყო ჩუმად. გულს უკოდავდა გოგონას საცოდლობა.

— ეჰ, — ამოიხრა ბოლოს, — ამას მე ვერ გავეძღვებ... არ შემძლია... ეჰ...  
— და მერე ისევ გახსნა ონკანი? —  
ველარ ითმენდა დუღანა.

— ჰო...  
— თუ ახლა მოვიგონე?  
— არა, არ მომიგონებია, თავიდანვე ასე იყო... დიდი, ჩაქანგული ონკანი შეირხა, ჯერ ოდნავ შეტრიალდა, თითქოს მერეუბნა საგუბარი, მერე ხმა-მალა აჭრიალდა.

— ჭრ! — და შადრევანმა კვლავ თავი ამოჰყო.  
— ჭრ! — და შადრევანი კვლავ მუხლში გაიმართა.

და ისევ ლაღად ასრიალდა ცისკენ შადრევანი, ისევ აიტაცა აკისკისებულო, გახარებული გოგონა საცეკვაოდ.

— ეჰ, — ყრუდ ამოიხრა საგუბარ-მა და დადუმდა.

თანდათან ქვემოთ იწვედა საგუბრის ზედაპირი, ქვის კედელზე სველი ზო-ლი თანდათან მატულობდა.

გოგონა და შადრევანი თავდავიწყე-ბით ცეკვავდნენ.

— სულელი ყოფილა! — წამოიძახა დუღანამ.

— ვინ?

— საგუბარი!

— ჯერ თქვი, ბოროტი ყოფილაო, — შენიშნა ჯაბამ.

— როცა წყალი შეუწყვეტა, ბოროტი იყო.

— და როცა ისევ გააცოცხლა შადრე-ვანი — სულელი?

— ჰო, იმიტომ რომ... — დუღანა შეყოვნდა, მერე გადაწყვეტით თქვა, — საერთოდ, არ უნდა მომხდარიყო ეგ ამ-ბავი და აღარ ჩაიდუნდა ბოროტებას... არც — სისულელეს.

— არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ ხდება!

— ზღაპრებში.

— ცხოვრებაშიც ხდება ხოლმე.

— ჩავსხდეთ ავტობუსში? — შეჩერ-და დუღანა. ისინი რუსთაველის კინო-თეატრის წინ იდგნენ.

— თუ დაღლილი არა ხარ, ფეხით წაივით.

„ავტობუსში უნდა დაგმუნჯდნენ“

— წაივით. მართლა შენ გამოიგონე ეგ ზღაპარი? ჰოო? შენ ვინ ხარ, ჯაბა... შენ ვინ გინდა იყო, საგუბარი, თუ შადრევანი?

— არ ვიცი, ჯერ არ ვიცი, რომელად ვარ დაბადებული.

— მაინც?

— არ ვიცი... — ხელები გაშალა ჯა-ბამ.

— მე კი შადრევანს შევიყვარებდი... თვითონ შეამჩნია გოგონა, ამოვიდა ფანჯარასთან, თვითონ სთხოვა, ჩამო-ქვევო...

— მაგრამ წყალი რომ დაუწრიტოს საგუბარში?

— არ დაუწრიტავს, მე ისე მოვიქცე-ვი, რომ არ დაუწრიტავს, — ისე თქვა დუღანამ, თითქოს რწმენა ჩაუნერგა თავის თავს, და უეცრად ჯაბას ჰკითხა, — ძალიან ნაწყენია გურამი ჩემზე?

„რალაც მოხდა!“

პირველად ამ აზრმა გაუელვა ჯაბას გონებაში. ახლა უნდა ეცრუა დუღანას წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ არა-ფერხი არ იცოდა.

— არა, არც ისე.

— ესე იგი, მაინც ნაწყენია, ხომ?

— ჰო, ასე ვთქვათ...

„რატომ გაახსენდა ასე მოულოდნე-ლად გურამი? რალაც მოხდა, რაც მე უნდა ვიცოდე და არ ვიცი“.

— ხომ სწორად მოვიქციე მე, ჯაბა?

„სწორედ მოქცეულა!“

— რა თქმა უნდა...

„უარი უთხრა კინოში თამაშზე, თუ?“

— რაო, როგორ გიამბო?

— მიაბმო ისე... ალბათ ისე, როგორც მოხდა.

— მაინც?

— მიაბზე შენ და გეტყვი, თუ გუ-რამმა რაიმე იცრუა.

„საიდან მოფრინდა ეს სიტყვა? მა-ინცდამაინც, რატომ უნდა ეცრუა გუ-რამს?!“

— არა, შენ დაიწყე და მე გეტყვი...

რაო, არ ვიცოდი, რომელი საათი იყო?

— არა, ეგ არ უთქვამს.

— მაშ, მთვრალი ვიყავიო?

— არა.

— აბა?

— არც ეგ უთქვამს.

„... თუ უარი უთხრა უფრო მნიშვნელოვან ამბავზე? ნუთუ გურამი... ისე...“

— მაშინ მე გაიპობ: ინსტიტუტში მოვიდა ჩემთან, მანქანით იყო...

— ნუ ყვები, დუდნა!

დუდნამ გაკვირვებით ამოხედა.

— ნუ ყვები; გურამს არაფერი არ უამბნია ჩემთვის, მე არაფერი არ ვიცო.

— არაფერი უამბნია?!

— ალბათ მიაშობდა, რომ შემხვედროდა...

— მაშინ რატომ არ გინდა, მე მომიხსენიო?

— კარგი. გისმენ.

დუდნამ თავი ჩაღუნა. დაღუძმდა. მთელ პროსპექტზე თითქოს მხოლოდ მისი ფეხსაცმელების კაკუნი ისმოდა.

— სად მივდივართ ჩვენ? — თითქოს თავისთავს ჰკითხა დუდნამ.

— კომკავშირის ხეივანზე ავიდეთ, ან ბოტანიკურ ბაღში. იქ კარგი სურათები გამოვა.

— ჯაბა, ის ზღაპარი მართლა შენ გამოიგონე?

— ჰო, მგონი მე გამოვიგონე.

— როგორ?

— ვიჭექი ბაღში შადრევანის წინ და...

— წერდი?

— არა, ვფიქრობდი.

— რაზე?

— ყველაფერზე, ჩემზე...

— მერე?

— მერე ვილაც გოგონა დადგა შადრევანის წინ და დიდხანს უყურებდა.

— და შეგშურდა?

— ჰო, ცოტა.

— შენ სულ არ გიყურებდა?

— არა.

— ჯაბა!

— ჰო!

— ის გოგო მოგეწონება, ვინც ურადლებას მოგაქცევს?

— რა ვიცი.

— ყურადლებას კი არა, ვისაც მუდამ შენთან ყოფნა ენდომება?

— თუ კარგი გოგო იქნა — კი. — ჯაბა გრილმა და სწრაფმა მდინარემ გაიტაცა, ატივტივებულს მიაქანებდა, სული ეგუბებოდა...

— ჯაბა... არ გაგეცინოს, ხომ არ გეცინება? ჩემთვის არასოდეს არავის არ უთქვამს, თუ როგორი ვარ მე არ ვიცი როგორი ვარ. ესე იგი, არ ვიცი, როგორი ვიყავი, როგორ გამოვიყურებდი თქვენთვის, ბიჭებისათვის... ჯაბა, მითხარი როგორი ვარ, არ დამიშალო.

— შენ ძალიან კარგი გოგო ხარ, ალბათ უფრო კარგი, ვიდრე მგონია.

დუდნამ გაიღიმა. დიდხანს მიაბიჯებდა ასე გაღიმებული.

— ახლა შენ მკითხე.

— რა გკითხო?

— მკითხე, როგორი ბიჭი ვარ-თქო.

— როგორი ბიჭი ვარ, დუდნა?

— შენ ძალიან კარგი ბიჭი ხარ, ჯაბა! სიცილი დაიწყეს.

— მაგრამ შევაქეთ ერთმანეთი, — თქვა ჯაბამ.

— გუშინწინ ვიჭექი ოთახში მარტო და ვფიქრობდი...

— მარტო რატომ, ის მოხუცი არ იწვა თავის ლოგინში?

— ჯაბა, ნუ გამახსენებ რა, იმ მოხუცს... ვიჭექი და ვფიქრობდი, რა უცნაურია-მეთქი, ასე სწრაფად, ასე უცბად რატომ დავეხლოვდი, რა არის მიზეზი-მეთქი.

— ვის დაუახლოვდი.

— მე მგონია, დიდი ხანია, ძალიან დიდხანია, ვიცნობთ ერთმანეთს. ნამდვილად კი ერთი თვეც არ გასულა. ჰოდა, მერე მივხვდი — იმ საღამოს რომ არ მოსულიყავი ჩვენთან, აი — ვითომ რაღაც რომ დაგეკარგა... იმ საღამოს რომ არ მოსულიყავი, მე მაშინ... მე მაშინ ყვავილს არასოდეს არ გაჩვენებდი, არასოდეს. რაღაც უნებურად ვიჩვენე. ის ყვავილი ისე მივიღე, როგორც ხმა-

მალა ნათქვამი ხოტბა. მე ხომ არ მეგონა, თუ ოდესმე კიდევ შეგხვდებოდი. ჰოდა, რადგან იმ ხოტბის შენახვა შეიძლებოდა, შევინახე.

— გურამს რატომ აწყენინე, უხოტბოდ ხომ არ მოვიდა? — ჯაბას უგერგილოდ გაეღიმა. ხუმრობამ ვერ შენიღბა ფარული ფიქრი, წამოწითლდა, მიხვდა, რომ თავი გასცა. იგრძნო, დუღანას პასუხისთანავე უფრო გამომზეურდებოდა მისი შეკითხვის ფარული აზრი, და უეცრად შემთხვევამ იხსნა:

— დუღანა, დუღანა, გაიხედე, გაიხედე ჩქარა!

პროსპექტზე ლურჯი ავტობუსი მიქროდა. ორივე კარი მიხურული იყო, წინა კარს ორი სქელი ნაწნავი დაეჭირა და შიგნით აღარ შეეშვა. მიქროდა ავტობუსი და მიაფრიალებდა წაბლისფერ ნაწნავებზე წაპერილ ორ თეთრ ბაფთას.

— ალბათ, კისკისებს ახლა ის გოგონა! — ამბობდა ჯაბა.

— ჰო, კისკისებს და, შეიძლება, სიმწრისაგან ცრემლიც კი მოსდის, — ვაჩუქდობდა დუღანა.

— ხალხი უყვირის ალბათ მძღოლს, კარი გააღეო.

— ზოგი უყვირის კარზე გააღეო, ზოგი აფრთხილებს, კარი არ გააღო, თორემ გადავარდებოა, და გოგონასთვის ხელი აქვთ ჩაჭიდებული.

— ჰო, დავობენ შიგნით, და ვერ ხედავენ, რა ლამაზია ბაფთებიანი ავტობუსი.

— მორთულ-მოყაზმულ ცხენს ჰგავს.

— შენ გჭონია ოდესმე ნაწნავები?

— არა... ვინ დამიწნავდა.

ავტობუსი თვალს მიეფარა.

— ჩქარა წავიდეთ, თორემ იღრუბლება, — ცას ახვდა ჯაბამ, — სურათებს ვეღარ გადავიღებთ.

და მას მოაგონდა თავისი ერთერთი პირველი ჟურნალისტური ინფორმაცია. „განთიადში“ დაბეჭდილი — კინოგადამღები ჯგუფი ბარათაშვილის აღმართზე, სინათლის ამრეკლავი ვერცხლისფერი დაფები, ჩამქრალი „ოუპიტერები“, დაგრიმული ყავისფერლოყება და წითელტუჩა მსახიობები. და რეჟისორი. მზეს ელოდებოდა, რომ გადაღება დაეწყა.

და ისევ გურამის სახე დაუდგა თვალწინ.

### და და რამისობი

— ჯაბა, გაიღვიძე, ბიჭო!

ბურანში მოესმა დედის ხმა. ვერ მიხვდა, საიდან ეძახდა, რომელი მხრიდან. უკუნ სიბნელეში მიტურავდა ჯაბა, ხელფეხგაუნძრევლად მიტივტივებდა, და ეშინოდა, ურთბაშად არ ჩამქვლეულიყო ამ წყვილიადის ფსკერზე.

— ვისია ეს ეაკეტი?!

გაიღო პატარა სარკმელი, თითქოს რაღაც ძალამ შემოგლიჯა და ჯაბას გონება თეთრად გადაიბნებდა.

„მეძინა“, — გაიფიქრა მან.

მაგრამ თვალებს ვერ ახეღდა, ეზარებოდა თვალების გახელა, მხოლოდ წარბები ეწეოდა მალა, თითქოს ცდილობდა ქუთუთოებიც აეტყუებინა.

პირველად „განთიადში“ დაბეჭდილი 3. „მნათობი“, № 6.

ფოტო გაახსენდა. ინსტიტუტის დერეფანში, ნიღბებიან გოგოებს შორის, დუღანა ზის, დერეფნის ფანჯრიდან ქვემოთ, დარბაზისაკენ იყურება. ეს ფოტო მოიმიზნება, კიდევ ერთხელ რომ ენახა დუღანა. მერე ის მოხუცი მოვიდა ავადმყოფის სანახავად, გუღული, თუ რა ერქვა? შემატყობინეთო... მერე დუღანას უნდოდა, ჯაბა შადრევანი ყოფილიყო... რამდენი სურათი გადაუღო კომკავშირის გორაზე! ნეტავ კარგი გამოვიდეს!

— ყველა დაბეჭდე, ჯაბა, სუყველა, მერე მე ამოვარჩევ!

შორიდან ისმოდა ჩანჩქერის ხმა.

— ჩავიდეთ! — თქვა ჯაბამ.

— რომ იწვიმოს? ველარ ამოვასწორებთ თავშესაფარში.

პატარა ბორცვებს შორის ვიწრო გადასახედი იხსნებოდა ხეობისაკენ. შემთხვევით ვინმე რომ არ გადავარდნილიყო, რკინის მოაჯირით შეეერთებინათ ბორცვები. ამ მოაჯირზე შეაყენა დუღანა, თვითონ ჩაიმუხლა და ფოტოაპარატს ფოკუსი მოუსინჯა, მერე ოდნავ დაიხია და სწორედ ამ დროს დაინახა... დუღანას კაბაში ილანდებოდა ორი მუქი სვეტი, და კაბის ქვემოთ, ღრუბლიდან გამოჭრილი მზის სხივებივით, თეთრად ებჯინებოდა მიწას. დუღანა კი იღვა მოაჯირზე, იღიმებოდა და ვერაფერს ხედებოდა. მაშინ ჯაბამ გაიფიქრა: „ყველაზე შეიძლება ვიფიქრო ეს, ყველაზე, მხოლოდ დუღანაზე — არა... დუღანა სხვა არის“... ჰო, მგონი, ასე იყო. ახლა ფირს დაბეჭდავს და თუ ობიექტივმაც დაინახა ის ორი მუქი სვეტი, სურათს ველარ აჩვენებს დუღანას.

— ის სად არის? ის რატომ არ დაბეჭდე? — უსაყვედურებს დუღანა.

— გამიფუჭდა...

— რაღა ის, ის ყველაზე კარგი იქნებოდა.

დუღანამ პატარა, მოგრძო ჩანთა გახსნა, მაშინვე დახურა. გატყაცუნდა საკეტი.

— სარკე დამეკარგა, სად დამეკარგა არ ვიცი.

— სარკე დაგეკარგა?

— დაკარგვა არაფერი, გატეხება ცუდი.

— სარკე დაგეკარგა? — გაიმეორა ჯაბამ, — როდის დაგეკარგა?

— ბიჭო, გაიღვიძე, დღესაც კვირა ხომ არ გგონია?

— მღვიძავს... ახლავე, — წაიბუტბუტა ჯაბამ, მაგრამ თვალები არ გაუხელია.

მერე ავტობუსში ჩასხდნენ და ქალაქისაკენ დაეშვნენ. დამდებოდა დუღანამ თქვა: „ახლა რომ ბაფთიანი ნა-

წნავი მქონდეს, გავყოფდი სარკმლიდან და ვაფრიალებდი“. ჯაბამ კი სულ იმ სარკვეზე ფიქრობდა. მერე გურამიც გაახსენდა. რამდენჯერ უნდოდა ეკითხა, მაგრამ თავი შეიკავა. რატომ უნდა ეკითხა? თვითონ ეთქვა დუღანას. ჯაბა არ ჩაერევა... ალბათ იმიტომ არ უთხრა, რომ ჰგონია, ჯაბამ ყველაფერი იცის... ეგონოს. ალბათ, გურამსაც ასე ჰგონია ახლა... ეგონოს.

— ჯაბა, ვის წაართვი ეს ქაქეტი?

„რა ქაქეტი“? — გაიფიქრა ჯაბამ.

მერე ავტობუსიდან ჩამოვიდნენ დავითაშვილის ქუჩის დასაწყისში, და ფეხით დაჰყვენი დაღმართს. სწორედ მაშინ მოესმა:

— ყმაწვილო, მოითმინეთ ერთი წუთით!

ვიღაც ბერეკაცი მოჰყვებოდა უკან, ჯაბამ ერთბაშად ვერ იცნო.

— ყმაწვილო, ეს არის სიტყვის კაცი ვარო?

— ოჰ, ძია ნიკალა, მბაბტიეთ, ძია ნიკალა. თქვენ ავად ბრძანდებოდით, ყოველდღე ვრეკავდი და...

— ჩაგებარებინა მერე სხვისთვის.

— არავინ არ ჩაიბარა, ძია ნიკალა, მორჩება და მოიტანეო.

— ასე ქულაში უნდა დაგიჭიროს კაცმა? გამარჯობა შენი!

— გამარჯობა, ძია ნიკალა...

— გამარჯობა თქვენი, ქალიშვილო!... ხომ იცი, ეგ კოსტუმი მე დამეწერება, თუ არ მოიტანე.

— როგორ გეკადრებათ, ხვალვე მოვიტან, ძია ნიკო.

— ვნახოთ. მე მეორე დღეა, რაც გამოვედი... ვნახოთ.

— ძია ნიკო, ეს გოგო... ამ გოგოსთან, ძია ნიკალა, ეს გოგო იმ ბალ-მასკარადზე გავიცანი.

— რა მასკარადზე? — წარბები შექმუხნა ნიკალამ.

— ინსტიტუტში... კოსტუმი რომ მათხოვეთ!

— აა... ო, — ნიკალს სახე გაუნათდა.

— ბიჭო, ეს ქალის ქავეტია, ვინ მოგვცა შენ ქალის ქავეტი?

ჯაბამ თვალები გაახილა.

— ამხანაგთან ვიყავი, დედა, სულ დავსველდი და დედამისმა თავისი ქავეტი ჩამაცვა. რა იცი, რომ ქალისაა?

— თვითონ ამხანაგს არ ჰქონდა რა-მე? რაღა დედამისის ქავეტი ჩაიცვი... რა ვიცი და, ღილები მარცხნივ აქვს დაკერებული.

— ამხანაგის დედასია და, რა ვქნა...

— ეს ახალგაზრდა ქალისაა, ამ ფერიხას ხნიერი ქალი არ ჩაიცვამს. ვისია, მითხარი!

— ახალგაზრდაა ჩემი ამხანაგის დედა.

ჯაფარიძის ქუჩაზე მოუსწრო წვიმამ. მანამდღის ქუჩა, კიროვის ქუჩა, ლენინის მოედანი, რუსთაველის პროსპექტი... ცა უანგარიშოდ ღვრიდა თბილ წყალს, ხეების ტოტებიდან წურწურით ჩამოდირდა წვრილი ნაკადები. ერთ ამბავში იყვნენ საწვიმარი მილები, თითქოს დიდხინის ნანატრ ღრეობას მოსწრებოდნენ და თავაშვებულები მღეროდნენ თუნუქის ჩაქანგული ხორხებით. ელექტროშუქით გაბრწყინებულ სახლებს შორის ჩამოჭრილი სველი სივრცე უფრო აბინდებდა საღამოს. ორთქლი ასდიოდა რკინის თეთრ ბოძებზე დაკადებულ შუშის რძისფერ ქალებს, რომელთა შიგნით ელნათურები იყო ჩამწყვდეული. დუღანა სწრაფად მიატყაპუნებდა ფეხებს, ხანდახან თავს გაიჭნ-გამოიჭნევდა, რომ სახიდან წვიმის წვეთები მოეშორებინა. ერთ იმშრალეზდა დასველებულ ტუჩებს. სველ კაბას თითქოს დავიწყებოდა თავისი დანიშნულება, და კი არ ფარავდა, მთელი სიცხადით იმეორებდა სხეულის ყოველ ნაკვთს. თითებით ძლივს იშორებდა კაბას მკერდიდან და კაბა ისევ ძერწავდა მის ძუძუსთავეებს. ჯაბას თავი ჩაელუნა და ლოცულობდა: „ყველაზე შეიძლება ვიფიქრო, მხოლოდ დუღანაზე არა...“

— შენ სიცხე ხომ არ გაქვს, ბიჭო, რას ბუტბუტებ?

— მე მეუბნები, დედა!

...ქართან რომელი იცდიდა. საცოდავად მობუზულიყო, მაგრამ მშრალი იყო. ალბათ, შემოსაწრო წვიმას. ჯაბა აღარ შეჰყოლია ოთახში. დუღანამ თავისი ქავეტი გამოუტანა...

წვიმას გადაელო. შინ აღარ წავიდა. დიდხანს იხეტილა ქუჩებში, ქავეტი ხელით მიჰქონდა.

...ქართან რომელი იცდიდა. ღამე უნდა გაეთია, რომ დუღანას არ შეშინებოდა... რა დაფეთებული ექებდა მაშინ სარკეს. თაროზე იბოვნა და დამშვიდდა. რად უნდა მხატვარს სარკე? უნდა, როგორ არ უნდა... მერე იმ მძინარე ქალის ნახატი?... ვითომ? სისულელეა! უმეცრებაა! დუღანა უნდა მიხედეს, რომ ჯაბას უყვარს იგი...

— ავად ხომ არ ხარ? — ჰკითხა დედამ.

ჯაბა გამოფხიზლდა. დედას ხელი დაედო მის შუბლზე. ეს პატარა ხელი საოცრად ცივი მოეჩვენა ჯაბას.

— რომელი საათია?

— ათი დაიწყო!

ჯაბა წამოხტა. უეცრად თავბრუ დაეხვა. მუხლებში ძალა გამოსცლოდა. უსუსური და დალეული მოეჩვენა სხეული. თითქოს წონა დაჰკარგოდა და ძალას ველარ ატანდა ტერფებს, რომ იატაკზე მყარად დამდგარიყო. ეგონა. გაუპლიდა ყველაფერი, მერე შეეშინდა, არ წაეჩქე და დედა არ დაეფრთხო.

— მგონი, მართლა სიცხე მაქვს, წუხელ გავცივდი ალბათ, — ისევ ლოგინისკენ შეტრიალდა.

დედას უკვე თერმომეტრი ეპოვა, გზადაგზა იქნევდა და ჯაბასკენ მოდიოდა.

— ჩემი არაფერი არ გჯერა, ა, ჩაიდე, მაინც სად იყავით ისეთ ადგილზე, რომ წვიმას ვერსად შეეფარეთ?

„შეეფარეთ!“

— მერე იმ ქალბატონმა, თუ ასე უყვარხარ, ვერ გაგაშრო წესიერად? — მეორე საბანი წახურა შვილს და გვერდებზე შეუკეცა.

„ერთი სული აქვს, სანამ გაიგებდეს...“

— თვითონაც დასველდა, დედა, შეიძლება ისიც წევს ახლა.

ნინო წელში გაიმართა და თვალეზში შეხედა ჯაბას.

— ესე იგი, მართლა ქალთან იყავი? გამოტყდი ხომ? ვინ არის?!

— ჩემი ამხანაგია, დედა, რა მოხდა მერე.

— არაფერი, რა უნდა მოხდეს. ვინ არის, ვისი შვილია?

— ქალიშვილია, დედა, — გაიღიმა ჯაბამ.

— ვიცი, რა ქალიშვილიც იქნება!

— რა, არ შეიძლება ოცდათხუთმეტი წლის ქალი, ქალიშვილი იყოს? — დედის გახელება მოუნდა ჯაბას, რომ მერე სიმართლე ეთქვა და დაემშვიდებინა.

— მე შენ გიჩვენებ ოცდათხუთმეტი წელს, აგაგლიჯავ ყურებს!

ნინომ ყურზე წაატანა ხელი, ჯაბა კელისკენ გაუსხლტა.

— დედა, თერმომეტრი, დედა!

— მოიყვანე ხვალვე ცოლი, კახასთან სიარული კარგ ამბავს არ დაგმართებს შენ!

— დედა! — დაიდრიალა ჯაბამ, ლოგინზე სწრაფად წამოიმართა, ილლიდან თერმომეტრი გამოუვარდა და იატაკს დაენარცხა, — მოიხადე ახლავე ბოდიში!

ნინო გაოცებამ გააშეშა.

— რა დაგემართა, ბიჭო?!

— მოიხადე ახლავე ბოდიში! — ჯაბას სახე შეშლოდა, სულერთიანად კანკალებდა.

— ვის მოუხადო, ბიჭო, ბოდიში, შენ? — ნინოს ათრთოლებული ნიკაპი თითქო ცრემლებს აკავებდა. — ეჰჰ, — ხელი ჩაიქნია მან, მტანჯველმა ფიქრმა სახე დაუღარა. დაიხარა, თერმომეტრის ნამტვრევების აკრეფა დაიწყო, — რა

ვაქვაცი მეზრდები! შენი იმედი უნდა მქონდეს? ერთი ვილაც... ვილაც... გომბიოს გულისთვის ბოდიშს ანდევენებ საკუთარ დედას.

— რატომ წამოგცდა ეგ სიტყვა, რამ გაფიქრებინა, რომ კახასთან დავდივარ, რატომ, დედა, მითხარი, რატომ წამოგცდა?!

ნინოს ხმა არ გაუღია, სხვეწზე გავიდა, პირდაპირ თუნუქის სახურავქვეშ, და სანაგვე ყუთში ჩაჰყარა ხელისგულზე შეგროვებული შუშის ნამტვრევები. როცა ოთახში შემობრუნდა, ჯაბა უკვე იწვა და ჰერს შეპყურებდა.

— ერთი ნამცეცი დაფასება არ მიგრძენია, ერთი ნამცეცი. ვირივით ვშუშაობდი, დედაც მე ვიყავი, მამაც მე ვიყავი, მთელი სიცოცხლე შენ შეგალიე, და ახლა ბოდიში მოუხადე ვაბატონს! — ნინოს აქამდე თავშეკავებული ხმა ტირილმა აჭრა.

— დედა!

— არა ვარ მე შენი დედა. თავი მოვიკალი, ამხელა მხეცი გაგზარდე და ახლა ბოდიში უნდა მოუხადო. მუხლებზე უნდა დაუფრქო ვილაც... ვილაც...

— მხეცი არ უნდა გაგეზარდე, ადამიანი უნდა გაგეზარდე!

— მართლა არა ხარ შენ ადამიანი.

— არა ვარ, ჰო, არა ვარ! — ჯაბა ისევ წამოიმართა საწოლზე, — რა ადამიანი ვარ მე, ყველაფრის მეშინია... ვერავის სიმართლეს ვერ ვეუბნები პირში!

— რა სიმართლეს, ბიჭო!

— ჩვეულებრივ სიმართლეს!

— შენს ამხანაგებს... გურამს ვერ ეუბნები სიმართლეს?

— ვერ ვეუბნები.

— ნოდარს ვერ ეუბნები?

— ვერ ვეუბნები!

— სხვებს? რედაქციის თანამშრომლებს?

— ვერა, ვერ ვეუბნები. როცა ცრუობენ, როცა პირფერობენ, როცა ტრახახობენ... პირიქით, იქით ვეხმარები, რომ უფრო მართალს დაემსგავსოს მათი სიცრუე, კუდს ვუსწორებ, რომ უფ-

რო გულდაგულ იცრუნონ და არ შერცხვეთ ჩემი. ვალაპაზებ მათ სიცრუეს, რომ ჩემთვისაც დამაჯერებელი გახდეს...

— რატომ იქცევი მერე ეგრე?

— რატომ იქცევი... პირში რომ ვუთხრა ყველაფერი, უნდა ვეჩხუბო, უნდა გავლანძლო, დავშორდე, დავკარგო, სხვანაირად მე არ შემიძლია!

— და არ ვინდა დაკარგო ამხანაგი?

— ჰო, არ მინდა.

— მე ხომ მეტაყე პირში, ხომ დამიყვირე?

— შენ დედა ხარ, მამატიებ.

— ასე უნდა ეტაკო სხვებსაც, თუ მართალი ხარ!

— რატომ მასწავლე სიჩუმე, დედა, რატომ გამზარდე ასე!

— მე ეგრე არ გამიზრდისხარ.

— აბა, ვინ გამზარდა?

— არ ვიცი, მე ეგრე არ გამიზრდისხარ, არც — მამაშენს.

— აბა, შენ რაღა მასწავლე, მითხარი, რა მასწავლე!

— მე ყველაფერი კარგი გასწავლე. — ნინო შებრუნდა და ჩუმად ჩილაპარაკა, — მომიხადე ბოდიში!

— ჰო, კარგი... გიხდი ბოდიშს.

— წესიერად თქვი!

— ბოდიშს გიხდი, დედა, უეცრად გავცხარდი. ერთხელ გაჩვენებ მე შენ იმ გოგოს და თვითონ შეგრცხვება შენი სიტყვების.

— მაშინ მე მოგიხდი ბოდიშს, ახლა არ ვიცი ვინ არის ის... მე გასწავლე ადამიანთან ადამიანური მოპყრობა, პატიოსნება, გულწრფელობა.

— რომ არა ვარ ხოლმე გულწრფელი?

— ეგ ჩემი ბრალი არ არის!

— რომ არა ვარ ხოლმე?

— ჩემი ოჯახიდან მხოლოდ კარგი გამიტანებია შენთვის, გარედან რა შემოგაქვს, ეგ არ ვიცი... სად ვიშოვნო ახლა თერმომეტრი?

— დედა, დაურეკე რედაქციაში, ვინც არ უნდა შეგხედეს, უთხარი და გადასცემენ რედაქტორს.

— წავალ მე პოლიკლინიკაში, ექიმს გამოვუძახებ.

— არავითარი ექიმი არ მინდა, თბილად შევიფუთნები და ხედავს დალით ჩიტყვით წამოვფრინდები... წვეწავალ ექიმთან.

საღამოს ორმოც გრადუსამდე აცოცდა ვერცხლისწყლის სვეტი. ფუნთუშა, თურგვერემანი ექიმი ქალი დიდხანს სინჯავდა.

— აბა, გენაცვალე, ჩავახველოთ, ასე... ჩავახველოთ და ნუ ვისუნთქავთ, ასე... აბა, ახლა ღრმად, უფრო, უფრო... კიდეც. ახლა ზურგზე გადაებრუნდეთ... ავიწიოთ მაისური, მოიცა, მე ავწვევ. ეს რა არის?! — უეცრად იყვირა ექიმმა.

ჯაბამ წარმოიდგინა, რა გაოცებული უყურებდა ექიმი მის დაღურჯებულ ზურგს. თავს ძალა დაატანა, ამოიხედა და გათეთრებულ ტუჩებზე საჩვენებელი თითი მიიღო. ნინო დერეფანში გასულიყო, პირსაბანში წყალს ასხამდა ექიმისთვის.

— მხოლოდ ეგ არაფერ შუაშია, — გაუღიმა ჯაბამ ექიმს და თავი ისევ ბალიშზე დაუფარდა.

...მერე ჩაეძინა... ბოლოს მხოლოდ ის იგრძნო. ექიმმა მაისურის ქვეშ როგორ შეუცურა ფონეიდოსკოპი. მერე თვითონ გაძვრა ფონეიდოსკოპის მილში, ცალი თვალი მოხუჭა და საკუთარ მკერდში ჩაიხედა. იქ, შიგნით, ბატონი ანჯია იჭდა, ფეხები ჯაბას გულზე შემოეწყყო და ისვენებდა.

— რას შერებით, რა წესია ეგ?! — წამოიყვირა ჯაბამ...

— რას იზამ... თვითონ მაძლევ ნებას. — ნიშნისმოგებით გაიღიმა ბატონმა ანჯიამ.

— სად არის მამაჩემი? — ჰკითხა ჯაბამ.

— რა ვიცი, ეგ შენ უნდა იცოდე.

— მე ვიცი, რომ ფრონტზე დაიღუპა!

— შეიძლება, მაგრამ... შეიძლება ტყვედაც ჩაბარდა მტერს. და ახლა ევროპაში მისეირნობს.

— ევროპაში მისეირნობს... კარგი ქართულია!

— ალბათ, ცუდი ქართულია, მაგრამ სიმართლეა... ჯაბა, რატომ აცდენ სამსახურს? უმიზეზოდ აცდენ, სახელმწიფო ხელფასს კი იღებ.

— მე ფილტვების ანთება მაქვს... ამოდით მანდედან, გამეცალეთ!

— მე არა ვარ ფილტვების ანთება, — გაიღიმა ბატონმა ანგიამ და წერილი თვალები უფრო დაუწვრილდა.

— რა გინდათ ჩემთან... რატომ გაჩნდით მანდ, როდის გაჩნდით!

— ო, ეგ გრძელი ამბავია, ჯაბა.

— მაინც?

— ოთხი თვის იყავი, მე რომ აქ ვაგჩნდი, ოთხი თვით უმცროსი ვარ შენზე.

— როგორ მოხდა ეგ?

— როგორ... როგორ და, ვახსოვს? თუმცა რა გემსახვობდა; აკვანში იწეჭი, დედაშენი სადღაც მიდიოდა, შენთან დამტოვებელი არავინ ჰყავდა, მეზობლის ქალს თხოვა...

— მერე?

— მერე შენ ატირდი, აბლაღლდი.

— მერე?

— მეზობლის ქალი გარწევდა და გარწევდა.

— მერე?

— შენ არ ჩუმდებოდი, უფრო უმატებდი ტირილს. ქალს კი შენი დაძინება და თავის ოთახში გასვლა უნდოდა. ალბათ სადილი უგვიანდებოდა, ან სტუმრები ელოდებოდა, ან თავისი ბავშვები ჰყავდა მიტოვებული.

— მერე?

— მერე ნერვები აეშალა და გამწარებულია, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, კისერში ვიჩქმითა...

— მერე?

— აი, მაშინ ვაგჩნდი მე შენში. პირველად მაშინ...

— მე ვიცი ეგ ამბავი. დედამ მიაშობო. შეუშინევი ნაჩქმეტი და ცხარე ღლე დაუყენებია იმ ქალისთვის.

— ჰო, ეგრე იქნებოდა ალბათ, მაგრამ მე იპას გეუბნები, თუ როგორ ვაგჩნდი შენში პირველად.

— რატომ აღარ გამოხვედი მას შემდეგ?

— იმიტომ, რომ მოხდა კიდევ სხვა ამბებიც.

— რა?

— არ არის საჭირო, რად გინდა...

— მიაშობე.

— დაბა-ქალაქში ცხოვრობდით მაშინ... დედამ სტუმრად წაგიყვანა. პატარა მეზღვაურის ფორმა გეცვია, დიდ, ლურჯ საყელოს სამი თეთრი ზოლი გასდევდა. როცა შირბოდი, საყელო აფრასავით ფრიალებდა და ეს ძალიან მოგწონდა... დიდი მეზღვაური გეგონა თავი.

— მერე?

— ქუჩაში მიდიოდით. უკან მისდევდი დედას... შემოუღობავ ეზოში ვაშლის ხე იდგა, ნაყოფით დაბუნძლული, შეირბინე და მოწყვიტე. კბეხა-კბეხით ვაპყევი ქუჩას. უეცრად სუსტი ხმა მოგესმა: „შვილო, შვილო, დამიცადე, შვილო“. ბებერი ქალი მოჩანჩალადა, პირგალიმებული... ასე ღიმილით მოგიაბლოვდა, გამხმარი თითები ჩაგიცურა საყელოში, „ქურდობა ეგრე არ უნდაო!“ გაუჭრა უეცრად ღიმილი, ჩაპკრა და ბოლომდე ჩაიხიბა ხალათი. თვალები თბილმა ცრემლებმა დაგიბინდა; აღარცერთ გემზე აღარ მიგიღებდნენ იმ დახეული ფორმით... მთელი სამყარო დაინგრა მაშინ...

— ეგეც ვახსოვს...

— იმ დღეს მე კიდევ უფრო გავიზარდე შენში.

— ახლა ვაგადებ, ახლა კინწისკვრით ვაგაგდებ, თუ არ წახვალ!

— ვერ გამოვდებ, ჯაბა!

— ბატონო გიორგი, ბატონო გიორგი, მე ვერ ვიმუშავე ამ კაცთან, მე...

— შემოდი, ჯაბა, რა მოხდა? შემოდი!

— ბატონო გიორგი, გამარჯობათ!

— გამარჯობა, ჯაბა, დავეჭი, როგორა ხარ, მორჩი?

— მოვრჩი. ვაციებული ვიყავი, სიცხე მქონდა.

— ჰო, მესმოდა, რომ შეძახდი... ეტყობა, დიდი სიცხე გქონდა.

— დიახ, დიდი.

— ჯაბა, რა ჰქენი, ძველ საკლასო ურნალზე რომ ნარკვევის დაწერას აპირებდი, იმ ყოფილი მოსწავლეების პოე-



ნას რომ აპირებდი... აქა გაქვს ის ჟურნალი? აბა, მიჩვენე! ო, მართლა რა კარგი ბავშვები ყოფილან, რა ლამაზები, აბა, ამოვიკითხავ სიას და აქვე გავიგებ, ვინ არის და ვინ — არა.

— ამოვიკითხეთ, ბატონო გიორგი, მე ვიპასუხებთ ვინ არის და ვინ — არა.

ზარი დაირეკა, გაკვეთილის დაწყების მაუწყებელი. ჯაბა ფეხზე ადგა. გიორგი შემოვიდა, ხელით ანიშნა, დაჯექით. მერე ჟურნალის ამოკითხვა დაიწყო.

— სიყვარული!

— ვარ!

გიორგიმ შეხედა ჯაბას. დიდხანს უყურებდა, თითქოს არ სჯეროდა მისი პასუხის. მერე ისევ ჟურნალს ჩახედა:

— იმედი!

— ვარ!

— შიში!

— ვარ!

გიორგიმ კვლავ შეხედა ჯაბას, მერე თავი გააქნია საყვედურის ნიშნად.

— გაგაგდებ მე შენ კლასიდან.

— რატომ, მასწავლებლო?

— გაგაგდებ... — გიორგიმ ისევ ჟურნალში ჩაიხედა.

— ნებისყოფა!

— არ არის...

გიორგი ჩაფიქრდა.

— სიმამაცე?

— არ არის...

მასწავლებელმა ჟურნალი მაგიდაზე დააბეჭა.

— დღეს გაკვეთილს ვერ ჩავატარებ... ჯაბა ალაღვიძე გადი გარეთ!

— ხომ ხედავ? — თქვა ბატონმა ანგიამ და ჯიბიდან თეთრი ბაფთა ამოიღო, ხელები შეიწმინდა, — მე არაფერ შუაში ვარ.

ჯაბა მუხლებზე დაეცა.

— ბატონო ანგია, გთხოვთ დამტოვოთ მარტო. მე არ შემძლია თქვენი ტარება, ძლივს ვადგამ ნაბიჯს.

— ჩემზე არ არის დამოკიდებული.

— ფეხები მაინც ჩამოიღე, გული მეტყინა.

— ეგ შეიძლება — ბატონმა ანგიამ ფეხები იატაკზე დადო.

ჯაბამ პერანგი ჩაიფერტა.

— ახლა გადი! ქართული  
ენების ინსტიტუტი

— ნემსი უნდა გაგიკეთო... კარგად გახდები, ჯაბა, — ქალის ხმით დაილაპარაკა ბატონმა ანგიამ.

— გადაბრუნდი, შვილო, ცოტა კიდევ... ასე. ხომ გლვიდავს?

— მღვიდავს... წყალი მინდა.

— მიეცა, პატარა ხომ არა ხართ? ცოტა გეტყინებთ...

— წყალი შეიძლება დავაღვიწყო?

— დააღვიწიეთ!

ჭერში ამოჭრილი ფანჯრიდან მკრთალად მოჩანდა ფუნჯიკულიორის თეთრი შენობა. ამომავალ მზეს მაცნესავით განოვგზავნა პირველი სხივი და შენობის კუთხეს მორცხვად ანათებდა. მთაწმინდაზე შეფენილი სახლების სახურავებზე ჯერ ისევ ბინდი იწვა. სწრაფად თენდებოდა. ცა თითქოს მალმალე ისრესდა თვალებს, რომ გარკვევით დაენახა ქალაქი.

ჯაბას დიდიხანია, რაც ეღვიძა. ალბათ დედის ღონიერმა სუნთქვამ გამოაღვიძა. ნიკელის საწოლის გისოსებს შორის მან დაინახა პატარა ტერფები. წინდები ეცვა დედას, ეტყობა, მთელი ღამე ათია და გაუხდელად მიწვა.

ოდნავ რომ განძრეულიყო, ტახტი აპრიალდებოდა და შეიძლება დედა გაეღვიძებინა. არადა, მწარედ ტკიოდა ღუნღული, თითქოს ექიმს ნემსი ჩარჩენოდა შიგ.

სიცხე განელებოდა. თავი მსუბუქი და თითქოს სულ ცარიელი ჰქონდა. აწვებოდა ბალიშს, რომ ეგრძნო თავის სიმძიმე. სიზმარზე ფიქრობდა, ეჩვენებოდა, რომ ის სიზმარი კი არა, სინამდვილე იყო, სიფხიზლეში რომ შეუმჩნეველი დარჩა და გვერდზე ჩაუარა. ცდილობდა გაეხსენებინა თავისი ბავშვობისა და ყრმობის დღეები და ეპოვნა უარყოფა სიზმარში მოსმენილი ამბისა. ბავშვობის დღეებს სადღაც, სარდაფის კუთხეში მიყრილ-მივიწყებული სათამაშოებივით ქექავდა, თითქოს უნდოდა მიე-

გნო იმ სათამაშოსათვის, ოდესღაც ყველაზე მეტად რომ უყვარდა. აქ იყო დიდი, მრგვალი მთვარე, რომელიც ერთ თბილ საღამოს აღმოაჩინა ცაზე და გაცეცხისაგან პირი დაალო. ვერ გაუმხილა დედას, ჩამომიხსენიო, შეეშინდა; იგრძინო, რომ ძალიან შორს და დიდხანით უნდა წასულიყო დედა იმ ბურთის მოსატანად. აქ იყო სიმინდის ალერდის უხსოვარდროინდელი სურნელება, ღელის ჩხრიალი, ქუსლში შერჭობილი ეკალი და გულამომჭადარი ტირილი, ორთქლმავლის ბრიალა თვალეები, და შიშისზარისდამცემი საყვირის მოულოდნელი ხმა... დაბოლოს, დაინახა ის სათამაშო, — ყველაზე საყვარელი. გული აუტკვრდა, რამდენი ხანია, რაც დაკარგა, როგორ დაკარგა აღარც ახსოვს. მგონი, ვიღაცამ მოპარა... ეს მამა იყო. წითელ სამხრეებზე შინდისფრად მბზინავი რკინის კუბიკები, ფართო ტყავის ქაშარი, სპილენძის მძიმეაბზინდიანი... მოიხსნიდა მამა, ორად გაკეცავდა და ატკაცუნებდა... მიუახლოვდა ამ სათამაშოს, ყველაზე საყვარელს, და სათამაშომ თქვა:

— ნინო, ჯაბა კარგი ბიჭი იქნება. ეაცი უნდა გამოვიდეს, თუ არ ვცდები.

ჯაბა კი იმ ნიკელის საწოლში იწვა მშინ და ვითომ ეძინა. ისე გაახარა მამის ნათქვამმა, რომ მართლა აღარ ჩაეძინა. დიდხანს აფახულებდა თვალებს საბანქვეშ და გამოუცნობსა და ჭერ აუსრულებელ ოცნებას წინასწარ ეთამაშებოდა.

საიდანდაც, მეზობლის ოთახიდან, თუ ქუჩიდან ისმოდა მოსკოვის რადიოსადგურის გამოსაცნობი მელოდია. ჯაბამ ყური მიუვლო.

თვალწინ დაუდგა ძველი ამბავი:

...მამამ პატეფონი დაქოქა... ჯაბა იყურებოდა ვერცხლისფერ მემბრანაში და კისკისებდა; ცვირგაბრტყელებული, სასაცილო კაცუნა ამოჰყურებდა მემბრანიდან, წელში გაზნექილიყო, კედელიც მუყაოსავით იყო გაღუნული. მერე ის ცვირბრტყელა ბიჭუნა ნისლში გაეხ-

ვია. ჯაბამ თითი გადაუსვა შეორთქლელ მემბრანას, და იმ ბიჭმაც კარგად დაინახა ჯაბასკენ პაწაწინტელა თანამოძრაობა.

მამამ ფირფიტები გადაარჩია... დიდხანს დაჰყურებდა ერთ ფირფიტას. მერე დისკოზე დაამგრა... დატრიალდა დისკო და უცხად ის სასაცილო, ცვირგაბრტყელებული კაცუნა გაიტრუნა მემბრანაში, თვალეები გაუდიდა საოცარმა ბგერებმა. თითქოს ტყეში მოხეტიალე ჭონდრისკაცი ჩიტების ზღაპრულ ჰიკიკის მოეჯადოებინა. მიიჩნეოდა დაგრეხილი. ვერცხლისფერი ლულა მემბრანისა და თანდათან შორს მიჰყავდა ის სასაცილო კაცუნა. საღდაც უკრავდნენ საღამურს და მთელი ტყე აყოლოდა მის ხმას, ანაწევრებდა, მერე აერთებდა და გულს უსერავდა ცვირბრტყელა კაცუნას. მერე ისევ საღამური აკენესდა, მისუსტებული, ძალაგამოცილი, და ბოლოს სულ გაქრა. და უეცრად ტაშის ხმამ გამოაფხიზლა ჯაბა, აღამიანების მქუხარე ტაში მოჰყვა მუსიკას...

მამა წამოდგა. ხელმეორედ დაქოქა პატეფონი, მემბრანა აიღო, და ისევ ის ტაშისცემა გაისმა. მამა ყურს უგდებდა, თითქოს უნდოდა ტაშით ეცნო აღამიანები, ჯაბა აღარც ახსოვდა... მერე კიდევ დაუკრა ტაშისცემა, კიდევ, კიდევ... ჯაბას კი იმ საღამურის მოსმენა უნდოდა.

დედამ შემოიხედა ოთახში. ხელები აჭაფებული საპნით ჰქონდა შეთეთრებული.

— დაუკარი რამე, ვიქტორ, რა არის ეგ ტაში?

— მოდი აქ, ნახე! — მამა არ იღიმებოდა, — მოდი, ნახე — გაიმეორა და ეჩინებით და ის ფირფიტა აიღო.

დედა მოუახლოვდა, გასაძნულ ხელები გაარიდა, რომ მამა არ დაესვარა.

— რა არის?

— წაიკითხე! — უთხრა მამამ და ფირფიტა თვალებთან მიუტანა.

დედამ წაიკითხა:

— „ფალიაშვილი. დაისი. შესავალი.

დირიჟორი ევგენი მიქელაძე...“ რა იყო მერე?

— წაიკითხე ბოლომდე!

— „ჩაწერილია მოსკოვში, საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დროს“.

დედამ მამას აბხედა. ორივენი დუმდნენ.

— დათიკო იქ იყო მაშინ, ესწრებოდა... — თქვა ბოლოს მამამ.

— ჩუ! — წამოიძახა დედამ და კარისკენ გაიხედა.

ჯაბას ძალიან შეეშინდა. ოდნავ გამოღებულ კარს დაადგა შემერთალი თვალები და უკან-უკან წაბაჯბაჯდა.

— ამ მაცურებლებიდან, — თქვა მამამ, — ნახევარი არ იქნება ახლა ცოცხალი...

— გაჩუმდი, კაცო! — ისევ დაიყვირა დედამ და ისევ კარისკენ გაიხედა. ჯაბას ახლაც ახსოვს, როგორ კანკალებდა მაშინ. ახსოვს, როგორ მიიღრბინა დედამ და როგორ ჩაეკტა კარი... მერე დიდხანს ეშინოდა ოდნავ გაღებულ კარის და ხმაძალა ლაბარაკის. იმ ვერცხლისფერ, პრილა მემბრანასაც ვეღარ ეთამაშებოდა; ეგონა, ის ცხვირბრტყელა კაცუნა თვითონ იყო. დიდხანს იყურებოდა სარკეში, მანამ სანამ არ გაელიშებოდა...

ალბათ მაშინ ბატონი ანგია კიდევ უფრო გაიხარდა.

— მადლობა ღმერთს, სიცხე აღარ გაქვს! — დედამ შუბლზე ხელი მოაცურა და საბანჭვეშ შეპყო, სიყვარულით მკერდზე მოუფათურა.

— დედა!

— გშია ახლა შენ...

— დედა, ჩვენი პატეფონი რატომ გაყიდე?

— სად გაგახსენდა ახლა! მიჰირდა და გავყიდე.

— ფარფიტები?

— ნაწილი ისიც გავყიდე, დანარჩენი იქ ყრია, — ნინომ ხელი გაიშვირა სხვენისკენ.

— რომ გაფუჭდეს?

— ნუ გააფუჭებ, თუ გენანება.

— დედა, შვილი რატომ არ დარჩა დათიკო ბიძიას?

— არ დარჩა, ახალგაზრდას შეკვდა ქალი... რა იყო, ხომ არ დაგესიზმრა? — საწოლის კიდეზე ჩამოჯდა დედა.

— ჰო.

— როგორ დაგესიზმრა? — ხმაში შემოთება დაეტყო.

ჯაბას გაელიმა.

— ახლა შენ გგონია, რადგან მკვდარი დამესიზმრა, მეც მოვკვდები, ხომ?

— ჩემს მტერს, წუხელ რომ ღამე გადავიტანე. შენ არც იცი — ფილტვების ანთება გაქვს!

— ანთება კი არა...

— ჩაყავი, ჩაყავი ხელი, ნუ გაუთამამდები, როგორ დაგესიზმრა ბიძაშენი?

— არ დამსიზმრებია, მოგატყუე.

— აბა, რატომ გაგახსენდა.

— რა ექნა, გამახსენდა, ჩემი ნება ხომ არ არის.

დედა ბაზარში წასასვლელად ემზადებოდა. ჯაბას შარვლის ჯიბიდან ხურდა ფული გადმოიყარა ხელისგულზე, მერე ნებართვა ითხოვა შვილისგან; რედაქციის იმ ვაგივლი, იქნებ ხელფასი იყოსო. ჯაბამ იუარა, უხერხულიაო. თვითონ მოვლენ და მომიტანენო.

როცა ნინო წავიდა, ჯაბა წამოდგა, ბანცალ-ბანცალით მივიდა თეთრი ხის უსარკო გარდერობთან. უჭრა გამოაღო, დიდხანს ჭეჭა რაღაც ქალაღლები, ბოლოს ერთი გაყვითლებული, დაყვილი ფურცელი გაშალა, წაიკითხა და დამშვიდდა. ომისდროინდელი ცნობა იყო, მამის უგზო-უყვლოდ დაკარგვის შესახებ.

მერე რადიო-რეპროდუქტორი ჩართო.

„...ლეიბორისტებმა მოსთხოვეს იღენს. არ გამოიყენოს ძალა...“

მოესმა ჯაბას. სარკეში ჩაიხედა და ისევ ლოგინს მიაშურა. როგორ შეფერთხილა ერთ დღეში.

„...ლეიბორისტთა ოპოზიციის ლიდერმა პეიტსკელმა, შეკითხვით მიმართა იღენს: „შზად არის თუ არა პრემიერ-მინისტრი განაცხადოს მთავრობას“

სახელით, რომ იგი ძალით არ შევა სუეცის არხში?“

იღენმა პირდაპირ პასუხს თავი აარილდა.

„რაც შეეხება ვალდებულებებს, რომ გამოყენებული არ იყოს ძალა სუეცის არხის საკითხის გადაჭრისას, იღენმა განაცხადა, რომ თუ სურთ ასეთი გარანტია აბსოლუტური იყოს, არც მე, არც ინგლისის რომელიმე სხვა მინისტრს, რომელიც ამ ტრიბუნაზე გამოდის, არ შეგვიძლია ასეთი გარანტიის მიცემა.“

ჯაბა რადიოს შეპყრობდა. თვალწინ უდგა გაზეთში ნანახი იღენის სურათი, და ცდილობდა წარმოედგინა, როგორ ამბობდა ამ სიტყვებს პარლამენტის სხდომაზე. პრემიერ-მინისტრი, რა თქმა უნდა, მაშინ სულაც არ ფიქრობდა, რამდენიმე დღის შემდეგ როგორ მოისმენდა მის გამოსვლას ვიღაც ახალგაზრდა კაცი თბილისში, და როგორ შეკრთებოდა...

„...იღენის გამოსვლის შემდეგ, — განაგრძობდა დიქტორი, — გაიმართა კენჭისყრა. ლეიბორისტული ოპოზიციის შესწორება, რომელიც გმობს მთავრობის პოლიტიკას, უარყოფილი იქნა 321 ხმით 251 ხმის წინააღმდეგ.“

ჯაბამ სწრაფად გამოაყლო.

და პარლამენტის დებუტატები არითმეტიკის რვეულში ჩაწერილი ციფრებით განლაგდნენ; სხდომათა დარბაზის სულ ზედა ნაწილში ის 321 კაცი იჯდა, მათ ქვემოთ 251 — და სულ ბოლოს — 70, როგორც გამოკლების შედეგად მიღებული პასუხი.

ეს ფრაკში გამოწყობილი პასუხი ძალიან მადლიერი იყო არითმეტიკის კანონების.

„...კოლონებმა გაიარეს ლონდონის ცენტრალური ქუჩები, მათ მიჰქონდათ ლოზუნგები: „არ დავეშვებთ ომს სუეცის არხის გამო!“ უნივერსიტეტის შენობასთან მიტინგზე გამოვიდა ინგლისის მშვიდობის დაცვის კომიტეტის მდივანი რიო გორი და მღვდელი დოქტორი ტომასი.“

„ხემიე... ქიშია“. — გაუელვა ჯაბას.

ეს იყო ეგვიპტესთან დაკავშირებული პირველი სიტყვა. ამ სიტყვამ ერთნელ და სამუდამოდ დაამახსოვრა ფარაონებისა და პირამიდების უძველესი ქვეყანა.

მერე — „აიღამ“, ჯუზეპე ვერდის „დამაბრმავებლად ბრწყინვალე“ ოპერამ. ძალიან მოსწონდა ჯაბას ეს „დამაბრმავებლად ბრწყინვალე“, სად ამოიკითხა აღარ ახსოვს, მაგრამ ისე ზშირად იმეორებდა ამხანაგებთან, რომ ყველას მოაბეზრა. აჩემებული ჰქონდა კიდეც „რადამესის ღუმელი“. თავი იმართლეთ, მოუწოდებენ ქურუმები რადამესს. სინუმის შემდეგ ორკესტრი ყრულ გადიგუგუნებს და კვლავ მიჩუმდება. სულ მარტოც რომ ყოფილიყო სპექტაკლზე, ჯაბა უცნობ მაყურებელს მიუბრუნდებოდა და წაჩურჩულებდა: „ეს რადამესის ღუმელია, ორკესტრი აღნიშნავს, რომ რადამესი სღუმს...“ ვერ ითმენდა ამის უთქმელობას, მოხიბლული იყო, რომ ღუმელსაც ხმაურით გამოხატავდა კომპოზიტორი.

„...ეგვიპტე მზად არის მოიგერიოს ყოველგვარი აგრესია, საიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი... სუეცის არხი ეგვიპტეს ეკუთვნის და ჩვენ არ დავთმობთ ეგვიპტის ტერიტორიის არცერთ ნაწილს...“

...იტალიისგან სახეშეშლილი ეგვიპტელი მაყურებლები ოპერის ყოველ ნაწყვეტს ამეორებინებდნენ იტალიელ მომღერლებს, დილაღე გასტანა თურქე „აიღას“ პრემიერამ ქაიროს თეატრში.

მერე წიგნმა შეახვედრა ამ ქვეყანას. დღემდე ახსოვს იმ წიგნის უკანასკნელი გვერდი: ერთმანეთს გადაქდობილი ორი ქართველის გვამი ბრძოლის ველზე, ერთ მათგანს მამულუქის ძვირფასი არაბული ხალათი ეცვა. მეორეს — ვენეციელი გვარდიელის მუნდირი.

...მერე „ჩათვლის წიგნაკში“ ჩაწერილი „ფრიადი“ გაახსენდა. თვალწინ დავუდგა ის აუდიტორიაც. ამხანაგები მერხებზე სხედან, ოფლში იწურებიან. ბილეთები აუღიათ და პასუხებს ამზადებენ. მერხებზევე დამალულ „დიამა-

ტის“ სახელმძღვანელოებში იხედებიან.  
 „ლექტორი: — დამისახელეთ მაგალითი რაოდენობრიობის თვისობრიობაში გადასვლისა, ოლონდ, თუ კაცი ხარ, წყალი და ყინული არ გამაგონო...“

ჯაბა: — მე სხვა მაგალითს დაგისახელებთ!

ლექტორი: — აბა, გისმენ!

ჯაბა: — ნაპოლეონის ეგვიპტეში ლაშქრობისას მამულუკები ერთმა ამბავმა გააოცა...

ახლგაზრდა ლექტორმა გავიჩვენებით შემოხედა ჯაბას, მერე მიაფურჩება ეს უნებური რეაქცია, სკამის ზურგს მიეყრდნო და დაამთქნარა:

ლექტორი: — სახელდობრ?

ჯაბა: — ერთი მამულუკი პირისპირ ბრძოლაში ადვილად ძლევდა ერთ ფრანგ ჯარისკაცს... ორი მამულუკიც ჯაბანიდა ორ ფრანგს, სამი — სამს... მაგრამ ოც ფრანგ ჯარისკაცთან უკვე ვერაფერს ხდებოდა ოცი მამულუკი, როგორც წესი, მარცხდებოდნენ...

ლექტორი: — კეთილი, რა თვისება შეეძინა ოც ფრანგ ჯარისკაცს, რომელიც ერთსა და ორს არ გაანდო?

ჯაბა: — დისციპლინა, სამხედრო დისციპლინა: შეტევა, მწყობრი უკანდახევა, ურთიერთდაზღვევა. ეს მამულუკებს არ ჰქონდათ ისე დამუშავებული და დახვეწილი, როგორც ფრანგებს“.

ჯაბამ გვერდი მოინაცვლა, საბანი გადახდრილი ჰქონდა და სიამოვნებდა სიგრილედ.

„ახლა?“ — გაუელვა მას, თითქოს იგივე ლექტორი ეკითხებოდა.

„ახლა? ახლა პირიქით არის...“

„სახელდობრ?“ — დაამთქნარა ლექტორმა.

„ახლა ისე გამრავლდა ქვეყნები... მშვიდობისმომხრე ქვეყნები, რომ ეს რაოდენობა ახალ თვისებაში გადაიზარდა...“

„სახელდობრ?“

„ძალაში! ახლა ეგვიპტესთან ომი მარტო ეგვიპტესთან ომს არ ნიშნავს...“

„საკმარისია, მომეცი თქვენი მატრიკული!“

ჯაბამ შუბლზე დაიდო ხელი, ისევ მომატებოდა სიცხე. საბანი შემოფეხუნა.

ნუთუ ვერასოდეს ვერაზნავს სპიკამიდებს? ქართული მამულუკების სისხლით მორწყულ უღაბნოს, ანდა ფაროსის კუნძულს და შექურას. დუღანას მოხურული ექნება გრძელი, თეთრი მოსასხამი. არაბი გამყოლი მოიხიბლება მისი სილამაზით. დუღანას ყოველ სიტყვას და ყოველ შეკითხვას, მიწამდე თავის დახრით შეეგებება. მერე აქლემზე გასეირნებას შესთავაზებს. დუღანას კისკისი მიაწყდება პირამიდების ქვევს, და მუმიებს საუკუნეობით გაუჩინებელი გულები აუძგერდებათ. მერე ჯაბა მიიყვანს დუღანას ერთ ძველ კედელთან და წააკითხებს ქვაზე ამოჭრილ ქართულ ასოებს:

„დუღანა“.

განციფრება ისე გაამშვენიერებს, ისე შემატებს მომხიბველობას დუღანას, რომ ჯაბა ჰკუთს დაკარგავს.

„ვინ დასწერა, ჯაბა?“ — ძლივს ამოიღებს ხმას დუღანა.

„მე...“

„როდის?“

„ათასი წლის წინათ, ჩემი პირველი მოგზაურობისას!“

„მაშინაც გიყვარდი?!“

„შენ მუდამ მიყვარდი... მე ერთადერთი ადამიანი ვარ ქვეყანაზე, რომელმაც იცის, რა იქნება მისი უკანასკნელი სიტყვა სიკვდილის წინ“.

„რა იქნება?“

„დუღანა!“

დღისით ავადმყოფობა თვლემდა, თითქოს ძალას იკრებდა კიდევ ერთი იერიშის მისატანად. სალამოს ისევ აუწია სიცხემ ჯაბას. და დუღანა მოელანდა. გაქანებული მატარებლის ვაგონის კიბეზე მდგარი... სქელ ნაწნავებზე დიდი, თეთრი ბაფთა უკეთია, ფრიალებს ბაფთა, დუღანას სუნთქვა შეკვრია შემხვედრი ქარისაგან. უეცრად ხის ტოტს წამოედო ნაწნავი და ბაფთა დაიტოვა. მატარებელი გაქრა. ხეს უამრავი ხალხი ახვევია გარშემო, მაღლა იყურებიან და

ტოტზე გარჩენილ ბაფთას ასცქერიან. არაფერ არ იცის, საიდან გაჩნდა იქ. ქვეყნის ყოველი მხრიდან მოდიან ამ ბაფთის სანახავედ... ლოგინში წევს დუღანა, შიშველია, ხელში პატარა სარკე უჭირავს, თმიდან ფეხის ფრჩხილებამდე ჩანს სარკეში. მერე საბანს იხურავს და ოთახში შემოდის რომელი. სარკე მიჰაქვს. სურათებით სავსე ოთახში დგას რომელი და იმ სარკიდან დუღანას იხატავს. წვალობს დუღანა სარკეში, აქეთ-იქით აწყდება უნდა გაეჭკეს ჩარჩოს, მაგრამ მაინც სარკეში რჩება. რომელი ხატავს...

ჯაბამ სახეში შემოჰკრა სილა. მერე უცხად გაიღიმა, ამიტომ რომელი ვერაფერს ვერ მიხვდა.

„ჰო, — თქვა მან, — მე ვიცი, რომ შენ ყველაფერი დაინახე, მაგრამ ბავშვები ხომ არა ვართ.“

„უკვე დიდები ვართ!“ — დაეთანხმა ჯაბა.

მესამე დღეს ჯაბამ მოიკეთა. მოვიდა ლიანა, ხელფასი მოუტანა. რაღაც საიდუმლოდ იღიმებოდა, თითქოს რამე იცოდა და არ უმხელდა. რა ორიგინალური ოთახიო, ამბობდა და ჰერს ათვალთვლებდა, სწორედ შენისთანა კაცს შეჰფერისო, შენისთანა უცნაურსო. რა მაქვს უცნაური, ჰკითხა ჯაბამ. ყველაფერიო დაიწყო წაცუნდრუკო სიცილი, მერე დაუმატა; გეხუმრები, არ ვიცი რაზე გელაპარაკო და რაღაცეებს ვიგონებო. თუმცა, როგორ არ ვიცი, გიორგიმ შემოგთივალა, ხვალ აუცილებლად გნახავო, სხვებიც ხვალ მოვლენო, დღეს თათბირია გამომცემლობაშიო.

ნინოს საწერი მაგიდიდან წიგნები გადაელაგებინა და სარკესს აუთოებდა, თან მალულად უქვერტდა ლიანას. მაგრამ მალე მიხვდა, რომ ლიანა ის გოგო არ იყო, და ინტერესი შეუწინა. ახლა მთელი ფიქრი იქითკენ ჰქონდა, როდის წავიდოდა სტუმარი, რომ ბაზარში გაქცეულიყო.

„არ უნდა გაავებინოს, უფულოდ რომ ვიყავით“, — მიხვდა ჯაბა.

წასვლისას ლიანამ შოკოლადის პატარა ფილა ამოიღო ხელჩანთიდან. უტიკეტზე კურდღელი ეხატა. უკანა ფეხებზე მდგარი.

— ეს მოგაღონიერებს, — დაიმორცხვა ლიანამ და ფილა სკაშზე დადო.

— ოჰ, ეს რომ გუშინწინ მოგეტანა, ალბათ აღარც გავხდებოდი ავად. გმადლობთ, ლიანა!

ლიანა წავიდა. დედაც მაშინვე გაიქცა ბაზარში. ჯაბა სულ ათი წუთი იყო მარტო. კარი აჭრიალდა.

ჰერ გურამი გამოჩნდა. ლოგინში მწოლ ჯაბას წარბებისა და ხელის მალა აწვევით უხმოდ მიესალმა. დერეფნისკენ შებრუნდა და ვილაყა გზა დაუთმო.

— შემოდი!

გურამის ხმამ და გამომეტყველებანი მიახვედრა ჯაბა, ვისაც ეპატივებოდა ოთახში, და გული აუჭკერდა, ფიქრი შეუღვებდა.

— შეაძლება? — მოესმა ნაცნობი ხმა და სანამ დუღანა გამოჩნდებოდა, ამ ხმამ თითქოს მისი სურნელება წამოაყოლა საწოლისაკენ.

დუღანა, ალბათ, უამრავ ხალხს ელოდა ოთახში, ჯაბას ნათესავეებსა და მეგობრებს. ან იმან გააკვირვა, რომ ცარიელი დახვდა ოთახი, ან თვითონ ოთახში. ჯაბასკენ როცა გამოემართა, უეცრად დაიხარა, თითქოს რაღაცის ქვეშ გაქვარაო. მერე უნებურად აშხედა ჰერს, გააღიმა საკუთარმა შეცდომამ. და ჯაბას ხელი გაუწოდა ისე შორიდან, მისი თითისწვერებილა შერჩა ხელთ ავადმყოფს.

დუღანას ნოდარი შემოჰყვა. მზემოკიდებული, გაბადრული. დიდი სიხარულისგან გამოწვეულმა უხერხულობამ ზარ-ზეიმით მისალმება გადააეწყვა, ჩაკოცნა ჯაბა და მერე ხუმრობით თმა ჩაუბღუჯა. ჯაბას წუთით ჩაუქრა დუღანას მოსვლით გამოწვეული აფორიაქება.

— სადა ხარ, სად დაიკარგე, ნოდარ!

— მერცხლებისგან განსხვავებით, ეგ ზაფხულობით მიფრინავს თბილ ქვეყნებისკენ და შემოდგომაზე ბრუნდება,

— გურამმა სკამი მიაწოდა დუღანას, თვითონაც გვერდზე მიუჯდა.

— ზღვაზე იყავი? — ჰკითხა ჯაბამ ნოდარს. — ჩამოჯექი საწოლზე, ჩამოჯექი, არაუშავს...

— ჰო, ზღვაზეც, — თქვა ნოდარმა და ჯაბას თვალი აარიდა: ისე მონატრებოდა მეგობარი, მორცხვობდა, როგორც ბავშვი უცნობ სტუმართან.

— კიდეც — სად?

— ჯაბა, შენ ნამდვილად იმ ღამეს ვაცივდი, — თქვა დუღანამ.

— კიდეც სად იქნებოდა, არ იცი? — გურამი ილიმებოდა, — ნავთის წყურვილი კლავს, რაც სამსახური დაიწყო.

— ჰო, — იმ ღამეს, დუღანა... მეგონა, შენც ავად ვახდი, და ვვავრობდი.

— მე ხომ მაშინვე გამოვიცვალე! — გულუბრყვილოდ წამოიძახა დუღანამ და პატარა სიფრიფანა ხელსახოცი ტუჩებთან მიიტანა.

— ნავთის წყურვილს ღვინოში ახრჩობენ ქართველი გეოლოგები, ხომ ასეა, ნოდარ... რაო, რა გამოიცვალე? დუღანა, რამე გამოიცვალე, თუ შენ თვითონ გამოიცვალე?

— გურამ, — გაიცინა ჯაბამ. — ჰე მგონი, შენ ხარ გამოცვლილი.

— ჰო, — დაუდასტურა ნოდარმა, — ცოტა კონიაკი დალია და...

— სცენარის მალარაჩი გეახელით!

— შენი სცენარის?! — შეკითხვას ჯაბამ საჩვენებელი თითიც გააყოლა ნოდარისკენ, — მაინც დაგაწერინა?

ნოდარმა თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად, თან მხრები აიჩეჩა: თითქოს ამბობდა, დაეწერე, მაგრამ არ ვიცი რა გამოვიდო.

— ეს ის პიანინოა? — მოესმა ჯაბას დუღანას ნაზი ხმა.

— ის არის... — და სწრაფადვე მიუბრუნდა გურამს, — რაზეა სცენარი?

— დუღანაზეა! — თქვა გურამმა, — ვიზე უნდა იყოს!

— კარგი რა, გურამ, — უსაყვედურა დუღანამ.

მაგრამ ჯაბას მოეჩვენა, რომ ეს მოგერიებას არ ჰვადდა.

— რაზეა, მართლა?

— თითქმის ბოკაჩოსავითაა დუღანას გადახედა გურამმა. მესხურ გვიდოს სოფელში, გზავნიან გზის მშენებლობაზე. აქ იგი შეხვდება სილამაზით სავსე მონა ლალდომინას და მასთან წოლის სურვილით აღივსება. მაგრამ რა დაინახავს, რომ გულუბრყვილო გოგო მძსავით ენდო და აინუნშიაც არ ჩააგდო მოსალოდნელი საფრთხე, ტყიდან უკან აბრუნებს ხელუხლებელს, და მისდამი დიდი სიყვარულის გრძნობით განიმსკვალება.

— ნოდარ?! — მეგობრისკენ გაიხედა ჯაბამ.

— დაახლოებით ასეა, — თქვა ნოდარმა.

— დაახლოებით კი არა, ზუსტად ასეა!

— იქ ტყე სად არის? — წამოიძახა დუღანამ.

— შენ უკვე წაგიკითხეს? — გაუკვირდა ჯაბას.

— წაიკითხა, მაგრამ დამიწუნა როლი, — ვითომ დიდი უბედურება შეემთხვაო, ისე გააქნია თავი გურამმა.

— რა შუაშია, დავიწუნე... გურამ, ხომ გითხარი, ინსტიტუტს ვერ გავაცდენ-მეთქი, და რაც მთავარია, რა მსახიობი ვარ მე?

— შენ თუ უარს მეთყვი, — უეცრად სიანჩხლე მოერიოა გურამს, მაგრამ ჯაბამ იცნო მისი ყალბი გაცხარება, — მე ამ სცენარს არ გადავიღებ... რას გავაცდენს, სულ ერთი თვით დაგვირდება ლექციების მიტოვება, სახელს გაითქვამ... შერე სხვებიც მივიწვევენ... ეს იქნება ამბავი დიდ სიყვარულზე, ადამიანს რომ აკეთილშობილებს, ავიწყებს ყოველგვარ უწმინდურებას, უქრობს ცხოველურ ინსტინქტებს, ამალღებს! და, ამას ვარდა, ფული არ გინდა? ნუთუ ასე მდიდარი ხარ? ნოდარ, ამოიღე ხმა, თორემ აგერ, ჯაბას ზღაპარს გადავიღებ შადრევნისა და გოგონას სიყვარულზე... არ წაგიკითხავს?

ჯაბა ერთბაშად წამოწითლდა, დუღანას მამებარ თვალებს წააწყდა.

— გადაიდე! — წამოიძახა დედანამ, — იცი, რა კარგი ზღაპარია?!

— და ითამაშებ? — დამიზნებული თოფის ლულეებით მიაშტერა თვალები გურამმა.

— ვინ გითხრათ ჩემი ავადმყოფობის ამბავი? — ზედმეტად მაღალი ხმით იკითხა ჯაბამ.

— რედაქციაში დაგირეკა გურამმა, — თქვა დედანამ.

ჯაბას ერთბაშად მოეჩვენა, რომ ფილმში დედანას მონაწილეობა სულ არ აინტერესებდა გურამს, უბრალოდ, ეს საბაბი იყო, რომ ნაცნობობა გაეგრძელებინა.

„დაახლოებულან კიდევაც. — გაუფლავა გონებაში, — „...მასთან წოლის სურვილით აღივსება“. როგორ თქვა ეს სიტყვები დედანასთან?“

დედანა სხვენზე გამავალ კარისკენ იყურებოდა. ალბათ, ფიქრობდა, იქ მეორე ოთახი იქნებოდა. შეიძლება მესამესაც გულისხმობდა, გურამმა თვალი გააყოლა მის მხერკას.

— წამო, ნახე, შენ არც იცი, სად ვართ ამ წუთში! — გურამი წამოდგა და დედანას მკლავში ხელი გამოსდო, აღექრო.

— სად ვართ?

— წამო, წამო, ვერც წარმოიდგენ.

ჯაბას ცივმა ოფლმა დაასხა. თვალწინ დაუდგა თუნუქის დაქანგული სახურავი, სხვენზე მიყრილ-მოყრილი, დამტვერილი წიგნებით სავსე ყუთები, ნავთქურა, გარდიგარდმო გაღებულნი ხის ძელები და მიწა, — ყველაფერი, რასაც წუთის შემდეგ დაინახავდა დედანა.

— რა კარგი რამის სანახავად შენ მიგყავს, — წაიბურღლუნა თავისთვის ნოდარმა.

დედანა წამოდგა, გაასწრო გურამს, ფარდა გადასწია ჩამინულ კარზე და მყისვე მოსცილდა. გამობრუნდა.

— ჯაბა, — თავს დაიდგა, დაჯდომას არ აპირებდა, — ჯაბა, შენ რაღაცას დაპირებინარ ბიძაჩემს...

— რას? — ჯერ გაუკვირდა ჯაბას...

— არ ვიცი, არ მითხრა.

...მერე ყველაფერი მოაგონდა. გუნება გაუფუჭდა მიხედა, რუკი დედანამ იცოდა, რასაც დაპირდა ზენედიქტეს.

— ჰო, ბიძაშენს.. ბატონ ბენედიქტეს ავად გავხდი და... — თავისი თავი შეჯავრდა ჯაბას.

მხოლოდ ახლა იგრძნო მთელი სიციხადით, რომ დედანა მოვიდა, მასთან, მის ოთახში, წყლის წვეთების ხმაც სწორედ ახლა მოსწვდა; დერეფანში ჩამოკიდებულ პირსაბანიდან აუტანელი თანმიმდევრობით ცვივოდა წვეთები მომინანქრებულ ვარცხლში. ახლა დაინახა ერთ ადგილზე გაგლეჯილი, ტახტზე გადაკრული შავი მუშაბაბა, საიდანაც ხის ყვითელი, დატყეპნილი ბურბუშელა მოჩანდა.

უეცრად მოეჩვენა, რომ გურამმა განგებ მოიყვანა აქ დედანა.

„წამო, ნახე, სადა ვართ?... ვერც წამოიხსენებ!“

„მასთან წოლის სურვილით აღივსო“... რამდენი წელიწადი უნდა გასულიყო, რომ ჯაბას ამ სიტყვების თქმა გაეებდნა დედანასთან.

— ჟაკეტი რა უყავი, ამხანაგო? — ჰკითხა მოულოდნელად გურამმა და, როცა ჯაბას გაოგნებულ მხერკას წააწყდა, ყასიდად დაექანდა: — ეგრე კარ არ არის საქმე. ჭალის ჟაკეტებს რომ იცვამ და ქუჩებში დასერილობ!

„უთქვამს დედანას! რატომ უთხრა?“ — ნოდარი ისე შეჰყურებდა გურამს, თითქოს პირველად ხედავდა. მისი ღია თაფლისფერი თვალები რაღაც მოულოდნელ ფიქრს გაეშვებინა.

— მე წავალ! — თქვა უცხად დედანამ, ტელეტის მაგიდასთან დაინარა და სარკეში ჩაიხედა.

„ალბათ, უკანასკნელადაა ამ ოთახში, პირველად და უკანასკნელად, აღარასოდეს მოვა“.

— რა გეჩქარება, დედანა!

— წავალ, კრება გვაქვს ინსტიტუტში, ჯაბა, მამატიე, ხელცარიელი მოვედი.

დედანამ მკლავები მაღლა ასწია, თმის სწორება დაიწყო, და თითქოს მთელი

სხეული მკლავებს აჰყვა, სიმბივით დაეჭიმა წვივები, თრთოდნენ უთქმელი მუსიკით აესებულნი.

— შენ ვერ წახვალ მანამ, სანამ პასუხს არ მომცემ, — განუცხადა გურამმა.

— მე, ჭერჭერობით, დავდივარ იქ, სადაც მინდა და მაშინ — როცა მინდა, — გაიღიმა დუდანამ.

გურამმა თეატრალურად გაშალა ხელები:

— აი, აი, ... სწორედ ასეთი ხასიათის შექმნა მინდა ფილმში, ეს კი...

— ეს არ იყო გულუბრყვილო გოგონას პასუხი, — შეინშნა დუდანამ, — მე თვითონ შემრცხვა, ისე უტიფრად გიპასუხე.

— ესეც მე ვარ?! — ხელი დუდანასკენ გაიშვირა გურამმა და ასე დარჩა გაჭიმულ-გაშეშებული, მერე თითქოს ამ გაშეშების სავალდებულო დრომ გაიარაო, მოდუნდა და უეცრად გურამი დადბლდა თითქოს — ხომ შეგრცხვა საკუთარი სიტყვების?

— მე ვერ ვხვდები გურამ, რისი დამტკიცება გინდა შენ! — ცოტა აგდებულად გამოთვიდა ჯაბას.

— მე ვამტკიცებ, რომ სრულიად ზედმეტი ხარ ამ კამათში! — წამოისროლა გურამმა.

— და ვინ არ გიჯერებს? — ჯაბა ცდილობდა, მშვიდ კილოს დაბრუნებოდა.

— ვაი, თუ თვითონ ხარ ზედმეტი, გურამ! — წამოსცდა ნოდარს და უნებურად თვალი შეავლო დუდანას, თუმცა ჩაფიქრებული ჰქონდა, ამ სიტყვების წარმოთქმისას არ გაეხედნა მისკენ. წამოსცდა და სულ სხვა არხში მიუშვა ბიჭების ფიქრი.

— შეიძლება, მაგრამ მე ყველაფერს ვეცდები, რომ საჭირო გავხდე, — გაუგო გურამმა და სიგარეტს ასანთი წაუკიდა.

— იქნებ ცაში უკვე გადაწყვეტილია ეგ ამბავი და ჩვენ არაფერი არ ვიციოთ? — მხოლოდ ჯაბა არ უყურებდა დუდანას.

— მოვა დრო და მე დავეკითხები ცას, — თქვა გურამმა.

— ჯაბა, შენ იქნებ უკვე უსაუბრე ცას? — გაიღიმა ნოდარმა.

— მინდოდა მეკითხა, — ჯაბა სასთუმალისკენ აიწია — მაგრამ მოიღრუბლა, წვიმა წამოვიდა...

დუდანამ ყურები ცქციტა.

— შეუბრალებიხარ, ჯაბა, თორემ გულისგამგმირავ ამბავს შეიტყობდი ცისგან, დამიჯერე. — თქვა გურამმა.

— დაგიჯერო? შენ რა იცი?

— ვატყობ; კინორეჟისორები კარგად იცნობენ ცას. ცაზეა დამოკიდებული მათი ბედ-იღბალი, სხედან და აჰყურებენ, ელოდებიან მზის გამოჩენას!

— და მერე როგორი პირი უჩანს?

უეცრად დუდანამ მთელი ოთახი გაიარა სწრაფი ნაბიჯით და კართან შეჩერდა.

ბიჭები გამოფხიზლდნენ. ახლა მოაგონდათ, რომ დუდანას შეეძლო ადვილად ამოეხსნა მათი, ვითომდა, ქარაგმული ლაპარაკი. და თითქოს ამის შემოწმება უნდაო, გურამმა დაუყოვნებლივ ჰკითხა, როგორც უმტიცივეულო, ჩვეულებრივი საუბრის გაგრძელება:

— შენ რას იტყვი, დუდანა?

— რაზე?!

— მზეზე. — ამხანაგებს გადახვდა გურამმა, — ცაზე...

— მე ვიტყვი, რომ მზე რეჟისორებსა-სათვის კი არ ამოდის, უპირველეს ყოვლისა, ამოდის მისთვის, ვისაც ყველაზე ძალიან სცივა.

— მაგრამ მზემ თუ არ იცის, ვის სცივა?

— მზემ ყველაფერი იცის, — დიდი თვალები მიმოავლო თითოეულ მათგანს, — ყველაფერს ხედება! ნახვამდის. — უეცრად დაბრუნდა. დაიხარა და ჯაბას ყურში წასჩურჩულა, — მორჩი მალე.

დუდანა წავიდა.

— ახლა თქვით, რომელს გიყვართ ეგ გოგო! — ნოდარი წამოდგა და პიანინოს მიუჯდა.

სინემე ჩამოვარდა. ნოდარმა სახე-

რავი ახლა საკრავს და მარჯვენა ხელით დაკვრა დაიწყო.

— არცერთს არ ვიყვართ? — ნოდარმა მეგობრებისკენ გამოიხედა, — თუ ორივეს? — და ისევ პიანინოს მიუბრუნდა. უკრავდა ფრთხილად, თითქოს დაკარგულ მელოდიას ეძებდა.

გურამმა ისევ სიგარეტის კოლოფი ამოიღო. ჯაბამ ხელი გაუშვია, მომაწევინებო. როცა ავადმყოფს ასანთს უკრებდა, გურამს ძალუნებურად წამოსცდა:

— ჯაბას უყვარს! — და მერე აზრი აღარ ჰქონდა გაჩუმებას, — მაგრამ რცხვენია. ჩვენ, მეგობრები, ვალდებულნი ვართ, არ შევბღალათ მისი კდემამოსილება!

— ეგ არავის საქმე არ არის! — ჯაბა სწოლზე წამოჭდა, ოდნავ გაფითრებული იყო, — მე მხოლოდ ერთი ამბავი მაინტერესებს, — ბევრჯერ გადმოგიფრქვევია დუდანასთან ისეთი მარჯალიტები, როგორც დღეს წამოგაკვივდა პირიდან?

— თუ არ ვცდები, მგონია მლანქაღ. — დუდანა რომ აქ იყო, შენ თქვი: „მასთან წოლის სურვილით აღიესო...“ მე მაინტერესებს, საიდან გაგიჩნდა შენ ეს სითამამე?

— რა შუაშია სითამამე?! — გაოცდა გურამი, — უბრალოდ, ასეა სცენარში.

— კი, მაგრამ შენ მშვენივრად იცი, რომ მაგის თქმა სხვა სიტყვებითაც შეიძლება!

ნოდარმა, როგორც იქნა, ააწყო მელოდია, ნაღვლიანი, მექსიკური სიმღერა იყო. ჩემად უკრავდა.

— შენ მართლა ავად ხომ არა ხარ?! — აიფხორა გურამი. — რა სხვა სიტყვებით უნდა მეთქვა, როცა დუდანას სამჯერ აქვს წაკითხული სცენარი.

— და ზუსტად ასე სწერია?... ნოდარ?! —

— აა—რაა! — წაიშლერა ნოდარმა მექსიკური მელოდია, დაძაბულობის გაქარწყლება უნდოდა.

— ბოლოსდაბოლოს, ბავშვი ხომ არ

არის დუდანა? რა, პირველად ესმის თუ? — უსამართლოდ დასჯილს ვაგონებდა გურამი.

— მეც მაგას გეკითხები; პირველად უთხარი, თუ ადრეც დაგიტყბია მისთვის სმენა.

— საოცარი ხარ პირდაპირ, დუდანა გგონია ათი წლის ბავშვი, ახლა რომ წავა და დედას ჰკითხავს: „დედა, დედო, რას ნიშნავს მასთან წოლის სურვილით აღესება?“

— კი, მაგრამ შენ ხომ ამტკიცებ, რომ დუდანა გულუბრყვილო გოგოა, შენ ხომ სწორედ მაგან მოგხიბლა, როგორც ამბობდი; „თავის თავს ითამაშებო“?

ნოდარი წამოდგა, სკამი წინ დაიდგა, ხელებით ზედ დაეყრდნო და წინ გადაიხინჯა.

— ნება მომეცით, ჩემი აზრი გამოვთქვა, — პარადიული ოფიციალობით დაიწყო მან, ამ კილოს მოშველებით ახლა დაძაბულობის შენელება კი არა, თავისი სათქმელის შერბილება უნდოდა, — მე, როგორც დიდად გამოცდილსა და დაკვირვებულ მწერალს, არ გამომჩინია ამ ინციდენტის ფსიქოლოგიური დეტალები, დიას, ვიმედოვნებ, რომ არ გამომჩინია როგორც სტატუსტია ვეაუწყებს, თქვენ, ჯაბა, აგრეთვე, გურამიც, მხოლოდ სამჯერ, თუ ითხზერ შეხვედრიხართ დუდანას, ეს გარემოება...

— ამხანაგურ სასამართლოს მიწყობით? — ცივად გაიცინა გურამმა.

— ეს გარემოება-მეთქი, მაფიქრებინებს, რომ გურამი ვერ შეხვედრებდა ბილწსიტყვაობას ასეთ მშვენიერ გოგონას. თუმცა, შეიძლება, სურვილი ჰქონდა ამისა. რატომ ჰქონდა სურვილი? ამას ქვემოთ განვმარტავთ. საოცარი რამაა ბილწსიტყვაობა...

— თუ ნამდვილ სასამართლოს?! — კვლავ ცივად გაიღიმა გურამმა, — მოცილები ხართ, — და ხელი ჩაიქნია.

— საოცარი რამა-მეთქი, ბილწსიტყვაობა, — განაგრძობდა ნოდარი, — აქ, მეგობრების წრეში, მშვენივრად

ვინას თანდასწრებით, ვითომ შემთხვევით წარმოთქმული, ვითომ საქმის გულისთვის, ვითომ სხვათა შორის, ვითომ არაფერი და... შეხვდება იმ მშვენიერ ვოგონას, დამარტოხელებს, და მასთანაც ვაიმეორებს, რადგან უკვე უფლებდა აქვს მოპოებული, ფსიქოლოგიურად ვოგონა უკვე ველარ შეიცხადებს, ველარ გაეცხავს, რადგან პრეცედენტი იყო. ბილწ სიტყვებთან შეგუება კი დათესავს, გააღვივებს და თანდათანობით აღმოაცენებს ბილწ საქციელს. აი, რა საოცარი რამაა, ამხანაგებო, ბილწსიტყვაობა. ჩვენც მსგავს შემთხვევასთან უნდა გვეკონდეს საქმე; გურამმა მოსინჯა ნიდაგი, რომლის...

— შეიძლება გადავდოთ სასამართლო? — წამოიძახა გურამმა, — მეორე მხარემ, რომელიც სინათლეს შეიტანდა ამ ამბავში და ენას დაუმოკლებდა პატივცემულ ბრალმდებელს, დასტოვა დარბაზი!

— ...რომლის განაყოფიერებას შემდეგ შეეცდება, — დაამთავრა სათქმელი ნოდარმა.

— საერთოდ, შეიძლება, დაგტოვოთ? — წამოადგა გურამი და საათზე დაიხედა, — სულ დამავიწყდა, ექვსის ნახევარზე სტუდიის დირექტორთან ვარ დაბარებული! — მაგრამ ბოლომდე ველარ გაითამაშა სრულიად დამშვიდებული ადამიანის როლი, და იფეთქა, როცა ისიც იყო ოთახიდან უნდა გასულიყო, — დედაკაცები ხართ, კორიკნები შენ, ჯაბა, ნამდვილად ავად ხარ, მხოლოდ აქ კი არ უნდა იწვე, აი, — იქ, — ყურთუკულმა გაიჭნია ცერა თითი, — მტკვრის გაღმა რომ საავადმყოფოა, ვასაგებია?

— კარგი, რას ყვირიხარ, რა დაგეშართა? — აღუღლულდა ჯაბა. შეწუხდა, მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდათ.

— შენ რა დაგეშართა, თორემ მე მშვენიერად ვარ!

— კარგი, ჩათვალე, რომ ეს ჯერობა იყო.

— ოჰ, ოჰ, ოჰ, რა ბრწყინვალედ გამოძვერი! პირდაპირ გენიალური ფსიქოლოგი ხარ, საქონელივით აბამ ხალხს, — უეცრად ნოდარს მიუბრუნდა. — შენც კარგი საქონელი ხარ!

— იეპირე სხვებთან! — მიუგო ნოდარმა.

— პატიება ხომ არ გთხოვოთ? — ჯაბა გააცხარა „ბრწყინვალედ გამოძვერი“-მ.

— მეკითხები კიდეც. რასაკვირველია, უნდა მთხოვო, თუ გინდა დაევიწყო, რომ ნორმალური ხარ!

— მაშინ ჩვენ შევხვდებით იმ საავადმყოფოში, მტკვრის გაღმა!

გურამი შეტრიალდა და დერეფანში გაეშარდა.

ნოდარი და ჯაბა დიდხანს დუმდნენ.

— ნოდარ! — ხმა ამოიღო ჯაბამ, იგი კარს გაჰყურებდა, — ხომ არ მომეჩვენა მე ყველაფერი?

— არა მგონია.

— ვაი, თუ ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მტყუანი ვიყავი გურამის წინაშე.

— რატომ?

— იქნებ ჩემი ექვიანობის ბრალია ეს, იქნებ გულში არაფერი ცუდი არ ჰქონია გურამს, იქნებ დუღანაც არაფერია მისთვის.

— მაშინ...

— იმიტომ მგონია, რომ ასე გაბრაზებული არასოდეს მინახავს გურამს. ახლა ნამდვილად გაბრაზებული იყო, მე ხომ ვიცო...

— ყველა ადამიანი ნამდვილად ბრაზდება, როცა არასასურველ სიმართლეს მიახლოები!

— ზედმეტი მომივიდა! — თქვა ჯაბამ.

## შესანიშნავი ფოტოსურათები



გაიგეგმა

ვაგონის კუბესავით ვიწრო ფოტო-ლაბორატორიის კედლები სურათებით იყო დაფარული — საღლაც, ცაში და-კარგული კიბეები და საფეხურებზე და-მზობილი თიღბოსი — ზაქარიაძე, მო-მხიბვლელი ვივიენ ლის პორტრეტი „ვა-ტერლოს ზიდიდან“, რაჭ კაპური, სა-ფრანგეთის ეროვნული კრების დეპუ-ტატი ედგარ ფორი, მელდლითურთ, სვეტიცხოველის ტაძართან, ვარაზისბე-ვის მშენებლობა მეკარესთან პირის-პირ ვასული პაიჭაძე და მიმოფანტული მცველები. ეს ფოტო ძალიან უყვარდა ჯაბას. ამ ფოტოსურათის დანახვისას ხშირად ახსენდებოდა აღფრთოვანების ერთი წუთი:

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე საბჭოთა კავშირის სპორტაკიდა ტარდებოდა. დაღამებამდე გასტანა შეჯიბრებამ. აცივდა. სქელი ნისლი ჩამოწვა მოედანზე. ბინდში გაეხვია სტადიონი. ჯაბა სამხრეთ ტრიბუნაზე იჯდა. ყველაზე კარგად ეს მხარე იყო განათებული ელექტრონით. ბირთვისა და ბადროს მტყორცნელები, შუბოსნები, მორბენ-ლები ლანდებივით გაფანტულიყვნენ მთელ მინდორზე და ვარჯიშობდნენ გამოძახების მოლოდინში.

უეცრად ჯაბას შურა ადამიანის სხე-ულის განსაცვიფრებლად ლამაზმა მო-ძრაობამ მიიტაცა. ქვემოთ, მოედანზე, მიქროდა კაცი, შიშველ მუხლისთავეებს უჩვეულოდ მდლა ისროდა. მიქროდა წინ, ტანი კი უკან გადმოხეჩილიყო. მარჯვენა ხელი ყურთან მიეტანა, თითქოს შემხვედრი ქარის სისინს უსმენდა, მარცხენა ცისკენ აბრუნებული ხელის-გულით თითქოს ღმერთს გამარჯვებას თხოვდა. ეს ჰგავდა ველურ ცეკვას; აღ-ტყინებულ, თავაშვებულ ზეიმს, თავ-ზარღამცემი სიხარულის პირველ წუთს; როდესაც ადამიანმა მოულოდნელად ორ ფეხზე გაიარა... ჯაბა წუთით გაოგნ-და; ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა. მოედნის თავზე, ელექტრო სინათლით გაბაცებულ ნისლში, გრძელმა შუბმა

გაიგეგმა და მოედნის სიბნელეშივე ჩა-კარგა. მხოლოდ მაშინ მიხვდა ჯაბა, რომ „მოცეკვავე ველური“, შუბის-მტყორცნელი სპორტსმენი იყო. თვით შუბი ბინდში ვერ დაინახა ჯაბამ, და ამ გამჭრალმა „ზედმეტმა“ დეტალმა ხე-ლოვნებად აქცია სპორტსმენის ჩვეუ-ლებრივი მოძრაობა. ალბათ, ოდესღაც, ასე იქცა ბრძოლა ცეკვად. შუბი რომ შეემჩნია ყურადღებასაც არ მიაქცევ-და ჯაბა. ალბათ ხელოვნებაში შუბები არ უნდა ჩანდეს, უნდა იგულისხმებო-დეს. პაიჭაძე უბურთოდ ჩანდა სურათ-ზე და მისი მოძრაობაც გმირი მეომრის ცეკვას ჰგავდა.

ჯაბამ გამაღიღებელი აპარატის ქვეშ სუფთა ქალაღი დადო და ნეგატივის ოთხკუთხა გამოსახულებას ფოქუსი დაუწმინდა. მერე წითელი სინათლე აანთო და შავი ქალაღის პაკეტს პირა ვადაუხია.

„რამდენი ზედმეტი სიტყვა ვუთხა-რით გუშინწინ ერთმანეთს... ყველაფე-რი ზედმეტი ამახინჯებს ცხოვრებას; ზედმეტი სიტყვა, ზედმეტი ფულიც კი! ზედმეტი სიყვარული?... ზედმეტი თავ-მდაბლობაც არ ვარგაო, მითხრა ვიო-რ-გიმ... ზედმეტი სიჩუმე? სიჩუმე სიჩუ-მეა, არაფერი არ ისმის... შეიძლება, უფრო მეტად რომ არ ისმოდეს არაფე-რი?... ის სიჩუმე არ არის. ის უკვე ღუ-მილია!“

გამამელავნებელ სითხეში ჩაყრილ ფოტოქალაღებს თეატრის დარბაზი-ვით ნელნელა ეპარებოდა სიბნელე და განათებული რჩებოდა მხოლოდ სცენა: — ქალაქის ახალი მშენებლობის საერ-თო ხედი, უზარმაზარი ამწე-ონკანი, რომლის ისარზე მზე ჰკიდია, რაიღამა-კომის საბინაო განყოფილების გამგე, ბენედიქტე ზიბზიბაძე, ახალდამთავრე-ბული საცხოვრებელი სახლის წინ!

ჯაბამ წარმოიდგინა: ახალ ბინაში შე-პყავს დუღანა. „ისე ჩამწყდა გული, ჯა-ბა. იქ, შენს სხვენზე რომ მოვედი, ხომ ვახსოვს? ისე ცუდ გუნებაზე დავდგე-

ქი...“ „რა სისულელეა — უთხრა ჯაბამ, — იქ როგორ გაცხოვრებდი. ჩვენ შეიძლება ვაგვეძლო, მაგრამ ბავშვი? ბავშვს ერთი ზაფხულიც დაასწულეზღა, ჩვენი სხვენის ერთი ზაფხული.“ „გეყოფათ ამდენი ლაპარაკი, — თქვა დედამ, — მომეხმარეთ, ბარგი შემატანინეთ!“

„მეც თავზარი დამეცა, დუდანა, გვბრაზდი გურამზე, რატომ მოიყვანამეთქი... ვფიქრობდი, ეს რომ არ მომხდარიყო კიდევ დიდხანს შემეძლო დამეძალა შენთვის ჩემი სიღარიბე.“

„ჰო, ჯაბა, ჩვენი დაქორწინება შეუძლებელი გახდებოდა, განა იმიტომ, რომ აღარ შეეყარებოდი... დავიტანჯებოდი, ბედნიერების ნაცვლად.“

„ჰოდა, ამიტომ გამოვაქვეყნე... შენც ხომ ხელები, რომ სხვა გზა არ მქონდა. მეშინოდა, ხელიდან არ გამომივლოდი, ვინმე არ გადაგყროდა, შენ ისეთი მიმნდობი გული გაქვს, ისეთი დამყოლი ხასიათი...“

„ვიცი, თორემ მაგას როგორ ვააქეთებდი. თუმცა ასე რატომ განიცდი, გაინხელ-გამოიხედე, რას არ აკეთებენ, რას არ კარგულობენ ზოგიერთები.“

„მე მხოლოდ შენთვის ვადავდგი ეს ნაბიჯი, პირველი და უკანასკნელი...“

„კიდევ თუ დაგჭირდა?... ჩემთვის, ჩემი გულისთვის?“

„აღარასოდეს! ეს ერთი იყო...“

ჯაბამ სველი სურათები ონკანის მომინანქრებულ ნიჟარაში ჩაყარა და ზედ წყალი მიუშვა. ბენედიქტეს ზორბა ფიგურა წყლის ნაკადმა ჩაზნიჭა ბენედიქტი გვერდზე გასრიალდა, პირდაპირ თავბირში სცემდა ქავლი.

„სად დავბეჭდო? გიორგის ვერ შევბედავ, ალბათ იცნობს, ალბათ იცის, რა კაციც არის. სადმე გაზეთში უნდა წავილო. ოქნებ გაზეთშიც იციან ბენედიქტეს ამბავი? სისულელეა... თუ ყველამ იცის, როგორაა აჩერებენ იმ ადგილზე? ჯერ არავე არ იცის ალბათ, ჰოდა... მეც არაფერი არ ვიცი. მარტო დედაჩემის სიხარული რად ღირს!“

„ამ ბინის ხელში ჩაგდება უნდა, იმი-

ტომ ვადმომიყვანა აქ!“ — გაასწენდა დუდანას ნათქვამი.

ის ცოცხალ-მკვდარი მტრუც ვაგასწენდა, საბნინდან მოჩვენებასავით ამომძვრალი. თითქოს საბანქვეშ გაჩნდა, იქ გაიზარდა, ამოყო თავი და ახლა ქენება, კვდება, ისევ საბანქვეშ ჩაიმალება ხვალ, თუ ზეგ.

„მე არაფერი არ ვიცი, მე სულ არაფერი არ ვიცი. მე ვაგაცეთე ფოტონარკვევი რაილმასკომის მუშაობის შესახებ. ქალაქის ახალი მშენებლობის შესახებ!“

— არსადაც არ მივიტანი! — თქვა ხმაშალა, თითქოს ვინმეს ეკამათებოდა, — „არსად. მე თვითონ ხომ ვიცი, რომ ყველაფერი ვიცოდი. ახლავე დავფრეწი!“

კარზე დააკაკუნეს.

— მე ვარ, ჯაბა, ლიანა, ვილაც გირეკავს!

— უთხარი, ათი წუთის შემდეგ დარეკოს, არ მცალია ახლა! — გასძახა ლაბორატორიიდან.

ონკანი დაეკრა. მაგიდაზე გაზეთი გაშალა და სველი სურათები ზედ დააღვა გასაშრობად. ელექტრო-ლუმენი ჩართო, რომ ოთახი გამთბარიყო. სინათლე ჩააქრო.

დერეფანში ვიტალი დინახა, რაღაც ქალაღი ევირა ორივე ხელით და კითხულობდა. ისე ნელა მოიწვედა მისკენ, თითქოს წყლით სავსე ჭიქა მოჰქონდა და შიშობდა, არ დავღვაროო. ჯაბა განზრახ შუა დერეფანში დადგა. ვიტალი მოახლოვდა, მოახლოვდა და ზედ ჯაბას ცხვირწინ შედგა. მაგრამ თავი მალა არ აუღია, ისევ იმ ქალაღს კითხულობდა, როცა გადაფურცლა, მხოლოდ მაშინ აიხვდა წამით მალა, ისევ ჩარგო თავი, კითხვა განაგრძო და მერე ერთბაშად წამოიყვირა კიდევაც, გადაეხვია კიდევაც ჯაბას, ნჭლრევაც დაუწყო ასეთი სასაცილო შეხვედრით გამხიარულბულმა.

— ჯაბა, ძვირფასო, სადა ხარ... დღეს მივეფრინავ, გამოსამშვიდობებულად მოვედი, გუშინწინაც შემოვიარე, ავად არი-

სო, მითხრეს, შინ ვაპირებდი შემოვლას.

— შენ თვითონ სად დაიქარგე?

— რა ვიცი, მოვიარე საქართველო: ქუთაისი, მესტია, ბორჯომის ხეობა. დღეს მიფერინავ და აგერ, ცოლის წერილი მომივიდა.

— წამო, შევიდეთ, — რედაქციის განყოფილების ოთახისაკენ გაიყოლია ჯაბამ.

— იცი, მოსკოვში თოვლი მოსულა! — ისევ წერილს დახედა ვიტალიმ.

— ცოლი იწერება?

— არა... შეხედე!

ვიტალიმ წერილი გაშალა და თვალთან ახლოს მიუტანა, ჯაბას ეუბერხულა შიგ ჩახედვა, თავი შორს დაიჭირა.

— ნახე, ნახე, რა არის!

ჯაბამ ჩახედა. რვეულის ორფურცლიანი ქალაღდის ბოლო გვერდზე დაღრეცილი მრავალსართულიანი სახლი იყო დაბატული. მაღალი შილი უზარმაზარი, ხუთქიმიანი ვარსკვლავით თავდებოდა. სახლის ფანჯრები სამი-ოთხი სართულის სიმაღლეს უტოლდებოდა,

ვარსკვლავი თვით შენობასაც არ ჩამოუვარდებოდა სიდიდით. ქვემოთ, ქუჩაში, ავტობუსის, თუ ტროლეიბუსის მსგავსი დაკლანძვილ-დაგრეხილი კოლოფები მიქროდნენ, ყანჩებივით გრძელფეხებიან ადამიანებს ნაბიჯი რომ გადაეღვათ, მთელ მოედანს გადაეცვლებოდნენ. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ნახატი სულ წერტილებით დაეჭორფლათ. ვარსკვლავიდან დაწყებული ქვაფენილამდე.

— ვასიას ნახატია, ჩემი ბიჭის, — იკრიბებოდა ვიტალი, — ცოლი არაფერს არ იწერება თოვლზე. ამ ნახატიდან მიეხვდი, რომ თოვლი მოსულა!

— იქნებ შარშანდელი თოვლი დახატა ამ ამხანაგმა? — გაიცინა ჯაბამ.

— არა, პატარა იყო... ამას გარდა, მხოლოდ ნატურიდან ხატავს ამხანაგი! განყოფილების ოთახში შევიდნენ.

— ვილაც გირეკავდა, ჯაბა, — თავი ასწია შოთამ.

— ვინ იყო?

— არ ვიცი, ვილაც კაცი იყო, ამ წუთში დარეკავს.

— კაცი?

— შეიძლება ქალი იყო, მაგრამ კაცს დარეკვინა შენიღბვის მიზნით. — დაიმიედა ვახტანგმა.

— დაქვეი, ვიტალი, როდის მიფერინავ? გაიცანი, ჩემი მეგობრები არიან რედაქციის თანამშრომლები...

— დღეს, ხუთ საათზე... ჩვენ უკვე დავმეგობრდით, — გაუღიმა ვიტალიმ შოთასა და ვახტანგს.

— გაგაცილებ!

— რა საჭიროა.

— ფერადებსაც იღებდი?

— კი.

— ჩვენ ხომ გამოგვიგზავნი?

— კი. უკვე შევეუთანხმდი პარტიკულ გიორგის... ჯაბა, უნდა დამეხმარო, მამო, შენ იცი, რომ თბილისი გადაუღებელი დამირჩა? ვერ მომისახრებია, რა ვუთხრა ჩვენს რედაქტორს, ნოემბრის ნომერში ადგილი დატოვებული.

— როგორ, გადაუღებელი! იმ დღეს ხომ საღამომდე ვიარეთ...

— მაგრამ ძველი თბილისი გადავიღე მხოლოდ. ამ სიძველეს არ დაბეჭდავენ, თუ ახალი ქალაქიც არ შექნა. არ ვიცი, რას მეტყვიან მოსკოვში, მაგრამ მომხვდება და ეგ იქნება.

ჯაბას გული გადაუტრიალა დენივით გარბენილმა ფიქრმა და სწორედ ამ დროს ამოტივტივდა ოთახში ბატონი ანგია. წარბებქვეშიდან გამოჰყურებდა ჯაბას, თითქოს ელოდა, რა პასუხს გასცემდა ვიტალის.

— ჯაბა, აქ დღეს უფრო იმიტომ მოვედი, რომ რამე მიშველო. — ვიტალი ნიდაყვებით დაეყარნო მაგიდას, — მომეცი, რაც გაქვს!

— მეე?! — ჯაბას ბატონ ანგიასკენ გაქცა თვალი, — მე რა უნდა მჭონდეს, მე... ჩემი გადაღებული თქვენ არ გამოგადგებათ.

— მომეცი, რაც გაქვს! ისე გავამქლავნებ ფირს, შენი მოწონებული...

— მე?

ბატონი ანგია გვერდზე იხედებოდა

ვითომ არც უსმენდა. მაგრამ ჯაბა გრძნობდა მისი ყურების საოცარ სიგრძეს.

— ნახე და თუ რამე მოგეწონება...

— დაყარე! — გაეხარდა ვიტალის, — ვიტყვი, მშვენიერი ფოტოები ჰქონდათ და მე რატომღა გადამელო-მეთქი, — ვიტალიმ საათზე დაიხედა, — აბა დაყარე!

— აქ არა მაქვს!

— შინ?

— არა...

ტელეფონმა დარეკა. ყურმილი ვახტანგმა აიღო.

— ახლავე! — თქვა მან, — ჯაბა, მგონი, ის კაცია!

როცა ჯაბა ტელეფონთან მივიდა, ყურმილი ბატონ ანგიას ეკავა ხელში, საჩვენებელ თითზე გაედო სასწორივით, ყურმილი შეუმჩნევლად ქანაობდა.

— გისმენთ! — ჩასძახა ჯაბამ.

— გამარჯობა, ყმაწვილო! — მოისმა წვრილი, მზიარული ხმა, — რატომ დაგვეკარგეთ, ასე უნდა?

— ვინ ბრძანდებით?

— თქვენი შონა-მორჩილი.

— ვერ გიცანით.

— არც მიკვირს; დაიკარგეთ და დაიკარგეთ. სიტყვის შესრულება ასე იცით ახალგაზრდებმა?

ჯაბა მიხვდა, ვინც იყო.

ბატონი ანგია ისე იღიმებოდა ისეთი ნეტარება ჩანდა მის სახეზე, თითქოს დამთრობელი ჰანგის მოლოდინში გატვრენილიყო.

— გამარჯობათ... გიცანით!

— მადლობა ღმერთს! კიდევ გამარჯობა შენი... აქ შენი საქმე კეთდება და თვითონ არხეინად დასეირნობ, დუღანას არაფერი არ უთქვამს?

— დუღანას? არა!

— თქვენი ბინის საქმე თვითონვე გაგიფუჭებიათ; თუ მამა სამხედრო გავედა, ისიც ფრონტზე დაღუპული, რატომ სამხედრო მოსამსახურეთა სიაში არ შეატანიეთ თქვენი გვარი?

— მანდ იცოდნენ... მანდ ყველაფერი იცოდნენ, დედა ხომ დადიოდა.

— იცოდნენ. იცოდნენ... შე-უნდა მცოდნოდა, გენაცვალე, ხომ იცი, დიკენსი რას ამბობს: «Напротив висит Спрингис стояла в дверях!»

„გამოუტანია დიკენსი!“ — გაუელვა ჯაბას.

— ჰოდა, ჩემო ბიჭუნა, — განაგრძობდა ბენედიქტე, — მე ყველაფერი მოგიგვარეთ, სამხედროების სიაში გადაიტანეთ, ახლა საქმე დაჩქარდება, ოღონდ ზოგიერთი ცნობები გვინდა, პირადად შენგან! ხე, ხე... გამოიარე!

— აუცილებლად, პატივცემულო ბენედიქტე... — როგორ წამოსცდა სახელი! ბატონ ანგიას თვალები უბრწყინავდა, — აუცილებლად, დიდი მადლობა!

— მე როდისღა გეტყვი მადლობას? — ბენედიქტე ჩაჩუმდა.

კარგახანს შოლდა დამუნჯებული ყურმილი ტელეფონის ხაზი, რედაქციიდან ბენედიქტეს კაბინეტამდე, მოთმინებით ელოდა, რომ ჯაბას პასუხი გაეტარებინა.

— თქვენ... თქვენ სამადლობელი რა გპირთ!

— შეც მავას ვჩივი, რომ არ მჭირს, — გადაიხარბარა ყურმილმა.

— მალე... ერთ თვეში, — ჯაბას მოეჩვენა, რომ დაპატარავდა, დაპატარავდა როგორც ბავშვობისდროინდელი კაცუნა პატეფონის მემბრანის ვერცხლისფერ მილზე... ბატონ ანგიას ფესსაცმელებს შორის დაბორილობდა, ყურმილის ზონარი დაქიმულიყო და ფეხისწვერებზე იწეოდა, რომ ასწვდენოდა.

თავისი მაგიდასკენ გაემართა.

— ჯაბა, ძმაო, მაგვიანდება! — საათზე დაიხედა ვიტალიმ, — თუ რამე გაქვს, ამოყარე!

— წავიღეთ!

როცა კარისკენ გაემართა, ბატონი ანგია თავის ადგილზე აღარ იჭდა.

ფოტო-ლაბორატორია უჩვეულოდ დამთბარიყო. ვიტალი ზედიზედ იღებდა გაზეთზე-გაფენილ, უკვე გამშრალსა და გაღუნულ სურათებს. მაგიდის კიდეზე ასწორებდა და წარა-მარა იძახდა: „შესანიშნავია, შედეგამოჭრილია... სწორედ ის არის, რაც მინდოდა... შესანიშნავია,

ზედგამოჭრილია, სწორედ ის არის...“  
 ჰერე ხუთი ფოტო ამოარჩია და ჯაბას  
 ავტოკალამი გაუწოდა.

— წააწერე; ვინ ვართ, სად ვართ,  
 რას ვაკეთებთ, რაც შეიძლება დაწვრი-  
 ლებით.

ჯაბა უსიტყვოდ დაემორჩილა.

— მხოლოდ რუსულად!

— რა თქმა უნდა.

ჯაბას ხელი უკანკალბდა.

ვიტალიმ პორტფელი გახსნა და სუ-  
 რათები შეინახა.

— ესეც ასე! — მერე პიჯაკის ჯიბი-  
 დან ცოლის წერილი ამოიღო და ისიც  
 პორტფელში ჩაავდო. ჯაბამ თვალი მო-  
 ჰკრა.

— მე კი ბიძაშენის წერილი მეგონა.

— ბიძაჩემის წერილი მოსკოვში და-  
 მხვდება ალბათ.

— წავიდა უკვე?

— კი, ცოლი მწერს. სუეცის არხში  
 დაპყავს გემები, მსოფლიოს ყველა გე-  
 მი...

— ძალიან დაცემარეთ ნასერს.

— დასახმარებელი აწია, — თქვა ვი-  
 ტალიმ, — საფრანგეთმა კვიპროსზე გა-  
 დასხა ჯარები!

— საფრანგეთმა?

— ჰო, ვითომდა ეგვიპტეში მცხოვ-  
 რები ფრანგები არ გაგვიწაყვედნონ ის-  
 რაელის ჯარებმაო... ჰო, მართლა, ჯაბა,  
 ამ ფოტოების ნეგატივიც უნდა მომცე!

— ნეგატივს ვერ მოგცემ! — ისე ჯი-  
 უტად თქვა ჯაბამ, თითქოს რაც არ უნ-  
 და ეთხოვა ვიტალის, რაც არ უნდა  
 ეთხოვა ვინმეს, ყველაფერზე უარს  
 იტყოდა.

— იქნებ სხვა ზომა დამპირდეს, ხომ  
 უნდა დავბეჭდო თავიდან?

— ნეგატივს ვერ მოგცემ! — ცივად  
 გაიმეორა ჯაბამ.

— კარგი, რა გაეწყობა, ვიცი ჩემი  
 ძმების ზასიათი; დაბერდები და მდიდა-  
 რი არქივი გექნება, არა? ყველა გაზეთი  
 შენ მოგმართავს, ხომ? ვიცი, მესმის.

„იმ ფოტოებს ვინ მიიღებს მოსკოვ-  
 ში?! — ფიქრობდა ჯაბა, — რომელი  
 რედაქტორი? საზიზღრადაა დაბეჭდი-

ლი... თანაც ისეთ ყურნალში. მსოფ-  
 ლიოს რამდენიმე ენაზე რომ გამოდის.  
 ვინ? არაინ!“

ამ ერთმა ციქვმა იმედმა გაახალისა.  
 თითქოს გულში შედგებულ სისხლს  
 გზა მიეცა და კისკისით დაეშვა ძარ-  
 ლევებში.

კიბის დასაწყისთან შედგნენ. ერთმა-  
 ნეთს მგზავდ ჩამოართვეს ხელი.

— აბა, გელოდები. იცოდე, დამირე-  
 კე, როცა ჩამოხვალ.

— ბედნიერ გზავრობას გისურვებ,  
 მოკითხვა შენს მეუღლეს.

— გმადლობთ, აუცილებლად გადაე-  
 ცემ.

კიბის ერთი ასაქცევი ჩარბენილი  
 ჰქონდა; როცა ვიტალიმ შუბლზე შემო-  
 ირტყა ხელი და უკანვე ამოიბრინა. ჯა-  
 ბა ჩივებდა.

— რა იყო?

ვიტალიმ პორტფელი გახსნა და დუ-  
 დანას სურათი ამოიღო.

— ოპერის პირდაპირ ცხოვრობს,  
 როგორ დავპირდი... ახლა ფიქრობს ალ-  
 ბათ მატყუარა მოსკოველ კორესპოდენ-  
 ტზე. სახელი აღარ მახსოვს. ძალიან  
 გთხოვ, თუ მიაგნებ, გადაეცი. აი, იმ  
 სახლში ცხოვრობს, საიდანაც ოპერის  
 შენობა გადავიღე. რა ღმერთივით გო-  
 გოა, არა?!

— ვიცნობ ამ გოგოს! — თქვა ჯაბამ.

— ძალიან კარგი, თუ ძმა ხარ, გადა-  
 ეცი... ნახვამდის!

კიდევ ერთხელ ჩამოართვა ხელი.

აღარ შებრუნდა რედაქციაში. ქუჩა-  
 ში ხეტიალი მოუწია. პირველად ხელა-  
 და დუდანას სურათს. ახლა შეეჭო  
 მთელი დღე ეცქირა... რაღაცას ეკითხე-  
 ბოდა დუდანას თვალები. თითქოს დი-  
 დიხანია, ელოდებოდა პასუხს, და თით-  
 ქოს თანდათან ემატებოდა ვაკვირება  
 ჯაბას დუმილის გამო. ისეთი მარტივი  
 იყო შეკითხვა, ჯაბას კი ვერ გაეცა პა-  
 სუხი, მერე საიდანღაც საყვედური გა-  
 მოილანდა დუდანას თვალებიდან, თი-  
 თქოს ხელიც ასწია და თითი დაუქნია,  
 როგორ არ გრცხვენიაო.

„საიდან იცი?“ — ჰკითხა ჯაბამ.

„ვიცი!“

„მე არაფერია, დუღანა, ეგ არაფერია ნიშნავს.“

„ჩემთვის ნიშნავს.“

„სახეც აღარ მახსოვს იმ ქალის.. გეფიცები, ეს ლალატი არ იყო!“

„საზიზღრები ხართ კაცები!“

გუშინწინ, ავადმყოფობის შემდეგ, პირველად გავიდა ქალაქში და თეატრისაკენ გასწია ნათხოვარი კოსტუმი უნდა დაებრუნებინა ძია ნიკალასთვის. რუსთაველის ძეგლის წინ გურამი და ნოდარი შეეფეთნენ. დიდიხნის უნაბავებოვით გადაკოცნეს ჯაბა, ნასუამები იყვნენ. ხვალ იმერეთში მივდივართ, გადასადები ადგილების შესარჩევადო. აქეთ-იქიდან ამოუდგნენ ჯაბას და რესტორნის სარდაფისაკენ წაქაჩეს. ვერ წამოვალო, ეს კოსტუმი რომ არ ჩავიტანო თეატრში, არ იქნებაო. მაშინ, ჯანდაბას, წამოვყვებით, მერე კი ჩვენი ტყვე იქნებით.

ქუჩაში დაელოდნენ. ჯაბა თეატრის ეზოში შევიდა. საწყობის კარი ღია დახვდა. ჩაიხვდა. ვერავინ ვერ დაინახა. თავი დაღუნა და საფეხურებს დაჰყვა. შუა კიბეზე გაჩერდა. თეატრალური ტანსამოსების ჭრელი დერეფნის ბოლოს ძია ნიკალა იდგა და პატარა ცოცხით ვიღაც დიდებულის აღისფერ მოსახამს ფერთავდა. ჯაბა დაძახებას, თუ ჩახველებას აპირებდა, რომ უეცრად ძია ნიკალა წაბანცალდა, თავი ძლივს შეიმავრა. მერე ცოცხი მახვილივით მოიშარჯვა და ჯაბას მოესმა მისი ხრინწიანი, გაგულსებული ხმა:

„მე ფეხებზე დავყურებ, მაგრამ ვერ ვამჩნევ ნიშანს ეშმაკისას.“

სტყუიან თურმე..

თუ ეშმაკი ხარ, საქურველი არ გასჭრის შენზედ...“

და ძია ნიკალამ ცოცხი ატაკა ყავისფერი რეიტუნის ტოტს. მერე შემოტრიალდა და ალბათ, იმ რეიტუნის მაგივრად თქვა:

„დამჭრა, მაგრამ მოკვლა ვერ შესძლო.“

— ჰეჰ, ჰეჰ, — ჩაიხითხითა კმაყოფილმა.

მერე ისევ პირველი ხმით განაგრძო:

„მე არც ეგა მწყინს — და ხველება აუტყდა — მე მინდა, რომ ცოცხალი დარჩე, კაცი რომ კვდება — ახველებდა, ვეღარ შეიჩერა ხველება, — როგორც ვატყობ, ბედნიერდება.“

— ჰეჰ, ჰეჰ, — ისევ ჩაიხითხითა, ხელი მოწყვეტით ჩააქნია და აღისფერ მოსახამს მიუბრუნდა, ისევ დაუსვა ცოცხი.

ჯაბა ფეხაკრფით ამბრუნდა კიბეზე. გასცდა ძია ნიკალას თვალთახედვას, მერე შემობრუნდა და საფეხურები სტეენა-სტეენით ჩაირბინა. ძია ნიკალამ თვალელები მოწყურა და გასასვლელს გამოხვდა.

— რომელი ხარ?

— მე ვარ, ძია ნიკო, მოგიტანეთ. უნდა მპატიოთ, ავად გავხდი და..

ძია ნიკალამ აღარ გაუშვა ჯაბა. მთვრალი იყო. საიდანღაც არყით სავსე ბოთლი გამოაძვრინა, სკამზე მიფენილი ნაცრისფერი პლამჩიდან ქალაღღში გახვეული ძეხვი ამოიღო. პური არა მაქვსო, მოიბოდიშა. როცა ჯაბამაც თავის მხრივ მოუბოდიშა, ვერ დავრჩები, გარეთ ამხანაგები მელოდებიანო, გაჭინჭყლდა ძია ნიკალა; რატომღაც დაიჩინა, მე ხომ არ ავალ და შევეგებები, თვითონ ჩამოვიდნენ და მნახონო. გვეჩქარებაო — ჯაბამ. აბა, მე ხომ არ ავალ ახლაო, ჩამოვიდნენ თვითონო, ამდენი ზრდილობა როგორ არა აქვთო.

გურამსა და ნოდარს ბევრი პატიყი არ დასჭირვებიათ. როგორც კი არაყი და „საინტერესო მოხუცი“ ახსენა ჯაბამ, ხელიხელგადახვეულები ჩამოვიდნენ საწყობში.

მონჭლრეულ სკამზე პატარა სუფრა გაიშალა. ნოდარი გავარდა—ორი ბოთლი არაყი, პური და ყველი შემოაწია ლხინს. ითქვა სადღეგრძელოები საქართველოსა და ქართულ ხელოვნებაზე, დიდ რეჟისორებზე და მსახიობებზე. გურამს ძალიან მოსწონდა სუფრის „ორიგინალური ანტურაჟი“, ძია ნიკა-

ლას პირდებოდა, თქვენზე და ამ სარდაფზე უსათუოდ გადავიღებ დოკუმენტურ ფილმსო. ნოდარი რიგრიგობით აღდგერძელდება კოსტუმებს, და ქიქას ქიქაზე ცლიდა. ჯაბა გულში კმაყოფილი იყო, ასეთი სიამოვნება რომ განაცდივინა ამხანაგებს. ძია ნიკალა გაუბედავად ბუტბუტებდა: „მე ახლა წარმოგიდგენთ სცენას...“ „მე ახლა წაგიერთხავთ მონოლოგს...“ მაგრამ არავინ ყურს არ უგდებდა. ბოლოს თამაძობა გურამმა ჩაიგდო ხელთ ძია ნიკალა აღდგერძელა, მერე სიყვარულის სადღეგრძელო მიაყოლა. ჯაბას ახლაც ახსოვს მისი ყოველი სიტყვა:

— ეს გაუმარჯოს სიყვარულს, ქალებს გაუმარჯოს! — თქვა გურამმა, — ძია ნიკალ, ჩვენ ერთი მეგობარი გოგო გვყავს... ჯაბა, გაუმარჯოს დედანას, ძია ნიკალ, გაუმარჯოს დედანა კაპულეტს! ის უკვე ბავშვი აღარ არის, პირქვე რომ დაეცეს ხოლმე — გაზარდა... და თუ დაეცემა, მხოლოდ გულად... ძია ნიკალ, გახსენდებათ?

— დაგლეწავ, შე... — დაიყვირა ჯაბამ და ფეხზე წამოიჭრა.

ნოდარი ძლივს წამოფარფატდა და შუაში ჩაუდგა მეგობრებს.

ჯაბას მიწისფერი ედო. ახლაც ამის გახსენებისას, ფერი ეცვალა ალბათ.

— მეორედ აღარ წამოგცდეს ევ სიბინძურე, თორემ... — მუშტები თავისთავად შეეკუმშა ჯაბას.

გურამი დიდხანს უყურებდა თვალებში ჯაბას, მერე ხელი ჩაიქნია:

— შენ... შენ დღემდე ვერც ხუმრობა გაიგე რა არის, და ვერც... — კიდევ ჩაიქნია ხელი, — რა უნდა გელაპარაკო.

— ბოლოსდაბოლოს, არ უნდა დაანებო თავი იმ გოგოს?! — უყვირა ჯაბამ.

— გა-გადაკოცნეთ! — მოითხოვა ძია ნიკალამ, — ჩემს ოთახში ასეთი ამბები... გა-გადაკოცნეთ!

— შეერიგდებით, ბატონო ნიკო. — თქვა გურამმა, — ჩვენ ყოველდღე ასე ვჩხუბობთ...

— ადექი!... შენ გეუბნები, ადექი-მეთქი!

— მე, ძია ნიკალ? — გაუკვირდა გურამს.

— პო... და გვერდზე მოუღებო ჯაბას!

გაოგნებულმა ბიჭებმა იფიქრეს, გარეთ გაგდებას ხომ არ გვიპარებნო.

— წინ წამოდექ! — უბრძანა მოხუცმა გურამს. თვითონ კი ბავშვივით ჩაეცუქდა სკამს უკან, — გაიმეორე, რასაც ვიტყვი! — თქვა და უეცრად გაისმა მისი ჩურჩული, — ვფიცავ ჩემს სინდისს. კაცობას და პატიოსნებას, — ხმა ჰქონდა ნათელი გამკვირვალე, თითქოს ზედ ყურთან მოეტანა ტუჩები.

ბიჭები უხერხულად იღიმებოდნენ, არ იცოდნენ, დაპყლოდნენ თუ არა მოხუცის უცნაურ აჩემებას.

— გაიმეორე-მეთქი! — წამოიძახა ნიკალამ, და მერე კვლავ ჩურჩულით თქვა, — ვფიცავ ჩემს სინდისს, კაცობას და პატიოსნებას...

— ვფიცავ ჩემს სინდისს, კაცობას და პატიოსნებას, — გაიღიმა გურამმა და ამხანაგებს გადახედა.

— რომ არასოდეს არცერთი ქალი...

— რომ არასოდეს არცერთი ქალი...

— თუნდ ქალღმერთივით უღამაზესი...

— თუნდ ქალღმერთივით უღამაზესი...

— გონებისა და სულის ამშფოთი...

— მუზაზე იყო ძია ნიკალა.

— გონებისა და სულის ამშფოთი...

— ქიშპობის საგნად არ იქცევა მე და შენს შორის!

— ქიშპობის საგნად არ იქცევა მე და შენს შორის!

ნიკალამ ჯაბას აპხედა, და წარბებისა და თავის მადლა აწევით ანიშნა:

— ვფიცავ!

— ვფიცავ! — გაიმეორა ჯაბამ.

— ახლა დასხედით... ჰა? ხომ კარგი სპექტაკლი გამოგვივიდა?

ყველა იცინოდა.

— ძია ნიკალ — მიმართა გურამმა, — რომელი სპექტაკლიდან იყო ეს?

— ძველი, ძველი, — სიტყვას ხელო

აიყოლა მოხუცმა, — უხსოვარდროინდელი სპექტაკლიდან... აქტი პირველი.

— კი მაგრამ, ძია ნიკალ ეს ფიცი თუ არ გატეხეს გმირებმა, მაგ სპექტაკლიდან არავითარი დრამა არ გამოვა!

— საქმეც ის არის, რომ ვასტეხენ, — მოხუცმა გურამს ვადახედა, მერე ჯაბას, ბოლოს ისევ გურამზე შეაჩერა მზერა. — შე მარტო ქალი არ მიგულისხმებია, — ისე გამოფხიზლებულიყო ძია ნიკალა, რომ ჯაბას ეჭვი შეეპარა, თავს ხომ არ იმთვრალეზდაო, — არაფერი არ უნდა შეგშურდეთ ერთმანეთის, უნდა გიყვარდეთ ერთმანეთი, სიცოცხლე არ უნდა დაიშუროთ... იმიტომ, რომ თქვენ მხოლოდ თქვენ კი არა ხართ, ჯაბა და გურამი და ნოდარი კიდევ... თქვენისთანებისაგან და... იმ გოგოს რა ქვია?

— დუდანა! — მიაშველა ნოდარმა.

— და დუდანებისგან შესდგება ერი... თქვენ მარტო „თქვენ“ არა ხართ, სახელისა და გვარის გარდა, კიდევ გაქვთ ერთი უწმინდესი მისამართი... რომელი და, თქვენი მიწა! მიხვდით?

— მიეხვდი, ძია ნიკო!

— პოდა, წადით ახლა! — თქვა მოულოდნელად და წელი ძლიეს აიბრია.

...პლენანოვის პროსპექტზე ნოდარმა შინ წასვლა აიჩემა, ჯაბაც აპყვა, ერთი გზა გვაქვსო. გურამმა თვალი ჩაუყრა ჯაბას, ანიშნა დაარჩიო. ეს ნოდარმა შეამჩნია, მაგრამ არაფრად არ ჩაუგდია და წავიდა.

მერე მოხდა ის ამბავი. გურამმა ავტომატიდან დაურეკა ვილაც ქალებს... ბუნდოვან სიზმარივით ახსოვს ჯაბას და ყველაფერს ვეღარ იხსენებს. ქალების უზრდელი, მოუთოკავი კისკისი ჩარჩენია მხოლოდ ყურებში. მგონი, ტანი-სამოსზე ახლაც ასდის რაღაც სუნამოს-გამალიზიანებელი სუნი. ახსოვს, რომ რცხვენოდა, რცხვენოდა ქუჩის, როცა მხრებში თავჩარგული მიაბიჯებდა იმ ქალებთან ერთად. ახსოვს, დევნილივით რომ აიბრინა კიბე. მისდევდნენ საფეხურები, ხელისწაველებას უპირებდა ყოველი კარი, მაგრამ გაეჭვა ყველას — საფეხურებს, კარებს, თვალდაჭყეტილ ცნობისმოყვარე ელნათურებს, და გურამის ჩაბნელებულ ოთახში შეიმალა... მერე მოვიდა მისი უდიდებულესობა — ვნება.

ხელი ჯიბეში ჩაიყო და დუდანას სურათი მოსინჯა.

## ქ ა რ ა გ ა რ ე პ ი ქ ე ს


სვეტიცხოველი

მდუმარება ჟამით უცვლელი.  
ვარსშემორტყმოდა  
ყვაილდასხმულ ატმის ხანძარი.  
ვაზს გაეფურჩქნა  
ყვაილები ნორჩი ფურცელი,  
ვარდისფერ კაბით  
მოკაზმულა, ვით პატარძალი,  
თითქო ბაღნარში  
შემობრძანდა უცხო ქალწული  
და მოაკმია  
სურნელება ნაზი, საამო.  
ხელში ეჭირა  
ვაზის ჯვარი, თმით გაბაწრული,  
ტყიურ სულისთვის  
რომ დაედო რჯულის მალამო.  
ღეთისმშობლის კალთაც  
ქართლს მარადგამს ემახსოვრება,  
მარად ახსოვდა,  
წვაგდა სუსხი, თუ ავი ზვატი:  
„წმინდა მარიამ,  
შენ ალაგსუ კაცის ცხოვრება,  
შენ ხარ უჭკნობი  
სილამაზის, მშვენების ხატი,  
თვითონ ყვაილი  
უცოდველი, მზე სხივოსანი,  
ვენახი ნორჩი,  
ხე კეთილი, აყვავებული,  
საგალობლების  
ხმანარნარი ჰანგით ქებული“ —  
ასე იტყოდა  
ხალხი ბრძენი, მგოსანთმგოსანი.  
შოთა რუსთველმა  
გააღმერთა მეფე თამარი, —  
არ დანგრეოდა  
თავზე ქართლის ზეცის თავანი.  
იწყო ღაღადი,

ჯადოსნური სიტყვის მოროდი,  
რომ დაეძლია  
ნათელს ბნელი, კეთილს — ბოროტი.  
ბარათაშვილს კი  
წინ უძლოდა, ღეთისმშობლის მსგავსი,  
კდემამოსილი  
და უმანკო ქალის მშვენება,  
რომ ვერ შეეხო  
ულმობელი დროვამის ხავსი,  
წარმავალობა  
და უკვალოდ გადაშენება.  
იტყვიო: „ის ქალი  
მშვენიერის არის იდეა,  
მითი, ოცნება,  
მთის ნიხლია, თვალის რიდეა“...  
მაგრამ მაღალი  
და საამო იგი ოცნება  
ვერ დაივიწყეს  
ღღესაც მიწის და ცის მგოსნებმა.  
ეთქვი და კვლავ ბაღში  
ფუკედებოდნენ ვაზის კვირტები.  
კვირტმა იფეთქა,  
გაეშალა ყვაილს ფურცელი.  
ბაღში ჩანს ქალი,  
სასოებით რომ ვაკვირდები,  
ჩემთვის ხილული,  
შენთვის — მითის ცრუ საფუძველი.  
ყვაილდასხმული  
ნორჩი ვაზი, ვენახი ნახე,  
წარმოსახული  
მარად უხრწნელ ქალწულის სახედ  
და შენც გაიგებ  
და მიხედები, იტყვი, ვინ არი  
ქალწული იგი  
მშვენიერი, პირმომლიმარი.  
ის ყვაილია,  
მისი შუჭი ვაზზე ანთია,

ნიშანი მარად  
 სიცოცხლისა, მაღალ ოცნების,  
 იგი ყინწვისის  
 ანგელოზის მსგავსი ხატია,  
 სავსე მშვენებით  
 და ქართული პატიოსნებით.  
 მას ვერ გააქრობს  
 ონავარი ბუდი — ფატუმი,  
 თუნდ ბობოქრობდეს  
 ჯოჯოხეთის ცეცხლის ხანძარი,  
 თუნდ წაეყაროს  
 დედამიწას მიმოფანტული  
 ატომის მტვერი,  
 ნაცარ-ტუტა რუხი, საზარი.  
 რად გინდათ, მიწა  
 რომ დაიწვას ატომურ ომით,  
 და სასახლენი  
 აგებული გმირული შრომით!  
 გეყოფათ მიწა,  
 ზღვის ქალაქში ნუ გინდათ სახლი  
 და არ გადასხათ  
 პლანეტებზე ზედმეტი ხალხი...  
 ასეთი ფიქრი

უცნაურ კაცს არ ასვენებს  
 და სიზმარშიაც  
 ხედავს ახლა უცხო მარსელებს,  
 კოსმონავტებს კი  
 შემართების დაღვთ ხალისი  
 და არ აშფოთებთ  
 ბიბლიური აპოკალიპსი.  
 მცხეთაში ღამით  
 მდუმარებდა სვეტიცხოველი.  
 დამშტერებოდა  
 მოჭედილი ცა ვარსკვლავებით,  
 და არ დამცვიედა  
 მის წინაშე სუსტი მკლავები:  
 ქადაგად ვიქმე  
 ახალ დროის სულ სხვა მროველი.  
 შევასახელე  
 კაცის ჭკუა, ნიჭი, ქველობა,  
 თავისუფლება,  
 მოშრიალე მწვანე წნორებად,  
 რომ დაემკვიდრა  
 კაცს კაცობა, ერს კი — ერობა,  
 და დამდგარიყო  
 სანუკვარი ქვეყნის ცხოვრება.



სადა გავა

## ლ ე ქ ს ე ბ ი

### სტუმარი

ჩვენ მთაწმინდიდან დავეყურებთ  
თბილისს  
და ოდნავ, ოდნავ გვიბრუნის თავი;  
აქ შემოდგომის ადრიან დილით  
სიჩუმე ნუშის რტოსავით ჰყვავის.

რომ ჩაწვდეს, იგრძნოს ეს იდუმალი  
შრიალი, ალბათ თვითონაც იცი:  
ცოტაა — იყო მხოლოდ სტუმარი  
და არა მკვიდრი ქართული მიწის.

თუმც იხიბლები და ღელავ ჩემად  
და ვერ პოულობ საჭირო სიტყვას,  
მე არასოდეს არ მოგთხოვ სტუმარს,  
ჩემებზე გიყვარდეს, რაც ასე მიყვარს.

და როგორც წმინდა ფიქრები —  
მყოფადს,  
როგორც გარემოს — გალობა  
მერცხლის, —  
შენი დუმილი და ჩემი გრძნობა  
უმტკივნეულოდ ერთმანეთს ერწყმის.

### მჩიბა—ჩა საუკუნის შეხვევ

რა ჭამი იყო — რთული და მძიმე!  
წყდებოდა ყველა ქართველის ბედი,  
მათ შორის ჩემიც, და, ღმერთო,  
ღმერთიც  
ვერ ამართლებდა ნდობას და იმედს.


და გაჩნდა იგი! რვაასი წელი...  
აქ, სადაც სუნთქვაც მუსიკად იქცა,  
მარადისობა განერთხო სფინქსად —  
ვერ აითრია აქამდე წელი.

მე კი მეძინა ამდენი ხანი!  
რა გვიან, გვიან გამომეღვიძა,

მადლობა უფალს — ეს დღე მეღირსა,  
როგორც ნათელი ოცნება ხვალის.

საკვანძურიდან ამოდის კვამლი,  
მოიწვევს მაღლა და ითენთება;  
მაინც სხვა არის, როცა თენდება  
და ისმის შორი ყვირილი მამლის;

როცა სიცოცხლეს იმედი ავსებს,  
ხოლო წარსულის გლოვა-გოდება  
თეთრი ღრუბლების გროვად გროვდება  
და ოქროვდება ვარძიის თავზე.



## ი ა მ ზ ე ლ ა ბ უ რ ი

### მ ო თ ხ რ ო ბ ა

ყანჩებივით კისერწაგრაძელებული, უზარმაზარი ამწეები თბომავალ „საქართველოს“ შავი ქვით ტვირთავდა.

მკერდგანიერ, ჩოფურა ნაოსანს, გური ლომიას, მალაღყელიანი ჩექმები ეცვა, დაკაბიწებულ, კუნთებიან, ბრინჯაოსფერ ხელებში შლანგი ეჭირა და გემბანს რეცხავდა. გემბანზე წყალი ჩხრიალებდა, ქიმების გვერდით ჩაყოლებულ რკინის ღარებისაკენ მისწრაფოდა, შავი ქვის მტვერი მიჰქონდა, ხვრელებიდან ქიმებზე ჩარბოდა და თბომავალთან ზღვას შავად ღებავდა.

შხით გახურებული რკინის გემბანი უცბად შრებოდა.

გურის უკან დაბალი, ტანთხელი ნაოსანი, ანატოლი უდოვიჩენკო იღვაროცა გური გემბანის ერთ ნაწილს მორეცხავდა. ანატოლისაკენ მიიხედავდა. ანატოლი გემბანზე გველივით დაკლავნილ რეზინის მილს თავისკენ მოსწევდა, თანაც თვალს ადევნებდა, მილი არ გადიკეცოსო.

გური და ანატოლი თბომავლის ცხვირს უახლოვდებოდნენ. იქ, ტენტის ჩრდილში, ხის გრძელ სკამზე შექალაჩავებული, გამზდარი ბოცმანი, ნიკოლა კასტენკო წამოწოლილიყო და „იზვესტიას“ კითხულობდა.

წყალი ბოცმანს ჩექმებზე შეეშხეფა. მან გურის ახედა, სათვალე მოიხსნა, უბეში ჩაიდო, გახეთი მავიდაზე დასდო და წავადა.

— გური!

— რაო, ანატოლი?

— ამ რამდენიმე წლის წინათ ოდესაში მთვრალი, პირგამებებული გნახე, ვისაც შენი მუშტი მოხვდა, სიკვდილამდე არ დაავიწყდება.

— ერთბაშად ავენთები, ვიჩხუბებ, მერე ხშირად მეცოდება ვალახული, ვიტანჯები, თუმცა უდანაშაულო და სუსტი ადამიანისათვის ხელი არ ვამირტყამს.

— ზახაროვს მოერევი? როცა მთვრალია, ყველას აბუჩად გვივდებს, დაგვიცინის, გვაგინებს. ნეტავი მიეყვადე...

— თუ შეურაცხყოფა მოგაყენა, დაგიცავ, შენს თავს არავის დაგაჩავგრინებ. როცა ცალუშილია, ბებუთის იმედი აქვს.

— მართალი ხარ.

გურიმ ანაზღად კაპიტნის ბოგისაკენ გაიხედა.

— ჩემად, ანატოლ, კაპიტანი თვალყურს გვადევნებს, ვამაფრთხილა: მუშტების ქნევას თავს თუ არ დაანებებ, აქ არ გაგაჩერებო.

თბომავალზე ჯავარსრული, გაფითქინებული ექიმის, იამზე თოიძის გულშიჩამწვდომი სიმღერა გაისმა.

— ერთ წერტილში რატომ ასხამ წყალს? — შეეკითხა ანატოლი.

გურიმ პასუხი არ ვასცა.

ანატოლი გურისთან ახლოს მივიდა, თვლებში გაკვირვებით მიანერდა.

— რაზე ფიქრობ, გური?

კუბუკი გამოერყვასიწითლემ გადააკრა.

ანატოლი თვალს არ ამორებდა გუ-

რის, მისი ფიქრების ამოცნობას ლამობდა.

გურიმ ჯალამბართან მიგდებულ სქელ ჯაჭვს შავი ქვის მტვერი მოაშორა, მერე ლუწას მიუშხაპუნა წყალი. ლუწაზე მიმხმარი ტალახი ნაჭერ-ნაჭერ ჩაცვივდა ზღვაში.

— გური! ხომ გესმის სიმღერა? მშვენიერია ჩვენი ექიმი და ყელაღანაც ტყბილი ხმა ამოუღის. — ექიმის კაიუტი-საყენ გაეჭვა თვალი, სულგანაბული უსმენდა, სახეზე ხან ნაზი ღიმილი, ხანაც ღრმა ტყვილი ეხატებოდა. მერე მზერა გახევებული გურის დაკორტნილ სახეზე ვიღაიტანა და უცებ შეუტოვდა მსხვილი წარბები, გაიფიქრა: „უყვარს... უყვარს იაშზე... მოკლა გური სიყვარულშია, ამბობენ მეზღვაურები. საწყალი გური...“

• • •

ლამით გური შინსაყენ გაემართა.

ზენა ქარი ქროდა. ბნელ ქუჩებში აღვის ხეები, ქადრები და ეკვალბატები შრიალეზდნენ, ზღვის პირას, ფიცრის ძველ, ფარღალალა სახლთან დაუსტვინა. თეთრი, ბომბოზა ძალღი ღობეს ვადმოევლო, გურის ფეხებში ჩაუვარდა. აივნის წინ, აყვავებული ასკილის კოკრებსა და პატარა ვარდებს ლოყით შეეხო, მოეფერა. ასეთი ვარდები უყვარდა დედას. და როცა გური ტყის ვარდს ხელს შეაეღებდა, უცნაური, ცრემლის მომგვრელი სითბოთი ამოეგსებოდა მკერდი, თათქოს დედას ვალერსებოდა.

ოთახში ლამა აანთო, სიამოვნებით ათვალეირებდა ქერამდე მიყრილ წიგნებს, უხაროდა; ამდენი წიგნის მფლობელი იყო. საკრძოლის რაფაზე დოსტოევსკის, ცვაივის, შელის თხზულებებთან ერთად ეწყო წიგნები კრივზე. მაგიდაზე ხელნაწერები ელაგა. ქურნალი გადაშალა, სადაც მისი ხუთგვერდიანი მოთბრობა იყო დაბეჭდილი. „ვიმუშავებ, დასაწერი ბევრი მაქვს“.

აივნაზე ნოზი დააგო, ზედ წამოწვა,

თავქვეშ ხელები ამოიღო, ვარსკვლავებს შეხედა და ისევ ის ფიქრი აეკვირტა, ბავშვობიდან მოსვენებას რომ არ აძლევდა: „დადგება დრო, გური აღარ იქნება ამქვეყნად! ასეთ ქარიან ღამეში, ამ ადგილიდან სხვა შეავლებს თვალს ვარსკვლავიან უსაზღვროებას და იოცნებებს სიყვარულზე, უკვდავებაზე... საოცარია: ბუნებამ რატომ გვარუქა ნიჭი სიყვარულისა, თუ სიმახინჯეს, სიბერესა და სიკვდილს გამოიგონებდა?“

გურიმ ჩათვლიდა.

აქარის მთებზე მრგვალი, მკვდრისფერი მთვარე ამოცურდა.

ქარი ხან მძლავრად დაუბერავდა, ხანაც მიყუჩდებოდა.

გურის მახლობლად, კვიპაროსთან, ძალი თელემდა. როცა ქარი ჩაძინებულ ქალაქს შეუტევედა, კვიპაროსი წამოიზნიჭებოდა, მისი ჩრდილი ძალღისკენ იწევდა. ჩრდილს ყრუდ უღრუნდა ძალი.

• • •

გურის გამოეღვიძა, ამომავალ მზეს სიხარულით შეეგება, ტანთ ჩაიცვა და თბომავლისკენ გასწია. მორიგე შეცვალა, გვმბანი დაათვალეირა, ყველაფერი რიგზე იყო. უნდოდა დრო ჩქარა გასულიყო: ამწეები მუშაობას დაიწყებდა. გემბანზე ხმაური ატყდებოდა, იაშზე გაიღვიძებდა და გარეთ გამოგოგმანდებოდა.

თბომავალთან მოღზე ჩამომქდარი მოკლეშარვლიანი ბიჭი ანკესით იჭერდა გვერდწითელ მოფართხალე თევზებს და ვედროში ყრიდა.

თეთუნისაგან უღვაშმეყვითლებული ნაოსანი იქვე ბოლთასა სცემდა და ყალიონს აბოლებდა.

ნაპირზე შავი ქვისა და ქვანახშირის მთები აზიდულიყო. თბომავალთან თოლიები კრიანობდნენ, წყალზე მცურავ თეთრი პეროს ყუპა ესეოვნენ, კორტინდნენ.

გემის მისაბმელ, წყალზე მოტივტივე რკინის კასრზე, ჩეამამ შავი ფრთები გა-

ისწორა, მერე ძირს ტყაპანი ვაღინა, მცირე მანძილი ვასკურა, ჩაყვინთა და კარგა მოზრდილი თევზი ამოიყვანა. ჩემა კისრის ძარღვებს ძალას ატანდა, თევზის გადაყლაპვას ცდილობდა. თევზი კულს ღონიერად იქნევა. უცებ ნისკარტიდან დაუხსლტა და თავს უშველა. ჩემამ დაყვინთა, დაედევნა. გაშბილებული ამოცურდა, კისერი წაივარქელა, აფრინდა და ისევ კასრზე ჩამოსკუბდა.

• • •

საფეთქლებშეთოვლილმა, ტანადმა კაბიტანმა, გარსევან შენგელიამ, იაშვს კაოტის კარზე დააკაუნა.

— შემობრძანდით!

გარსევანმა თვალები მინაბა. მას ყოველთვის ალულებდა ეს ხმა — ალვის ფოთლების ჩუმი, იღუმალი შრიალი.

ორმოცდაათი წელი რომ შეუსრულდა ვარსევანს, ოჯახის შექმნა მაშინ გადაწყვიტა. თვალი იაშვს დაადგა, არ ჩქარობდა: „წერ თავს შევაყვარებ, მერე გულს გადაეუშლიო“ — ფიქრობდა.

გარსევანი ექიმის კათედრაში შევიდა, იაშვს ხელზე ეამბორა.

— რას კითხულობ?

— ჰულზონის „მწვანე სასახლეები“, გური თურმე კარგად ერკვევა მხატვრულ ლიტერატურაში.

გარსევანის ლამაზ, დიდრონ შავ თვალბში განცვიფრება გამოიხატა.

— უფრო ვასაგებად ვერ მტყვიო?

— გუშინ ანატოლი გურის ეკითხებოდა, რა წაევიკითხოო. გურიმ ეს წიგნი შეუქო. მისი გემოვნება რომ შემემოწმებინა, ბიბლიოთეკიდან მაშინვე გამოვიტანე „მწვანე სასახლეები“. უსათუთეს სიყვარულს შეუქითაა განათებული ამ შესანიშნავი ნაწარმოების ყოველი სტრიქონი, ვირჩევთ წაიკითხოთ.

ძველი მეზღვაური აიპრიზა, მან იცოდა, რომ გურის უყვარდა იაშვზე. „ამ ბოლო ხანებში ხშირად ახსენებს და აქებს გურის“.

— გურის მე ვიცნობ, როგორც მოყრივეს.

— ამბობენ, ნაკითხი, უკვიანი ბიჭი არისო, მოთბრობებს წერს და თურმე აქვეყნებს კიდევ.

— გური ჩვეულებრივი ნაოსანია, არყის მოყვარული, ალბათ ორიოდ წიგნი წაკითხული აქვს, კედლის გაზეთის მწერლად თუ გამოდგება.

— თქვენც იცით, რომ გური ბევრს კითხულობს, გური საინტერესო ადამიანი, ეს სხვებს არ ვაგს, მე მომწონს იგი, — ცივად მოუჭრა იაშვემ და ნუშისებრ მოგრძო თვალებით მრავალმნიშვნელოვნად გაილიმა.

კაბიტანმა ხარბად მოსწია ჩიბუხი, ვესლიანად ჩაიციხა და გაიფიქრა: „ეს ღეთისმშობელი როგორ უნდა ჩაეკონოს სახეამოჭმელ გურის? ქალის გული... თვალუყუენავ, არ გაგახარებ“.

ადგა, გემბანზე გავიდა, ქიშ ჩიბუხი ჩამოჰყრა. ნიავემა ფერფლი მკერდზე შეაყარა. გული ისე უცემდა, თეთრ კიტელს არბევდა, ზედ მიყრილი ფერფლი ძირს ცვივოდა. „გებრდებო...“ — გაიფიქრა, მწვავედ იგრძნო — ლამაზმანება ძველებურად გულს ველარ აუნჭროლებდა, მის ცხოვრებას თითქოს აზრი უყარგებოდა. „როგორ უნებოდ მკრა ხელი... არ ველოდი. თუმცა რატომ მიყვირს? იაშვე ახლახან აივსო თაფლით, მე კი ორმოცდაათს ვაღაფავიჭე. რა ტყბილი იყო კოცნა! ავრე უეცრივ რამ გაუცოვა გული? ალა მახინჯი გურა მოგწონს? კი არ მოგწონს, გებრალება. უცნაურია ქალის გული... იქნებ მართლაც მოგწონს? თვალუყუენავ, არ გაგახარებ“.

ამოიხსრა, თავზე ხელი გადაიწვა, შეთხელებული თმა გაისწორა, თითებს თეთრი ღერი აჰყვა. ერთ ხანს თეთრ ღერს აყვირდებოდა, მერე შეუბერა, მოიშორა.

• • •

„ისე შემომიჩნდა ვარსევანი, ლამის სხვა გემზე გადავიდე საშუაოდ“ — ფიქრობდა იაშვზე. „პირველ ხანებში დამაბრმავა, გამაბრუა ვარსევანის გარეგნობამ, ყოფაქცევამ, ჰალარაც კი

მომწონდა მისი“. მოაგონდა ინსტიტუტში გატარებული წლები, თანაჯერსელები; თამარ საყვარელიც და წელშიაღალი, შავტუბა თენგიზი. თენგიზს ბუზებივით ესოვდნენ ვოვონები. ის ბიჭი ნახვისთანავე გულში ჩაუვარდა იამზეს, მადრამ არ აგრძნობინა. ამაყია იამზე. თამარს ყველაფერი უთხრა, თანაც სთხოვა, არსად არაფერი წამოგცდესო. თამარი გაიმართვებდა ხოლმე თენგიზს, ჩურჩულებდნენ, იცინოდნენ. იამზეს ეგონა, ჩემზე ლაპარაკობენო, ღელავდა, სირცხვილისაგან იწვოდა. თამარი თურმე თავის საქმეს ჩარხავდა, შეგობარს თვალს უხვევდა. მესამე კურსის სტუდენტები თამარი და თენგიზი დაქორწინდნენ.

შარშან, თბილისში, რუსთაველის გამზირზე იამზეს შემოეყარა თენგიზი. თენგიზს თვალუბთან ნაოჭები ვასჩენოდა, ნაადრევად მობერებულყო. თენგიზმა თქვა:

— ქალ-ვაყის მამა ვარ, ჩემს გულში მაინც სევდაა. საყვარელ ადამიანთან შეცხოვრა თუნდაც ერთი თვე, ერთი თვე შეკოცნა მისი ხელები და შერე ჩაეძაღლებულიყავ...

— თამარი არ ვიყვარდა?

— არა.

— მაშ ვინ ვიყვარდა?

— ვისაც ახლა ველაპარაკები.

— თამარი ჩემი შეგობარი იყო და, ასეთი სისულელე მეტი აღარ წამოგცდეს.

ის ღამე თეთრად გაათენა თვალცრემლიანმა იამზემ. თურმე აგრე ახლოს იყო ბედნიერება, მან კი ვერ იგრძნო.

\* \* \*

თბომაველი „საქართველო“ დატვირთული იყო. გემბანზე დაყრილ შავ ქვან ნაოსნები ნიჩბებით ხვეტდნენ და ტრიუმფებში ყრიდნენ.

გური რკინის გემბანზე ნიჩაბს ისე ღონიერად აცურებდა, ნიჩბის პირი ეღრიალებდა.

— აგრე ნუ მუშაობ, ჩქარა დაიღლე-

ბი. — ბოცმანმა აღურსით მიმართა გურის. ღიმილით თვალს ადგევნებდა. ჭაბუკის მარჯვე, ვამალტულ-მტუშოშას, ჯაკაბიწებულ მკლავებზე კუნთების თამაშს, და ტუბებოდა. ჭაბუკის პირდაპირ ბეჭბრტყელი, ტანმაღალი, ნაღვინევი ნაოსანი, ევგენი ზახაროვი, ზანტად მუშაობდა, მაღიმაღ ქიშე ჩამოყდებოდა და ამოქნარებდა.

— ექიმი გვიყურებს, გრცხვენოდეს ევგენი, — უსაყვედურა ბოცმანმა.

— ზებებზე მკიდეა თქვენი ექიმი... იამზემ ზახაროვის ნათქვამი ვაიგონა, იმწამსვე შეტრიალდა და თავის კაიუტაში შევიდა.

გურის ძარღვებში სისხლი აღდუღდა.

— ექიმს რას ერაჩი? — შეუტია მან ზახაროვს.

— ენას კბილი დააჭირე.

— მემუქრები?

— ლავაშივით გაგაბრტყელებ.

— რა დროს ჩხუბია? იმუშავეთ... —

ჩაერია ბოცმანი. გურის მიუახლოვდა, ჩუმად უთხრა:

— თავი დაანებე ზახაროვს, დათვია, მოგერევა.

გურიმ ვაღიხარხარა.

— რას მიედ-მოედება გური? — შეეკითხა ზახაროვი ბოცმანს და წვრილი, წყლისფერი თვალები დააბლატუნა.

— შენზე არ ვლაპარაკობთ, დამშვიდ-დი.

გემბანი რომ მოასუფთავეს, ცალყბად, დამცინავად მღიმარე ზახაროვი გურისთან მივიდა.

— შენ თავს იგდებ, ლაწირაკო, — ზახაროვმა დედა შეაგინა ჯა უბიძგა.

გურიმ ელვის სისწრაფით თავი სახეში აჯახა.

ზახაროვი გემბანზე პირადმა დაეცა. ანატოლიმ ღრმად, შვეებით ამოისუნთქა.

პირდაღებულნი, თვალუბგაფართოებულნი ბოცმანი საკუთარ თავს არ უჩეროდა, ხან გურისკენ მიბრუნდებოდა, ხან ზახაროვს მიაშტერდებოდა.

ტუჩებდახეტქილი ზახაროვი გონს ჩქარა მოეგო, წამოდგა, მუშტი მოუქნია. გურიმ თავი სწრაფად დახარა, აიცი-

დინა და ისევ თავურით გაუმსპინძლდა.

— შეწყვიტეთ ჩხუბი! — დაიყვირა ბოცმანმა, — კაპიტანის თანაშემწეს ვავლიძემ, კაპიტანი რომ დაბრუნდება ქალაქიდან, ყველაფერს მოვახსენებ.

დარეტიანებული, სისხლში ამოთხუპნული ზახაროვი, როგორც იქნა, ადგა. რამდენსამე წამს ქანაობდა, მერე წელში გასწორდა, ჩექმის ყელზე ხელი იყრა, გაფხავებული ბებუთი იძრო.

ბოცმანმა და ნაოსნებმა უკან დაიხიეს.

გური მოხსლტა ადგილიდან. ქვასავით მუშტი სახეში ხეთქა. ზახაროვი სველი ჩვარივით ჩაიყეცა, ბებუთი გემბანზე დაუყარდა. გურიმ მისივე მბზინავი ბებუთი თვალებთან მიუტანა:

— ღორივით გამოგჭრი ყელს...

— რა ვინდა ჩემგან? ამხანაგებო!

— ახლა გახდი ჩვენი ამხანაგი? — ჩაიქირქილა ანატოლიმ.

გურიმ ბებუთი ზღვაში ჩააგდო და კუბრიკში ჩაივლია.

\* \* \*

ზახაროვი პირსაბანთან სახეზე წყალს ისხამდა, სისხლს იშორებდა, როცა ბოცმანმა უთხრა ანატოლის:

— კაპიტანი ქალაქიდან დაბრუნდა, ვილაც ოხერმა უკვე მოახსენა — თბომავალზე ზახაროვმა და ლომიამ ერთმანეთს თავპირი დაამტვრიესო. „ანატოლი ახლავე გამოცხადდეს ჩემთანო“, — ბრძანა კაპიტანმა. ზახაროვს ნუ ვასწირავ, ნურც გურიზე იტყვი ცუდს.

კომპანეკრულმა კაპიტანმა ანატოლის ჰკითხა:

— რა მოხდა, რამ გამოიწვია ჩხუბი?

— გური არ არის დამნაშავე. ზახაროვმა ხელი ჰკრა და შეაგინა, გურიმ წაუტიალა.

— ზახაროვმა რატომ შეაგინა?

— ზახაროვმა თქვა, თქვენი ექიმი ფეხებზე მკიდიაო, გური გაგულისდა, ეს იყო ჩხუბის მიზეზი.

— გური სულელია. ექიმს ეჯავრება

გური, გურის კი... როგორც ამბობენ, უყვარს იამზე. გვეითებში რატომ უნდა გიყვარდეს ადამიანი, რომელსაც ქვინალები? ექიმზე ოცნებას თავი დაანებოს, თანაგრძნობას ვერ ეღივრება, გურის უნდა უთხრა: იამზეს ეზიზღები-თქო.

— მესმის. გური ვანა ბრმა არის? თავის ფიზიკურ ნაყლს ჩვენზე უკეთესად ხედავს, ამიტომ ახლოს არ ეკარება ექიმს. როგორ შევებდო, იამზეს ეჯავრები-თქო? ეს იმას ნიშნავს, დაქრილს ჭრილობაზე ფეხი დააბიჯო, მომაკვდავს ყელში დანა გამოუსვა.

გარსევანმა მხარზე ხელი დაჰკრა.

— მე არ მსურს გურის დამცირება, პირიქით, მინდა დავეხმარო. იამზემ რომ გაიგოს, ვუყვარვარო, სასაცილოდ არ ეყოფა.

— თითქმის ყველამ იცის, რომ გურის უყვარს ექიმი, შეუძლებელია ეს არ იცოდეს ექიმმა, ქალს ეს არ გამოეპარება.

— არ იცის, დამიჯერე. ზახაროვი ისეთი კაცი არ არის, რომ გალახვას შეურიგდეს, უთუოდ შურს იძიებს. ახლავე გამოვიძახებ და ვეტყვი, ჭკუით იყოს.

— ზახაროვი ლოთია, ყველას აბუჩად გვივლებს, გვლანძღავს, გვემუქრება, ნუთუ მაგის გამოსწორება გაქვთ განზრახული? კუზიანს სამარე ვაასწორებს. საერთოდ, ჩვენ რატომღაც რბილად ვეკიდებით ქურდებს, მკვლელებს, ავანაკებს, ვცდილობთ მათს გამოსწორებას და იმაზე არ ვფიქრობთ, რომ გამოსწორებამდე ზოგს მხოლოდ სიკვდილი გაასწორებს, რამდენ დანაშაულს ჩიილენენ, რამდენ კაცს, ქალს, ბავშვს აატირებენ, გამარცხავენ და მოკლავენ.

— თავი დაანებე ზახაროვს, ზახაროვს მე მოვუვლი, შენ გური დაარწმუნე, ექიმს უჯავრები-თქო. ვახსოვდეს: არაფერში ჩამრიო, გურისა და ექიმის შესახებ არაფერი მიიტყვამს. წადი, მოიქეცი ისე, როგორც დაგარიგე. მე და შენ ხომ მეზობლებიც ვართ და მეგობრებიც.

დაღონებულმა ანატოლიმ პირმობანილ, გამოფხიზლებულ ზახაროვს ჩაუ-

რა, იქვე ნაპირზე სასაუზმეში რამდენიმე ჭიქა არაყი გადასკრა და კი არ გამხიარულდა, უფრო მოიწყინა. ოთხი ბოთლი „სუფრის ღვინო“ იყიდა და თბომაელისავენ გამოემართა.

\* \* \*

— გური! — ზევიდან ჩასძახა ანატოლომ.

— რა გინდა?

— მარტო ხარ?

— მარტო ვარ, რა გინდა?

ანატოლი კუბრიკში ჩავიდა, მაგიდაზე ოთხი ბოთლი ღვინო დადგა, გურის მოეხვია ჯა აყოცა.

— სად მოინათლე?

— დავლიოთ, გური! — კარადიდან ჩაის ჭიქები გადმოიღო, ღვინით აავსო, თავისი ჭიქა გურისას მიუჭახუნა და გამოსცალა.

— შენზე ამბობენ, ამაყია და გულჩახვეულიო, ზოგიერთს არ უყვარხარ.

გურის გული ეტყინა.

— რაცა სურთ, ისა თქვან, კაცს არ დავჩაგრავ, არც სხვას დავჩაგრინებ.

— უნდა გამოგიტყდე, გური; რა ძნელია, როცა ჩემისთანა ჩია კაცს წარმოსადეგი, ზორბა, ირემივით ლამაზი ქალი შეუყვარდება! — დიდრონი, ნაპერწკლიანი თვალები დაუპატარავდა. — ის ქალი ოდესაში ცხოვრობს, ექიშია, დონია ქვია. რომ იცოდე, რა კარგია! რატომ შემიყვარდა, როცა მას სხვა უყვარს? ვიღრე გათხოვდებოდა, შევევდრე: ცოლად გამოიყვევი, ჩემი ღმერთი იქნები მე კი შენი თავყანისმცემელი-მეთქი. ვაიცინა და მითხრა: „ცოტა უფრო მაღალი რომ იყო, არ ჯავიწუნებ, მომწონხარ, როგორც ადამიანიო“. მართლაც გური, ის ქალი ჩემთან შედარებით ვაღიათია. მე კი, ოცდახუთი წლის ვაი. ცამეტი წლის ბიჭს ვვადარ, დონიაში ჩემისთანა ბარე სამი გამოიჭრება. ზოგჯერ მიფიქრია: რა კარგი იქნება, რომ დონიას ქმარი მოუტყვებოდეს-მეთქი. მიფიქრია ეს და მერე სირცხვილის გრძნობას ავუღეწვიარ. აბა,

რა დაამაგა მისმა ქმარმა?

ჭიქები ისევ აავსეს, ერთმანეთი აღღვრებულეს, ღვინო გურისაკენ მოაკვდდა.

— გური, ხომ ხარ ვაქაკი? უნდა ვითხრა, მაგრამ...

— ვინ ვიშლის?

— ვაქაკურად ხომ შეხვდები?

— შეხვდები, — გურის სახის ნაკვთები დაეძაბა, — სასიხარულო რამეს რომ არ მეტყვი, ვგრძნობ. გული მეტყინება? მეტყინოს. ბედნიერებისათვის მე არა ვარ გაჩენილი, — შუბლის ძარღვი დაებერა გურის.

ანატოლის გული აუჩუყდა, შეეცოდა გური, შეეცოდა საკუთარი თავიც.

— არ აღელდე, ვაქაკურად მომინძინე, ექიმმა თქვა, გური მომწონსო.

— მე არ მიყვარს ასეთი ხუმრობა, — ანთო გური და ანატოლის მრისხანედ მიაჩერდა.

— არ ვხუმრობ, ტყუილად მიჭაგრდები.

— შენ გაიგონე? — თანდათან შუბლი გაეხსნა.

— მე ვიყავი, იქ, როცა ეს სიტყვები თქვა.

— შენს გარჯა კიდე ვინ იყო იქ მაშინ? — ცდილობდა გულზე უეცრად დაჯახებული დიდი სიხარული არ გაემქლავნებინა.

— ექიმმა კაპიტანს უთხრა. მაინც ისე გეჭიროს თავი, თითქოს არაფერი არ იცი, ექიმის წინამე თავს ნუ დაიმცირებ.

— შენ რაღაცას ურევ; თუ მოგწონვარ, რა შუაშია თავის დამცირება?

— ეჭვის თვალით ნუ მიყურებ. მართალია, იამხემ თქვა, გური მომწონსო, მაგრამ ხვალ რას იტყვის, არავინ იცის. ქალის გული ცვალებადია.

— თავს არ დავიმცირებ, არაფერს ვაგრძნობინებ, ალბათ იხუმრა.

ღროა, მორიგეობას შევეუდგე, თუ არ დავეძინა, ამოდი, ვისაუბროთ. გემბანზე ვიქნები. — ანატოლიმ კიბის საფეხურზე შედგა ფეხი ჯა დაბარბაცდა. აღიოდა და ფიქრობდა: „ეს რა მიეჭარე? რა წამომცდა? კაპიტანმა ვანა ამის თქმა“

დამავალა? გური რომ გაათამამოს ჩემ-  
მა სიტყვებმა და იამზესთან დაახლოე-  
ბის სურვილი აღუძრას ხომ დავიღუპე?  
მამინ გამოაშკარავდება, რომ ვიცრუე,  
გური უეჭველად მომკლავს“.

გური ყურს უგდებდა ანატოლის ფე-  
ხისხმას. ჭრიალებდა კიბის საფეხურები,  
შემდეგ გემბანი ახმაურდა. ტკბილად  
გაბრუებული იყო ღვინისა და ანატო-  
ლის სიტყვებისაგან. ფიქრობდა: ანატო-  
ლი გულთან ბიჭია, მანუგეშებს, მამხ-  
ნევეებს, ისეთ რამეს მეუბნება, რასაც  
იამზე გულში არ ვაივლებს, არ იტყვის.  
მაგრამ ვინ იცის...

• • •

ზახაროვთან ჩხუბში ნაღრძობი მარ-  
ჯვენა ცერი დაუსივდა: „ახლა კი მომე-  
ცა ექიმთან მისეღის საბაბი“, — უხა-  
როდა და თან ლელავდა. ღღის ისეთი  
დრო შეარჩია, როცა ექიმი თავის კაიუ-  
ტაში ისვენებდა ზოღმე.

კაიუტა ცარიელი დახვდა.  
თბომავლის ქიმზე მკერდდაყრდნო-  
ბილი იამზე ზღვას დაჰყურებდა.

„აი, სად ყოფილა!“ გაეხარდა გურის.  
თბომავალზე ელნათურები ალიც-  
ლიცდა. იამზე ქიმა მოშორდა, გურიმ  
თვალი გააყოლა: „თავისი კაიუტისაკენ  
მიღის“, გაიფიქრა. გაჰყვა. ექიმის კაი-  
უტაში რომ შევიდა, ცერი უჩვენა.

— მტკიცეა, ექიმო.  
— საექიმო პუნქტში რატომ არ მოხ-  
ვედი? — წარბშეხრით ჰკითხა, ცერს  
ლონიერი თითები მოუჭირა. გურის ეტ-  
კინა. „ჩამოქნილი, მაღალი, სახის კანი  
უნაზღესი, სპილოს ძვლისფერი, ხმა ხა-  
ვერდოვანი და ალვის ფოთლების შრი-  
ალივით საამო, შავი თვალები, ხელები  
კი რაღაც უცნაური, ღივი მსხვილი მა-  
ჯა და ღონიერი თითები“, — ფიქრობ-  
და გური.

— ხელი თბილ წყალში ჩაჰყავით და  
შიგ გააჩერეთ ათი, ხუთმეტი წუთი.  
იამზეეს თვალებში გური ამოდ ეძებ-  
და თანაგრძნობის თუნდაც ნაპერწყალს.  
ექიმი სავარძელში ჩაჯდა, წივნი მუხ-

ლებზე დაიდო, გადაშალა, გურის აგრ-  
ძნობინა, წაბრძანდო. გულმოკლულმა,  
კუბრიკისკენ ვააბიჯა, ეტრეზობდა, გულ-  
ში აგინებდა და ემოქრებოდა ანატო-  
ლის. საღღაც ეჭვიც ებადებოდა: „რა-  
ტომ მომატყუებდა?“ გულში ციციან-  
თელას ტოლა ნათელი ჩნდებოდა: იქნებ  
უგუნებოდ იყო ღა აგრე ამიტომ მომე-  
კიდა?

ანატოლი კუბრიკში იბოვნა. იმის  
ნაცვლად, რომ საყვედური ეთქვა, დაე-  
ტუქსა, საცოდავად გაუღიმა.

— ასეთი დარღიანი რატომ ხარ? ვინ  
გაწყენინა?  
— არაფინ.

— შენ და ზახაროვი კიდევ ძიძგი-  
ლაობთ? დანას გავიყრის.

გურიმ საწოლზე მთვლემარე ზახარო-  
ვისაკენ მიიხედა და ხმამალლა თქვა:

— ფებებსაც ვერ მომქამს.

— რა ვინდათ ჩემგან? — მოისმა ზა-  
ხაროვის ღრიალი, გურის წინ იგი მთა-  
სავით აღიმართა, თვალუბანთებულს  
ყბები უკანკალებდა, გურის ღორბლავ-  
და.

გურიმ თვალი თვალში გაუყარა და  
ავდებულად უთხრა:

— რაღას უცდი, შე ხვადავო, ამოი-  
ლე დანა და დამკარი.

— ხელი გაანძირე, გამარტყი და, მე-  
რე მე ვიცი, რასაც ვიხამ.

ანატოლი ზახაროვს ეცა და რაც ძა-  
ლი ღა ღონე ქონდა, დაიყვირა:

— ხომ ხედავ, კაცი თავის ჭკუაზე  
აღარ არის და გთხოვს, დანა დამკარიო.

ზახაროვი ისევ საწოლზე გაიშლარ-  
თა.

— მე და შენ, გური, სხვა დროს ვა-  
ვასწოროთ ანგარიში, ახლა რაღაც შე-  
საბრალოსად გამოიყურები.

— დუდაკაცი ყოფილხარ.

— ან შენ უნდა იყო, ან მე.

— თქვე სულელებო, ორთავემ  
იყოცხლეთ, ერთმანეთი რატომ უნდა  
დაზოკოთ? — გაცხარდა ანატოლი, —  
რა გაქვთ გასაყოფი?

— ვაეკაცების საქმეში ცხვირს ნუ



ჰყოფ, იცი თუ არა, რომ შავის მადონას სხვა კოცნის?

— ცრუობ! — აფეთქდა ანატოლი.

— არ ვცრუობ, ჩემი თვლით ვნახე. ლამე საკესთან ვიდგეი, კაპიტანი და ექიმი გემბანზე დასერირობდნენ, ერთმანეთს ეყურებოდნენ. კაპიტანმა წელზე ხელი შემოაჭედო, თავი გადაუწია და ტუჩებზე დაეკონა. მართალია, ექიმი თითქოს გაუძალიანდა და სილა გაართყა, მაგრამ ფაქტია, რომ ჭიგრიანად აკოცა.

— მაშ შენ ამტკიცებ, რომ კაპიტანი კოცნის ექიმს?

— მე არაფერს არ ვამტკიცებ, გასაგებ ენაზე გეუბნები: კაპიტანმა აკოცა ექიმს. ამბობენ, ჭვენი ექიმი ანგელოზიაო. როგორც ირკვევა, ანგელოზებსაც უყვართ კოცნა და სხვა რაღაც.

— მე და კაპიტანი ერთ სახლში ვცხოვრობთ, ვნეგობრობთ, ასეთ რამეს დამიშალავდა? იაშხეს ქება ბევრჯერ მსმენია, სხვა არაფერი...

— გულბრყვილო ყოფილხარ.

ზახაროვისა და ანატოლის საუბარმა კმუნგამოძალებული გური სულ დაშალა ტანში. ექიმის კაიუტიდან რომ გამოვიდა, სიკვდილს ნატრობდა.

— რა გემართება, გური? სახე სულ გაგიშავდა.

— ჰაერი აღარ მყოფნის, გული თითქოს უნდა ჩამომწყდეს, რა მჭირს, ანატოლი?

— აბა, რა ვიცი, მე ექიმი არა ვარ, მოგიყვან ექიმს, ან მივიღებ მასთან.

— არა, ექიმი არ მინდა. მაშ კაპიტანი ჰყოცნის ექიმს?

— ძალით უკოცნია, ზახაროვმა ხომ თქვა, სილა გააწნაო!

— ახლაც ხომ კარგი ურთიერთობა აქვთ?

— შენგელია კაპიტანია, იაშხე კი ექიმი, სხვანაირი ურთიერთობა წარმოუდგენელია. ძალით შენც შეგიძლია აკოცო ყოველ ქალს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველი ქალი გავიყვება შენთვის. ნუ ფიქრობ კაპიტანსა და იაშხეზე, მავათი...

— გული მტკიცა...

— ყველაფერი ახლოს მიგაქვს გულთან, ერთბაშად აენთები, <sup>112</sup> გაძლიერებ, მზად ხარ შეასკდე ყველას და ყველაფერს, გულს სრულიად არ უფრთხილავები, მაშ, რა დაგემართება!

— ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა მოგკვდე?

— ცხოვრებას ახლა იწყებ, რა დროს სიკვდილია!

— ბავშვობა მომიშხამა წუთისოფელმა, მშობლები ადრე დამეხცოცა, ყვეაღმა საშინელი, წარუშლელი დადი დამასო და გამაუბედურა. ჩემზე ამბობენ, გულჩახვეული, ამაყი და ფიცხი არისო, ვგრძნობ, ზოგიერთს არ ვუყვარვარ. იცის ღმერთმა, თუ კი არსებობს იგი, რომ მე სიყვარულიც უსაზღვრო შემიძლია და სიძულვილიც. რამდენჯერ დამინახავს ქვაფენილზე მოფუსფუსე ჰიანკველა და ხეზე გადამისვამს, რომ გამველეს ფეხით არ გაესრისა. საყვარელი ქალის ალერსი მეც მწყურია, უსაზღვროდ მწყურია, მაგრამ ბუნებამ დამჩავრა.

— შენს ტანს ბევრი სპორტსმენი ინატრებს. ვისაც მხოლოდ ჩაცმული უნახიხარ, ის ვერაშადეს წარმოიდგენს შენი ტანის ვაყვაცურ, ათლეტურ აღნაგობას. სახის ნაკეთები სწორი გაქვს, ოღონდ...

გურის მწარედ ჩაეცინა.

— თქვი, თქვი ჩემო ანატოლი, არ მეწყინება, მე ყველაფერს ვბედავ. შენ არა ხარ მაღალი, მხოლოდ ესა გაქვს წუნი, მე კი კოდალას ნისკარტით მოკვრეთილ ხის ქერქს მიმიგავს სახე, ალბათ ზიზღს ვიწვევ...

— ასეთ რამეს ნუ ამბობ, — შეევეღრა ანატოლი — ძმასავით მიყვარხარ!

გასუსული ზახაროვი უსმენდა...

• • •

სისხამ დილით თბომავალი „საქართველო“ ღია, წყნარ ზღვაში გავიდა.

შორით, მებადურთა ნავზე, თეთრი იალქანი ვერხვის ფრთასავით ირხეოდა.

— მარჯვნივ, ქიმიასკენ! — ბრძანა კაპიტანმა.

— არის მარჯვნივ, ქიმიასკენ! — უპასუხა გურიმ და შტურვალი ვადატრიალა.

დიზელის ძრავები გუგუნებდნენ.

კაპიტანმა ხელები უკან შემოიწყო, თავისი კაიუტისაკენ ვასწია.

ზღვის ზედაპირი ზოგან გლუვი და ბაცი ლურჯი იყო, ალაგ-ალაგ კი მუქი ლურჯი და მქისე. პორიზონტთან ზღვა და ცის დასალიერი რუხი იყო, ვერ ვაპრჩევდი — სად თავდებოდა ზღვა და ცა სად იწყებოდა.

გურიმ თვალი ჰკიდა პორიზონტთან გამოსახულ დიდ გემს; იგი თითქოს ზღვაზე კი არა, რუხ ცაში მიცურავდა.

მზე შუბის ტარამდე რომ აიწია, იამზე კაპიტანის ბოგაზე ავიდა, გურის მიესალმა, მოაჯირს ხელი ჩასჭიდა და ზღვას გახედა. ნიავე მის ცისფერ კაბას აშარიშურებდა.

„აქ რამ მოიყვანა?“ — გაუკვირდა გურის.

— გური! თქვენ არ გიყვართ ადამიანი.

— რატომ გვონიათ?

— წარამარა მუშტებს იქნევთ.

იამზე ხან კმაყოფილი იყო იმით, რომ მისი შეურაცხყოფის გამო გური ხანა-როგს შეება, გალახა, სისხლი აღინა, ხან აღიზიანებდა, აბრაზებდა გურის საქციელი: მაგას ვინ დაავალა ჩემი დაცვაო.

— სუსტისათვის თითი არ დამიკარებია, მე სუსტს ვიცავ ძლიერისაგან, ნუთუ ეს დანაშაულია?

— დაცვა მე არ მესაჭიროებდა, თავს ნუ იწუხებთ, ბოროტ, თავებდ ადამიანს თავად ბუნება დასჯის, ბუნებას თავისი სამართალი გააჩნია. უცნაური ადამიანი ხართ, ცალ ხელში წიგნი გიჭირავთ, მეორე კი მუდამ მომარჯვებული გაქვთ გასარტყმელად. ყველა თქვენისთანა რომ იყოს, ეს ქვეყანა საგიყეთს თუ არა, რალაც საოცარ რინგს დაემსგავსებოდა.

— აღარ დავიცავთ, შევცდი, მაპატიეთ. — თქვა ნაწყენმა გურიმ, — ბუნე-

ბას კი არავითარი სამართალი არ გააჩნია: მიწისძვრა, წყალიდღობა, ტაიფუნი, ცუნამი ხოცავს ადამიანებს! სუქმე-ნიერესი ქალი, თუ კაცი, ბერადება, ზოგჯერ გამოთაყვენდება, გამოსულეღობა, საზარელი სანახავი ხდება, კვდება. რამდენი ბავშვი ეთხოვება წუთისოფელს! დიდი ადამიანის დაბადება დიდი მოვლენაა. ეს არის ახალი, განუმეორებელი, რთული და ლამაზი სამყაროს დაბადება. მაგრამ რა აზრია სიკვდილში? რომ იბადებოდეს უფრო ჭკვიანი, მიმზიდველი, მაშინ ადამიანი ეცდებოდა სიკვდილთან როგორმე შერიგებას. პომეროსი, რუსთაველი, დანტე, მიქელანჯელო, კარუზო დაიხოცნენ, ჩემისთანა ადამიანები კი იბადებიან და ცხოვრობენ. აბა, სად არის აქ სამართალი და სიბრძნე ბუნებისა? არავითარი უფლება არა აქვს იმ ძალის, მოვლენის, იმ ენონის არსებობას, რომელსაც შეუძლია მოსპოს, არააოზად აქციოს ადამიანი, მისი დაუღებარი სული, საკვირველი გრძნობა სილამაზისა და სიყვარულისა.

— მაინც არა ხართ მართალი, — იამზემ თვალები ოდნავ მოკუტა.

— მაინც?

— რამხელა სიბრძნეა და საიდუმლოება იმაში, რომ დაუსრულებელ სამყაროში მიექანება ერთ-ერთი წერტილი — დედამიწა, რომელზედაც დიადი მიზნების განსახორციელებლად იბრძვიან პაწაწინა სულიერი არსებანი და ისინი ფიქრობენ უსაზღვროებაზე, ღმერთზე, უკვდავებაზე! ვანა განსაცვიფრებელი არ არის: განსაზღვრული განიცდის დროისა და სივრცის განუსაზღვრელობას? ადამიანის თვალაზრისით, გველის არსებობას აზრი არა აქვს, მაგრამ რამხელა სიბრძნეა იმაში, რომ თავის დასაცავად, არსებობისათვის, ბუნებამ იგი შეთარაღა მომავლდინებელი შხამით! — და უცებ სულ სხვა ხმით, მღელვარე, უნაზესი ხმით წამოიყვირა:

— გური!

— გისმენთ, ქალბატონო. — უპასუხა და გაიფიქრა: რამ ააღლევა? რა მოხდა?

— მე ძალიან მიყვარს ზღვა. ყოველ-

თვის, როცა ელნათურებით აციმციმებული რომელიმე ნაფსადგური გამოისახება ჩაღამებულ პორზონტზე, უცნაურად ამიჩქროლდება გული, თითქოს რომელიღაც უცნობ პლანეტას ვუახლოვდებოდე, სადაც უკვდავი სიჭაბუქე, სილამაზე და სიყვარულია! თქვენ წყნარი ზღვა უფრო გიზიდავთ, თუ აღელვებული? — გემბანს მომწუსხველი, ცბიერად აუუუუნებელი თვალებით მი-აჩერდა.

— აღელვებული.

— ქართველები ძველთაგანვე ცნობილი არიან, როგორც მამაცი მეზღვაურები, განსაკუთრებით ეს ითქმის ლაზებზე, თქვენც ხომ ლაზი ხართ! და მიკვირს, რატომ არა გვყავს ჩვენი სტანიუკოვიჩი. ჩვენი კონრადი. ქართული ლიტერატურიდან ამოაგდეთ ვაჟა და დარწმუნდებით, რომ ჩვენში მთის პოეზიისაგან თითქმის არაფერი დარჩება. თუმცა მთის შესახებ, ვაჟას გარდა, წერდნენ სხვებიც. ვაჟა გენიოსი იყო, მაგრამ მთაში რომ არ ეცხოვრა. მთის ბრწყინვალე პოეზია ვერ შეიქმნებოდა. ზღვის შესახებ წერდნენ ჩვენი მწერლები, ახლაც წერენ, მაგრამ საჭიროა დიდი პოეტური სუნთქვა, დიდი ტალანტი და ზღვის, მეზღვაურთა ცხოვრების ღრმა ცოდნა, რომ ზღვის რომანტიკულმა პოეზიამ გაამდიდროს ქართული მწერლობა.

— თქვენი მართალი ბრძანდებით, პე ბევრი მიფიქრია ამ საკითხზე, — საესე მხრები მომხიბლავად შეათამაშა, ჩამოსხმული ფეხები შეატოკა — აამღერა, გური დააჯილდოვა იღუმალი ღიმილით.

„ნუთუ ანატოლი მართალია? ნუთუ მოვწონვარ? ნუთუ მოხდა სასწაული? თვალჩაიციებით გემბანს რატომ დასცქერის? ნეტავ ერთხელ კიდევ შემომხედოს და გამიღიმოს!“

— თქვენი სურვილია გვყავდეს ქართული ლიტერატურის სტანიუკოვიჩი. ქართველ მეზღვაურთა ცხოვრება ისეთი ვაჟაკურია, ისეთი მდიდარია მათი წარსულიც, რომ საჭიროა დიდებული ვაჟა და არა სტანიუკოვიჩი.

— გეთანხმებით. თქვენ რას იტყვით,

ძვირფასო კაპიტანო? — საესე მხრები ისევ შეათამაშა, მისი ატუკებული ტუნის ყოველი ნაკეთი თითქმის მღეროდდა. გურიმ ხელი უშვა შტურვალს და მოაჯირთან მიიჭრა. სისხლი თავში აუვარდა, დატორტმანდა. გემბანზე, ტენტის ჩრდილში პირმშვენიერი გარსევან შენგელია იჭდა. აი, თურმე ვის ეთამაშებოდა და ეკეკლუცებოდა იამზე! „კაპიტანი ტუჩებზე დაეკონა ექიმსო“, — მოაგონდა ზახაროვის სიტყვებო, იამზესა და გარსევანისადმი შურისძიების გრძნობამ დენთივით იფეთქა მის გულში, მაგრამ ჩქარა სულ დაიშალა ტამში და თვითმკვლელობის სურვილი დაეუფლა.

„გაფაგიყე გარსევანი... გარსევანი აღბათ ფიქრობს, რომ ძალიან მომწონს და მალეღუებს გური, — უხაროდა იამზეს, — ახლა კი თავს დამანებებს, ჩამომშორდება.“

• • •

მარიუპოლში შავი ქვის ამოტვირთვისთანავე თბომავალი ფოთისაკენ დაიძრა. ფოთთან ზღვაური აქოჩრებდა ზეირთებს. გური ფიქრობდა: „ჩაიკალ გულში გრძნობა, შენ ოცნებობ სრულყოფილ მშვენიერებაზე, გინდა ჰპოვო ის, ვისაც დიდიხანია დაეძებ და გავიწყლება, რომ მახინჯი ხარ.“

გულში კვლავინდებურად, ნაღვლიანად გალობდა უიმედო სიყვარულის ურიცხვი სალაპური, როცა თბომავალი ნაპირს მიადგა. გური რესტორნისაკენ გაეშურა.

• • •

რესტორანში ანატოლიც შევიდა.

— გური! რატომ იყურები აგრე კუშტად?

გურიმ პასუხი არ გასცა, ჭიჭიდან არაყი მოწრუბა: ამღვრეული, დასისხლიანებული თვალებით ისე მიაშტერდა მეგობარს, თითქოს პირველად ხედავსო. მერე მძიმე ხელი გადახვიბ და არაყით

სავსე ჰქია მიაწოდა. ანატოლიმ სულ-  
მოუთქმელად დალია.

— ხომ მოგნახე! — ანატოლიმ სვე-  
ლი ტურები ქალაღდის ხელსახოკით  
მოიწმინდა, მეოცნების დიდრონი თვა-  
ლები მოწყურა და ჩემად თქვა:

— ნეტავი უკვდავი იყოს ადამიანი,  
მე სულ ვფიქრობ ამაზე...

— მაშინ ველარ დავეტევით დედა-  
მიწიან. მაგრამ მე მჭერა: ადრე თუ  
გვიან ადამიანი მიადღწევს უკვდავებას,  
მარადიულ სიკბაბუქეს, ჩაჯდება საპაერო  
ხომალდში და ერთი პლანეტიდან მეორე-  
ზე გადაფრინდება. რატომ გვგონია,  
რომ დედამიწაზე უკეთესი პლანეტები  
არ მოიპოვება ამ დაუსრულებელ სამ-  
ყაროში? მაგრამ ანატოლი, მე და შენ  
რატომ უნდა მოვეკვდეთ? ის, ვინც მია-  
ღწევს უკვდავებას, განა ჩვენზე ჰყვანი  
და კეთილი იქნება?

— ასეთი უკვდავება მე არ მწყურია.

— რაო? — გაუყვირდა გურის.

— ლამაზი, ახოვანი, მუდამ ლამაზი  
და ახოვანი იქნება: მაგრამ რა დააშაეა  
იმან, ვისთვისაც ბუნებამ არ გაიმეტა  
ახოვანება, სილამაზე? სამუდამოდ  
უნდა დაიჩაგროს იგი? არა, ასეთი  
უკვდავება მე არ მინდა.

— ასეთი უკვდავება არც მე მინდა.

— ადამიანი უნდა ბერდებოდეს,  
კვდებოდეს, ისეე იბადებოდეს, ხან გონ-  
ჯი იყოს, ხან კი ლამაზი. რას იტყვი,  
გური? მე მინდა კვლავ მოვევლინო ამ  
ქვეყანას ჩემი ფიქრებით, ვანცდებით,  
სულით, და არა ამ პატარა სხეულით,  
პატარა ხელებითა და ფეხებით. მაშინ  
აღარ დამიწუნებს დონია.

— ამაზე მეც მოცნებია... კვდებოდე  
და ისეე იბადებოდე! ამ ქვეყნიდან მი-  
დიოდე და ისეე მოდიოდე! სიკვდილისა  
არ გეშინოდეს... რატომ გგონია, რომ  
მაშინაც გეყვარება დონია? შენ თუ მარ-  
თლაც მოვევლინე ამ ქვეყანას ტანადი,  
თვალწარმტაცი, ხომ შეიძლება იმჟამად  
დონია დაბალი იყოს და მაკაკას გაედღეს?  
შენ ხომ მისი გარეგნობა უფრო გაი-  
ტერესებს, ვიდრე სული? ეს საკითხი  
რთულია, ჩემო ანატოლი. ერთი ინდოე-

ლი მწერალი ასეთ აზრს გამოთქვამს:  
„მე ვიცი, რომ ჩქარა დაეტრევა სწულ-  
თროს, მაგრამ ისიც ვიცი, რომ დარჩე-  
ბიან ჩემისთანები, რომ ათეული, თუ  
ასეული წლების შემდეგ დაიბადებიან  
ადამიანები და დამემსგავსებიან ფიზიკუ-  
რად, სულიერად, მაშასადამე, მე უკვ-  
დავი ვარ“. ამ მწერალს არ ესმის ის,  
რომ გამეორება უკვდავებას არ ნიშნავს.  
ეთქვათ, ორასი, თუ ოთხასი წლის შე-  
მდეგ დაიბადა შენისთანა ადამიანი. იმ  
ადამიანის ცხოვრება შენი ცხოვრების  
უშუალო გაგრძელება ხომ არ იქნება? ის  
რომ ვერ მოიგონებს შენს ცხოვრებას  
ისე, როგორც შენ იგონებ შენს გუშინ-  
დელ, თუ გუშინწინდელ დღეს? რა  
ფასი აქვს ასეთ გამეორებას? განა ეს  
უკვდავებაა? რა თქმა უნდა, არა.

— სულს ნუ მიწამლავ. მე მინდა ვი-  
ოცნებო იმაზე, რომ ორასი, თუ სამასი  
წლის შემდეგ მოვალ ამ ქვეყნად ახოვა-  
ნი, მხარგამლილი, დონია ისეთი იქნება,  
როგორიც ახლა არის: შემოიყვარებს და  
გამაბედნიერებს.

ანატოლის ჰქიაში არაყი ჩაუსხა და  
ომახიანად უთხრა:

— დავლიოთ, ანატოლი.

სამი ბოთლი არაყი გამოცალეს.  
უგონოდ მთვრალეები, ხელგადახვეულე-  
ბი ქუჩაში დაბანდალობდნენ.

ანატოლის უცბად სახე გაუბრწყინდა,  
აშოლტილ ახალგაზრდა ქალს სევდიანი  
თვალები გააყოლა:

— როგორ გავს ჩემს დონიას...

— რად გინდა ქალი, რომელსაც არ  
უყვარხარ?

— ნუ მაწყენინებ, გური.

— დონიას სხვა კოცნის, შე სულე-  
ლო...

— აღარ გაბედო, თორემ... ანატოლი  
გაიფხორა და გურის სილა უთავაზა.

— კიდევ... — გურიმ ახლა მეორე  
ლოყა შეუშვირა.

ანატოლიმ მუშტი მოუქნია, დააცილა.  
წონასწორობა დაკარგა და ქვაფენილზე  
ზღართანია მოადინა. თავი ასწია. გასის-  
ხლიანებულ ცხვირზე ხელი მოისვა და  
ატირდა, მცირე ხნის შემდეგ დაიყვირა:

— ამხანაგებო, გური მცემს, მომეხმარეთ!

გურიმ ანატოლი წამოაყენა. აკოცა, მერე მათ გარშემო თავმოყრილ ცნობისმოყვარე ქალებსა და კაცებს დაუტატანა და შინისკენ წაბანცალდა.

\* \* \*

დილით გაეღვიძა თავდამძიმებულს, გაბრუნებულს, გული სტკიოდა, თითქოს ვიღაც შიგ სადგისს უყრიდა. „ამ გვჯამ სილა გამარტყა, რამხელა გული ჰქონია! უყვარს ის ქალი და მერე როგორ!“ უცებ მოიღუშა, წამოვარდა, ტანთ ჩაიცვა და ნავსადგურისკენ გაალაჯა. „ღამე თბომავალზე მორიგე უნდა შემეცვალა, მე კი დავთვერი... ჩხუბს ესეც დაემატა, უეჭველად მომხსნიან“, — ფიქრობდა გზაზე.

ბინტით თავშეხვეული, ცხვირდასიბული, ჭავრით მზირალი ანატოლი გურის შეეგება თბომავალთან, შეაჩერა და სთხოვა:

— არ იდარდო, გური, სხვა გემზე მოეწყობი. „მოიხსნას ხულოვნობისა და შრომის დისციპლინის დარღვევისათვის“, — ასე წერია ბრძანებაში. ნუ ახვალ გემზე...

ქულჩამოფხატული, კაპიტნისადმი შურისძიების გრძნობით გულანთებული გური სანაპიროს გაუყვა.

\* \* \*

ღამე გურიმ გარსევანსა და იამზეზე ფიქრით გატეხა. გარსევანმა აუსრულა დანაპირები — თუ იჩხუბებ, შრომის დისციპლინას დაარღვევ, თბომავალიდან გაგაძევებო. ზახაროვის სიტყვები — „კაპიტანი ექიმს ტუჩებზე დაეკონაო“, ტენში ზიკვივით ჰქონდა შერკობილი და წვადა. სილა გააწნა? ჰმ... ასე იციან ქალებმა: ჭერ გაგასილაქებენ, მერე გაუტკებმათ კოცნა. გულიც გაუთბებათ. ანატოლიმ მომატყუა, იამზეს მოსწონს ხარო. სულელმა, კინაღამ დავუჭერე, ვე-

ქებდი იამზესთან დაახლოებისა და გასაუბრების საბაბს. რატომ იცრუა ანატოლიმ? შევებრალები იამზეზე მართლაც თქვა, გური მომწონსო, რომ ამით შეენიღბა მისი ურთიერთობა კაპიტანთან? იამზე აღბათ ხასაა გარსევანისა და იმ თბომავალზე ჩემი ყოფნა რალაცნაირად ხელს უშლიდა ორთავეს. იამზეს ვეტყვი — შე კაპიტნის ხარკავმეთქი, გარსევანს საღმე ჩაუესაფრღები და ისე ვლენჯვ, სიკვდილამდე ვერ დაივიწყოს. მე დამჩაგრა ბუნებამ, მაყმარონ ეს...

წაიხმსა, თოფი მხარზე გადაიკიდა, წელზე ტყავის საეაზნე შემოირტყა და ზღვის პირს ნელი ნაბიჯით გაჰყვა.

ორ დამხმარე შექურასთან გური შედგა. კარგად ახსოვს: ამ ათიოდე წლის წინათ შექურებსა და ზღვას შორის აყვავებული ბაღები იყო. ახლა ზღვა შექურებს ზედ მისდგომოდა, ლოკავდა. რამდენი მოსახლე აჰყარა. რამდენი ბაღი წალეკა. ჩაყლაპა! გაუმძაღარო ზღვა თავის ამოუვსებელ სტომაქში ყრის მიწას, ხეხილს, ვარდებს, ყვავილებს, ავიწროებს და მიერეკება მოსახლეობას. თუ ასე გაგრძელდა, ამ უძველეს ქალაქს მალე ჩანთქავს წყალი.

რიონის მარჯვენა ტოტიდან მარცხენა ტოტამდე გადაჭიმულიყო სუფთა, ნაცრისფერი ქვიშის პლიაჟი. პლიაჟსა და მოსახლეობის შორის მარად მწვანედეროიანი, ბოლოში თავწაწვეტებული და გაშავებული, გაბარდული კოლები გარეული ფრინველისა და ტურების თავშესაფარს წარმოადგენდა. კოლებთან, ზღვის პირას, ქვიშაზე გვიმრა იზრდებოდა, ზაფხულში გვრიტებსა და მტრედებს იქ უყვარდათ გოგამნი.

ზენა ქარი ზღვის მწვანე ზედაპირს აჰავლებდა, კოლებს აშრიალეზდა. ნაპირზე ძელები და ფიჩხი ეყარა. აღიდებულ რიონს თავისი ნადავლი ზღვაში შემქონდა, ზღვა კი ისევე ხმელეთს უბრუნებდა. ზღვის პირას ხანდახან თითო-ორილა გოგობიკი გამოჩნდებოდა. ტომარაში ფიჩხს ჩაჰყრიდნენ და პირს შინისკენ იბრუნებდნენ.

გურიმ ტანისამოსი გაიხადა, ცხელ ქვიშაზე პირალმა დაწვა, თვალები დახუჭა და მაშინვე ჩაეძინა. მშრალმა ზენა ქარმა და სექტემბრის მცხუნვარე მზემ შუადღისას გამოალეცა. გაოფლიანებულმა, ახლა ზურგი მიუფიცა მნათობს და ძილს ისევ მისცა თავი. მზე რომ გადაიწვერა, ზღვაური ამოვარდა. ზღვა აატორტმანა, ააბუბუნა. აცივდა. გურიმ თვალები დააჭყიტა, წამოხტა ბუსუსებდაყრილი, ჩაიცვა, თუ ღამე შურისძიების ფიქრმა დალია, ახლა მის გულში ადამიანისადმი მხოლოდ სიყვარულისა და ყოვლისპატიების გრძნობას დაესადგურებინა. ზახაროვიც კი უყვარდა, ეცოდებოდა, სინდისი ჰქენჯნიდა — რატომ გავლახეო. „უთქვათ, ზახაროვმა ჩემს გასაბრაზებლად წამოაყრანტალა — კაპიტანმა ექიმს აკოცაო. რატომ უნდა ამალეღვოს ამან? იამზესთვის მე არ ვარსებობ, როგორც მამაკაცი. მეც ვგრძნობ, არა ვარ მისი ღირსი, მაგრამ რატომ მიყვარს? რატომ შენატრება მისი ჩრდილის კოცნაც კი? მწერლობა? შევექმნი შნიშვნელოვან რამეს? მწერალთა კავშირში მე ვნახე ნამდვილი მწერლები, ვნახე ცრაფომანებიც, მანიაკებიც. ზოგი სულ იშის ცდამია, ცარიელი, გამოფშუტურებული თავი დაფნის გვირგვინით დაიმშვენოს, დედამიწაზე ველარ ეტევა, ბაყაყივით იბერება და ისე მედიდურად დაბრძანდება, თითქოს ამ სამყაროს საიდუმლოება იცოდეს, ქვეყნის გაჩენისა და განადგურების კანონებს განაგებდეს. საწყლები... საცოდავები... ირგვლივ დაუსრულებელი სივრცეა და ცის ურიცხვი სხეული, ვარსკვლავები ვარსკვლავებს ასკდებთან, ისმის ციურ გიგანტთა დაჯახებისა და აფეთქების კოსმოური სიმღერა და სადღაც, პატარა მიწაზე დალოდავს პაწაწინა მწერალი-მანიაკი, ჯღაბნის რაღაცას და ჰგონია, დიდ საქმეს აკეთებს...

\* \* \*

გურიმ თვალი ვერ მოწყვიტა ნავსადგურში ვეება გედივით ყელმოღერებულ

თეთრ თბომავალს. მისი გული იქ იყო, ფეხქვეშ ეგებოდა იამზეს. სობრმხელის საყვირმა მესამეჯერ რომ დაიგულუნა, გური შეკრთა, წამოიწია, წამოდგომა დააპირა. თბომავალი ფრთხილად შემოტრიალდა ნავსადგურში, ღია ზღვაში გასვლისთანავე აქანავდა. ჯერ ოდნავ შესამჩნევად შორდებოდა ნავსადგურს, მერე სვლას უმატა, პატარავდებოდა, თითქოს იძირებოდა. დასავლეთისკენ დახრილი მზის შუქი ილუმინატორებს ალისფრად ალაპლაპებდა.

ზღვაზე ნისლი წვეებოდა. ზღვა ნაპირთან ბაცი მწვანე იყო, ეს ფერი თანდათან მუქდებოდა და შორს ერთბაშად გადადიოდა იისფერში.

გური ნაპირზე დიდხანს იჯდა. დაღამდა. ზღვა ველკანიდან ამოხეთქილ მღუღარე ლავასავით ფუთფუთებდა. სადაც მზე ჩაესვენა, იქ ღრუბლის მალალი კედელი აღიმართა, იგი უზარმაზარ ღლისფერ მუყაოს დაემსგავსა. თუმცა მზე კარგა ხნის ჩასული იყო, „მუყაოს“ ზემოთ ცის მცირე ნაწილს ბაცი ყაყაჩოსფერი გადაჰკარავდა.

\* \* \*

გური ნაოსნად ველარ მოეწყო, კაპიტნები ამბობდნენ — ჩხუბისთავიაო. გემთშემკეთებელ ქარხანაში ზენიკლად დაიწყო მუშაობა, წვერი მოუშვა, გრძელი უღვაში დაიყენა. წვერ-უღვაშმა „დააბერა“, თვრამეტი, ცხრამეტი წლის გავსებული ქალიშვილები „ძიას“ ეძახდნენ.

როცა თბომავალი „საქართველო“ ნავსადგურში შემოვიდოდა, გური აგზნებული, აფორიაქებული იყო, წყუროდა იამზეს ნახვა, თავს ებრძოდა, თბომავალს ახლოს არ ეკარებოდა. ერთხელ, არყით გამობრუტულს წაძლია სულმა, შებინდებულზე ლანდივით მიეპარა თბომავალს და საწყობის ჩრდილში მიიყუტა. ელნათურების შუქით ცაჩახახებულ გემბანზე ამაოდ ეძებდა იამზეს. „ერთი წამით მაინც მეჩვენოს!“ — ნატ

რობდა. ქუთუთოები უმძიმდებოდა...

გამოეღვიძა, თბომავალი ნავსადგურ-რიდან გასულიყო. ადგა, ვაიზმორა, ულვაშის დასაგრეხად წაიღო ხელი და განცვიფრდა, ულვაში ვეღარ იპოვნა. ბურღუგანაში ჩამოიჭდარ, ჩამოძინებულ სანაპირო ნაოსანს, მსუქან, ძვალშხვილ კაბუქს მუჯლუგუნი უთავაზა, გააღვიძა.

— თუ ძმა ხარ, არჩილ, შემომხედე, მარჯვენა ულვაში მაქვს, თუ არა.

სანაპირო ნაოსანს სიცილი წასკდა.

— რამ აგახორხოცა, შე შობელძალ-ლო, შენ მომჭერი? — გურიმ მუშტი მოუღირა.

— არ ვაგიყდე, არ დამარტყა, ულვა-ში ზახაროვმა შეგაჭრა მაკრატლით.

— დედას ვუტირებ ზახაროვს... — ბურტყუნებდა.

შინ მისვლისთანავე სარკეს ეცა და ბევრი იცინა. დარჩენილ ცალ ულვაშს იმ დილითვე მოუღო ბოლო და წვერიც გაიპარა.

გური გატაცებით წერდა მოთხრობას სიუვარულზე!

მისის მიწურულში თვალი მოჰკრა დანისლულ ნავსადგურში მიმავალ, თეთრად მორთულ იაშხეს. მოკვალთუ-ლი ქათქათა კაბა თეთრი წინდები, თე-თრი ფეხსაცმელი თვალთაგან ჩქარა გა-უჭრა. ერთ ხანს ნისლში მცურავ თმა-გიშერს ხედავდა მხოლოდ... ის დამე! გული ისე მწვავედ სტიკოდა, დილა-მდე კენესოდა და ამ კენესაში რაღაც შევებას გრძნობდა. მისი ერთგული მე-გობარი — კართან ჩაცუცქული ძაღლი-გრძნობდა, ჩემს პატრონს უჭირსო, და საწყალობლად წუწყუნებდა.

გური ღვიწხოს, არაყს და პაპიროსს მი-ეძალა, გულს იტკიებდა, ექიმთან კი არ მიდიოდა.

ასე მიჰქროდნენ დღეები, თვეები...

• • •

მოთხრობა დაამთავრა, გამომცემლო-ბას გაუგზავნა, მისწერა: „თქვენი აზრი მაცნობეთ, გური ლომია-ფსევდონი-მი — ზარანდია“.

იცოდა: გურის წადილი არასოდეს

აუხდებოდა, იაშხე მას არ შეიყვარებდა. მაინც ოცნებობდა ისეთი ნაწარმოე-ბის შექმნაზე, რომ „ზღვისებრ შეუ-ბრალებელი და მშვენიერი“ ექიმის ყუ-რაღდება დაეყარო.

გამომცემლობა დუმდა. გური საკუთარ თვალში დაკნინდა, დაჩაივდა.

• • •

ოცდღორმა ივნისმა სასოწარკვეთილე-ბის გრძნობა გაუქრო, უხაროდა — თო-ფის სროლა ჩინებულად იცოდა, სამშო-ბლოს გამოადგებოდა. მეორე დღესვე სამხედრო კომისარიატში გამოცხადდა.

• • •

შუადღისას გური შინისკენ მიაბიჯებ-და. გზაზე ანატოლი შეეყარა. ერთმანე-თი გადაკოცნეს.

— სად იყავი, გური? შენმა ძაღლმა კინაღამ გამათავა, ძლივს მიცნო.

— სამხედრო კომისარიატში ვიყავი.

— გამოგიძახეს?

— რა საჭიროა გამოძახება? ომია...

— როცა ნავსადგურში შემოვდიო-დი, შენგვლიამ დამავალა: ახლავე მო-ნახე შენი მეგობარი გური ლომია და სთხოვე, ჩვენს გემზე იმუშაოს, იმის-თანა მარჯვე ნაოსანი არ მყოლია და არც მეყოლებო. გახარებულმა, კუბრიკში ტრეპაკა გავაჩაღე. ნაოსნებმა ზევით ამომავდეს. გემბანზე დაეუარე. ბო-ცმანმა კისერში წამითაქა — ომია, შენ კი ცეკვა, ჭკვიანი ბიჭი აგრე რამ გამო-გასულულაო. მაშინ კი გავებრაზდი, ბოც-მანს ვუთხარი — გურის დაბრუნება მახარებს-მეთქი. წავიდეთ ჩქარა, ამა-ღამ ჯარი გადაგვყავს, დედას ვუტი-რებთ გურმანელ ფაშისტებს.

— მე აღარ ვიმუშავებ მაგ თბომა-ვალზე, გამაძევეს.

— ნუ ჯიუტობ.

— კაპიტანმა და ექიმმა მომიშორეს, ჩემი იქ ყოფნა ალბათ ხელსაყრელი არ იყო მათთვის, ექიმი კაპიტანის საყვა-რელია.

— ცდები.

— იაშხეს და კაპიტანს უყვართ ერთ-

მანეთი, ზახაროვი მართალია. ჩემი თვალთვლით ვნახე — იამზე როგორ ექცეულეობდა გარსევანს. იამზე უგულვლო აღამიანია. მე არ ვითხოვ თანაგრძნობას, მაგრამ რა საჭირო იყო ჩემი გამოსხრება?

— გეფიცები დედაჩემის ნათელსულს, რომ გარსევანსა და იამზეს შორის მხოლოდ ამხანაგური დამოკიდებულებაა და მეტი არაფერი. რაც შენ წახველი, მას შემდეგ ისინი უფრო დამორღნენ ერთმანეთს. იამზემ განა დაგამოცირა?

— ჩემს მიმართ ნიადგა სიკვდილივით ცივი იყო. მხოლოდ ერთხელ კაპიტანთან გამეთამაშა, რომ მერე ალბათ სიცილით ეთქვა: ხომ ხედავ, გარსევან, როგორ ვაბურთავენ მაგ უბედურსო.

— ამას ვერ დავიჯერებ, იამზე ცინიკოსი არ არის. იამზე გრძნობს, რომ გიყვარს, უთუოდ შეეცოდე, ამიტომაც გაგეთამაშა. მართლაც, უცნაური კაცი ხარ. როცა ცივად გეპყრობა, საშინლად განიცდი, თუ გაგიცინა, ამბობ, მამიცირებსო. გარსევანი სულ შენს ქებაშია, იმისთანა მარჯვე, დაუზარელი ნაოსანი მე არ მყოლიაო. მართალია, მოგხსნა, დავსაჯა, ვერ გამიტყუნებ. თბომავალზე კაცი გალახე, სამუშაო დღე გააცდინე, მადლობას ხომ არ გეტყობა? რომ არ დაესაჯე, სხვები რას იტყოდნენ? ნუ ვაგვიანებთ, გველოდებიან.

გურამ ჭიშკარი შეალო ეზოში შევიდნენ. სახლის კიბეზე დაქუცულმა ძაღლმა კუდი ააქიციანა, გურის კეთილი თვალებით შეხედა, მერე დაწვა, თავი თათებზე ჩამოსდო.

— შენ თუ ჩემი ნამდვილი მეგობარი ხარ, გულს არ მომიკლავ, წამომყვები, ჩვენს თბომავალზე დაიწყებ მუშაობას.

— წამოვალ, იამზეს ვაჩუქებ ამ ვარდებს.

— იამზეს არ აკლია ვარდები და ყვავილები, თავიანთსმცემელი ბევრი ყავს. ნავსადგურის უფროსმა და თბომავალ „უკრაინას“ კაპიტანმა ჩაის უნახესი, სურნელოვანი ვარდების და ფერადფერადი ყვავილების თაიგულები მიარ-

თვეს. ასკილის უსუნო, გაპუტულ საცოდავ ვარდებს როგორ მიუტან? თავს ნუ იმცირებ, მოეშვი... ანატოლის მრისხანედ გადაუნათათვალები:

— ეს სულ სხვა ვარდებია, შე სულელო, ეს ვარდები უყვარდა დედაჩემს!

— ნუ მიჯავრდები. თუ მიექარე, მაპატიე. მე მგონია, იამზე ღირსი არ არის იმ ვარდების, რომლებიც უყვარდა დედაშენს.

— წინათ აღმერთებდი იამზეს, ახლა აგრე ავდებულად რატომ ახსენებ? შენ ხომ მომაცუყე, იამზეს მოსწონხარო?

— მე შენთვის მხოლოდ სიკეთე მინდა, იქნებ მართლაც მოგატყუე. ნუ შემომწყყრები, ალბათ ასე იყო საჭირო.

— მაშ არ მოვკრიფო?

ისეთი უმწეობა, დაბნეულობა, გაუბედავობა და ტკივილი გამოიხატა გურის სახეზე, ანატოლის გული შეეკუმშა, ზურგი შეაქცია და უბასუბა:

— მოკრიფე, მე წამოვიღებ. დღისით ნუ მისცემ, უხერხულია, რად გინდა, ყველამ დაინახოს?

• • •

კაპიტანი, მისი თანაშემწეები, ნაოსნები ვურის გულთბილად შეხედნენ, მხოლოდ ზახაროვმა შეხედა ალმაცერად. გურამ ზახაროვს უთხრა:

— შეგრიგდეთ, ევგენი, დავივიწყეთ, რაც ჩვენს შორის მოხდა. შენს წინაშე თუ დამნაშავე ვარ, მაპატიე.

ზახაროვმა მსხვილი, წაბლისფერი წარბები შეგრაგნა, გამომცდელი თვალებით ერთ ხანს ავეირდებოდა გურის. მერე ხელი ჩამოართვა. გურამ მიიზიდა და აკოცა. ზახაროვმა ალაღად გაუღიმა და თავისი ბარაქიანი ხელი მხარზე მოუთათუნა.

თბომავალის მილთან იამზემ სწრაფად ჩაუარა გურის, რალაც უთხრა ტრაპთან მდგომ კაპიტანს და ნელი ნაბიჯით გამობრუნდა. „ალბათ ვერ შემ-

ნიშნა, ამიტომ არ მომესალმა, რა ხანია არ გეინახავს ერთმანეთი!“ — გაიფიქრა გურამი. თვალდამშვეული შესცქეროდა ფერნაკლულ საყვარელ, წუხილით დანისლულ სახეს. იამზეს გვერდით მისივე გრძელი აჩრდილი მიცურავდა გემბანზე. აჩრდილი მიუახლოვდა გურის, მერე თითქოს შეეხო... შეეხო გურის და გული გაუთბო, იმედი ჩაუსახა...

— იამზეს სალამი! — გურამ ნაბიჯი ექიმისკენ გადადგა, ხელი გაუწოდა.

იამზემ გურის არ შეხედა, თავი ოდნავ დაუქრა, მბზინავი შავი წარბები კუშტად შეჰყარა და ფეხს აუჩქარა: «ველარ მოვძმორე ეს უბედური, საცოდავი...»

თავზარდაცემულმა, დამცირებულმა გურამ, სიკვდილი ინატრა.

\* \* \*

ღამის ორ საათზე გური გამოადვიდა გულის ძლიერმა ტკივილმა. მკლავები სტეხდა, თითქოს ძარღვები უსკდებოდა. განსაკუთრებით აწუხებდა მარჯვენა მკლავი, არ იცოდა, საით წაეღო. ყელში რაღაც ჩაფრენოდა და ახრჩობდა; სახე უხურდა. საწოლიდან გადმოხტა, ხელები ზევით აღაპყრო, გმინავდა. გაეღვიძათ ნაოსნებს, გურის შემოესივნენ, ეკითხებოდნენ, რა გტკივაო.

ზახაროვმა შეანჯღრია მის ქვემოთ საწოლზე მძინარე დალეული ცეცხლფარეში და ჩუმად უთხრა:

— თუ ძმა ხარ, ლეონიდ, ექიმი ჩამოიყვანე, კაცი კვდება. ესენი კი ეკითხებიან, რა გტკივაო. ასე რამ დააბნია ყველა... ექიმს მე მოვიყვანდი, მაგრამ ხომ იცი, გურისთან ნახუბარი ვარ, ზოგიერთი ოხერი ალბათ იტყვის — გურამ გალახა და დაიმონაო.

— ახლავე! — ცეცხლფარეშმა გამხდარი, მოკლე კანკები შარვლის ტოტეში გაჰყო, ზევით ავარდა.

ორიოდე წუთის შემდეგ კუბრიკში გაჩნდა პერანგზე ხალათოსხმული, თმააბურღული, წვივშიშველი ექიმი.

— ექიმო, რამდენჯერმე ვყოფილვარ

დაპრილი და პრილობას ასე არ შევეწუხებივარ, ვერ წარმოვიდგენდი გული თუ ასე ასტიკვდებოდა ადამიანს.

იამზემ გურის მაჯაში ჩაავლო ხელი, მერე ნაოსნებს მიუბრუნდა:

— ცხელი წყალი მოიტანეთ ვარცლით. მოიტანეთ სათბურაც, გააღვიძეთ ექთანო პრომედოლი, ატროპინი და ნემსი წამოიღოს.

დაფაცურდნენ ნაოსნები, ზოგი ექთანო დაშას გასაღვიძებლად გაიქცა, ზოგიც ცხელი წყლისა და სათბურას მოსატანად.

ანატოლიმ ვარცლი საწოლთან დაუდგა გურის. გურამ ფეხები ჩაჰყარა, ცხელი წყალი ეამა, სათბურა მუხლებზე დაიდო, ზედ ხელები დააწყო. ცქრილა ექთანმა მკლავში ნემსი გაუქეთა — პრომედოლი და ატროპინი შეუშაბუნა. ცოტა ხნის შემდეგ გურის ტუჩები გაუშრა:

— უკეთესად ვარ, ექიმო.

— დაწექი, გური.

ანატოლიმ თავისი პირსახოცით ფეხები შეუმშრალა, გური დაწვა და იამზეს მიაჩერდა მორჩილი, სევდიანი.

იამზეს ნუშისებრ მოგრძო თვალები დღისით შავი იყო; ახლა კი, ელნათურას სუსტ, მიბნედილ შუქზე მომწვანო-მოვერცხლისფრო იღუმალ შუქს აფრქვევდა.

— ექიმო, რა ქვია ამ ავადმყოფობას?

— საგანგაშო არაფერია, უნდა ერიდოთ ნერვიულობას, ღვინისა და განსაკუთრებით კი, არყის სმას. ნუ თვრებით, თქვენ დაავადებული ხართ სტენოკარდიით. სტენოკარდია ადამიანში იწვევს სიკვდილის შიშის გრძნობას. გრძნობთ შიშს?

— ვგრძნობ და მაინც მენატრება სიკვდილი.

— ვის ენატრება სიკვდილი? — ვინ არის ასეთი ლაჩარი? — ზევიდან ჩამოირბა ვაჟკაციური, ხვერდოვანი ხმა კაპიტანისა, კიბის საფეხურებზე ფეხს მძიმედ აბიჯებდა, — მომახსენეს: — გური ძირს დასცა გულმაო, არ დავიჯერე.

ახლა კი ხედავ, გური მართლაც ავად ყოფილა.

— გთხოვთ, გულწრფელად მიაპოთთრა შეგხვდათ საწყენი? მე ექიმი ვარ, გური, უნდა ვიცოდე.

გმადლობთ, ექიმო! — ბროწეულის ყვავილისფერ აბურცულ ტუჩებს მიაშტერდა. რალაც საოცრად საამო სურნელებას აკმევდა ექიმი და გურის თავბრუს ახვევდა. ეს სუნი არ გავდა ვარდისას და ყვავილისას.

იამზე შეიშმუნა, გურის მზერა თითქოს ეკალივით ესობოდა.

— გური, თქვენ არა ხართ გულწრფელი.

— თქვენ კი, მშვენიერო ქალბატონო, თურმე ხექალა ბრძანებულხართ, — კაპიტანი მოიქუფრა; ისე ეკითხება, თითქოს არ იცის, რა კლავს ამ ბიჭს...

გური გააბრუნა პრომედოლმა და ატროპინმა, თვალები დაეხუჭა. იამზემ დაინახა დაკეცილ ლოყაზე გაშლილი ცრემლი. გურის ჩაეძინა.

— ძლიერი სტენოკარდიული შეტევის დროს ადამიანი სანტიმენტალური ხდება. ასეთი რკინის კაციც კი გატყდა, — თქვა იამზემ. მხოლოდ ახლა, პირველად ჩააფიქრა ამ მეტად თავისებური, სახედრასახიჩრებელი, შეყვარებული ჭაბუკის ბედმა. „ხომ კეთდება პლასტიკური ოპერაცია! გურის ეურჩევ გაიკეთოს. ძალას დავატან, მე ვითავეპ ამ საქმეს...“

• • •

ჭარბითა და სამხედრო საჭურველით დატვირთულმა თბომავალმა უხმოდ დასტოვა ნაქადაგური. პორიზონტზე დროგამოშვებით ელავდა. თბომავალი ნელა ირწყოდა. გემბანზე ზოგს ეძინა, ზოგიც საუბრობდა მტრის მალე დამარცხებაზე, ოჯახზე, სიყვარულზე...

გურის გამოღვიძა, აგზნებული იყო, გული ერეოდა, პირი უშრებოდა. გემბანზე ავიდა, წრედ დაწყობილ ბაგირზე დაწვა, ვარსკვლავებს ახედა. უნდოდა დაეწივებინათვის მიეცა იამზე, აღარ ეფიქრა მასზე, კვლავ განეცადა დაუს-

რულელობაში გადასვლის, მასში გათქვეფის სიხარული, მაგრამ მშინს ვარსკვლავიანი უსაზღვროებაც კი თითქოს ერთ-ერთი ნაწილი იყო მისი სულისა. ჩასთვლიმა, იამზეს შეეკითხა:

— გიყვარვარ?

იამზემ უბიდან შავი ქალღმრთის ფურცელი ამოაშრიალა, მაგიდაზე დასდო. შავ ქალღმრთე თეთრი ასოებით დაიწერა:

— მიყვარხარ!

— გახდება ჩემი?

იამზემ მეორე შავი ფურცელი ამოიღო უბიდან და მაგიდაზე გაშალა. გური ამოიკითხა:

— სამუდამოდ შენი ვიქნები...

იამზე გვირგვინის ტოლა ლურჯ ფრინველად იქცა, გურის დააფრინდა მხარზე და... თბომავლის შერყევამ გური გამოაფხიზლა. ჯარი ტრაპით ეშვებოდა ნაპირზე. „რამდენი აღარ დაბრუნდება...“ — სევდიანად ფიქრობდა გური.

— მშვიდობით, ამხანაგებო! — აღმოხდა მას.

— მშვიდობით! — გაისმა პასუხად.

— მშვიდობით კი არა, ნახვამდის! — ნაპირზე ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

გური ჯუბრიკში ჩავიდა. მკერდგაღებულ ზახაროვი დაღლილ ხარკით ფშვინავდა. სურდა გაეღვიძებინა, დამშვიდობებოდა, მაგრამ ისე ტყბილად ეძინა, შეეცოდა. ათთუშნიანი ბალიშის ქვეშ ამოუღო, გაიფიქრა: „უყვარს არაყი და ღვინო, დალიოს, გაიხაროს, ნეტავი რა გვაქვს ვასაყოფი? ორთავეს შეგვეკმს მიწა“. ანატოლის კარადიდან ასკოლის დამქენარი ვარდების თაიგული ამოიღო, გული აუბაგუნდა და წამამზე ცრემლი დაეკიდა. დაიხარა, მძინარე ანატოლის აკოცა თავზე და ზევით ავიდა. დაღონებული, ფიქრიანი ერთ ხანს იამზეს კაიუტის წინ იდგა, თაიგულს ხელში ატრიალებდა, ვარდების თეთრი ფურცლები ძირს ცვივოდა. მერე თაიგული კაიუტის კართან დააგდო და ჯარის ნაწილებს დაედევნა: „ჩემი ადგილი ფრონტზეაო“, — ფიქრობდა.

დილით იაშზე კაიუტიდან რომ გამოვიდა, ფეხი თაიგულს დააბიჯა, დააბიჯა და გაიცინა: „თავს აღარ დამანებებ, გარსევანო? ტყის ვარდები დაგიყრია აქ, რომ გამაბრაზო, დამამცირო, მე კი მეცინება...“

• • •

გურიმ ასიოდე ნაბიჯი ძლივს გაიარა, ჯარს ჩამორჩა. ისევ ასტივდა გული, კისერში ვიღაცამ ისევ მოუჭირა უხილავე მარწუხები, ალვის ხეს ხელები უღონოდ მოხვია, თავი ჩამოუვარდა, მუხლმაც უღალატა და ქვაფენილზე გაიშოტა.

ქუჩა დაცარიელებულიყო, მხოლოდ კატა თუ გადაჭირდა ჩაბნელებულ ფართო მოედანს და სადღაც, ხანდახან ყრუდ, უხალისოდ წამოიყვებოდა ძაღლი.

დილით გურიმ საავადმყოფოში გაახილა თვალი. მის გვერდით გაძვალტყავებული, გულადმა მწოლარე ბერიკაცი ტუჩებს აცმაცუნებდა.

გურიმ ამოიოხრა. ბერიკაცმა კენესა შეწყვიტა და სახე მისკენ მიიბრუნა.

— ჯერ ბავშვი ხარ, რამ დავისნეულა გული?

— გული აღარ მტკივა, ოღონდ გამალებით მიცემს, ნამთვრალევივით ვარ.

— წუხელ ატროპინი და კორდიამინი შეგიშხაპუნეს, მაჯისცემის აჩქარება ატროპინმა იცის, — ბერიკაცმა საათს დახედა, — ახლა დაიწყება შემოვლა.

მართლაც, ტალანის იატაკი ჩქარა აახშიანა მრავალმა ფეხმა. პალატაში მელოტი, სახეყვითელი, ხანშესული მთავარი ექიმი შემოვიდა, მას შემოჰყვა მთელი რაზმი ექიმებისა.

— უკეთესად ხომ ხართ? — ბერიკაცს ჰკითხა მთავარმა ექიმმა.

— ინფარქტს უეჭველად აჯობა, — თქვა თერაპიული განყოფილების უფროსმა, ორმოც წელს გადაცილებულმა, ჯერ კიდევ სანდომიანიმა ქალმა,

ცეცხლისფრად შეღებილი თმა შეისწორა და პატარა, მრგვალი, წაბლისფერი თვალები დაახამხამა.

— ეს როდისღა დააწვინეთ? — მთავარმა ექიმმა მზერა გურიზე გადაიტანა.

— წუხელ. სასწრაფო დახმარების მანქანა შემთხვევით წააწყდა ქუჩაში გულწასულს, — განყოფილების გამგემ კვლავ დაახამხამა თვალები.

— რა აწუხებს?

— აშკარად გამოხატული სტენოკარდია. — განყოფილების გამგე პალატის ექიმს — მასზე მაღალ, ახალგაზრდა, შავად ჩაცმულ ქალს მიუბრუნდა:

— ამ დილით აუღეთ სისხლის საერთო ანალიზი, კარდიოგრაფიაც გადაუღეთ.

— რაც საჭიროა, ყველაფერს გავაკეთებთ, — მიუგო პალატის ექიმმა.

— რა პროფესიის კაცია?

— საბუთების მიხედვით, მეზღვაურია, — ახლა პალატის ექიმმა უპასუხა მთავარ ექიმს.

მთავარმა ექიმმა გურის პერანგი აუწია, გულის მუშაობას მოუსმინა და თქვა:

— ტანის სილამიზისათვის რომ არსებობდეს ჯილდო, თქვენ უეჭველად მიიღებდით. ვარჯიშობთ?

— კრივს ვსწავლობდი ოდესაში.

— მაშ საშიში კაცი ყოფილხართ...

— გაულიმა მთავარმა ექიმმა და ჰკითხა:

— არაყს ეტანებით?

— დიას.

— თამბაქოს ეწვეით?

— ვეწევი.

— დიდი ხანია უჩივით გულს?

— სამი წელია.

— გეტყობათ, ძალზე მგრძობიარე ხართ!

— ჩქარა გამწერთ?

— უკვე მოგბეზრდათ აქ ყოფნა?

— ომია, აქ რა გამაძლებინებს?

— ომია... — ამოიოხრა მთავარმა ექიმმა, დანაოქმებული შუბლი უფრო

დაუნაოქდა, — თქვენს გულს საფუძვლიანი მკურნალობა ესაჭიროება.

— ნუთუ ასეთი ცუდი გული მაქვს?

— თუ იმკურნალვით, რეჟიმს დაცავთ, დიდხანს იცოცხლებთ, პაპიროსს და არაყს უნდა გამოემშვიდობოთ, — მთავარი ექიმი პალატიდან გავიდა.

როცა შემოვლა დამთავრდა, პალატის ექიმმა, ქართველმა ქალმა კარი შემოაღო, მაგიდაზე ქალაღდის ფურცლები გაშალა, გურის „ავადმყოფობის ისტორიის“ შევსებას შეუდგა. მის ღია, მსუბუქი სევდით ჩაბურულ თვალებში, ღულუნა ხმაში, იმდენი სითბო და სინაზე იყო, რომ გაცნობისთანავე გაჭადოებდა, მისდამი უსაზღვრო ნდობისა და პატივისცემის გრძნობას გინერგავდა, განკურნების იმედს გისახავდა გულში.

— მოგწონთ ჩვენი ექიმი? — ჰკითხა გურის ბერეკაცმა, როცა ექიმი თავის საქმეს მორჩა და გარეთ გავიდა.

— ძალიან. რა ქვია?

— გულიკო.

— გვარი?

— ბრეგაძე. ჩვენი პალატის ექიმი არაჩვეულებრივი ადამიანია, შვილივით მიყვარს, განყოფილების გამგეს კი აგინებენ — ფულის გიყიათ, ვინც საჩუქარს მიაართმევს, იმას თავს ევლებო.

გური მოთენთილიც იყო, აგზნებულად, ეძინებოდა და ვერ იძინებდა. ფირუზთვალა, ჰაეროვანი ექთანის პალატაში შემოგოგდა, თვალდახუჭულ გურის დახედა და ფეხაკრეფით გაცქრიდა.

დაღამებამდე გური ბურანში იყო, მერე დიღამდე ტკბილად ეძინა. საუზმის შემდეგ საპირფარეოში პაპიროსი გააბოლა, პირში წყალი ბლომად გამოივლო — ექიმმა არ შემატყოსო. პალატისკენ გასწია. პაპიროსმა გუნება მოუშხამა, გული დაუმძიმა.

ბერეკაცი შფოთავდა.

— პრომედოლმა თუ არ მოხსნა ტკივილი, სხვა საშუალებას მივმართავთ, —

ამწვიდებდა პალატის ექიმი, — ნუ ლაპარაკობთ, ლაპარაკი ღლის გულს.

„ხმაც როგორი ნაზი, ქალური აქვს!“ — ფიქრობდა გური.

— როგორ ბრძანდებით, გური?

— სიკვდილს ადვილად არ დავენებდები.

ექიმს თამბაქოს სუნი ეცა, მოიქუშა.

— არ მეგონა, თუ ასეთი შეუგნებელი იყავით, არ ვიცი, რით და როგორ დაგსაჯოთ. თუ მომცემთ პატიოსან სიტყვას, რომ პაპიროსს აღარ მოსწევთ, გიმკურნალვით. ხოლო, თუ განაგრძობთ თვითმკვლელობას, მე საქირო აღარავარ.

— მხოლოდ ორი პაპიროსი მოვწიე.

— არ უნდა მოსწიოთ, არ დაგიმაღავთ, თქვენ ინფარქტის წინაშე დგახართ.

— ვეცდები, აღარ მოვწიო.

— რას მიქვია, ვეცდები. მომეცით ვაქცაის სიტყვა.

— აღარ მოვწიე.

— ვნახოთ...

• • •

ფაშფაშა ექთანმა გურის იმ საღამოსვე მკლავეში ნემსი გაუკეთა.

გურის სახე დაეღრია.

— გეტკინათ?

— მდულარე ლითონით შედის სხეულში.

— კორდიამინია.

— საშინელი წამალი ყოფილა.

ექთანმა კარი ისე გაიჭახუნა, ძელებმა რყევა დაიწყო.

— შენს დამბადებელს.... — ჩაიბუზღუნა ბერეკაცმა, — ნამდვილი ხვადგია, ნემსი ისე შეჰყავს ხორცში, თათქოს ბლაგვი დანით გჭრიდეს. მომკლა მაგ ოჯახდაქცეულმა, მაგას აღარ ეაკეთებინებ ნემსს.

— ინფარქტით როდის გახდით ავად?

— ოცი წლის წინათ, ახლაც ავად ვარ. ისეთი გრძნობა მაქვს, თათქოს ცალი ფეხი სიკვდილის ყბაში მედგას. ძნელია, შვილო, ცხოვრება, როცა სიკვდილი ყოველ წამს გითვალთვალვს. ზოგი ინფარქტგადატანილი მეშაობს,

რალაცას ქმნის, ზოგიც გაუბედურებულა, არც ცოცხლებში სწერია და არც მკვდრებში. მიყვარდა ნადირობა, კრივი, ლამაზი გოგო. ინფარქტმა ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ ხელი ამაღებინა ყველაფერზე. ექიმებმა გამაფრთხილეს: თუ გსურს იცოცხო, ამიერიდან ქალი აღარ უნდა არსებობდეს შენთვისო. ვმკურნალობდი, ვცხოვრობდი ისე, როგორც ეს მოსიარულე გვამს შეეფერება. ღვიძლის კიბომ ახლახან მომიკლა მეუღლე და ისევ ავად გავხდი გულის ინფარქტით. ადამიანი იყო და აღარ არის, მოკვდა, დაიღუპა! რა საშინელი, თავზარდამცემი, შემზარავი აზრია ამ სიტყვებში!

მოხუცმა იყუნა.

შელამებისას ტალანში შეწყდა სიარული, ბაასი, საავადმყოფო დღემილმა მოიცვა. გურის უხაროდა, რომ ხელს არავინ უშლიდა, ეფიქრა და ეოცნება იამზეზე...

დილით გური გააღვიძა გულის მძაფრმა, რალაც წარმოუდგენელმა ტყვილმა.

— გული მიღონდება, ექიმო, მარცხენა ბეჭი მეწვის, მკლავი მტკივა, ვილაც მახრჩობს...

პალატის ექიმმა, გულიყო ბრეგაძემ, მაჯა რომ გაუსინჯა, თხელი წარბები ნერვიულად შეუთამაშდა. მერე ხელი გახურებულ შუბლზე დაადო.

პრომედოლი და ატროპინი შეუშხაპუნეს, ეანგზადი ასუნთქებინეს. ექთანნი წურბელების მოსატანად გაეშურა. გაბრუებულ, ავზნებულ გურის იამზე ელანდებოდა:

— მიშველე, მომეფერე იამზე!

— ვინ არის იამზე?

— ებოდავ, ექიმო, რა ვქნა, სიცხე მაქვს. „ჩემი ლამაზი ექიმი!“ — გულზეა ვილაც მღერის ამ სიტყვებს...

— წურბელები მოვიტანე, — მოახსენა ექიმს ექთანმა.

— დაასხი.

— მეზიზღება, ექიმო, — თქვა გური.

ექთანმა გურის სახეზე პირსახოცი გადაათარა, მკერდის მარცხენა მხარეზე წურბელები დაასხა.

— რომ დაიძინებდეთ, კარგი იქნება! — ექიმმა თავზე ხელი გადაუსვა.

— მეძინება, ექიმო.

— დაიძინეთ, გური, ხვალ კარგად იქნებით, — ექიმის თვალეებში სევდამ თითქოს უფრო იმატა.

\* \* \*

ნაშუალამევს ისევ განუახლდა ტყვილი, ზედ კისერზე მაჯლაქუნა აწევა და ახრჩობდა. გურიმ წამოიგმინა და წამოხტა. პალატაში შემოცვივდნენ გრძელულეაშინი, თმაშევერცხლილი მორიგე ექიმი და ფირუშთვალა ექთანნი. ომნობონმა და ატროპინმა ტყვილი ვერ გაუნელა გურის, მორფეს მიმართეს. ვერც მორფმა გასკრა. ექიმმა უთხრა ექთანს:

— უთუოდ ინფარქტია, ახლა მთავარია, გაუნძრევლად იწვეს. გეპარინის ინექცია დაუყოვნებლივ, მერე კორლიამინი კუნთებში, ავადმყოფის საწოლს არ მოცილდე თუნდაც წუთით, დროდადრო ეანგზადი ასუნთქებინე, სხვა ავადმყოფებს მივხედავ და ჩქარა მოვალ.


\* \* \*

— კარდიოგრამა ისევ უნდა გადაგიღოთ, — დღის პირველ საათზე გური გააღვიძა მხრებზე თმადაყრილმა, წვივტაგანა გოგონამ.

გოგონა აპარატს აჩხაკუნებდა, წარუბებს ჭმუხავდა, შიშხამდგარი თვალეებით ხანდახან დახედავდა გურის.

— რას ამბობს კარდიოგრამა? ინფარქტია? რა არის ინფარქტი?

— ძალიან გთხოვთ, ნუ აღგებით, ნუ ინოტრავებთ, პროფესორი მოსულია, რამდენიმე წუთის შემდეგ დაიწყება შემოვლა, — ძლივს ამოთქვა, აპარატი დახურა, აძიგმიგებული, პირდამუწული გაიქცა პალატიდან.



— გოგონა მაშინებს, პავრამ მე არ მე-  
შინია.

— სიფრთხილვა საჭირო, ნუ აღგე-  
ბათ, — თქვა ბერიკაცმა.

— სიკვდილი ვერ მომერევა.

— ჰაბუტო, სნეულ გულს ნუ ეთა-  
ნაწებთ.

გურამ წადებში ფეხი წაპყო, პირი  
ღაიბანა, მაგიდას მიუჯდა, ჰურის ნაჭე-  
რი წოკბინა, უკანვე გამოავლო, გული  
ისევე უმძიმდებოდა, თითქოს უნდა ჩა-  
მოწყდესო, საწოლთან მირაცრაცდა,  
მარჯვენა გვერდზე დაწვა და მყისვე  
გულის არეში ისეთი ტკივილი იგრძნო,  
თითქოს შიგ ბებუთი გაუტარესო. ქო-  
შინი აუტყდა. მაჯა ხან გამალებით და  
ულონოდ ცემდა, ხანაც ჩერდებოდა.  
სახე გაულურჯდა. უცებ წამოჭდა, ფარ-  
თოდ გახელილი თვალები ბერიკაცს  
მკაცრად დაამტერა და იკითხა:

— რომელი საათია?

— ახლავე, გური, — ბერიკაცმა  
სათვალე გაიკეთა, საათი თვალებთან  
მიიტანა.

თავი უკან გადაუყარდა გურის, თი-  
თქოს მხრებს მოწყდაო. სარეცელზე  
გაიშხლართა პირღია, თვალღია, მარ-  
ჯვენა ხელი რაღაც ჰურქელს მიართყა  
და წააქცია. ჰურქელი გატყდა, სითხე  
იატაკზე დაიღვარა, ჩამოგდებულნი, გა-  
შეშებული ხელი დაუსველა.

ბერიკაცმა გურისკენ სწრაფად მიატ-  
რიალა თავი და თვალებში სიკვდილის  
შიში ჩაუდგა, ერთ ხანს დაჰყურებდა  
მიცვალებულს, მერე ექთანს უხმო.

• • •

თბომაველს ნავსადგურიდან ნავსად-  
გურში ჯარი გადაჰყავდა, საომარი სა-  
ჭურველი გადაჰქონდა.

თენდებოდა, როცა თბომაველზე  
თვითმფრინავის გუგუნე გაიგონეს. სვა-  
სტიკიანმა გამანადგურებელმა თბო-  
მაველს ტყვია დააყარა, ანატოლიმ სა-  
ზენიჩო ქვემეხის ლულა გააყოლა და  
ესროლა. ანატოლის მარჯვენა თეთ-  
რი სახელო წითლად შეედება, მისკენ

ექიმი გაიქცა, ექიმს ბოცმანი გადაეღო-  
ბა:

— თავს უშველეთ, ჭკიმო, თვითმფ-  
რინავი ისევე გვიხლოვდება.

იამზემ ბოცმანს უხეშად უბძგა.

— მომეცი ხელი, სისხლის ღენას შე-  
გიჩერებ.

— მერე, ექიმო, თვითმფრინავი ახ-  
ლოსაა, აქ ყოფნა საშიშია, ნუ დგა-  
ხართ აქ... — შეევედრა ანატოლი.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, სისხლისა-  
გან დაიცილები, მერე ველარ გიშველი.

კაპიტნის ბოგიდან შენგელია თვალს  
არ ამორებდა თვითმფრინავს, რომე-  
ლიც ისე დაბლა მოფრინავდა, თითქოს  
ანძებს უნდა შეასკდესო.

იამზემ სისხლის ღენა შეუჩერა, ტყვი-  
ას ძვალთან ახლოს გაველო.

— გაეცალეთ აქაურობას... — იამ-  
ზეს დაუყვირა ანატოლიმ და ქვემეხს  
ეცა, დაზიანებული მკლავი ეტყინა, სი-  
მწრის ოფლმა დაასხა, ქვემეხი ააბუ-  
ბუნა.

გამანადგურებელმა ტყვიამფრქვევის  
რამდენიმე ჯერი ესროლა თბომაველს,  
გადაუჭროლა და ლაყვარდში აიჭრა,  
თანდათან დაპატარავდა, წერტილს და-  
ემსგავსა, მიჭროდა და უკან სტოვებდა  
ბამბისფერ, ხუჭუჭა კვამლის გრძელ  
ზოლს.

• • •

გულდაწყვეტილმა ანატოლიმ თვით-  
მფრინავს თვალი გადადევნა და თავის  
თავს გაუჭავრდა: „ნამდვილი ბლახუა  
ვარ, ვერ მოვახვედრე...“ მიტრიალდა  
და შეცბუნდა: იამზე იქვე იყო, სახე-  
ზე სისხლი სდიოდა, მკლავებს ისე  
შლიდა და ბარბაცებდა, ეტყობოდა,  
მხედველობა წართმეოდა: „ვერ მოა-  
სწრო გაქცევა, აკი ვეუბნებოდი, თავს  
უშველე-მეთქი“. იამზე ექთანთან მი-  
იყვანა, ისევე ქვემეხთან დადგა, ფიქრობ-  
და: „ნეტავ ახლა სად ხარ, გური?  
გული რატომ დამწყვეტე, ჩემო გულ-  
თბილო, დაუვიწყარო მეგობარო? შენს  
იამზეს მზე დაუბნელდა“.

• • •

სდუმდა იამზე, სდუმდა დაშაც.

— დავბრმავდი?

— არა, ექიმო, განიყურნებით.

ექთანს ცრემლი უსველებდა ლოყებს, იცოდა: იამზეს ვამოლამებულ, ჩაშრეტილ თვალებში სინათლე აღარ ჩაუდგებოდა.

— სად არის გური?

— გური? — ექთანმა მხრები აიჩეჩა, — გური ხომ დიდი ხანია ჩვენს გემზე აღარ მუშაობს!

— მე კი მომეჩვენა, რომ აქ, სადღაც არის და მიყურებს...

• • •

მაისის მიწურულში იამზეს დედამ ატლადგამოცემული წიგნი „სიყვარული“ იყიდა, შინისკენ გაეშურა.

ნამტირალევი იამზე ღია ფანჯარასთან იჯდა, თმას ივარცხნიდა.

„სულ შეიცვალა, ჩამოდნა, თმა უთეთრდება... მოგიკვდეს დედაშენი“...

— შეილო, ქართულ წიგნს წაგიკითხავ, თვალი გადავავლებ, ჩემი წიგნი.

— ვისია?

— გური ზარანდიას მოთხრობაა, „სიყვარული“ ქვია.

— გური ზარანდია? ასეთ მწერალს არ ვიცნობ. წამიკითხე, — მისუსტებული ხმით თქვა.

იამზე სულგანაბული უსმენდა, ხან იცრემლებოდა, ხანაც ღიმილი ვაცრეცილ ბაგეს უშობდა.

დედამ კითხვა რომ დაამთავრა, იამზემ ჩაიღუღუნა:

— მომხიბლავი, ამაყი ექიმი ქალი; ფიცხი, გულადი, პირნაყვავილარი მეზღვაური... ყოველივე ეს მე თითქოს ვიცოდი, თითქოს განვიცადე. უცნაურიია...

იამზე ფანჯარასთან ველარ ხედავდა ნაცნობ ჭადრებს, მაგრამ მათი ფოთლების შრიალით ტყებოდა, თითქოს პირველად ესმოდა გაზაფხულის ენა. ეს ხეები შარშან, შარშანწინაც შრიალებდნენ ღია ფანჯარასთან, მაგრამ მაშინ რატომღაც არ გაუგონია...



ლ ე ძ ს ე ბ ი

უ ფ რ ო მ ა ლ ა რ ი

ამ მთებს, რომ დგანან ასე წერწეტნი,  
სმენიათ ხმები ბუკის, ნალარის,  
ახსოვთ სისხლისგან ბევრი დაწრეტა  
და მაინც დგანან ასე მაღალნი.

ჩემი ქვეყანა ძველზე ძველია,  
მაგრამ უბრუნავს სისხლი ახალი,  
ზოგის სამშობლო უფრო ვრცელია,  
ჩემი სამშობლო — უფრო მაღალი.

მშობლიურ მთებზე ზრუნვამ დამთოვა,  
მას ნიჭთა ჩემთა ყველა ალალი,  
ბევრის სამშობლო უფრო ფართოა,  
ჩემი სამშობლო — უფრო მაღალი.

ჩემო ქვეყანავ, მირონნაცხებო,  
ქვეყნიერების საღო გვირგვინო,  
შენთვის ბობოქრობს ყველა სამცხელი,  
ყველა თუში და ყველა ინგილო.

რომელი ერთი კუთხე ვახსენო,  
უსაყვარლესი სახლიკაცებით,  
დიდი კოლხეთი, ზღვისკენ გახსნილი,  
თუ სევანთა მთები — ასე მკაცრები.

ერთიმეორეს ძმებად ვგუთვნით,  
და მივისწრაფით ღელვით, განგაშით,  
მოგვენატრება რაკი ერთურთი,  
აქ ვიკრიბებით თბილის-ქალაქში.

მშობლიურ მთებზე ფიქრმა დამთოვა,  
ვდგავარ მყინვარი, მზეში გამლღვარი,  
ბევრის სამშობლო უფრო ფართოა,  
ჩემი სამშობლო — უფრო მაღალი.

## მთა შთაბს ბასკანებს



თბილისში დილის აპრილი ანცობს,  
ყველას აასწრებს ავტოვაგზალი,  
დავდივარ, ვინმეს დავეძებ ნაცნობს,  
ტრფიალი ვარ და ბარათს ვაგზავნი.

დავეძებ, ბორჯაგს გული უვსები,  
სათავე ფიქრთა ყველა ზღვაურის,  
მიძიედ სუნთქავენ ავტობუსები  
ჩემი ონის და ამბროლაურის.


სამშობლო კუთხემ იცის დანდობა  
და სიყვარული განა ზერეღედ,  
გადასასვლელზე თოვლის დადნობას  
მისმარებიან ბულდოზერები.

ავტობუსები უკვე მომართეს...  
გადახედავენ რაჭას ერწოდან,  
ეს მთა ლამაზი როდის მონათლეს,  
ასე ვისგან და რისთვის ეწოდა?

მთებში გაკიდულს, როგორც აივნებს,  
მთის ფერდობების გზებს თუ ვერანდებს.  
მალე გადივლის, ეტყვის რაიმეს,  
წერილი, მე რომ ფოსტას ვერ ვანდე?

სანაპიროზე კვირტები ფეთქავს,  
ულელტეხილი ჭერ ვერ აპრილობს.  
რა იქნებოდა, ისეთი მეთქვა,  
რომ შეპფეროდეს ცას უნაპიროს.

რომ დაერიოს ამ მიწის სუნთქვას  
და ამ აპრილის დიად განზრახვებს,  
მწამს, თუკი ვინმეს ასეთი უთქვამს,  
მთაც გაუგებს და სხვა მთებს გასძახებს!



## მეუე გობრატ მეუვილა

დრანა ოთხ მოქმედებად

მოქმედება მესამე

ქალაქი ქუთაისი. მარცხნივ ჩანს ციხე-სიმაგრე რკინის კარებით, მარჯვნივ ქალაქის გალავნის კარები. წინ მოედანი. მოედნის იქეთ ჩანს დიადი ტაძარი. შემოდიან ფრთხილად, ჯგუფ-ჯგუფად ხნიერი ქალები, კაცები, სუსანას და მურზაყყეს მეთაურობით და სახიჩარი ახალგაზრდები ჩაჩიკეს მეთაურობით. ბოლოს შემოდიან ცალთვალაკრული ეგნატე და აკოქლებული თერაფონე.

ჩაჩიკე — ხედავთ, ეგნატე და თერაფონე შემოცოცდნენ.

სუსანა — მაგათ კითხე ქვეყნის ამბები.

ჩაჩიკე — ყველას ქირდავენ.

მურზაყყე — ბაქარ ფაშამ მითხრა, სიბრძნის გოდორმა, ქვეყნის მქირდავები მძღავრთათვის სასარგებლოა, — ხალხს ერთმანეთს აძულებენო.

ჩაჩიკე — არა, შენც არ გზოგავენ.

სუსანა — ჩვენი გინებით ცოცხლობენ.

მურზაყყე — ჩვენ ესენი ამაღ გადაგვიჩენ, რომ ერთი ცალთვალაა და მეორე ცალფეხა.

სუსანა — ეს რა უპირატესობაა?

მურზაყყე — სახრჩობელა კოპწია ქვრივივითაა, უშნოს და მახინჯის ჩამოკიდება არაფრად არ ეპრიანება.

ჩაჩიკე — ახლა ისე შემცირდა რწმენისთვის თავდადებულნი, რომ სახრჩობელები ამათაც არ დაიწუნებენ.

სუსანა — რატომ მცირდება სიკვდილის მოხალისენი?

ჩაჩიკე — რატომ და, ისე გამრავლდნენ წმინდანები, მათ სახელებს ვერ იმახსოვრებენ, და უსახელო წმინდანობა არავის უნდა.

სუსანა — თქვენი სიტყვები სულ ხბოს ტყავზეა დასაწერი.

ჩაჩიკე — ახლა, ჩინებულ მურზაყყე, შენებური ანკესი გადააგდე ამ ხალხში, იქნება, ვინმე წამოვივოს.

მურზაყყე — კი. (ხალხისკენ) ეჰ, ხალხო, ამ მოედანზე ჩვენი მეფის დროს ისეთი დღესასწაულები იმართებოდა, სუფრების ტევა არ იყო, ჩიტის რძე არ აკლდათ. გლახაკებიც ძღებოდნენ, ახლა კი მარტო სახრჩობელებს დგამენ.

1 მოხუცი — ამას მურზაყყე ამბობს?

ჩაჩიკე — დიახ, მეც ვეთანხმები, — თქვენ რას იტყვიან?

1 მოხუცი — ეს დრო სჯობს.

1 დედაკაცი — მართალია.

მურზაყყე — რატომ?

2 მოხუცი — მაშინ საყვედური ისმოდა მეფეზე.

3 მოხუცი — ახლა ყველა კმაყოფილია დიდი ფაშის. (ციხის კარები იღება და ორი ასკერი გამოდის და დგება კარებთან. ყველა მოწიწებით იხედება ციხისკენ)

მურზაყყე — დადუმდით! ან დიდი ფაშა მობრძანდება ან სულთანის ძე.

ეგნატე — წუხელ რა გახარებული ვიყავ,

რამდენი კაცი დაგვეშე, თერაფონ, და დილამ მიიტყუნა.

თერაფონე — აბა, შენ რომ ხალხის ამბავი მომახალე, მთელ ღამეს ენატრობდი, დღეს კი...

ეგნატე — ამ კედლების დასაცავად ამოიბრძოლის შემდეგ დაჩქვნილმა ცალი თვალი ავიხვიე და აღვიტყვი, არ ღირს მტრიან სამშობლოში ორი თვალის გახელა-თქვა.

თერაფონე — მეც ხომ ამ კედლების დაცვაში მომტყუნეს ფეხი და, შენც იცი, შეხვეული დაფიტოვე, რადგან არ ღირს კაცურად სიარული მტრისგან დამონებულ მიწაზე. წუხელის კი, შენგან დაიმედებული, ვფიქრობდი, აწი ცეკვით ვსდევ მტერს-თქვა.

ეგნატე — ვინ მოთვლის, ქალაქის დაქცევიდან ვის რა აღთქმა აქვს დადებული, ზოგი მკაცრად ინახავს მარხვას და ძვალტყავადაა, ზოგი დამუნჯებულია, ზოგს თმები გაუშვია.

თერაფონე — ექ, მე კი გადამრიე ნაადრევი სიხარულით, ვინ დაგაჯერა, მზის ამოსვლისას მეფე შემოიჭრებაო.

ეგნატე — მზის ამოწვევრას ერთი ნაბიჯით მოასწრებსო.

თერაფონე — ვინ დაგიკალა?

ეგნატე — თავი სიმონად დამისახელა და ჭეშმარიტ ღვთის გლახად მომაჩვენა ვისაც მიეწედი, ჯანყისთვის ავატრეე, უცხად კი გაქრა. ეშმაკი ხომ არ იყო?

თერაფონე — ვინ იცის, ჩემო ეგნატე, რა სიამე მივიძღვის. ერთმა ბერმა მითხრა, ისე გაგვათახსირა მტერმა, ჩვენ თვითონ არ ვიცით, რამდენ ცოდვას ვაკოჯივალეთო.

ეგნატე — ჰო-და, მე ერთმა ღვთის გლახამ მითხრა, მალე აქ ეშმაკები უჩინ-მაჩინის ქუდს მოიხდიან და ჩვენ შორის ხილულად დაიწყებენ სიარულს, როგორც ამხანაგებიო.

თერაფონე — ძმებადაც გაგვიხდებიან. ეგნატე — შენ სულ გადამრეე, თერაფონა.

თერაფონე — (მიუთითებს) აბა, ესაა ხალხი! ახალგაზრდასთვის — ახალგაზრდობა ითქმის? ან მოხუცს — მოხუცი ეწოდება, ან ქალი — ქალობს?!..

ეგნატე — ეხ!

თერაფონე — აბა, დააკვირდი.

(აკვირდებიან)

1 მოხუცი — (მორიდებით) ახალგაზრდებს) წუხელის ხომ არაფერი გაგიგონიათ?

1 ახალგაზრდა — რა ვიცი, ჩურჩული ისმოდაო. იქნება მოხუცებმა გაიგონეთ.

2 მოხუცი — ახალგაზრდებს უფრო არ გესმით ყურში!

1 დედაკაცი — ყურს ხმა ესმის, სიტყვა — ჭკუას.

1 მოხუცი — თქვენ რას იტყვით, დედაკაცებო, ახლა კაცს ვაჯვაცობა ჩამოერთვა და ქალის ჭკუა ჯობნის.

1 დედაკაცი — ამბობენ, მტრები წმინდანებს ათათრებენო.

1 მოხუცი — ცოცხლებში წმინდანი არავინაა და მკვდრებს რას მოუხერხებენ.

1 დედაკაცი — სულთანის ოქრო ეშმაკის მოჭრილიაო.

მურზაყე — შენ ყური უგდე ახალგაზრდებს, რას ბეჭუტურობენ.

ჩაჩიკე — რაღაცა გაუგონიათ და ვერ ამხულებენ.

მურზაყე — მაინც, რა დაინახეთ წუხელის?

1 მოხუცი — ლანდებივით დადიოდენ გლახები და ჩურჩულობდენ.

მურზაყე — მერე?

2 მოხუცი — კურდღლებივით დაგვეზარდა ყურები, მაგრამ სიტყვა ვერ დაუჭირეთ.

სუსანა — ვიღაცა მაინც გაიგებდა.

1 ახალგაზრდა — ვინც გაიგონა, ალბათ, აქ ვეღარ შემოხედავს.

მურზაყე — მე ასე ვატყობ, დღეს მშისარები გამოდიან მოედანზე და მამაცები კი ხერელებში ძვრებიან.

სუსანა — აი, მივაგენით, — სულ ამოფაროთ ხერელებიდან.

ჩაჩიკე — რაღაც ამბავია და ვისგან გავიგოთ?

მურზაყე — ბოძები აღმართოთ, ყველაზე გულთმისნები სახჩრობელეია.

(ციხის თავზე გამოჩნდებიან თურქი მოლაშქრენი, ხალხი მათ აკვირდება)

თერაფონე — ხედავ, ეგნატე, ციხის თავზე რა ამბავია?

ე გ ნ ა ტ ე — რაღაც ჯოჯოხეთის გვიმზადებენ.

თ ე რ ა ფ ო ნ ე — გაქსუებულ ბრბოს დააკვირდი, საიმედოა?

ე გ ნ ა ტ ე — მეტი არაა ჩემი მტერი!

თ ე რ ა ფ ო ნ ე — ჩვენ რა ვართ, ნახევარ-ნახევარი კაცი თითო თვალით, თითო ფეხით, ხნითაც... ეპ, აწი რას ვუყუროთ?

ე გ ნ ა ტ ე — მოკლედ თქვი, — რა გინდათ ე რ ა ფ ო ნ ე — თავი მოვიკლათ.

(ციხიდან მოისმის საყვირის ხმები. გამოდის ფაშა მეთაურებით, ციხის თავით და ასკერებით. ხალხი იხრება მათ წინაშე)

მ უ რ ზ ა ყ ე — როგორც იქნა, ქუთაისელნო, წელში მოხრა გასწავლეთ. ასლა, საკადრისი სიტყვით მიმართეთ.

ხ მ ე ბ ი — (მურზაყეს) რასაც ჩემად ჩაგვძახებ, ხმამაღლა ამოგძახებთ.

ფ ა შ ა — მართალია, ამ მოედანზე ბევრ თქვენგანის ოჯახის წევრს სიცოცხლე მოვუხარაფე, მაგრამ ეს ჩავიდინე თქვენი ჭკუის სასწავლებლად.

(მურზაყე და ჩაჩიკე ბრბოს ჩემად ჩასჩურჩულეს)

ხ მ ე ბ ი — ღირსი იყვენ, ფაშაო!

ფ ა შ ა — პირველ ფაშს, სანამ შეგეჩვეოდით, ცოტა ვინმეს ვსჯიდით, მაგრამ უკმაყოფილო იყავით, ბოლოს კი, როდესაც განუკითხავად ჯგუფ-ჯგუფად გაგწვევით, დაიჭურეთ, რომ მე გაჩენილი ვარ გმირად, სიკეთის წყაროდ, სიბრძნედ...

(სუსანა და ჩაჩიკე ხალხს ჩასჩურჩულეს)

ხ მ ე ბ ი — შენ ხარ კეთილი მამა! მზეზე უფრო მადლიანი.

ფ ა შ ა — დიდ სულთანს ეკუთვნის ფუფუნება, — შენ კი ჩემს ხელშია.

ხ მ ე ბ ი — შენ ისე გაგვაბედნიერებ, ჩვენს ჭეყანას სამოთხეს დაარქმევენ.

ფ ა შ ა — მერე, ეს ხომ გაფრთოვანებთ! თქვით, ნუ გერიდებათ.

ხ მ ე ბ ი — უკიშოები ვართ, თორემ ფრთები გამოგვესხმებოდა.

ფ ა შ ა — სულთანის მსგავსად, მეც ქრისტიანთა მფარველი ვარ, თუმცა ეს სჯული გამოვიცვალე და, ალბათ, თქვენც გამოიცვალთ საკუთარ ნებით... ამგვარად, მე დამც-

ველი ვარ თქვენი სჯულის და თავისუფლების.

(მურზაყე, სუსანა და ჩაჩიკე ხალხს ჩასჩურჩულეს)

ხ ა ლ ხ ი — (მურზაყეს) არ გვეჩივრება თქვენი კარნახი, დავეკვიანდით და უთქვენოდაც კარგად ვიტყვი.

ხ მ ე ბ ი — (ფაშას) ჩვენ უფრო ამით ვამაყობთ, დიდო ფაშა, რომ დაბადებით ქართველი ბრძანდები. გვაპატიე კადნიერება და ჩვენი სისხლ-ხორცი ხარ.

ფ ა შ ა — არა, მე სულით სხვა ვარ.

ხ მ ე ბ ი — ო, სულით იმოდენა გაიზარდე, ქართულ სისხლ-ხორციში არ ეტყვა შენი სული.

(ციხიდან ისმის საყვირის ხმა)

ხ მ ე ბ ი — სერვეტი მობრძანდება!

ფ ა შ ა — ო, მის ამაღას მე შევმატე ქუთაისელნი, რომელთაც გმირობა დაამტკიცეს.

ხ მ ე ბ ი — გვენატრება ახალი გმირების დანახვა.

(შემოდის ციხიდან ქუთაისელნი, რომელთაც ყელზე ჯვარი აქვთ და მკერდზე ნახევარ-მოფარე).

ე გ ნ ა ტ ე — ესენი ორჭოფებია! (თერაფონე ფარავს ეგნატეს)

ფ ა შ ა — ეს ვინ დაიძახა!

ხ ა ლ ხ ი — ჩვენ არა, ჩვენ არა!

(შემოდის სერვეტი ასკერებით, წინ ეგებიან ორჭოფები).

ხ მ ე ბ ი — ინეტარე, სულთანის თვალ!

ს ე რ ვ ე ტ ი — მე მოველ, რათა ცრემლი შეგაშროთ.

ფ ა შ ა — დღეს შენს პატივსაცემად ამ მოედანზე დამნაშავეებს ჩამოვიკიდებ.

ს ე რ ვ ე ტ ი — რა დააშავეს?

ფ ა შ ა — საიდუმლოდ გეტყვი (ცალკე სერვეტს) როცა ბატონი ბრუნდს და მართალს განურჩევლად სჯის, შიშით ყველა მორჩილი ხდება. ვინც გადარჩება, ბედის მადლიერია და სხვის ჭირს არაფრად ავადებს.

ს ე რ ვ ე ტ ი — მე ვხედავ, ერი უკვე მოტეხილია.

ფ ა შ ა — მეც ასე მეგონა, მაგრამ ბოლოს გამოცოცხლდნენ და ისეთებიც გამოჩნდნენ.

რომელნიც წლიდან-წლამდე ჩაკირული იყვნენ

სერვეტი — ციხის თავო, ჩვენ აქ უფრო ახოვან ხალხს მოველოდით, ვიდრე ეს ბრბოა.

ციხის თავი — იმდენი ვგვემეთ და ვკიცხვით, რომ მოტყდენ და კერპად გვიწამეს-სერვეტი — ეს წარმატებაა.

ციხის თავი — მაგრამ უმშვენიერესი ქალები და ვაჟკაცები ხელიდან გვისხლტებიან და ტყვეებში იხიზნებიან.

სერვეტი — ტყვეებში?

ციხის თავი — დიად, აქ ბევრი უღრანი ტყვა.

ფაშა — დღეს ამ მეთაურებს ვანდობ, ქალაქის მცხოვრებნი სახლებიდან ძალდატანებით გამოყარონ და მოედანზე შემორეკონ.

მეთაური — ვისმენტ ბრძანებას, დიდო ფაშა!

ფაშა — მცხოვრებთაგან ვინც ურჩობას გაგიწევს, შენ გაგატანო, სულთანის ძვე, როგორც ომის ტყვეებს, მოედანებზე გასაყიდათ.

სერვეტი — მხოლოდ ჯანმრთელებს ჩავიბარებ, სუსტებს ვერ გაგაწვავლებ.

ფაშა — შე გამოვაცხადებ, რომ შენი მარჯვენით არიან ომში შეპყრობილნი.

სერვეტი — ასეც უნდა მოხდეს, — ჯარს გაეყვები, ცრუ სახელი არ მინდა.

(ციხის თავზე განგაშია)

ფაშა — ო, ციხეზე ცუდი განგაშია.

სერვეტი — შენ გიხმობენ.

ფაშა — სულთანის სინათლეც, ეს მეთაური ხელის გულივით იცნობენ ქალაქს, ძალაც ჭარბი გვაქვს. მე კი ციხეს მივხედავ-გაივებ, რა განგაშია.

(ფაშა და ციხის თავი სიჩქარით მიდიან ციხეში)

ბრბოს ხმები — ჩვენ ვართ დამწუვული, დაჩაგრული ხალხი. მორჩილების გარდა, არაფრის თავი არ გვაქვს, დიდი მადლობით ვიღებთ წყალობას და სასჯელსაც.

მეთაური — ჩვენ აქ მთელ ქალაქს ამოვრგაკავთ, თქვენ ციხის მფორე მხარეს მიდევით.

ხმები — იქ უფსკრულის პირია.

მეთაური — ისე მოეწყვეთ, ერთმანეთი უფსკრულში არ ჩაყაროთ. **ერთმანეთი**

ხმები — ეჰ, ერთმანეთის ჩაყარვა შევტი თქვენ რა გვასწავლეთ!

მურზაყე — გასწით!

ჩაჩიკე და სუსანა — ნუ ღრინავთ!

(ხალხი მიდის)

სერვეტი — მაშ, გავეშუროთ ქალაქის ამოსაფხვრელად, მოსარკულებლად. (ყველა მიდის. რჩება ვგნატე და თერაფონე და გალაგნის დახურულ კარზე ორი ასკერი)

ვგნატე — ეს, თურმე, რას არ იტანს ადამიანი.

თერაფონე — ღმერთს ჩვენ დროში კაციხათვის თავისი სული კი არა, ძაღლის სული ჩაუბურია.

(შემოდიან სიმონი და სხვები ღვთის გლახების სამოსელში).

გლახები — (ერთმანეთს ჩუმად) ყოველი წამი დათვლილი გვაქვს.

თერაფონე — ეს სადაური გლახებია!

ვგნატე — ოხ, ვიცანი, წუხელის რომ დამამიმედა! (მიიწევს მისკენ) სიმონ!

ხმაგარედან — რა ამბავია ჯოჯოხეთში?

სიმონი — მგლები ცხვრებს შეესივნენ.

ხმაგარედან — ვისი ხმაა?

სიმონი — ამბროსის მტრედები ვართ, სამოთხის კარს გაგიღებთ.

ხმები გარედან — მაშ, ჩქარა.

ასკერები — რას როშავთ მანდ, გლახებო!

(გლახები უცბად მოიხდიან კონკებს და კარვად შეჭურვილნი ასკერებს იარაღს დააყრვენიებენ. ასკერები გარბიან. გლახები სწრაფად გააღებენ კარს. შემოდიან რაზმით კირიონი და ფოკა. ქალაქის მშრიდან მოისმის მცხოვრებთა გოდება და კივილი)

კირიონი — ეს საიდან ისმის?

სიმონი — ქალაქს სერვეტი შეესია აღმოსაფხვრელად.

გლახები — სასტიკად დაიქადა.

სიმონი — ძლიერი ჯარი ახლავს და თქვენს მოსვლამდე ავერიდეთ.

ფოკა — ერთად მოვევლინებით.

სიმონი — ამიტომ გელოდებათ იქ ამბროსი.

კ ი რ ი ო ნ ი — ჩვენ მცხოვრებლებს გავამხნევეთ და შევიერთებთ. ციხეს კი ამ მხრიდან მეფე დაესხმება და მას მზრუნველი მივშველება.

ფ ო კ ა — ო, ციხიდან ფაშა გამოემართა ჩვენკენ, ხედავთ?

კ ი რ ი ო ნ ი — გარედან ბავრაცი მოქრის. ჩქარა კარი გაუღეთ. ჩვენ კი ქალაქში სერვეტს შევებათ, რათა გავთიშოთ ფაშისაგან.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — გვესმის, მეთაურო!

(მოისმის ქალაქიდან გოდება)

კ ი რ ი ო ნ ი — სისწრაფე გეჭირდება.

ფ ო კ ა — აბა, მივეშველოთ!

მ გ ნ ა ტ ე — { (ერთად) გაფრინდეთ!  
თ ე რ ა ფ ო ნ ე

1 გ ლ ა ხ ა — შენ ცალფეხა ხარ?

თ ე რ ა ფ ო ნ ე — მე მთელ ტანზე ფრთები მახსია!

2 გ ლ ა ხ ა — შენ ცალთვალა ხარ?

მ გ ნ ა ტ ე — მთლად თვალად ვარ გადაქცეული.

ს ი მ ო ნ ი — აბა, ღმერთმა მოგვიტყვეს ცოდვები, გვაბატოს მონობა, უგულობა.

(ყველა მიდის ქალაქისკენ. შემოდის ციხის კარიდან ფაშა მეთაურით და ასკერებით)

ფ ა შ ა — ამ კარებით შემოიჭრნენ მეფის მეწინავენი და გამოენთენ სერვეტს.

(შემოდის ციხის თავი)

მ ე თ ა უ რ ი — ციხის თავო, სულთანის ძე საშიშროებაა.

ცი ხ ის თ ა ვ ი — მე სხვა ვიცი, ჩრდილოეთის მხრიდან მთავარსარდალმა ჩვენს მეწინავეებს სძლია და ციხის კედლებს უახლოვდება.

მ ე თ ა უ რ ი — მაშ, დავხუროთ კარები?

ფ ა შ ა — არა, ეს კარები ღია დავტოვოთ, აქეთ ჭაბუკი მეფე მოქრის მცირე ამალით და შემოვიტყუოთ.

(ქალაქის მხრიდან შემოდის ორჭოფები. ჯვარს ხელს აფარებენ და ნახევარმთვარეს აჩვენებენ)

მ ე თ ა უ რ ი — რა მოხდა, საიდან გამოობიხართ?

1 ო რ ტ ო ფ ი — ქალაქი ბავრატის მეწინავეებმა ააჯანყეს, და სერვეტი განსაცდელშია.

ფ ა შ ა — ციხის თავო, ამათ ამბის მოტანისთვის ფლაგი მიართვე, შემდეგ კი მე დაეთურგნი.

2 ო რ ტ ო ფ ი — რისთვის? რა დაფაშავეთ?

ფ ა შ ა — ვინც სამშობლოს გაწირავს, ვვალება მტერზე მეტად შეიძულოს სამშობლო და მტრის სასარგებლოდ თავი დასდოს, თქვენ კი, ორჭოფობი.

2 ო რ ტ ო ფ ი — (1 ორჭოფს) რა ვქნათ?

1 ო რ ტ ო ფ ი — ჯერ ეს ფლაგი მივირთვათ და მერე ვინ იცის, რა მოხდება?

(მოისმის საბრძოლო ხმები)

ფ ა შ ა — (ციხის თავს) აბა, შენ ჯარი შემიატე საჩქაროდ.

(ციხის თავი მიდის. ორჭოფები მიყვებიან)

მ ე თ ა უ რ ი — რა მცირე ლაშქრით მოდის ეს ცოფიანი მეფე!

ფ ა შ ა — ჩაიმაღეთ, ვონს არ მთვიდეს, არ გაბრუნდეს.

(მოისმის ქალაქიდან გოდება)

მ ე თ ა უ რ ი — აი, ქალაქში გოდებაა. ჩანს, გაიმარჯვა სულთანის ძემ. შენი სიბრძნე გამართლდა.

ფ ა შ ა — მეყვავილეს თვალი რომ დაუხუჭო, ყვავილებს სუნით იცნობს. რად გადავუდექ ჩემს სამშობლოს? მისთვის, რომ სამუდამოდ დაეცა, — დღეს სულ დამტკიცდება. თქვენი თვალით ნახავთ.

(მოისმის საბრძოლო ყვირთა, შემოიჭრება ბავრაცი მცველებით, შეგებება ფაშა ასკერებით).

ფ ა შ ა — დაჰყარე, ბავრატ, იარალი! გზა არ გაქვს.

ბ ა გ რ ა ტ ი — გიბრძანებ, სულძალლო, შემებრძოლე!

(ბავრაცი მოულოდნელად შეუტევს და ჩაცემს მახვილს ფაშას. ბავრატს მოეშველებიან მცველები)

ბ ა გ რ ა ტ ი — შინ გაჩენილი გველი მოვსპე, მოვბანე ცოდვა მშობელ მიწას.

(შემოდის მეთაური მრავალ ასკერით)

ფ ა შ ა — გასრისეთ ჩემი მკვლელი!

(ფაშა კვდება)

მ ე თ ა უ რ ი — უი, მოგვიკლეს დიდი ფაშა სულთანის ხმალი გადატეხეს! გაესრისოთ მტერი.

ასკერები — ო, ესენი ხელზეც არ შეგვეცხვება.

ბაგრატი — სად არის ჯარით ალექსანდრე?

ბაგრატის ამალის ხმა — მზრუნველმა რა დროს დაგვივიწყა!

მეთაური — მეფე შევიპყრათ და ვაწამოთ!

(მიაქვთ იერიში ბაგრატზე)

ბაგრატი — რად მიგვატოვეს!

ბაგრატის ამალის ხმა — დავიცვათ მეფე, გავეცალოთ, მეფე დავიცვათ!

(ბაგრატი ბრძოლით უკან იხვევს)

მეთაური — გზა მოუჭერით ყოველ მხრიდან უმწეო მეფეს!

ბაგრატი — სად არის ფიცი?

(მეთაური მრავალრიცხოვანი ასკერებით მისდევს ბრძოლით უკან დახეულ მეფეს. სცენა ცარიელდება. ისმის ციხიდან ბრძოლის ხმაურობა. ციხის თავზე გამოჩნდება თ. გიორგი, ციხის კარებიდან გამოჩნის ციხისთავი ასკერებით და მეთაურებით)

ციხის თავი — გიორგიმ თავზე დაგვაქცია კედლები.

1 წარჩინებული — დროზე უკან დახევა, — ლაშქრის გადარჩენაა.

2 წარჩინებული — მივეწიოთ ბაგრატის მდევრებს.

ციხის თავი — შევეურთდეთ უკან დახეულ რაზმებს და ბაგრატი ტყვედ გავიტაცოთ.

(ყველანი მიდიან ციხის თავზე გამოჩნდება გიორგი და დავითი ლაშქრით და დროებით).

თ. გიორგი — (ციხის თავზე) ჩვენ დაგვრჩა ციხეც და წმინდა ტაძარიც. ვილოცოთ უფლის მიმართ. (ზეიმის ხმები) მე აქედან ვხედავ ქალაქის ზეიმს.

თ. დავით — ალექსანდრე დინჯად გვიანლოვდება, მაგრამ მეფე არა ჩანს.

(ციხის კარიდან გამოდიან ორჭოფები)

1 ორჭოფი — გაძლომა შეგვრჩა, დასჯა აგვეცდა.

2 ორჭოფი — ფონი გასაგალში დავლოცოთ.

(მოისმის ქალაქიდან ზეიმის ხმები)

1 ორჭოფი — ხომ ხედავთ, მტრებს ყოველმხრიდან მიდენიან.

3 ორჭოფი — ჩვენ სად შევაფაროთ თავი.

2 ორჭოფი — აგერ, ალექსანდრე უფალი მოემართება.

1 ორჭოფი — ეს კარგია. — ასაღმთვარის ნიშანი დავმალეთ, — ჯვარი გამოვაჩინოთ და შევიდეთ ალექსანდრეს ლაშქარში.

3 ორჭოფი — ო, მასთან იყრის თავს ყველა გზა-აბნეული.

1 ორჭოფი — აბა, ჩქარა, თორემ მოგვეწვივებან.

(ორჭოფები მიდიან. შემოდის ფოკა რაზმელებით)

ფოკა — რა დიადი დღეა!

რაზმელი — ციხეში ჩვენი ძალა აღდგა და ტაძარში — სიწმინდე.

(შემოდის საბა)

ფოკა — ჩვენი სალამი საბას. მეფეს რა მარცხი მოუვიდა?

საბა — გარემოცვაშიაო.

ფოკა — ასეთ დღეში გვყავს სულთანის ძეც.

საბა — როგორ, სერვეტი თქვენ ხელთ არის?!

ფოკა — დიახ, მინდა სარდალს ვაუწყო.

საბა — ამ წამს ვახარებ.

(საბა მიდის. შემოდის თომა)

თომა — მომილოცავს ადამიანობის გამარჯვება.

რაზმელი — ჭეშმარიტად..

(მოისმის ქალაქიდან გამარჯვების ჟრიაშული)

ფოკა — ო, რამდენი ხანია პაერი არ გაუბია საქართველოს გამარჯვების ხმას.

თომა — ქალაქში რომელი ანგელოზი შეიჭრა?

ფოკა — ჩვენი მეთაური შეგვიძღვა და ამბროსიცი ისე აღანთო, ღვთით მოვლენილი უწოდა.

თომა — მე მზრუნველმა დამავალა თვალნი მოვალეო ყოველივეს.

ფოკა — წამობრძანდით.

(ფოკა, თომა და რაზმელნი მიდიან. ტაძრის მხრიდან მოისმის გამარჯვებულთა ყი-

ონა, საიდანაც შემოდის შემფრთხილებული: მურზაყე, სუსანა და ჩაჩიკე).

ჩაჩიკე — გესმით, აქეთ ქალაქი სულ გაშმაგებულია.

სუსანა — იქეთ ხომ ცხერები მტლებად იქცნენ.

მურზაყე — ჩემი ქადილი ასლა, ვიცოდი, რომ მტერი დამარცხდებოდა. აწი ფეხს ვერ მოიკიდებს.

სუსანა — თუ ასე ფიქრობდი, ერს რად ამოქებდი მტრის წინაშე. — მეც რად გადამიბირე.

მურზაყე — იმად, რომ ერი ისე დაეცა, ქვეყნის ღალატს სიბრძნედ იღებენ. და ვიფიქრე, სახლი თუ მეწვება, ხელს მაინც მოვითბობ-თქვა.

ჩაჩიკე — მართალია, ხალხმა აგვიყოლია, თორემ ჩვენ როგორ ვიკადრებდით!

მურზაყე — ო, ხალხის ხმამ გვიმსხვერბლა. მის გაუტანლობას აფყვევით, ამიტომ დავემონეთ მტერს, მაგრამ ასლა ვინ დავიჯერებს.

ჩაჩიკე — შიშით წამსდარმა ერმა ჩაგვიტორია, ასლა კი ამ ბრბომ ისეთი ცოფით დაგვიღრინა, რომ არ დავთესილიყავით, კბილით დაგვგლეჯდენ.

მურზაყე — ბოროტება ყრუა.

ჩაჩიკე — ხალხი უნამუსოა.

სუსანა — ასლა რა ვქნათ?

მურზაყე — დავეწიოთ მტერს და თავშესაფარი ვთხოვოთ.

სუსანა — თუ ჩვენი თავი არა აქვს?

მურზაყე — მხეცთა ბუნაგებს შევეფაროთ.

სუსანა — ეჰ, ჩარდახებს მპირდებოდოდი და რას მაძებნიან?

მურზაყე — იქიდან ერს მოვეფეროთ. — ენატკბილად მოუბარი ხალხს ადვილად მოალებს.

სუსანა — აქ შერცხვენას, ახალი სამშობლო გავიინოთ.

ჩაჩიკე — სამშობლო ერთია, სხვა სიცრუეა.

სუსანა — ჩვენც სიცრუემ გვაცოცხლოს. (მურზაყე, ჩაჩიკე და სუსანა მიდიან. შემოდის თ. გიორგი, ამბროსი და საბა).

საბა — ფანსე აღმდგარი ქუთაისი. მამა

ამბროსიმ გაამხნევა ისინი ხელში ჯვართ და ქადაგებით.

ამბროსი — ღვთის ნებებით გმირიც მოუგვევლინა.

თ. გიორგი — თქვენ გარგოთ მეფის უცრად შემოჭრამ და ფაშის დაღუპვამ. ამით დაიბნა მტერი, მაგრამ მეფის ბედი არ ვიცით.

საბა — სერვეტი ჩვენ ხელთაა — ეს გვაპოვინებს.

(შემოდის ალექსანდრე ბატონიშვილი და ორი დიდებული)

ალ. ბატონიშვილი — ჰოი, რა ძვირად დაგვიჯდა გამარჯვება, დაიღუპა ჭაბუკი მეფე, რამ დაგვაიმედოს!

თ. გიორგი — ჩვენ ხელთაა სულთანის ძე, თომამ არ გაეცნობა?

ალ. ბატონიშვილი — ო, შურს ვიძიებთ მასზე, სულს ამოვხდით.

ამბროსი — ამით მეფეს დაღუპავთ.

ალ. ბატონიშვილი — შენ მქირდავი ხარ, დიას!

ამბროსი — რად კადრულობ სიცხარეს.

ალ. ბატონიშვილი — მე ჭაბუკზე გული მტკივა, ვღელავ: აწ ყველა მიბრძანდით და გაუზიარეთ ერთმანეთს, როგორ უშველოთ ბაგრატს, მე და თავადი კი ერთად მოვიფიქრებთ სახსნელს.

(ყველა მიდის. რჩება ალექსანდრე ბატონიშვილი და თ. გიორგი).

ალ. ბატონიშვილი — ის ჩემი ცდუნებით შეიჭრა ციხეში.

თ. გიორგი — ჩუ, ღმერთს ესმის. ალბათ, ცოფს ყრის ჩვენზე. ეს საქმე საზიზღარია.

ალ. ბატონიშვილი — მე ყოველივე გაგაკეთე, რათა შენ და ქეთევანი იქნეთ ქვეყნის სრული უფალნი. აწ უკან გზა არაა, ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ გვირგვინის დაუფლება.

თ. გიორგი — უკან გზა მომიჭერი და წინ სინდისი მეღობება.

ალ. ბატონიშვილი — ეს სიტყვა უმწყოთ გამხელს, მაგრამ შენი ხელით უნდა მოკლა სერვეტი. მე რომ ჩავიდინო, ერი ბოროტად ახსნის, შენ კი უმწიკვლო სახელი გაქვს.

თ. გიორგი — მხოლოდ სახელი?

ალ. ბატონიშვილი — არჩევანი არ დაგერჩა, ან მთელი ვრი, ან ცოფიანი მუფე. (შემოდის ფოკა ორი რაზმულით)

ფოკა — იზეიმეთ, ბატონებო, სულთანის ძეს მოგივლენთ.

ალ. ბატონიშვილი — ცოცხალს თუ მკვდარს?

ფოკა — ცოცხალს.

ალ. ბატონიშვილი — მოკვეთილი თავი უფრო მიატყა.

ფოკა — (შეკრთება) ეს როგორ გაუვიგოთ?

ალ. ბატონიშვილი — მთავარსარდალს მოჰგვარეთ და ნება მისია.

(ფოკა ორი რაზმულით მიდის)

ალ. ბატონიშვილი — რატომ დადუმდი, თავადო? თუ გიმძიმს, დაგახმარ ჩემს ერთგულებას.

თ. გიორგი — დიად.

ალ. ბატონიშვილი — (უძახის ციხის კარებში) ჩემო მოყმენო!

(შემოდის ციხიდან რამდენიმე მძიმე ჯავშნოსანი მოყმე).

მოყმენი — მტერი ყველგან სულს დაფაგს.

ალ. ბატონიშვილი — აქ ერთ ვინმეს მოიყვანენ, თა თქვენ, მთავარსარდალის სურვილისამებრ, გაუსწორდით.

მოყმენი — მზადა ვართ.

(ალექსანდრე ბატონიშვილი მიდის. რაზმული იარაღის ჟღარუნით მოდენიან სერვეტს და ორ ასკერს. ასკერნი რაზმულებიანგან იცავენ სერვეტს).

თ. გიორგი — ოპ, როგორ გავს მას!

1 რაზმელი — ეს სულთანის ძეა.

თ. გიორგი — თითქოს მოგონებამ ხორცი შეისხა და წინ მიდგას.

2 რაზმელი — ვით ხედავ, ჯერ პირტიტელაა, მაგრამ მაგარი კუნთები აქვს და აფთარივით გვებრძვის.

მოყმენი — ჩვენ ველოდებით შენს ბრძანებას.

თ. გიორგი — მე არ ძალმიძს ასეთი ცოდვით ვიხსნა თავი დაღუბვისაგან. ვერას გინბრძანებთ. (მტკიცედ) წაკიდეთ.

(თ. გიორგი და მოყმენი მიდიან. შემოდის კირიონი და ფოკა)

1 რაზმელი — ეს რა ჯიუტია, ჯარი არ შერჩა და მაინც იბრძვის.

ფოკა — (უახლოვდება სერვეტს) უნდა ძინვარებო, სერვეტ!

სერვეტი — სიცოცხლე არ მინდა.

ფოკა — (უახლოვდება კირიონს) მე დიდ ბატონებს შევატყვევ, ამის სიკვდილი სწადიათ და ესეც მასვე ეძებს, ჩვენ კი ვცდილობთ ცოცხლად შევიპყრათ.

კირიონი — მე ვფიქრობ, რაზომ სერვეტს დაუსჯით, ჩვენს მეფეს იმ ზომით მიუზღავენ.

ფოკა — მეც ასე მესმის.

კირიონი — მეფეს ხომ შეფიცეს ერთგულება. სვინდის რას ეუბნებიან?

ფოკა — გაიგეთ, რაზმულნი?!

1 რაზმელი — კარგად გვესმის, რომ მუხთლობა მზადდება.

კირიონი — ჩვენ დღეს როგორ ვემსახურეთ სამშობლოს.

1 რაზმელი — ღვთის და შენი წყალობით, ნათელი დაგვადაგა.

კირიონი — ჯერ მთლად არ მოგვიხდია ვალი. მენდობით თუ არა, ფიცის კაცნო!

1 რაზმელი — ცეცხლში და მდინარეში გადაგყვებით.

კირიონი — მაშ, დავეწითო მტერს და მეფე დავიხსნათ.

ყველა — ან დავიხსნათ, ან შევეწიროთ.

კირიონი — (მიუბრუნდება საპროლოველად მომართულ სერვეტს) დაშვიდდი, სულთანის ძე. ჩვენი მეფეც მტრების ხელშია, — იქ მიგიყვანთ და ერთმანეთზე გადაგცვლით.

ფოკა — შენ ჩვენთან სიკვდილს ეძებ, ის თქვენთან — ჯოჯოხეთშია, გადაგცვლით და ორივეს სული საკუთარ ტანში დაბრუნდება.

სერვეტი — თუ ასეა, რას მატყვევებთ?

კირიონი — დაგვნებდით და ფარულ გზით მიგაღწევიანებთ.

სერვეტი — ო, ცრუობთ! გინდათ ცოცხლად შემოიპყრათ და საზეიმოთ დამსაჯოთ, დამცინოთ. ო, ვიზე თავხედობთ, მსოფლიოს შემძვერელის განძზე, თქვე ტყის მულეზო და ქაჯებო. (იწყებს გააფთრებით ბრძოლას).

კირიონი — (უკან დაიხვეს) ცოცხლად შეიპყარით.

სერვეტი — თვითონ ჩავიციე მახვილს გულში. (ისწორებს მკერდზე ხანჯლის წვერს).

კირიონი — (შეშფოთებული) ჩააგერვალ! ამ წამს აგისხნი ყოველივეს. (ყველას) მარტო დაგვტოვებ ყველამ, სანამ თავს დაიმარცხებს.

(ყველა მიდის კირიონის და სერვეტის გარდა-კირიონი თავის საჭურველს გადაადგედებს)

სერვეტი — რად განიარაღდი?

კირიონი — ნდობის მოსაპოვებლად.

სერვეტი — რა კაცი ხარ? ვინა ხარ!

კირიონი — შენი დედის უფროსი ძე.

სერვეტი — ა... კირიონი? ბოლოს მომესმა, თითქმის დაიღუპე.

კირიონი — გადავარჩი, დედა კი აქ გარდაიცვალა.

სერვეტი — ნეტავ, რამე ნიშნით დამიმოწმებდნენ სიტყვას?

კირიონი — დედას აქ შეხვდები და მდგომარეობამ სიცოცხლე მოუსწრაფა... მხოლოდ დღეს მივიღე მის საგანძველს ეს პაწაწინა ჭურჭელი. ზედ სწერია, რომ შიგ დედის ცრემლებია.

სერვეტი — (გამოართმევს ჭურჭელს) მე არაფერი არ გამაჩნია, მისგან სიცოცხლის მეტი. ეს ცრემლის ჭურჭელი მაინც მერგოს.

კირიონი — შენ თავის მსგავსი საზეგადმოგცა.

სერვეტი — კო, დედას ვგავარ.

კირიონი — ასეთი სახით ძრწოდა, როცა სულთანს გაუგზავნეს. დღეს მსგავსი სახით მოხველ ჩემი ერის მომხრეული სული.

სერვეტი — შენზე გულდამწვარი, დედა მე სანახავად არ მიკარებდა. შემდეგ, დრო-ვაშში, გამდგლმა ჩემად დამანახა რამდენჯერმე და შემეყვარდა.

კირიონი — აქ რა ბედმა შეგვყარა?!

სერვეტი — (გადაადგებს იარაღს) მეც ვიშორებ იარაღს... ძმის ხილვით დაამბუკული, თუმცა არ ვიცი, ვპოვებ თუ ვერა. შენში სიბოძს.

კირიონი — ჩვენ ღმერთმა მხოლოდ წუთი მოგვცა სამოდ.

სერვეტი — მოვიგონოთ, რაც გვაერთებს. მე ახლა ვნანობ, რატომ ძალად არ გავეცან დედას, როდესაც ფარდის იქეთ ჩასაფრებული ვუსმენდი დაღუპულ ქმარ-შვილზე გოდებას, რად არ გადავუშალე გული. სიყვარულით... მისი საფლავი მაინც ვიცოდე. შენ არ იცი?

კირიონი — როგორ არა! ის მიწა — ჩემთვის ცის ნაწილია ამ ქვეყნად.

სერვეტი — მე, ალბათ, ვერ ვეღირსები. შენ ერთხელ მაინც ჩემი სახელით ეამბოვრე მის საფლავს.

კირიონი — ძმაო, პატარა ძმაო!.. (ეხვევა სერვეტს)

სერვეტი — ჩემო უფროსო, საოცნებო ძმაო. (კოცნის კირიონს)

კირიონი — პატარა ძმავე, დედის ციური სახით. (კოცნის სერვეტს)

სერვეტი — ო, მრავალ ოცნების ნაყოფია ეს შეხვედრა.

კირიონი — რაოდენ ცოდვის და ცრემლების ნაყოფი ხარ შენ.

სერვეტი — რამდენი სიტკბო შეაქვს ძმობას ამ სიმწარეში.

კირიონი — ეს სიზმარივით გაქრება, თუ მისმა სიყვარულმა არ შეგვავერთა.

სერვეტი — მისგან ზეშთაგონებამ.

კირიონი — რას შთაგვაგონებს...

სერვეტი — კირიონ! ჩემთან, ნახევარ მსოფლიოს მემკვიდრესთან, სრული ძმობისთვის დათმობ საშობლოს? — დამეხმარები, გაგაღწიოთ და ისევ შემოვარდნის მახვილი?

კირიონი — (შეშფოთდება) ო, რა უთხრა სატანას, მაცდურს! არა, ახლა მივხვდი, ამას ნამდვილად კი არ ითხოვ — მცდი, მე კი ჭეშმარიტად გკითხავ, — აქედან რომ გაგაღწევიო და სამკვიდრო ტახტი გელირსოს, აიღებ ხელს ჭრისტიან ერთა აღმოფხვრაზე?.. სიმართლე სთქვი, — ვითომ ციდან დედა შეგცქერის.

სერვეტი — ჩემს დიდ მამას უყვარს ფუფუნება, მე კი ძლიერებისკენ მივიღებ. — ამისთვის დავეწაფე არაბთა სიბრძნეს, დიდ შეიხთა სულიერ სინათლეს და დავრწ-

მუნდი, რომ გარდაუვალა ქრისტიანობის აღმოფხვრა და მინდა ეს ჩემი ხელით მოხედეს.

კირიონი — შენ ხარ დასამწიფებელი, მაგრამ მე ღმერთმა რად შემსვარა ძმის სისხლით?

სერვეტი — ძმის გამწიფავი კაენია.

კირიონი — არა. ისევ განათლდა აზრი.

სერვეტი — რა საშველი პოვე?

კირიონი — მე ფიცის დადებას დავესწარი, — ვრი მეფეს ესასობა და სინდისი მოითხოვს მასზე გადაგვკვალო.

სერვეტი — ეს ხომ შემპირდი.

კირიონი — ვით ვიმოციქულებ, რაცა პაულის პატრონებს სწავლიათ შენი მოსპობით ის დალუპონ.

სერვეტი — მიმალწვევინეთ ჩემს ჯართან, და უვნებლად ჩაგაბარებთ.

კირიონი — როდესაც ძალას დაიბრუნებ, ეგებ, პირობა დაივიწყო.

სერვეტი — მაშინ შხამად ადულდეს ჩემში დედის სისხლი, ვით ვშმაკის კერძში.

კირიონი — ფიცი რარიგ დაგიჯერო ურჯულოს?

სერვეტი — მე გუნდე, ვით უფროს ძმას.

კირიონი — ო, შენ გშობა ჩემმა სალოცავმა.

სერვეტი — მისი სული თავს დაგეტრი-ალეხს.

კირიონი — ძმებს ნდობა ჩაგვებრა.

სერვეტი — მშობელო, საფლავიდან ისევ მოგვეც სიცოცხლე.

(შემოდინ ფოკა და რაზმელები)

კირიონი — თქვენ მე მტკიცედ გამომიცხადეთ ნდობა.

რაზმი — ჩვენა ვართ შეფიცულნი.

ფოკა — გიორგი ერმა დაგვინიშნა უფროსად, — შენ კი ღმერთმა.

კირიონი — მაშ, მომყვით.

(ყველა მიდის)

(შემოდინ: სიმონი ჯავნოსნებით, ეგნატე და თერაფონე. გარედან მოისმის ბრბოს ზეიმი)

სიმონი — (ეძახის გარეთ მყოფ ხალხს) მოდი, იხილეთ, — ციხეში მტერი არ არის.

ეგნატე — მთავარ ტაძარზე გადმოისახა

მადლი. — შებრძანდა შიგ კათალიკოსი. სიმე ბი გარედან — დაგვიწრუნდა ძალა და სიწმინდე.

თერაფონე — სად არის მამა ამბროსი, გმირის მომგვრელი.

(შემოდის თავადი გიორგი)

სიმე ბი — გაუმარჯოს დიდ სარდალს!

ეგნატე — შენ გვარაზმა!

სიმონი — უშენოდ ბრბო ვართ: მტერთათვის საიმედო, მოყვასთათვის საშიში.

სიმე ბი გარედან — შევიქნეთ ბედნიერ ჯამის ღირსი. — იარაღი ავისხათ შევიმოსოთ და გამოგეფინოთ მოედანზე.

(შემოდის ალექსანდრე ბატონიშვილი)

ალ. ბატონიშვილი — ბატონსანო ერო, მე ჭაბუკ მეფეს ამ ზეიში ვერსად ვუბრავ, — შიში მერევა.

სიმონი — ეს შავი ეჭვია.

ჯავნოსნე ბი — ეს ცუდი ამბავია!

ალ. ბატონიშვილი — თუ თავადმა გიორგიმ არ იცის მეფის ბედი, მის ხელთაა სულთანის ძის თავი, და მიკვირს, რად დუმს?

თ. გიორგი — მათი ბედი რაზმს მივანდე.

ალ. ბატონიშვილი — რაზმი სად არის?

თ. გიორგი — უკან დახეულ მტერს დაედევნა.

ალ. ბატონიშვილი. მაშ, მე არ ვუწყვი, გარს რა ხდება.

სიმონი — რა სჭირს მეფეს, ჯერ მაინც ვერ გავიგეთ.

ალ. ბატონიშვილი — მიკვირს, თავადო, ვით შორდება შენს სიტყვას საქმე.

თ. გიორგი — ჯერ პასუხს ვაგებ ღმერთთან.

(მოისმის ზეიმის ხმები)

ალ. ბატონიშვილი — იქ რა ხდება? სიმონი — ტაძრიდან ხალხი მოდის.

ნანს, მადლობა შესწირეს უფალს.

თერაფონე — ო, ცის ანგელოსს ეგებება ჰალწულთა გუნდი!

სიმე ბი — ანგელოსია!

სიმონი — მათ მოუძღვება წმინდა მამა ამბროსი.

აღ. ბატონიშვილი — ვისაც ანგელოზად ცნობენ, თავადო, შენი პირმშოა.

თ. გიორგი — აი, ფოკა გამოჩნდა, გვეტყვის, რაც გადახდათ.

(შემოდინა: ქეთევანი საზეიმოდ მოგაზმული და ქუთაისის ბანოვანი, ისინი ქეთევანს მოწიწებით უფენენ ყვავილებს. მათ მოყვება ამბროსი, ფოკა და რაზმეული).

თ. გიორგი — რა ამბავი მოგაქვთ!

ქეთევანი — ზოგის სიკვდილით და ზოგის სიმწრით მოიპოვა ერმა სიცოცხლე.

ამბროსი — ასეთ გამარჯვებასთან ყველა მსხვერპლი მცირეა.

ქეთევანი — ერთი სულიც თუ იღუპება, არ გვეტყვის, რომ მცირე მსხვერპლია.

ბანოვანი — თავისუფლება! გამარჯვება!

ქეთევანი — ნუ მიფენთ ყვავილს, ბანოვანო.

ბანოვანი — ღირსი ხარ მეტის პატივისცემის.

ქეთევანი — რისთვის?

ბანოვანი — შენმა მშობელმა გვიხსნა.

ქეთევანი — სარდლისთვის ყველა შეიღებო ხართ.

ბანოვანი — შენი სიბრძნით ამორჩეულმა რაინდმა სულთანის ძე შეიპყრო და მეფე ბაგრატ გადაარჩინა.

სიმონი — ბაგრატ გადაარჩა?!

ჯავახოსანი — ბაგრატ მეფე ცოცხალია?!

ამბროსი — იგი ტაძარში ლოცვას იხდის და მობრძანდება.

აღ. ბატონიშვილი — თვალთ ნახეთ?!..

ბანოვანი — დიად, ტაძარში.

ბანოვანი — გიხაროდეს, პატრონო! (სიმონი ჯავახოსანებით, ვგნატე და თერაფონე მიდიან).

ბანოვანი — ღვთის მადლად მოვლენილ ასულს გამოვეყვით.

თ. გიორგი — არ ჩვევია ქეთევანს მადლით მოხსენიება.

ბანოვანი — დიად, ცოცხალია, შენს ღვაწლს ვივიწყებდით, თავადო. მის განათლებას კი ცდუნებად ვაღიარებდით.

ბანოვანი — დღეს ტაძარში ატეხენ თვალნი და მოვინანიეთ. *ეროვნული* (შემოდის მეფე ბაგრატ მცველებით) ცხელა აღფრთოვანებით ვგებება).

სიმეტი — დიდება ბაგრატს, მარადის გამარჯვება!

ბაგრატი — სიცოცხლე და აყვავება ქუთაისს!

აღ. ბატონიშვილი — ჩვენ ეს გამარჯვება უშენოდ ვერ გავგასარებდა.

ბაგრატი — როცა მტერი უფსკრულისკენ მიმდინდა, ვინ მომშველა?

აღ. ბატონიშვილი — მე იმ ვაშს ვინმე იუდამ საიდუმლოდ მომწამლა. — როცა მოესულიერდი, ვერ მოგისწარა.

ბაგრატი — მე კი რა მტრისგან მიხსნა უცნობმა მოყმემ, ეჭვით შეძრწუნებული მოჭკროდი, მაგრამ გზად აღდგენილ ტაძარში შეველ.

ამბროსი — ო, როგორ გავგახარე მლოცველნი.

ბაგრატი — იქ გიორგის ლოცვადენ მტრის განდევნისთვის. ჩემმა მსხნელმა კი მის ასულს გადაუხადა მადლობა ჩემი გადარჩენისათვის და განუცხადა, თითქოს ქეთევანს რომ არ შთაებერა მისთვის ძალა, ვერ მიშველიდა. მე მინდოდა მეკითხა რაინდისთვის, რას ნიშნავდა მისი სიტყვა, მაგრამ გაქრა.

ფოკა — ჩანს, ჯილდოს გაურბის.

ბაგრატი — ის სასახლეოდ მომშველა და შენ რად გაკუთვნებს, ქეთევან, ჩემს გამოსხნას?

ქეთევანი — მან უდაბურში დამიმტკიცა გმირობა. იმ დღიდან რაინდად ავირჩიე, შორი სიყვარულით აღფრთოვანე და, ბოლოს, ერის ფიცის ჟამს რაზმი ჩაებაარე, რითაც სულთანის ძე დაატყვევა და შენ მტრისგან დაგვიხსნა.

ბაგრატი — ბრძანებით მომეშველა, თუ შენი დავალებით.

ქეთევანი — ბრძოლაში ხმას როგორ მოვაწვდენდი. — ეს მახარებს, რომ თვითონ მოგეშველა და ამით დამარწმუნა, რომ ერთი სული გვიდგას ორ ტანში. ამით შენთან დაძმურ გრძნობით უფრო დამაკავშირა.

ბაგრატი — ბრძანებით მომეშველა, თუ შენი დავალებით.

ქეთევანი — ბრძოლაში ხმას როგორ მოვაწვდენდი. — ეს მახარებს, რომ თვითონ მოგეშველა და ამით დამარწმუნა, რომ ერთი სული გვიდგას ორ ტანში. ამით შენთან დაძმურ გრძნობით უფრო დამაკავშირა.

ბაგრატი — ბრძანებით მომეშველა, თუ შენი დავალებით.

ქეთევანი — ბრძოლაში ხმას როგორ მოვაწვდენდი. — ეს მახარებს, რომ თვითონ მოგეშველა და ამით დამარწმუნა, რომ ერთი სული გვიდგას ორ ტანში. ამით შენთან დაძმურ გრძნობით უფრო დამაკავშირა.

ბაგრატი — ბრძანებით მომეშველა, თუ შენი დავალებით.

ქეთევანი — ბრძოლაში ხმას როგორ მოვაწვდენდი. — ეს მახარებს, რომ თვითონ მოგეშველა და ამით დამარწმუნა, რომ ერთი სული გვიდგას ორ ტანში. ამით შენთან დაძმურ გრძნობით უფრო დამაკავშირა.

ბაგრატი — ბრძანებით მომეშველა, თუ შენი დავალებით.

ქეთევანი — ბრძოლაში ხმას როგორ მოვაწვდენდი. — ეს მახარებს, რომ თვითონ მოგეშველა და ამით დამარწმუნა, რომ ერთი სული გვიდგას ორ ტანში. ამით შენთან დაძმურ გრძნობით უფრო დამაკავშირა.

ბაგრატი — ბრძანებით მომეშველა, თუ შენი დავალებით.

რადგან აწ ვიცი, რომ ჩემი ზრუნვით გიდაგას ცოცხალი სული.

**ბ ა გ რ ა ტ ი** — აწ შენ გიგულეგებ, დაო, იმ სისხლ-ხორცის მაგიერად, ვის დედოფლადაც განატრობდით და არა ქნა ღმერთმა ალ. **ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი** — მე ფიცსლად უნდა ვიპოვო ის რაინდი, ო, ჩემგან რა პატივსაცემია!

**ქ ე თ ე ვ ა ნ ი** — სიტყვა ტბილია, ხმა კი მზარავს.

**ბ ა გ რ ა ტ ი** — მე ის რაინდი საქმით ვცანი, — რა ჩაბარა მან სულთანის ძე თურქებს, მტრებმა სცადეს ფიცის დარღვევით ჩემი დაღუპვა, მაგრამ რაინდი ცის ცეცხლად იქცა. სერვეტმა ვერ გაბედა აშკარა ვერაგობა და ცდუნებას მიმართა. — რაინდს შეპირდნენ სასახლეს, ფაშობას და თავყანისცემას, მაგრამ ვერაფრით შეარყიეს. მტრებს გაუკვირდათ, რომ დამარცხებულ ხალხში ასეთი რკინის კაცი პოვეს და აღიარეს, რომ ვრი, ვის წიაღშიაც თუნდ ორი სული აღმოჩნდება ასეთი მტკიცე, აღმოფხვრის ღირსი აღარ არის და ჩვენი დამონების იმედი შეერყათ.

**ქ ე თ ე ვ ა ნ ი** — ისე მზარებს შენი სიტყვა, მეფეც, ცას ვწვდები.

**ბ ა გ რ ა ტ ი** — ო, დაო, თუ ასე გაფრთხიანებს ის რაინდი, სათავადოს ვუბოძებ, ვით დაიშასურა, და აღმოფხვერი, რაც აბრკოლებს თქვენს ტოლობას.

ალ. **ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი** — (შემფოთებულნი თ. გიორგის) თავადო, შენი სიტყვა უქმდება, — ბაგე ცრუვდება.

თ. გიორგი — მეფეც, ოჯახურ ვარამისთვის დღეს არ გეცალაია.

**ბ ა გ რ ა ტ ი** — რა გაქვს მთავარი სავაჯალო?

თ. გიორგი — მტერმა ფეხი არ მოიკიდოს.

**ბ ა გ რ ა ტ ი** — მეც სხვას აღარას მოგაგონებ.

(შემოდის ორი მხრიდან იგივე ხალხი, მხოლოდ ახლა გამოცოცხლებულნი და შეჭურვილნი, სახიჩარნიც გამოკეთებულან. მათ მოუძღვება ქალაქის მხრიდან სიმონი და ტაძრის მხრიდან ეგნატე და თერაფონე).

**ე გ ნ ა ტ ე** — (ხალხს) თქვენ აქამდე არარად გრაცხდენ.

**ხ ა ლ ხ ი** — ტაძარში ვბრძოლებო, წმინდა ზიარება მივიღეთ.

**ს ი მ ო ნ ი** — ბრბოდ არ გცნობდნენ, ახლა ხალხი ხართ.

**ხ ა ლ ხ ი** — გაუმარჯოს მეფე ბაგრატს!

**ბ ა გ რ ა ტ ი** — გაუმარჯოს ქუთაისს, აღმდგარს ღირსეულად!

**ხ ა ლ ხ ი** — დიდება მზრუნველ ბატონიშვილს! მაღლი დიდ სარდალს!

**ბ ა გ რ ა ტ ი** — მე ვეკურთხე ტახტზე ქუთაისის დაცემის და გახრწნის ხანაში, მაგრამ ამ ხალხის გულში იმდენი სიწმინდე და სიმახაცე ვცან ჩაბზობილი, ვმადლობ ღმერთს, ასეთი დიდებისთვის.

**ხ ა ლ ხ ი** — ჩვენ დაეცხდით ჭირში, — ჭაბუკი მეფე დაგაღონეთ, გაწყინინეთ.

**თ ე რ ა ფ ო ნ ე** — ავ ჟამში მეფედ დაბადებას, ვარგ ჟამში მონად გაჩენა სჯობს.

**ბ ა გ რ ა ტ ი** — არა, მე ვარჩევდი აქ მეფობას ჭირში და ავ-ჟამიანობაში, რათა გავმძღარიყავ თქვენზე ზრუნვით, თქვენთვის წამებით.

**ხ ა ლ ხ ი** — სავალალოა, როცა ერის პატრონს მტერი კორტნის, მაგრამ უფრო მწარეა, როცა თვითონ ერი აწამებს თავის კეთილ მოღვაწეს.

**ხ მ ა** — ჩვენ ცოდვილნი ვართ!

**ბ ა გ რ ა ტ ი** — ეს სულ მტრის მოტანილი ჭირია.

თ. გიორგი — მაგრამ დღეს ჩვენი მიწა მტრის სამარედ იქცა.

**ხ ა ლ ხ ი** — წასვლა და არმოსვლა ჩვენს დამპყრობს!

თ. გიორგი — ჩვენ დაცინვით გვაქვდა მტერი. ასე მოფერებით და ცრუმეგობრობით შთანთქა მტერმა ჩვენი ღვიძლი ტომები.

**ს ი მ ო ნ ი** — ო, იცოცხლებს საქართველო, — ვინც იუდას ამბორით სიკვდილს უშინადებს, უშალ მას დაამწყვებს.

ალ. **ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი** — ერო, ჩვენ მეფეს შევეწირით, არ დავანებოთ, კვალად ჩავარდეს საშიშ დღეში.

**ხ ა ლ ხ ი** — დავიცვათ სისხლით!

**ბ ა გ რ ა ტ ი** — არა, ყველამ ერზე ვიზრუ-

ნოთ. თუ სამშობლო დაიღუპა, ჩვენი ხსენება ამ ქვეყნად მოისპობა.

ხალხი — აქ იცოცხლე, მეფე, და იქ ცხოვრი სიკეთისთვის.

ბაგრატი — თუ მოსპეს ვრი, მე შიშით მეჩვენება, თითქო მაშინ ზორცთან ჩემი სულიც მოკვდება და მეორედ მოსვლის ემსვერ ავდგები. ამიტომ მინდა მე თვითონ გაჩვენოთ თავის განწირვის მავალითი სამშობლოს დასაცავად.

ხმეზი გარედან — ახალი რაზმები! ახალი რაზმები შემოდის!

(შემოდის კირიონი, ხალხი გზას უთმობს)

ფოკა — გაუმარჯოს მეფის მხსნელს!

ალ. ბატონიშვილი — მაშ, ეს არის!

კირიონი — მეფის მხსნელი ღმერთია.

ქეთევანი — შენ აგირჩია ცამ იარაღად.

თ. გიორგი — ეს ერთ დაღუპულ ბავშვს ჩამოგავს.

მეფე — თვალთ გეძებდი, ჩემო მოყმე, სად მიეფარე.

(შემოდის სამი მღვდელი და სამი მოყმე წყვილად)

კირიონი — (მეფეს, შემოსულებზე) ახალ შეფიცულ რაზმებს შევებებე.

1 შეფიცული — ქუთაისიდან ხმა ქარის სისწრაფით მოედო ირგვლივ და გავუწყა კეთილი ჟამის მობრუნება.

2 შეფიცული — დღემდე შავად გვითენდებოდა.

3 შეფიცული — აღდგა რწმენა და სასოება და მივმართეთ ფიცით ძველ სიწმინდეებს.

კირიონი — არგვეთელნი მოდიან წმინდა მოწამეთა დავით და კონსტანტინეს ცხრაასწლოვანი დროშით, ხონელნი წმინდა გიორგის რვაასწლოვანი ხატით, გეგუთელნი თამარის აღმით.

1 რაზმელი — თუ სარდალი გვადირსებს, წინამძღოლად გვინდა მღვიმეს რაინდი.

თ. გიორგი — შეგრიცხავთ მის რაზმში. კირიონი — ირგვლივ წინაპართა სულგანი და საყდარი მებრძოლებს გვიზავნიან.

თ. გიორგი — ჩვენი წინაპრები მაშინ დაიხოცებინან, როცა ჩვენ უცხოვ ვიქცევით. ბაგრატი მეფე — ჟამი არ ითმენს, მტერს უნდა ვსდიოთ, სანამ ჩვენს ზღუდეს არ ვასცდება.

ხალხი — ჩვენ შხადა ვართ.

სიმონი — იარაღი გავლევით.

ეგნატე — ტაძარში ვეზიარებით.

თერაფონე — დავეწყვეთ.

თ. გიორგი — თქვენ გაიმარჯვებთ, რადგან გიყვართ მოყვანსი.

ხალხი — ჩვენ გავიმარჯვებთ. როცა შენ შეგვეერთე, ღიღო სარდალო.

ბაგრატი — არა, ჩვენი შემაერთებელია უფლის კვართი და მისი წმინდანები.

ალ. ბატონიშვილი — გესმის, თავადო, მეფის სიტყვა!

ხალხი — ჩვენი შემაერთებელია შენი სიყვარულიც, ჭაბუკო მეფე!

ბაგრატი მეფე — ო, ვის შეუძლია მკვდარ მოყვასის ისე დატირება, ან ცოცხლის ისე მოალერსება, როგორც თქვენ. — ქუთაისელთა გულიდან ამოდულს ღეთისა და კაცის სიყვარული, ვით სამოთხის წყარო, თუ ის საკუთარ ჭურჭეშა-

თ. გიორგი — მაშ, საომრად დაძვრის ნიშანი მიეციტ რაზმებს, მეთაურნო.

ხმეზი — ასისთავნო! ათასისთავნო! ციხის თავნო!

თ. გიორგი — (კირიონს) მოყმე, შენ მეფის ამაღლას დაიფარავ.

ქეთევანი — ჩვენ გლოცავთ!

ბანოვანი — ღმერთმა უკლებლად დაგარჩინოთ.

ქეთევანი — ვინც ღეთის ნებით ვერ დაბრუნდებით, გიწამებთ წმინდანებად.

(დაიძვრება ყველა).

## ფარდა

### მოქმედება მეოთხე

მთის შევსება. წინ ჩანან ხვამლის მთის გამოქვაბულები. მარჯვნივ კლდეზე მკაცრი ციხე-დარბაზი, საითგენაც აღმართით ვიწ-

რო გზა მიდის. გზის პირად დაბლა ძველი ლიდ ღრუიანი მუხა. მარცხნივ პატარა საყდრის წინაპირი შესასვლელი კარებით.

ციხე-დარბაზის მხრით ეშვება 1 და 2 შინაყმა. საყდრიდან გამოდიან 3 და 4 შინაყმა.

1 შინაყმა — ჩვენ გვეგონა, აქ მოსასვლელ გზებს ასწორებდით, ბიჭებო!

2 შინაყმა — თქვენ კი საყდარში შესულხართ.

3 შინაყმა — მგზავრობისათვის ესეც საჭიროა.

4 შინაყმა — ღმერთს შევთხოვეთ, უკლებლად დაგვხედნენ კეთილეთი.

3 შინაყმა — თუმცა, ნახევარიც თუ გადარჩა, მაღლობა გვეთქმის.

1 შინაყმა — ეპ, ვინ გაუძლებდა დღემდე ურჯულოების თარეშს.

2 შინაყმა — ვისაც სიცოცხლე შერჩა, ეგებ, ის მკვდარზე სატირალია.

3 შინაყმა — პო, ეგებ ორი დღის სიცოცხლისთვის სვინდისი ისე შეირცხვინა, ვერც შეგვეყაროს და გაქცეულ მტერს გაყვეს.

4 შინაყმა — მანც, რა ნეტარება შეედრება მშობლიურ კუთხეში დაბრუნებას?

3 შინაყმა — ზოგი მარტო დასამარხად ბრუნდება სამშობლოში და მანც მოუხარია.

1 შინაყმა — ჩვენ კი, თუ კედელ-ყურე დაქცეული დაგვხვდა, იქედან გადასარჩენად წამოღებული სიწმინდენი თან მიგვაქვს.

2 შინაყმა — სჯული შეგვრჩეს და კედელს — აღვადგენთ.

4 შინაყმა — დღეს რა გვაბრკოლებს გზას გაუდგეთ, როდის დავიმძრებით აქედან ჩვენი ზღვისპირისაკენ?

1 შინაყმა — მეფეს ველოდებით.

3 შინაყმა — რატომ მობრძანდება?

1 შინაყმა — ამ ხვამლის მთის გამოქვაბულიდან საიდუმლოდ დაფლული განძი მიაქვს.

(შემოდის ფოკა)

ფოკა — მეფე და პატრიარქი ქედზე გადწოდებიან.

1 შინაყმა — მღვდელმთავარმა რად შეიწუხა თავი?

ფოკა — სიწმინდენი აქვს აქ გადანახული და აწ გადაასვენებს.

1 შინაყმა — (შინაყმებს) აბა, ჩქარა დავეხმაროთ გზის შემკეთებლებს.

(შინაყმები მიდიან. შემოდის რაფაელა)

ნათელა — მე ვაუწყებ ქეთევანს შენი ჩამოსვლა და შევატყვე, გული აუტყვრდა.

ფოკა — შენს თავს არ აუწყებ?

ნათელა — როგორ...

ფოკა — სულ არაფერი არ იგრძენი ჩემი დანახვით?

ნათელა — უცბად მკითხავ, სულის ამოთქმა დამაცალე, ჯერ დაგაკვირდე.

ფოკა — რაფერ დამაკვირდები, როცა ძვეალში პირდაპირ ვერ მიყურებ.

ნათელა — ჯერ გავიგო, რა ამბავი მოუტანე ქეთევანს.

ფოკა — მე მგონია, სასიხარულო. — აქ რა ხდება?

ნათელა — სიხარული უნდა გენახა — როცა გიორგი ამობრძანდა მსლენელებით და იზვიამ მტრის განდევნა ჩვენი საზღვრიდან.

ცხრა დღე და დამე ისვენებდა დიდი სარდალი და ქეთევანი ფოფინებდა, ხოლო გუმინ ამობრძანდა ალექსანდრე ბატონიშვილი და ყველას ხმა ჩაუწყდა... ამ დილას მისი ეკიბი თომაც მოგვევლინა და ჩუმიად რაღაცას ბჭობს მზრუნველთან. მას, თურნე, მეფის ამაღლაში კირიონი უნახავს;

და ახლაც დასმენას ეწვევა პატრონიან.

ფოკა — ჩვენ შევატყვეთ, მეფეს არ ესიამოვნა, როცა თომამ გამოგვასწრო და კირიონმა მე ფეხი ამჩქარებინა, რათა აქაურობას გადავხედო.

(შემოდის ქეთევანი, შემოყვება ორი ღვთის გლახა)

ნათელა — ღვთის გლახებო, სად წოფილხართ, აკი გითხარით, რომ პირიშვეს არ გაეკაროთ.

1 გლახა — თვითონ გვიხმო ასულმა.

ქეთევანი — (ნათელას) შენ ამათ იცნობ?

ნათელა — შემახსენეს თავი. — ბარის გლახაკებია.

ქეთევანი — რად ამოსულან?

2 გლახა — ამ კლდე-ქვაბებში წმინდა განძია გადამალული და ჩვენ დარაჯებს ვებმარებით, მათ შესაბილწად არ შემოძვრენ ბოროტ-მოქმედნი.

ნათელა — აქ დამარხულ განძს თვი-

თონ ეშმაკიც ვერ მიაგნებს, ვერც მიუღვე-  
ბა. თქვენ თავს მიხედეთ.

ქეთევანი — რად უკრძალავ ჩემს გა-  
კარებას.

ნათელა — თვითონ იციან.

1 გლახა — დიად — ვუწყით.

(ღვთის გლახები მიდიან)

ქეთევანი — (მიუახლოვდება ფოკას)  
მასხარებს, ფოკა, შენი ხილვა, თანაც მა-  
ღელვებს.

ფოკა — ვხედავ.

ქეთევანი — ამბავს მოველი შენგან.

ფოკა — მეფე მას გვერდით არ იშო-  
რებს. ერთად მოდიან.

ქეთევანი — აქ მშობელმაც თქვა, რომ  
ვინმე ჭაბუკს წილი უძევს მტრის მოთრ-  
გუნებაში, მაგრამ რა საქმით, ვერ ჩავვითხე.

ფოკა — მეფე აგზნებით მისდევდა მტერს,  
მზრუნველი აქეზებდა და ამით საფრთხეში  
ავდებდა მთელ ამალმით, ხოლო ეს ვინმე

ჩვენი მეთაური თვალს არ ამორებდა ბაგ-  
რატს და ბედნიერად გამოყავდა ყოველ  
ჭირიდან. ამასთან, დიდ სარდალს დასაწა-  
ხად არ ეკარებოდა, თუმცა, მის საომარ  
ზრახვას შორით ისმენდა და ზუსტად ასრუ-  
ლებდა.

ქეთევანი — აქეთაც მოყვება იგი მე-  
ფეს?

ფოკა — ძნელ გადასასვლელ კლდეებზე  
მხოლოდ მას ანდობს თავს ბაგრატი.

ქეთევანი — მეფე უხეშად არ ეპყრო-  
ბა?

ფოკა — უმისოდ ჭამად არ დაჯდება.

ქეთევანი — გულითადობას იჩენს?

ფოკა — უფროს ძმისა მაგიერად ცნობს.

ქეთევანი — ჩანს, ჩემთვისაც ძმად  
უქნია ბაგრატი უფალს.

ფოკა — ხან უცხოურად საუბრობენ,  
ხან ქართულობენ, ჩვენებურად.

ქეთევანი — მაგალითად, რაზე უბნო-  
ბენ.

ფოკა — მან ხერულიდან საამურ სტეე-  
ნით შავი გველი გამოიყვანა და მეფემ  
თავი გაუქუქკა. შიშველ ქუსლით. იგი  
აღშფოთდა და გამოთქვა, რომ არა აქვს  
მეფეს უფლება თავი საფრთხეში ჩაიყუ-  
ნოს. მეფემ ბრძანა, რომ გველთან ქუსლით  
ბრძოლას გვავალებს წმინდა წიგნი. და

ამით მოგვთხოვს, რომ ბოროტების გასაქ-  
რობად გავწიროთ თავი. ხოლო მეფემ  
მაგალითი უნდა მისცეს ურს. მაგრამ მან  
ბაგრატს გაუტანლობა დააბრალა, რადგან  
ის გველი კაცის ხმას ენდო, კეთილ სტეე-  
ნაზე გამოვიდა გახარებული და ვერაგუ-  
ლად მოუსწრაფეს.

ქეთევანი — მათი ხუმრობა სხვისას  
არ გავს.

ნათელა — მე კი არ მომწონს.

ფოკა — მაშ, აწ შეველ ციხე-დარბაზში.

ნათელა — მოყმეებს ნახავ, მხოლოდ  
ღვთის გლახებს აერიდე.

ფოკა — გმადლობ რჩევისთვის.

ნათელა — მეც შეგხვდები.

ფოკა — მაშ, მზეც ამოვა ჩასვლის შემ-  
დეგ.

(ფოკა მიდის)

ქეთევანი — როგორც ვატყობ, შენ ამ  
ორ გლახას ძალიან უფრთხილდები.

ნათელა — ესენი აქ გამომიტყდნენ,  
რომ მათ წაიყვანეს ჩემი მამა ოქრომჭედ-  
ლის საზიარებლად, უწყიან ხანჯლის საი-  
დუმლო. ურჩხულივით სძულთ თავის გულ-  
ში მზრუნველი და თუ შენ მოწმე დაგჭირ-  
დება — დაიფიცებენ.

ქეთევანი — ვმადლობ განგებას, მაგ-  
რამ უჩემოდ არ წამოცდეთ. ო, მეწმინა.

ნათელა — თითონაც ფრთხილად არიან,  
მაინც გადავკრავ. (აპირებს წასვლას).

(შემოდის თომა)

ქეთევანი — ხედავ?...  
ნათელა — ოჰ, ეს წყველი! (შიშით  
დაბალ სალაშს აძლევს თომას და მიდის).

თომა — რად გაშეშდი, ასულო, ისიც  
დამფრთხალი გაფრინდა. რა მოხდა?

ქეთევანი — თვალში ეკალი შემესო, სხვა  
არაფერი.

თომა — თვალში ეკალი! ეს ხომ არც სა-  
ხუმარია. (აკვირდება) არ გეტყობა. ქე-  
ბათ-ქების არ იყოს, შენი თვალეები მტრე-  
დებივითაა, რომელნიც რძეში ბანაობენ  
განცხრომით. ეგებ სხვაგან შეგეხო?...  
ქეთევანი — არა — თვალში.

თომა — ო, ეს ქარაგმაც მესმის, — ჩემი  
ხილვა ეკლად გესობა თვალში. მაგრამ  
ტყუედები, ვისაც შენ შეხარი, მომაკედინე-  
ბელი შხამი მოაქვს. მე კი შენი გულის

გასახარად გამოგზავნა ქვეყნის მზრუნველმა.

ქეთევანი — შენ მხოლოდ ამით გამახარებ, თუ მაცნობებ, რომ დამივიწყა.

თომა — ის მთელ სამშობლოზე არ ზრუნავს ისე, როგორც შენზე.

ქეთევანი — გეთანხმები, რომ სამშობლოს გასწირავს, დათმობს თავის სიტყვობისათვის.

თომა — ის შენთვის გვირგვინის ძიებასაც არ დაიშურებს. არას დაზოგავს, ოღონდ მხურვალე თავის გული გულს შეგიერთოს.

ქეთევანი — მე მირჩევნია შავი ცეცხლი შემომხვდეს.

თომა — ნუ მკრეხელობ, შენ მას ეკუთვნი. ვერც ცის, ვერც მიწის სამართალი ვერ დაგაშორებს. მარტო შენს ჯიუტ მკრეხელობას ძალუქს გაგთიშოს, მაგრამ მაშინ ცოდვა დადულდება შენსა, და ვინმე ბრძივს გარდა, გიორგის თავზე და ეგებ მთელ სამშობლოზედაც.

ქეთევანი — ვერაგებისგან სამშობლოს სიყვარულზე ფიციც მკრეხელობად მომესმის. დიად, ისეთი ხმით ახსენებენ სამშობლოს, თითქო ამით იკვებნიან, რომ ჰყავთ აქნება, ვისი ღალატიც შეუძლიათ, ან აქეთ საუნჯე გასაყიდი.

თომა — შენ მოგწონს მეფე, რომელიც დაუმეგობრდა ჯამბაზს, რომელიც გველებს იჭერს, ბაყაყებს ყლაპავს, ძელებზე ხტება, კედლებზე ხოხავს, ხანჯალს ყლაპავს, ცეცხლზე ცეკვავს.

(ქეთევანი მიდის. შემოდის ალექსანდრე, რომელსაც მსლებელნი მოშორდებიან).

ალ. ბატონიშვილი — ქეთევანი შემეფეთა, განზე გაუხვია და ისე სასტიკად გადმოხმედა, თითქო თავის სილამაზე და ჯანმრთელობაც ეზარება, იმის შიშით, მე არ მარგუნოს იგი ბედმა... მაგრამ რამდენიც არ უნდა იფართხალოს, ბადეში მყავს, ხელში მოვიგდებ და მის მამასაც ვამოღვანებ ჩემ გასამეფებლად. ხოლო როცა ზრახვას მივალწევ, თინის მოკვლის შემდეგ, ქეთევანს გაეთლავ, დაჯმინებ და მის მამის მთელ ნაშრომ-ნაღვანს მე მივითვისებ ურისაგან ქება-დიდების მოსახვეჭად.

თომა — ამით ჩემ ჯავრსაც ამოიყრი. — ის შხამი როგორ ამომივა გულიდან, როცა დაქვრივებულმა გიორგიმ ჩემი ასულისა შერთვა განიზრახა, დამითანხმა და ბოლოს, ქეთევანის მორიდებით პირი მიშალა და ოჯახი შემირცხვინა.

ალ. ბატონიშვილი — ჩემთან პირობას ვერ დაარღვევს.

თომა — დიად, მეფე არ წყალობს და შენს იქით გზა არა აქვს, ასულიც ურჩობას ვერ გაბედავს.

ალ. ბატონიშვილი — აი, ციხედარბაზიდან ეშვება იგი. ახლო მიდევ. თუ დამჭირდება, გიხმობ.

(თომა მიდის. შემოდის დაღვრემილი გიორგი. რა დანახავს ალექსანდრე ბატონიშვილს, გამხნევდება).

თ. გიორგი — ო, აქ ხარ, პატრონო! რად ელონდები, რად მაგიწყვდება, რომ მყავს მფარველი, მეგობარი...

ალ. ბატონიშვილი — მეტი არაფერი ვარ შენთვის?

თ. გიორგი — მეგობარზე უკეთესი რა გვეპოვება.

ალ. ბატონიშვილი — მაშ, მე შენთვის სანუკვარი ვყოფილვარ.

თ. გიორგი — დიახ, ჩვენს დროში, როდესაც ყველა სიტყვით ელოქნება ერთმანეთს, საქმით კი ძირს უთხრის, ნამდვილი მეგობარი ერთიც რომ პოვო, სანეტაროა.

ალ. ბატონიშვილი — შენ არათუ ერთი, მთელი ერი გლოცავს გამარჯვებისათვის.

თ. გიორგი — ოდესმე ღმობიერებით ვცადა ხალხის გულის მოგება, მაგრამ დაკნინებულმა ერმა და ღაშქარმა სიკეთე სისუსტედ ჩამომართვა, და სიყვარულისათვის შემიძულა... მაშინ სიმკაცრეს მივმართე, ურჩებს სასტიკად მოვეპყარი და მრავალთა შორის შიშით შევქმენი სიყვარული, მაგრამ რადგან მტერი ძლიერი იყო, მარტო ჩემდამი მორჩილებას ვერ ვწნდე და ისეთ სიწმინდეებზე დავაფიცე ღაშქარი, ღვთის შიშიც დავმატათ, სინდისი ემზილათ. ასეთ ჯარით სასტიკად დავამარცხე მტერი და ზღუდებიდან გადავრეკე. მაგრამ ეს არად მიაჩნია მეფეს. ხალხს ჩემს შექებას უკრძალავს და ზვიმის ნაცვლად

გამოაცხადა ძველად წართმეულ მიწა-წყალზე გლოვა და ზღუდვების იქეთ ჩვენი მონათესავე დაპყრობილ ტომების გასანთავისუფლებლად — ბრძოლა.

ა. ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მე გიწვედი მეგობრობას, მაგრამ არ ისარგებლე. თვითონვე უმტრე შენს თავს.

თ. გ ი ო რ გ ი — არ შემძლო.

ა. ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მე თუ შენთვის ყველაფერი გავწირე, სინდისიც მოვიმდურე.

თ. გ ი ო რ გ ი — ამდენს არ მოგთხოვ.

ა. ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მე ისეთ საქმეს ჩავიდუნე შენთვის, რასაც ჩემი თავისთვის ვერ შევძლებ. შენ კი ჩემთვის მსხვერპლს არ გაიღებ, ამიტომ ითქმის, მე ვარ შენი მონა და არა მეგობარი. მე სიყვარულმა გადამაქცია მონად და მზადა ვარ, არა თუ ბაგრატს, მთელ ქვეყანას შევებრძოლო თქვენი გულისთვის.

თ. გ ი ო რ გ ი — ნამდვილად აქვს განზრახული ჩემი დაქცევა?

ა. ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ნუ-თუ ვერ ხედავ? შეძრწუნებულია შიშით, მე არ შევირთო ქეთევანი.

თ. გ ი ო რ გ ი — რატომ?

ა. ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — უთვალავი ეჭვი აქვს, როგორც შეშლილ ბავშვს და იღებს ზომებს ჩვენ გასათიშად.

თ. გ ი ო რ გ ი — ვერ შეძლებს.

ა. ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მან ცბიერებას მიმართა. რა დაინახა, რომ ქეთევანი თანაგრძნობით ეპყრობა უცნობ მოყმეს, მოუნდა მასთან შეაუღლოს.

თ. გ ი ო რ გ ი — ვინ არის ის ჭაბუკი?

ა. ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მოედნების ჯამბაზი. ამას ადასტურებს მისი ცხენოსნობა, კლდეებზე ხოხვა, გველებთან თამაში და სხვა მრავალი ოსტატობა.

თ. გ ი ო რ გ ი — ეს ჭკუაში მომდის.

ა. ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მას სძულხარ შენ. ეშინია, არ გაიგო მისი არარაობა, სიმდაბლე და ახლო არ გეკარება.

თ. გ ი ო რ გ ი — დიად, დასანახად ვერ მოვიპოვე.

ა. ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ყველამ ვიცით, როგორ უყვარს მამა ქეთევანს, კანკალეებს, მეფემ არ დაღუპოს, ამი-

ტომ თანდათან იპყრობს ზრახვა მითხოვდეს ვინმე ჯამბაზს, ოღონდ მამა იხსნას მეფის რისხვისაგან.

თ. გ ი ო რ გ ი — სამწუხაროდ, ბევრი რამ მენიშნება.

ა. ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მოეუშალოთ ბოროტი ზრახვა, სანამ საქმეს შეუდგებოდეს.

თ. გ ი ო რ გ ი — რარიგად?

ა. ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — აქ მეფესთან ერთად სულიერი მამები მობრძანდებიან სიწმინდეთა გადასასვენებლად დაბრუნებულ ადგილებში.

თ. გ ი ო რ გ ი — დიად, პატრიარქმა უკვე მოაღწია. მოკლე ხანს ვისაუბრეთ.

ა. ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — რა თქვა?

თ. გ ი ო რ გ ი — მეფე იმ უცნობ რაინდს დაუმეგობრდა და განაცხადა, რომ მთავარსარდლობას მიანიჭებს. მე ვფიქრობ, ამ საქმეს ვერ იკადრებს, მაგრამ ამით ორივეს ბოროტად გვემუქრება.

ა. ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მამ, მე აქვე, პატრიარქის კურთხევით ვისკენი გვირგვინს, ეს საჭიროა ახლავე გაკეთდეს, რადგან მე მეფის მზრუნველი ვარ, — შენ ჯარი გყავს ხელში და ერთად ვერ დაგვძლევს, ცალ-ცალკე კი დაგვამხოვს.

თ. გ ი ო რ გ ი — მეც აუცილებლად მიჩანს შევკავშირდეთ.

ა. ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მამ, შენებურად დატრიალდი, — ქარცეცხლად, მტერს დაცე ზარი და მოყვარეს შეება მოგვარე.

თ. გ ი ო რ გ ი — მე შინ ნაკლები გმირი ვარ, ვიდრე მტერთან.

ა. ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — პირველ საქმედ გვეალეება ქვეყნის წინაშე დამილოცო ქეთევანი, დაუყოვნებლად. ის ჩემია, თუმცა ეკლესიით არა, გარნა შენი ფიცით ვარ მასზე დაქორწინებული.

თ. გ ი ო რ გ ი — მე გცნობ მართალ ადამინად. — განუცხადებ და თვინიერად ჩაგბარდება.

ა. ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — დღეს გაუმხელ? მიკვირს, შენგანვე მსმენია, რომ ბედნიერების მისაღებადაც საჭიროა ადამიანის შემსაღება.

თ. გ ი ო რ გ ი — მე და ჩემი ასული ბედნიერებისთვის არ გაეჩენილვართ, მხო-

ლოდ მოვალეობა გვეკისრება, და ფიცი აქვს ჩემთან დადებული, ისვენას გვირგვინი არა საკუთარ გულის, არამედ ქვეყნის გასასარებლად ჩემი რჩევით.

ა ლ . ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მე კი ბედნიერებას მხოლოდ ასეთ მეუღლისგან მოველი.

თ . გ ი ო რ გ ი — ხედავ, ბილიკზე გამონდა.

ა ლ . ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ალბათ, შენ გეძებს.

თ . გ ი ო რ გ ი — მაშ, შორს ნუ წახვალ. გულის ზეაშიადს გავეუმეღავნებ და ორივეს აქვე დაგლოცავთ.

(ალექსანდრე ბატონიშვილი მიდის. შემოდის ქეთევანი).

თ . გ ი ო რ გ ი — ქეთევან, ჩემო გულითაღო და ბრძენო.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — სხვა კილო გაქვს, მამავ.

თ . გ ი ო რ გ ი — ჯერ არ ვყოფილვარ ასეთ ცეცხლში.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — შენთვის ყველაფერს ავიტან — ცეცხლი მწვავეა, მაგრამ წმინდაა,

თ . გ ი ო რ გ ი — შენ თითქო ზომავე, რა შეგიძლია ჩემთვის გაიღო, აქამდე კი უსაზღვროდ მენდობოდ.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — ვატყობ, რაღაც გინდა მიბრძანო, ან გამიმხილო და ყოყმანობ.

თ . გ ი ო რ გ ი — არ ვყოყმანობ. მე კარგა ხანია გადავწყვიტე ალექსანდრე ბატონიშვილს შვერთო მეუღლედ, სიტყვაც მივეც და მას აქეთ ბედი წალმა მობრუნდა.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — ო, რა შავი ბედი!

თ . გ ი ო რ გ ი — გარემოება მოითხოვს დღესვე დაქორწინდეთ.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — იწამე ღმერთი, მამავ.

თ . გ ი ო რ გ ი — მე სიტყვა მივეც და შენ ხმა არ უნდა გაიღო.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — კარგი, დაგთანხმდები, დაგდუმდები, თუ მკვდარს მიმიღებს.

თ . გ ი ო რ გ ი — შენ შეგიძლია მამას დაცინვით უპასუხო? გიყურებ და მეჩვენება, თითქოს შენს ხორციში სული გამოიცვალა და მარტო დავრჩი.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — მე შენთვის წამებით სიკვდილს მივიღებ, მიბრძანე და ჩემს ხორცს გველემშაბს ჩავაბარებ, მხოლოდ მის სახელს ნუ მისხნებ.

თ . გ ი ო რ გ ი — რა ცივად მეურჩები! მე მინდა შეგნით სიმტკიცე დაემყარო, რათა გარე მტერთან საბრძოლველად... [გაგაწყობს] ერი და ამისთვის მზად ვარ ყოველ მსხვერპლზე, შენ კი მიმანდი არანაკლებ გმირული შარავანდედის ღირსად, ვიდრე ვბრძლიყფთავს, ან ელინთა მეფის, აკამეშონის უმანკო ასულნი.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — ის ასულნი სამშობლოს დასახსნელად მხოლოდ სიკვდილს იღებდნენ, შენ კი მოითხოვ ცოცხლად ჩავიდე ჯოჯოხეთში.

თ . გ ი ო რ გ ი — ჯოჯოხეთს რას ადარებ?

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — მასთან ცხოვრებას.

თ . გ ი ო რ გ ი — ჩანს, ვინმე უღირსმა დაგვაშორა. ო, ჩემი ასული უკვე მდაბალი ვნებით ცხოვრობს, დამანახე, რისგან დაკნინდი?

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — აუტანელად მძულს.

თ . გ ი ო რ გ ი — რისთვის?

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — ხმას ვერ ვძრავ.

თ . გ ი ო რ გ ი — რა კრულია ცხოვრება, როგორ წარმოვიდგენდი, რომ ჩემ სათაყვანო ასულს ამოვიყვეთდი გულიდან.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — გონს მოდი, მამავ.

თ . გ ი ო რ გ ი — მაშ, მე დაგწყველი და ვინც ისურვებს, მივითვისებს, ვით უპატრონოს.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — მანამ სამარე მიპატრონებს.

თ . გ ი ო რ გ ი — ნაკურთხი მიწა არ მივიღებს.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — ასე გამწირე! არა, მამ გეტყვი!

თ . გ ი ო რ გ ი — სხვა ღონე არ გაქვს.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — მან მომიკლა ორივე საქმრო.

თ . გ ი ო რ გ ი — აა?

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — მეტ სიბილწეს მისას ნუ მკითხავ.

თ . გ ი ო რ გ ი — სიზმარს ამბობ?

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — ჭეშმარიტებას.

თ . გ ი ო რ გ ი — ეგებ, ისე შეგშალა ვინმემ, ცილს ვაფრქვევინებს.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — რაკი წარმოვთქვი, დამიჯერე, ან თვით იძიე.

თ. გიორგი — მაშინ უკულმა დაბრუნდება სუყველაფერი.

(შემოდის ამბროსი)

ამბროსი — მაღლი თქვენს ნახვას!

თ. გიორგი — ო, მოაღწიეთ. გავიგონე, თითქო ამ საშიშ გზაზე მეფე სიფრთხილეს არ იჩენდა.

ამბროსი — დიად, ლაღობდა გამარჯვებით გასარებული. თუმცა დასძენდა, რომ არ კმარა ეს გამარჯვებად.

თ. გიორგი — ვისი წყალობით იხარებდა.

ამბროსი — თავის ღირსებად აცხადებდა, რომ ამ კვირაში თქვენსმეტი წელი შეუსრულდა, მეჩვიდმეტეში ჩადგა და აწ მზრუნველს არ საჭიროებს.

თ. გიორგი — ვის იკრებდა გარშემო?

ამბროსი — არავის. მარტო მღვიმეს მოყმუხ არ იმორებდა, ქეთევანის რაინდად ხმობდა.

თ. გიორგი — ჩვენ დაგვცინოდენ. ჯამბაზს აყვა ჭაბუკი მეფე?

ქეთევანი — ნუ ქირდავ, მამავ, კეთილსულვებს.

თ. გიორგი — შენ გამოტყდი, რომ ეშმაკი ხარ მოჩვენებული ქეთევანად, რათა ბოროტი ცილით სული გამაფრთხობინო.

ქეთევანი — მით არ ვამხელდი საიდუმლოს, ვგრძნობდი, რა შეძერა მოყვებოდა.

ამბროსი — რა საიდუმლო?

თ. გიორგი — მე არ ვუწყია აწ რას ჩავიდენ, ან რა მოხდება შინ და გარეთ. (ამბროსს) შენ გამოძალე ამ არსებას სრული სიმართლე და თუ ღვთის ნებით მოდის მძიმე გადასავალი, აუტანელი, მომიარე კოფეყრილსაც და მკვდარსაც, წმინდა მიძღვარო.

ამბროსი — დამშვიდდი. მეფე მობრძანდება.

თ. გიორგი — ჯერ აზრს მოვიკრებ, აზრს მოვიკრებ და შენ ამიხსენი აუხსნელი. (თ. გიორგი მიდის. შემოდის მარჯვნიდან ფოკა და მარცხნიდან ორი გლახა).

ქეთევანი — ფოკა, რა უყავ შეგობარი? ამბროსი — თქვენ ახლა ერთად ახლდით მეფეს.

ფოკა — (ქეთევანს) მეფემ გიორგი დაი-

ნახა და დაედევნა. — მას დაშორდა მღვიმეს რაინდი და შენ გეძიებს.

ამბროსი — გიორგის ჯერეთ შევამზადებ მის შესახედრად, თქვენ მანამ მეფე შეიტყუეთ, თუ შეგიძლიათ.

ქეთევანი — ვაი, ჩემს ცოდვას!

1 გლახა — გმინავ, ასულო.

2 გლახა — ჩვენ რამეში გამოგადგებით?

ქეთევანი — გაყვეთ წმინდა მამა ამბროსს და ჩააბარეთ აღსარება ოქრომეყედელზე. აჭურ ხატზეც დაიფიცეთ.

ამბროსი — ეს რად გჭირდება?

ქეთევანი — მათგან გაიგებ საიდუმლოს და თვალს აუხელ მამა-ბატონს. ყოველივეზე. თუმცა ასეთ მანკის გამხელა ვეებ იქცეს საბედისწეროდ ერისათვის.

(ამბროსი და გლახები მარჯვნივ მიდიან)

ფოკა — ვერ მივმხედარვარ, შენ რა იცი საბედისწეროდ, მე კი საამო ამითი მოველ.

ქეთევანი — განწირულ ბედის გამობრუნება ძნელია, მაინც ხარბად გისმენ.

ფოკა — მეფე მოხიბლულია შენი რაინდის სიბრძნითა და სამეფოსთვის ღვთის მოგზავნილად მიაჩნია. მას სჯერა, რომ თქვენ ერთმანეთი გიყვართ და ღვთის წინაშე ვალად იღებს თქვენს გასარებას.

ქეთევანი — მან არ იცის, რომ კაცის ბედი მეფეს არ ემორჩილება. — ბედის უფალი უცნობია.

ფოკა — მაშ, ისე მოიკვეთე სასობა, არც გსურს შეზღვევ?

ქეთევანი — მისი ხილება სულს ჩამობრუნებს, მაგრამ ვშიშობ, ჩემგან სიკვდილი არ მოედოს.

ფოკა — დმერთია შემწე.

ქეთევანი — მაშ, ახლავ, ინახულე მამა ამბროსი, ღვთის გლახები, ნათელა და რაც უწყით, ერთმანეთთან გაიზიარეთ.

(ფოკა მიდის. კირიონი შემოდის. ქეთევანი ეგებებოდა და შეჩერდა).

კირიონი — რად შემფოთდი... აქ არ შეჩერდით?

ქეთევანი — ვშიშობ, საფრთხეში არ ჩაგბღო.

კირიონი — როცა შენ გხედავ, მე სიკვდილისთვის უხორცო ვარ.

ქეთევანი — მე სულ შენთან ვარ გუ-

ლით... ჩემს თავს ვკითხავ, რა გიჭირს, გილხინს და, რადგან ნამდვილს ვერა ვგვბულობ, ვმარჩივლობ.

კირიონი — მეფეს ჩვენ ვწამვართ და ვუყვარვართ. ამაზე მეტი წარმატება არ იპოვება, მაგრამ ჩვენ ესეც არ გვშველის.

ქეთევანი — ჩვენ გველობება ყველაფერი, წესიც, მშობელთა წარსული, აწმყო... კირიონი — და ვერაფერი ვერა გვთიშავს.

ქეთევანი — მე გელაპარაკები, ჯვარიდან ჩემი წამება მხოლოდ სიკვდილის კალთაში შეწყდება, და მას მივმართავ, თუ შენგან თანაგრძნობა გამყვება.

კირიონი — არა, მაცდურის ზრახვას ნუ აყვებით.

ქეთევანი — სატანა ჩემს ბედზე სასტიკია?

კირიონი — მანძილზე აქედან არის მთა ყინულოვანი, სადაც გამოქვაბულნი უფრო მიუდგომელია, ვიდრე ეს მღვიმენი ხვამლი-სა. მის პიტალო კლდეებიდან ირმები უფსკრულში ვარდებიან, იქ შევინახავ შენ მეტ მოწინააღმდეგეთ, ვიდრე მეფენი ინახავენ განძს ამ მღვიმეში.

ქეთევანი — მე გაყვები ზესკენელ-ქვესკენელშიც, ჯოჯოხეთშიც, რადგან შენ თითონ ყველგან სამოთხედ მეყოლები, მაგრამ ქალი ვარ და ვშიშობ, თოვლიან ქედზე ტვირთი ვერ აიტანო.

კირიონი — შენ იქ ესაიას ექუსფრთიანი სტუმარივით აღმაფრენ და არ ვიგრძნობ ხორციელ სიმძიმეს.

ქეთევანი — აი, ფიჭვი შემომეჯარა.

კირიონი — ჩვენ იქ ერთი ფიჭვი შეგაწაწავენ, რომ უბედურია ქვეყანა, რომელსაც დავემორდით.

ქეთევანი — იქ ჩვენ დაგვზღუდა ადამიანზე გაუტანელი, მკაცრი ბუნება. დავეყუდებით კლდეში, რომელზედაც ზენარმა პრომეთეოსის მიაჯაჭვა და მე, სათუთი ქალი ბუნების სიმკაცრისგან დასაცავად გაგაწაწავენ, პრომეთეოსის გულის მკორტნელ ყორანივით.

კირიონი — შენი სიტყვით, ზენა დარაჯობს, ცოდვილ მიწაზე და მის კიდევცე, არ ჩამოვარდეს სამოთხის ნაპერწკალი.

ქეთევანი — ვნებით მალაღს მეტად ემუქრება სიკვდილი.

კირიონი — გამხნვედი, ნუთუ ჩვენ მთის ქვაბს ღვთის შეწვევით ვერ ვაქცივთ ნეტარების საყუდრად. თუმცა საგლოვოდ მაინც გვექნება ჩვენი გამძევებულ ქვეყნის უბედურება.

ქეთევანი — არა-თუ ჩვენ, პატარა ყვავილსაც რომ მისცეს ღმერთმა ბედნიერება, ამისთვის მთელი ქვეყანა უნდა გადააქეთოს.

(შემოდინ ამბროსი, ფოკა, ნათელა და ორი გლახა).

ფოკა — აქ არიან, მამაო, თითქო ჯანმრთელებია, მაგრამ თუ შენი მადლით არ მოაბრუნებ, საამქვეყნოდ არ სჩანან.

(შემოდის თომა. შეყოყმანდება და ხის დარეში შედის)

ამბროსი — მათთვის ილოცეთ საყდარში. თუ დამჭირდებით, გისმობთ.

ნათელა — (მღელვარეთ) ო, უშველე, უშველე, შენი მუხლის ჭირიმე, ჩვენ ვილოცებთ. (ეამბორობა ამბროსს კალთაზე). (ნათელა, ფოკა და გლახები შედიან საყდარში)

ამბროსი — საყვარელო შეილებო!

ქეთევანი — დაგვარიგე, მამაო, გზააბნეული.

ამბროსი — გწამდეთ ღმერთი, გიყვარდეთ მოყვასნი და მაშინ სწორ გზას მონახავთ.

ქეთევანი — მეხთა ქუხილი ახლოვდება და ერთგულებს გვინდა ერთი ზრახვით დავეხდეთ უბედურებას.

ამბროსი — თუ ერთი გული გაქვთ, ზრახვაც იგივე გაქნებათ.

კირიონი — არა, მამაო, ქეთევანი მხოლოდ სიკვდილში ხედავს საშველს.

ამბროსი — ვიცი რა დიდ საქეჯნელში აგდებენ, მაგრამ მე ვუწლი ამ ცდუნებას, — ჩვენ ღმერთს ვეკუთვნით და მის თვალში თავის მკვლელი მოყვასის მკვლელზე ცოდვილია.

ქეთევანი — ხოლო ეს: ვისი ბავშვობაც შენს ხელში გამოვლილა...

ამბროსი — ო, ჩემი აღზრდილი კირიონი.

ქეთევანი — წმინდა მამაო, აწ ნურავის დაუფარავ, რომ ეს კირიონია.

ამბროსი — არც მოხერხდება.

ქეთევანი — კირიონი მბატივობს ცათამბჯენ ქედზე იმ კლდის მახლობელ ქვაბში, სადაც გადმოცემით ზენარმა პრომეთე მიაჯაჭვა... მე კი აქ უფრო შეადვილება აღსასრული.

კირიონი — იქ, ბრძოლაში, რაც მოგივა, „იყავ ნება ღვთის“, ხოლო აქ, შიშით, თვითონ ნუ ჩავეუვარდებით სიკვდილს ხახაში.

ქეთევანი — ახლა, რა დამაროვებ, აზრი შეცვალა, მე ვმიშობდი, რომ იქ, ბუნების სიმკაცრისაგან სიკვდილი მეტად სასტიკი იქნებოდა, მაგრამ სადაც ღვთაებრივი არსი დაისაჯა ციდან ცეცხლის მოტანისათვის, ჩვენ რად ავერდილოთ ტანჯვას ციური ვნებისათვის. მე მზად ვარ გაგყვი და კლდე გრძნობით გავატოთ.

ამბროსი — თქვენი გული მსურვალეა, მაგრამ ჭამით გამტანია?

კირიონი — კითხვაც მწყინს.

ამბროსი — დღევანდელ ნორჩს, დასაველურად განათლებულს, ვნება ისე აკადნიერებს, რომ ციურს ეტოლება ბედნიერებით.

კირიონი — და — სიწმინდითაც.

ამბროსი — მიჯნურობით წმინდანი ვერავინ ვერ გახდება.

ქეთევანი — ჩვენ სიყვარული ქეშმარიტად გვწამს.

ამბროსი — ქეშმარიტი სიყვარული უანგაროა, არ ეძებს საკუთარს. ისწრაფვის სიკეთეს შეეწიროს.

ქეთევანი — კირიონიც ზომ ასეთია.

ამბროსი — არა, თქვენ არაფერი ისე არ გენატრებათ, როგორც ერთმანეთის დასაკუთრება და სიკვდილამდე ივოდებით, თუ ვერ შეუღლდით.

კირიონი — მე მირჩევნია მარტო ავიდე ქედზე და კლდეებს და ქვაბებს ქეთევანის ლანდი მოვფინო ფიქრით, ვიდრე ის თვითონ ხორცისმული ავიყვანო მკაცრ ბუნებასთან საბედისწეროდ შესაბამელად, მაგრამ რომ დაეტოვო, შენ უწყვი, რა გველემების ხახა უდარაჯებს. აქ ქეთევანმა თავი თუ არ მოიკლა, — ბილწი ხახა შთანთქავს,

ამოარწყვებს და ისევ შთანთქავს, სანამ მიხებერ გველად არ აქცევს.

ქეთევანი — მე მზად ვარ მონასტრად შევიკვეცო და ვილოცო კირიონისთვის, მაგრამ შენც უწყვი, მონასტერში მოძალადესგან ვერ დამიცავთ.

ამბროსი — თქვენ ყოველ გზით ცოდვაში ეფლობით. თვითმკვლელობით ღმერთს დაგმობთ, ქედის ქვაბში შეხიზვნით გარყვნილებას გადაგვებით, მონასტერში მიჯნურზე ვედრება მკრეხელობაა.

კირიონი — შენ ყოველ გზას გვირაგვავ.

ქეთევანი — და არც სიკვდილს გვანებებ.

ამბროსი — მე შეგაკვენებთ გზაზე, სადაც სჯული დაგიცავთ.

კირიონი — რარიც მამაო?

ქეთევანი — რარიც გვიღებ კარს ცხოვრებისას?

ამბროსი — წმინდა ეკლესიით დაგაქორწინებთ. ამით ასულის გამმეტებულ მამის ხელს შევებოჭავ, ერის ზრახვას ავლაგმავ, მოძალადეს ზარს დავცემ და ეკლესიის სახელით თქვენს ფარად აღვიმართები.

ქეთევანი — ჩვენი დახსნისათვის რამდენს გადაიმტერებ!

ამბროსი — მათ ნაცვლად სინდისს შემოვირიგებ. — არა მარტო გიორგის აწუხებს სინდისი მარინეს გაუბედურებისათვის, მე შევალემა კირიონს ზელი მოყუშართო.

ქეთევანი — სად დაგეწერთ ჯვარს, მამაო.

ამბროსი — ამ ღვთის სახლში.

ქეთევანი — შიგ ორიოდე მლოცველი თუ დაეტყვა.

ამბროსი — საყდარი ყოველი ზომის თანასწორია ღვთის წინაშე, აგრეთვე ხალხიც, — შესაძლოა, ორიოდე ღატაკი უდრიდეს ურიცხვს, ვით ღვთის მოციქული... იქ თქვენ გულმართალნი დაგხვდებიან და იცანით დიდათ... თუმცა თქვენ დიდებულთა საჭირწინო ნიშნებით მორთულნი ვერ შედისხართ საყდარში, შემოსილი ხართ შექით, რომელსაც თვალზე მეტად გული გრძნობს.

ქეთევანი — მადლობა მოძღვარს.

ამბროსი — მაშ, შეგიძლებით.

კირიონი — ეს წუთი ღირს მუდმივ ცხოვრებად.

ქეთევანი — ეს დღე დამყვება დაუღამებელ დღეში.

(ყველანი აპირებენ საყდარში შესვლას)

თომა ხმა — (ხის ღრუდან) შეჩერდით!

ამბროსი — ეშმაკის ხმაა ქვესკნელიდან. — ჯვარს ჩქარა დაგწერთ.

(ყველანი შედიან საყდარში. კარი იხურება)

თომა — (გამოდის ღრუდან. მიაყურებს საყდრის კარს. მოისმის მხიარულება) აწ გვიანაა.

(შემოდის ალექსანდრე ბატონიშვილი)

ალ. ბატონიშვილი — რა დაზვერე, თომა, რას მეტყვი?

თომა — ქვეყანა ჭრელია, და სამართალს ნუ ეძებ შენი ხმლის პირის იქეთ.

ალ. ბატონიშვილი — მაინც, რა ხდება?

თომა — ამბროსი ქეთევანს გვირგვინს უსკვნის ვიღაც ჯამბაზთან.

ალ. ბატონიშვილი — გვირგვინს რარიკად!

თომა — ჯვარსა სწერს, ამ პაწია საყდარში.

ალ. ბატონიშვილი — სადაა ბატონი, ერი?

თომა — ფარულად ხდება.

ალ. ბატონიშვილი — თვითონ ჭკუა დაუბნელდა?

თომა — რამდენად ბრძენია ქალი, მეტად აყვება ცდუნებას.

ალ. ბატონიშვილი — ხელს ვინ უწყობს, ვინ მაყრილობს?

თომა — ორი გლახა და ორი მდაბიო.

ალ. ბატონიშვილი — მაშ, წუთში ჩემ დამქაშ-აჯაზებს მივცემ ნიშანს და ამ საყდარს მექორწინებებით უბსკრულში გადავუძახებთ.

თომა — აჩქარებით არ დაამავო.

ალ. ბატონიშვილი — არც დაყოვნების დროა.

თომა — დიად.

ალ. ბატონიშვილი — რა ბედითად აღმიჩნდა ვიღაც წყველი. — ჯერ მეფის

გამოხსნით ტახტი გამომაცალა, აწ კი მთელ

ჩემს სიცოცხლის ნაღვას ეპატრონება და მე ქვესკნელში მაგდებს.

თომა — მერე ვინ, ცხოვრების ბუმი!

ალ. ბატონიშვილი — შენ დაინახე, როგორ შევიდენ ერთად?

თომა — კიდევ მივაყვირე და ლოდივით დადუმდნენ.

ალ. ბატონიშვილი — მანამდე ხმას იღებდნენ?..

თომა — მერე როგორ! ყელში თითქო თბილი ბუსრები ედგათ. — მათი სიტყვები უფრო მხურვალედ კოცნიდენ ერთმანეთს, ვიდრე სხვათა ბაგენი...

ალ. ბატონიშვილი — მე რად ვერ მოვიგე ქეთევანის გული! რად ვერ დავეპატრონე, ჭკუა მაკლდა, სიმხურვალე თუ თავხედობა? დაწყებული მისი მამით ვინ არ მყავს ხელში ჩაჭერილი. კეთილნიც შემორჩილებიან და აჯაზაკნიც, კუდიანები

ემშაკად მაღიღებენ, ეკლესია მღვდლებით და ეპისკოპოსებით ჩემი დამლოცველია, რად მემულება ხელი. მითხარ, ჩემო მრჩეველო, მწიგნობარო.

თომა — წიგნები უგნურებია.

ალ. ბატონიშვილი — მაშ, არც სიბრძნე ყოფილა ქვეყნად.

თომა — დიად, ცხოვრება ერთი დღეა და ვაი, რომ ეს ერთი დღეც ბნელია.

ალ. ბატონიშვილი — ჩემთვის აშკარაა, რომ უკან დასასვეი გზა არ მაქვს. შენ კი მასეთ დამცინავ პასუხს მეორედ არ გაპატიებ.

(საყდრიდან ზეიმი მოისმის)

ალ. ბატონიშვილი — მივცეთ ნიშანი ჩემს დამქაშებს.

(საყდრის კარი იღება)

თომა — ვერ მოგვისწრებენ, პატრონო.

(ცა ღრუბლით იკუბრება, ისმის ქუბილი)

ალ. ბატონიშვილი — მაშ, მე თვითონ გაავაჭრობ დაბრკოლებას.

თომა — აქ ღირსეულად ვერას შევძლებთ.

ალ. ბატონიშვილი — მე აქ ყოველ ღონეს ვრაცხ ღირსეულად. შენ კლდეს ამოვფარე. (ალექსანდრე ბატონიშვილი შედის ხის ღრუში. თომა კლდეს ეფარება.)

საყდრიდან გამოდიან ქეთევანი და კირიონი)

კ ი რ ი ო ნ ი — აწ ჩვენ შეგვიძლია საქვეყნოდ ვილოცოთ ერთმანეთისათვის და განმდგარებმაც ვვედროთ ღმერთს დაიცვას ჩვენი ოჯახის სიწმინდე.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — ჩვენ შორით ვიყავით ერთგულნი. ეს იყო უსორცო ანგელოზების სიყვარული, აწ ვკლესიის მადლით გავხდით ერთი სისხლი და ხორცი.

კ ი რ ი ო ნ ი — ვეამბორეთ ერთმანეთს — სამუდამოდ.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — მე ამ კოცნას მივიტანი სამოთხეში სამოთხედ.

კ ი რ ი ო ნ ი — აწ შევეყაროთ მეფეს.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — ის დიდებას გპირდება, შენ რას შეთხოვ?

კ ი რ ი ო ნ ი — ომში როგორც სურს მიმსახუროს... ხოლო ფუძედ, თუ დამანებებს, ამ მიუდგომელ სვამლის მღვიმეთა მახლობლად დავასახელებ ორიოდ კომლს და სამეფოს გაჭირვების ეამს ჩვენ ვიქნებით დარაჯნი ერის განძთა და სიწმინდეთა.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — მე ხელს გაძლევ.

(ქეთევანი აძლევს ხელს ხელში კირიონს. საყდრიდან შემოდის ნათელა და ორი გლახა, ხის იქედან ალექსანდრე ბატონიშვილი ელვის სისწრაფით ესვრის ხანჯალს კირიონს — მკერდში გაურჭობს და ყველასაგან შეუმჩნეველად გაქრება).

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — (დაცემა მუხლებზე ცხედართან. იღვლებს, მუხი გაგარდება) ო, მკვდარია!

1 გ ლ ა ხ ა — მუხი დაცვა?

ნ ა თ ე ლ ა — უსამართლობა.

2 გ ლ ა ხ ა — წუთის წინ რარიგ ნეტარებდა საყდარში.

ნ ა თ ე ლ ა — ო, ცაო, შენ სიბლავ ადამიანებს სინათლით, ღიმილით და ასეთ სასტიკ ბედს უწერ იმედით გასსნილ შუბლზე.

1 გ ლ ა ხ ა — ნუ-თუ დამბადებელი ღმერთია და ბედის დამწერი მაცდურია.

გ ლ ა ხ ე ბ ი — მივმართოთ მოძღვარს!

(გლახები თავზარდაცემულნი შედიან საყდარში).

ნ ა თ ე ლ ა — (შეამჩნევს ჭრილობას) ო, სისხლი! (კირიონზე) გული აქვს გაპოზი-

ლი. ო, ისაა, ისაა მკვლელი! შენც სისხლი ხარ, ქეთევან! შენც დაიჭერ...

(ნათელა შემფოთებული ღმირბის) ქ ე თ ე ვ ა ნ ი — (გალერსება მიცვალებულს) ჩვენ საქორწინო ამბორი ასე გადავიციცხე... მაგრამ შენს სიკვდილს მე განვიციცი — შენ არც გაიგებ... (ამოაძრობს ცხედარს მკერდიდან ხანჯალს და ზედ დახედავს) ო, ვცნობ ამ ხანჯლის ტარს! შენი სისხლი იწვევება ხანჯლიდან. ამ სიწმინდეს მიწას არ შევასმევ — ჩავიწვევებ გულში და სულში. (ჩაიცემს ხანჯალს მკერდში, ჩაიტოვებს და ორივე ხელს მოხვევს ნეშტს). შემაგედრე ღმერთს... ამ ქვეყნის დაგმობით... შენთან შეერთებისათვის... (საყდრიდან გაისმის გოდება, ზარს რეკავენ ციხე-დარბაზიდან ნათელას ზარი ისმის. მოეშურებიან თ. გიორგი, საბა, ანა, და მთელი ამაღა. მათ მოყვება ეჭვიან სახით ალექსანდრე ბატონიშვილი. დახედვენ ცხედრებს და უცბათ გოდება აღმოხდებათ).

ანა — (უყურებს ქეთევანის ცხედარს, გიორგის) შენი სოფლის სინათლე!

გ ი ო რ გ ი — (ამოაძრობს ქეთევანს მკერდიდან ხანჯალს. ტკივილით) მმ...

ს ა ბ ა — ჩანს ის უცნობიც ამ ხანჯლითაა გაპოზილი. სხვა იარაღი აქ არაა.

ს მ ა — ჯერ ის მოუკლავს სულის მტერს და შემდეგ ქეთევანი.

თ. გ ი ო რ გ ი — (დახედავს ხანჯალს, დრტივით) ეს ხანჯალი ბატონიშვილისაა! (ახედავს ბატონიშვილს თავით ფეხებამდე) ო, ქარქაში წელზე ცარიელი გაქვს. გამართლდა ქეთევანის ეჭვი... შენ ხარ მკვლელი ჯერ მის უბადლო საქმროთა, აწ თვითონ მისი!.. (ჩასცემს ხანჯალს მკერდში) შენ მახვილს შენივე გულში გიბრუნებ.

(ყველანი შემფოთდებიან. შემოდის მეფე ბაგრატ მსლებლებით).

ბ ა გ რ ა ტ მ ე ფ ე — აქ... რა მოხდა... (გაქვავდება).

(შემოდინ გლოვით ამბროსი, ფოკა და გლახები).

ა ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ტყუილად მომკალი... მე არ გამიწირავს. ქეთევანი...

თ. გ ი ო რ გ ი — სიკრუთ კვდები, ვით ბოროტი.

ა ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ვისგან ვისპობი!..

თ. გ ი ო რ გ ი — მუდამ ავსულად მიტრიალებდი.

(შემოდის ნათელა)

ა ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მე დაეარტვე ხანჯალი იმ უცნობს, რა ვცანი მის კუროდ. ფოკა — მაშ, ხომ გატყდი, — მკვლელი ხარ.

ა ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ქეთევანის ცოდვას ნუ მადებთ.

ნ ა თ ე ლ ა — ცრუობ, შენ საკუთარი ხელით მოჰკალ ჯერ მისი პირველი საქმარო... შემდეგ მეორე, — უბადლო მემკვიდრე.

ბ ა გ რ ა ტ მ ე ფ ე — ო, ეს სიტყვა მოდის ჯოჯობეთიდან.

ნ ა თ ე ლ ა — აქ არიან მოწმენი, ღვთის წმინდა გლახები.

გ ლ ა ხ ე ბ ი — ჭეშმარიტად.

ნ ა თ ე ლ ა — ეს სპეტაკი იყო. (ტირილით ესვება ქეთევანს. უცბად) მგონი, ცოცხალია.

თ. გ ი ო რ გ ი — (იჩოქებს ქეთევანთან) არა... ღრმად ჩაესო დაშნა...

ნ ა თ ე ლ ა — სუნთქავს.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — ბატონო...

თ. გ ი ო რ გ ი — ჰოი, სინათლეც, რა ბოროტად გაგიმეტა წყევულმა.

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — არა, მე — თვითონ...

თ. გ ი ო რ გ ი — რისთვის?

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — მან, უგულომ, ახლა მოკლა ის ვაჟი... ჰ...

თ. გ ი ო რ გ ი — მერე?

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — მიყვარდა ის... და მისთვის მოვიკალ თავი.

თ. გ ი ო რ გ ი — ის? (აკვირდება ცხედარს) ის ვინ არის?

ბ ა გ რ ა ტ მ ე ფ ე — ო, ეს უბადლო იყო, ვით ჩემი ძმა. ორივეს სული ზეცას სინათლეს შემატებენ. (ძრწის).

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — ის მარინეს ვაჟია...

თ. გ ი ო რ გ ი — მარინეს?

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — ერთი თხოვნა...

თ. გ ი ო რ გ ი — მითხარი, ჩემო საცოდავო!

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — ერთად დაგვმარხეთ მარინესთან... ერთ... (კვდება)

ნ ა თ ე ლ ა — ქეთევან! ოო... ოო...

ა მ ბ რ ო ს ი — აღსრულდა.

ს ა ბ ა — ეს იყო ერთად-ერთი მუქი გიორგის.

ა ნ ა — ჩაქრა შენთვის ამქვეყნიური სინათლე. ო, რა წმინდა, რა მშვენიერი მუქი... რად მოვესწარ მე ამ შავ დღეს, მისი გამზრდელი.

თ. გ ი ო რ გ ი — არა მარტო სააქაო, ზეცაც დახურულია ჩემთვის... ეს უბედურება, ვხედავ, ზენა მსაჯულმა დამატეხა. ანა, ქეთევანის ანგელოზად გამზრდელი, შენ იცი ყველაფერი.

ა ნ ა — ცოდვა ადულდა.

თ. გ ი ო რ გ ი — გაუმხილე ქვეყანას, ნუ დამფარავ, შეაგონე ყველას, რომ ჩვენს სულში ყოველ დანაშაულთან ერთად იბადება სასჯელიც.

ა ნ ა — ბატონო...

თ. გ ი ო რ გ ი — ვგრძნობ, მარინეს სული ტრიალებს აქ, ჰაერში... მე ის ერთ დროს შევიყვარე და ვუმუხთლე. — გაცოფებით გაეწირე... და სულმა მისმა ეს მომაგო. სხვათა შურისძიება ისახება ბოროტებაში, მან სიყვარული ააგზო ჩვენ შვილებს შორის, მაგრამ ამ ქვეყნად მათი სიყვარულისთვის უბედურების გარდა სხვა გზა არ იყო. ბ ა გ რ ა ტ მ ე ფ ე — დღეს მოამბემ მახარა, რომ სწეულ სულთანის ძეებმა მოკლეს სერვეტი, რათა ტახტი არ დაეყრო. ამით ჩემს სულმოკლე ქვეშევრდომებს ენატკბილი, ქლესია მაცდური მოაკლდებათ.

ა მ ბ რ ო ს ი — არ დარჩა მარინესგან არც კეთილი თესლი, არც ღვარძლი.

ს ა ბ ა — (ა ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ს დასცქერის). ბატონიშვილი გათავდა!

ხ მ ა — ბოროტებაში დაილია.

ს ა ბ ა — მას არაფერ დაიტირებს. მეფეც არ მოიკითხავს, ვით მემკვიდრის მკვლელს. ბ ა გ რ ა ტ მ ე ფ ე — ცხედარნი საყდარში დაასვენეთ.

(გლოვის რეკავა. ისმის ძრწოლა და გოდება. შემოდის ხალხი).

თ. გ ი ო რ გ ი — ჩემს ასულს და მარინეს ვაჟს დავასაფლავებთ, როგორც მითხვა ქეთევანმა. ჩემ მთელ ქონებას დაგურიგებ გლახაკებს და შვიიკვეციბი უფლის სახლში.

ბ ა გ რ ა ტ მ ე ფ ე — არა, სარდალო, მე ისეთ ჟამს მარტუნა ღმერთმა მეფობა, როცა ური თავის ფეხებს თვითონ ითხრის. მე მხოლოდ ლანდათ მოგვარ თვალი ახალ გმირს და აწ უსულოდ ძვეს... ისევ შენა ხარ ქვეყნის ფარი და მონაზუნად ვერ გაგიშვებ. ჩვენ გვმართებს წართმეული მიწა-წყალი კვლავ მოვიხელთოთ არა მარტო გახრწნილთა მოსათურგნად, არამედ ურის

სათაყვანო დიდ სიწმინდეთა დასაბრუნებლად, რათა ისევ ტეშმარტების მოყვარე ხალხი აღიზარდოს. ჩვენ, სამშობლოს ერთგულებს, გვწამს გამარჯვება, რადგან თვითონ სიყვარული არის იმედი.

თ. ბ ი ო რ გ ი — ღვთით ჩაგონებულ ტაბუკს, როგორც ყოველ მოხუცზე ხნიერს — გემორჩილები.

ფ ა რ დ ა

1967 წ.

თებერვალი

ახლიარე კიპლინი

ღმისი ნაწუბა მონალიჩა სომაღმეზუ

შორს, იაპონურ მიწაზე, სადაც  
ჭალადის ფარნებით შემოდის ღამე,  
დგას სომალდები, და კომანდები  
ბლედ-სტრიტის ბარში დილამდე  
სვამენ,  
მწუხრისას, როცა მოჭკრის ზღვაური,  
და პორტის ჭვარტლი თან მოაჭვს  
ზღვაურს,

იოკოჰამის დაცხრება ყურე, —  
ზღვა მიიჭყევა და შეწყვეტს ხმაურს,  
მამინ პურს სჭამენ კისკოს ტრაქტირში,  
უჭახუნებენ სასმურებს მაგრად,  
და, მერამდენედ, ფარულ კლდეებთან  
ფარულ ბრძოლისას ჰყვებიან ახლად:  
თუ „ნორშენლაიტს“ „ბალტიკმა“

ზურგი  
როგორ უჩვენა და ნისლში გაქკრა,  
ხოლო „სტრალზუნდმა“ გამართა  
ბრძოლა

და ერთმა  
ორთავეს დაქკრა...

ბეჭედდასმული ტყვიით და  
ხელმოწერილი მახვილით,  
ამას ღაღადებს კანონი,  
გვამცნობს მოსკოვის სახელით:  
„კუნძულებს კომანდორისას  
არ გაეკაროს ახლოს,  
არ გაბედოს და, წავს  
ხელი არავინ ახლოს!..“  
იქ, სად მჭრეებს შორის  
ზღვა დულს და ტალღა ღელავს,  
იქ, სად წავსა და ცისფრს  
ანაშენებენ მელას,  
იქ, სადაც შტორში გრგვინვით  
კლდოვან ნაპირებს უტევს,

მაკეობს ძუკნა წაგების  
ჯოგი და ელის კნუტებს.  
ყოველ გაზაფხულს, როდესაც  
ძუკნები კნუტებს ყრიან,  
ზღვიდან ამოვლენ ხვადები,  
ჯოგად შექნიან ღრიალს;  
ითარემებენ ავხორენი,  
ძუკნებით დაძლებიან,  
მერე, როგორც კი სექტემბრის  
შტორმები დაცხრებიან,  
მიატოვებენ ნაპირებს,  
წყალში გაქკრავენ მხარულს.  
ისევ ზღვას მიაშურებენ —  
ცისფერ ბილიკებს ფარულს.  
და ობლად რჩება ჭვიშები,  
ბუდე მილიონ ფრინველის,  
და ჩრდილოეთის ნათება  
ღამეში იწყებს ლივლივს.  
და ღმერთი, ერთი, რომელიც  
სჭვრეტს უხილავს და ხილულს,  
აუშვეებს აისბერგებს  
და ზღვისკენ დასძრავს ყინულს;  
ესმის, თუ როგორ წკავწკავეებს,  
როგორ ტირის და წკმუის  
პაწია მელაკუდა,  
და ჭირიც თოვლში ზუის.  
მაგრამ ფული აქვთ ჩვენს ცოლებს,  
თან ბეწვეული უყვართ,  
და პა, გემები აკრძალულ  
ზღვებში დაძრწიან უხვად.  
იაპონელი ბრიტანელს  
გასჯობრებია ერთში:  
ორთავ ერთად და ცალ-ცალკე  
დათეს ჩაპფურენია ფერდში.  
მრავლად არიან ქურდები,  
მაგრამ, ხმელი და გრძელი,



ბუკსა ვერათ, შემოვაბრუნოთ,  
 „შტრალზუნდს“ ოინი ვუყოთ;  
 ისევ ჩავებათ თამაშში,  
 რუსებს შევეკრათ ამქრად,  
 ისევ დაგბრუნდეთ ყურეში  
 და ერთს ორთავემ დავეკრათ!...“  
 და პა, სირენით, საყვირით,  
 ბრაკონიერთა ბანდის  
 უცხო ჭარგონზე ძახილით  
 ხმა მიაწვდინეს „ბალტიკს“.  
 ხმა მიაწვდინეს საჩქაროდ  
 საყვირით, ბუკის ცემით,  
 და გამოიხმეს ნისლიდან  
 იგი — პირქუში გემი...  
 ბრმად, ალაღბედზე ვიდოდნენ,  
 გზას მიიკვლევდნენ წყვილად,  
 „ბალტიკი“, „ნორზენლაიტი“  
 ყურეს მიადგნენ ფრთხილად  
 და როცა ყური მოჰკრეს  
 „შტრალზუნდის“ ხალხის წრიალს,  
 ღუზის ჯაჭვების ჩხარაჩხურს,  
 გემის რწვევას და ჭრიალს,  
 კანჯოებს შორის ჩასანგდნენ,  
 თოფებს წაემხნენ თავქვე,  
 და „შტრალზუნდს“ შორით გასძახეს:  
 „ყურისძირში ვართ, აქვე!  
 რაო, ჩვენ ჩვენი ავიღოთ,  
 ძმურად წავიღოთ ტოლად,  
 რუბენ პენ, ტყავი გავიყოთ,  
 თუ ამჯობინებ ბრძოლას?!“  
 დანა გაიმძრო რუბენმა,  
 ტყავის სახდელი დანა,  
 ძალთაბირული ხითხითით  
 ჩაიხითხითა თანაც:  
 „მოდის, სისხლის წილ სისხლი!  
 მოდის, ტყავის წილ ტყავი!  
 მოდის, ჯახიც და ჯუხიც,  
 მოდის, დადებაც თავის!  
 მაგრამ მე ექვსიათასი  
 ტყავის გადათვლას მოვრჩი  
 და რა ხანია მელიან  
 უკვე იედოს პორტში.  
 ხოლო რაკილა ორმოცდა —  
 მეთუ განედს აქეთ  
 კანონი არ ჭრის, მე გირჩევთ,  
 გასწით, ხეირი ნახეთ;  
 მშვიდობით გასწით, გემები  
 განით ორმაგად ტვირთეთ,

მე კი თქვენს წავებს დავეხოცავ,  
 რამდენიც მინდა, იმდენს!  
 პასუხად თოფის ჩახმაცხვე  
 რეჩით გაისმა, მაგრამ  
 ჩამოიარა ნისლმა  
 და ვველაფერი გაქრა...  
 ჩამოიარა ნისლმა,  
 გამოიზღაუნა ზანტად,  
 კაცთა მტრობას და რისხვას  
 გადააფარა კალთა...  
 და ფაფასავით ნისლში  
 ფუთქდნენ ლულები მკრთალად  
 და გემბანიდან გემბანს  
 თოფები უყფფდა მწყრალად.  
 ტყვია ხედებოდა ანძებს,  
 ხტოდა ნაფოტი ცაში  
 (ვის უხმარია საფანტი,  
 ვინც წავეუ დადის ზღვაში!)  
 თოფის სროლისგან კვამლია, —  
 გემბანზე ლურჯად წვება,  
 ორი „შტრალზუნდზე“ წაიქცა,  
 სამი „ბალტიკზე“ კვდებოდა...  
 ბურუსში კაცი არ ჩანდა,  
 რამ ჩააღამა ასე!  
 მაგრამ გემანით ესროდნენ  
 კენესის, ყვირილის ხმაზე.  
 ერთი სწყველიდა გამჩენს,  
 სხვა ღმერთს შესთხოვდა შველას.  
 მაგრამ ერთსა და მეორეს  
 ტყვია შველოდა ვველას.  
 ხოლო დროდადრო, როდესაც  
 ცხრებოდა ტყვიის თქემი,  
 ძლივს გასაგონად ისმოდა  
 საჭის ჭრიალი ბნელში.  
 ტალღა არწვედა გემბანს  
 და, რომ მდგარიყვნენ სანდოდ,  
 გაბაჯულიყვნენ კაცები,  
 ფეხი გაედგათ ფართოდ.  
 და როცა სუნთქვაშეკრულებს  
 თვალეში რისხვა ენთოთ,  
 კონდახზე ედოთ ბეჭი და  
 სასხლეტზე თითი ედოთ,  
 ნისლში გაისმა ხრიალი  
 უცხად „შტრალზუნდის“ მხრიდან,  
 ეს რუბენ პენი კვდებოდა,  
 რუბენ პენს ტყვია სჭირდა.  
 ეს რუბენ პენი კენესოდა  
 სიცოცხლის წუთებს დათვლილს,



ეს მისი მოთქმა ესმოდა  
 „ნორჟენლაიტს“ და „ბალტიკს“:  
 „მიიქცევ-მოიქცევიან,  
 არ დაცხრებიან ზღვები,  
 მე ზღვებს აწ ვედარ ვიხილავ,  
 ზღვებს იხილავენ სხვები.  
 ვედარ ვიხილავ ტრალერებს  
 ბას-როკის ახლოს ჩავლილთ,  
 ვედარ ვიხილავ შის ნათელს,  
 მივალ, მიმყვება ჯავრი,  
 ქარიშხლის ფრთებზე მიმქროლავს  
 ვედარ ვიხილავ ხომალდს,  
 ვედარ ვიხილავ დამემი  
 მისი სინათლის კრთომას...  
 მიიქცევ-მოიქცევიან,  
 არ დაცხრებიან ზღვები,  
 ავაჰმე, ტიალ ბრძოლაში  
 და ტრიალ ზღვაში გვედები.  
 მაგრამ თუ სამართალია  
 სადმე ღვთისა და კაცის,  
 ტომ პოლ, შენ ჩამოგადრჩობენ,  
 ჩამოგკიდებენ აწი!“  
 გემბანზე იდგა ტომ პოლი,  
 „სრმასავ! — გასძახა მკვახედ, —  
 აკი კანონი ორმოცდა-  
 მეთათე განედს აქეთ,  
 თვითონ ამზობდი, არ სჭრისო,  
 კაცურად მოკედე გიჯობს,  
 მე კი შენს ქერივებს მოვუვლი,  
 თუ მოვახელე, ბიჭო!“ —  
 ასე გასძახა რუბენ პენს.  
 ნისლში გასძახა ჯემბანს.  
 უცებ „შტრალზუნდის“ მხრიდან  
 თოფის გაისმა ყეფა;  
 ეს თოფი იყო ფინელის,  
 დაჭრილ რუბს გვერდში ედგა,  
 ხმაზე ესროლა ფინელმა,  
 ტომ პოლს მუცელში ხეთქა.  
 და წამოიქცა ტომ პოლი,  
 სტაცა მოაჯირს ხელი,  
 და ჰა: „რუბენ პენ... — ხროტინით  
 აუღ-ჩაუდის ყელი, —  
 რუბ, მომიცადე ცოტა ხანს,  
 რუბ, მეც მოვდივარ შენთან,  
 ორთავეს გვიხმობს ეშმაკი,  
 ეშმაკს მივყავართ ერთად.

მიიქცევიან ზვირთები,  
 ცხრება ბისკაის უბე,  
 სხვა სანადირო მინდერები  
 აწ მიგველიან, რუბენ.  
 ღვთის სამსჯავროზე წარმდგარან  
 როგორც ცინდლები წავის,  
 ჩვენც განსაკითხათ წარუსდგებით,  
 ჩვენც დღე მოგველის შავი.  
 პეი, დააწყვეთ თოფები,  
 სროლა შეწყვიტეთ ჩქარა!  
 ჩვენ-ჩვენი უკვე მოვკამეთ,  
 გვაცადეთ, მოგვედეთ წყნარად!  
 მანდ ვინ არ ცხრება კინოზე?!  
 „ბალტიკის“ ხალხო, კმარა!  
 ჯერ ჩვენ გაგვიშვით, იქ მოხვალთ  
 თქვენც ჯოჯოხეთის კარად!“  
 არსით ხმა, არსით პასუხი,  
 ტყვია არსაით ყეფდა,  
 ოღონდ გაფისულ გემბანზე  
 წითელი სისხლი ჩქეფდა.  
 ქარი არყვედა კანჯოებს,  
 ერთურთს ახლიდა ფერდით,  
 მაგრამ ხმას არვინ იღებდა,  
 ციე სიკვდილს გრძნობდა გვერდით.  
 მერე გაისმა ხრიალი  
 ნისლში „შტრალზუნდის“ მხრიდან,  
 ეს რუბენ პენი კედებოდა,  
 რუბენ პენს ტყვია სჭირდა:  
 „ნუთუ ოცდაათ წელიწადს  
 მისთვის ვეხეტე ზღვაზე,  
 ბრმა ტყვიას გადავწყდომოდი  
 და მოვმკვდარიყავ ასე!  
 კრულ იყოს ჩემი ხელობა,  
 ჩემი ხერხი და ფანდი,  
 სიკვდილს იქ შეეხვდი, სადაც პურს  
 ვმოულობდი და ვჭამდი.  
 დასწყველოს ღმერთმა ეს ნისლი,  
 რა შემართება ნეტავ,  
 თვალთ მიბნულდება, ბიჭებო,  
 ირგვლივ ვერაფერს ვხედავ.  
 ნუთუ არც ერთი არ დაჰპერს, —  
 ქვეყნად ცხრა ვიცი ქარი, —  
 ცის დამანახოს სილურჯე,  
 ზღვა დამანახოს წყნარი!“  
 კეთილმა ნისლმა ისმინა,  
 საჩქაროდ იწყო ცრეცა,

ნაცრისფრად დაწინდა ნაპირი,  
 შვე — წითლად, ლურჯად — ზეცა,  
 წავეები — შევად, ქვიშაზე  
 ეწყვნენ ერთურთის გვერდით,  
 სამივე გვიპაეს ზეციდან  
 დაადგა ოჭროს სვეტი,  
 სამივე გემბანზე სისხლი ჩქეფს,  
 წითელი ტბორი ბოლავს,  
 სამივე გემბანზე გვაგებთან  
 ბრჭყვიალა მასრა გორავს,  
 და გვიპაეი სამივე  
 სდუმს და არაფერს ამბობს,  
 დგას და წარბშეკვრით გასცქერის  
 თავისი ბრძოლის ნაყოფს...  
 დაქპროლა ქარმა, აფრები  
 დაბურა, მაგრამ რადგან  
 დრეიდზე იყვნენ გემები,  
 საჭესთან არვინ დადგა.  
 დაიხრიალა რუბენმა,  
 სული ღმერთს მისცა მადლა,  
 „მოკვდა? — იკითხა ტომ ჰოლმა, —  
 ჩემი ჯერია ახლა...“  
 და სამინელი ნადველი  
 ჩაუდგა ტომ ჰოლს თვალში,  
 ხელი იტაცა ჭრილობას,  
 ბზარი გაუჩნდა ხმაში:  
 „ვაჰმე, ქარს დასავლეთისას  
 მხოლოდ სიავე მოაქვს!  
 შაბაში იჩქარეთ, ძმებო,  
 აქედან წასვლის დროა!  
 წითელი გახლავთ, ბიჭებო,  
 გემბანი მეტისმეტად —  
 შორეცხეთ! გაინაწილეთ  
 ტყავი, და გახწით ერთად!  
 „ბალტიკო“, „ნორვენლანტიკო“  
 და შენც „შტრალზუნდო“, თავად,  
 პატიოსნად და თანაბრად  
 ტყავი გაქყავით სამად!  
 გზად მწვანე კონცხთან შედგებით,  
 წინ გზები გიდევთ მკაცრი,  
 მაგრამ ვერასდროს შეხედებით,  
 ტომ ჰოლს ვერ ნახავთ აწი!  
 ცოდვილი იყო ხმელეთზე,  
 სცოდავდა ტომი ზღვაზეც,  
 დაღლილია და ახლა  
 ძილი სწყურია ძალზე.

ალარ ეთრევა აწ ზღვებზე,  
 ჯაფა გარდაბდა დიდი,  
 სხვა სანადირო მინდვრისკენ  
 ახლა ტომ ჰოლი მიდის.  
 თქვენ სამხრეთისკენ გასცურავთ,  
 თქვენ დასავლეთით გასწევთ,  
 ახალი ნაპირებისკენ,  
 რომელთაც ნისლი აწევთ.  
 გზად იაპონელ გოგონებს  
 უამბეთ, როგორც მოხდა,  
 ტომ ჰოლს სანთლები დამინთონ,  
 უთხარით: ტომი მოკვდა.  
 მაგრამ ზღვის ტალღებს არ მიმცეთ,  
 მეჩქრეზე წამასვენეთ,  
 იქ ბერინგივით მოგვედები,  
 ბერინგი გამახსენეთ.  
 და რუბენ პენის მხარდამხარ,  
 ვაჟაკის გვერდით დამდეთ,  
 სამასლაათო ბევრი გვაქვს  
 ამდენი ცოდვის ჩამდენთ...“  
 და სამხრეთისკენ დაიძრნენ ფრთხილად,  
 და უზრუნველად ზღვის სიღრმეს  
 ლოტი,  
 როგორც ბერინგი ვიდოდა ერთ დროს,  
 ბრაკონიერთა ვიდოდა ფლოტი.  
 ცა იყო ბნელი, ზღვა იყო ვრცელი,  
 პირმოღუშული ნისლით და რისხვით,  
 შერიგებული ვიდოდა ფლოტი,  
 გზას მიიკვლევდა სიცოცხლის რისკით.  
 ხოლო დროდადრო ვარსკვლავთა რუკა  
 თუ ინთებოდა მარჩბივის ეტლით,  
 ორი ვარსკვლავი, ტყუპი ვარსკვლავი,  
 ერთო, ბრწყინავდა ერთურთის  
 გვერდით.  
 (ეს წერტილები მეზღვაურს ზუსტად  
 გზას უნათებენ აპრილის თვეში,  
 თვეში, როდესაც ხვადი წავეები  
 თვისი ძუკნების იწვიან ეშხით).  
 ნისლში ყინულის ისმენდნენ ჭრიალს,  
 აისბერგების მსხვრევას და ტყაცუნს,  
 ყურს მიუგდებდნენ შტორმების გრიალს,  
 წავეების ღრიალს, ვეშაპთა ტლამუნს.  
 წმიდა გიორგის და წმიდა პავლეს  
 კუნძულებს შორის ქარბუქი ბორგავს,  
 წინ ის ქარბუქი ელოდა მგზავრებს

(იქ უწოდებენ იმ ქარბუქს „პურგას“).

და რადგან წავზე მონადირენი

რისკს ეწევიან იმ ზღვებში ოდით,

ესალმებოდა ჩვენს ბრაკონიერებს

გზად შესვედრილი ფლოტი...

და სხედან ახლაც ბლედ-სტრიტის

ბარში,

უკაბუნებენ სასმურებს მაგრად

და, მერამდენედ, ფარულ კლდეებთან

ფარულ ბრძოლისას ქვევებიან ახლად:

თუ „ნორჟენლაიტს“ „მალტიემა“

ზურგი

როგორ უჩვენა და ნისლში გაქრა,

ხოლო „შტრალზუნდმა“ გამართა

ბრძოლა,

და ერთმა

ორთავეს დაჰკრა.

თარგმნა მურომან ლეხანიძემ





# თსოვრება გრიგოლ მრგვალიანისა

მხატვრულ-ისტორიული ნარკვევი

„მადრიხაი საი დლით“

1859 წლის იანვარში გენერალი ვედლიკოვი იერონიმო მილის შამილის რეზიდენციაზე — ვედენოზე, და იღებს ტაუზენის შიას. თბილისში კი მთავარმართებლის ძმა ჩამოიღეს.

მარტის დასაწყისში ვედლიკოვმა წინ წაიწია, ვედენოს შემოგარენი დაიკავა და გამაგრებას შეუდგა, რათა დაღისტანის ლომზე უკანასკნელი იერიში მიეტანა.

გრიგოლს თავი ისევ დაღისტანში ჰქონია: მიეშველეთ, მიდიო, მილაღწეო ყოველივე, რაც წინააღმდეგო, ახლა ჩვენი დროა და ნუ აყოვნებთ! ჩვენები შამილს ჩამოეცალენ, ხალხი მოამინებიდან გამოსულა, დაღისტანშიც ურუ არეულობაა. რაღას უყურებთ, რად გინდათ აუბო, არასტაუზე მიდიო, იქ მოწოდება წელი შამილს! — ურჩევს ნაცადი ხარდალი ყოფილ თანამოღამურეებს.

ქარები სწრაფი ტემპით მიიწევენ წინ. ვედლიკოვისა და ვრანგელის ქარები ანდიაში შეერთდებიან. გრიგოლის აზრით, ამოღენა ქარების თავმოყრა ერთ ადგილას არ იყო საჭირო. ორსავე მხრიდან უნდა მისწროლდნენ ხარდალები და ერთი დაკერით დაეცათ ვეშაბი...

გრიგოლის ვარაუდი მართლდება. 1859 წლის 1 აპრილს ვედლიკოვი იღებს ვედენოს. შამილის უკანასკნელი, ძლიერი რეზიდენცია ეცემა. იმაში დაღისტანში ვარაუდს და ლენიბის შიას აფარებს თავს. კავკასიის ხანგრძლივი ეპოქა დასასრულს უახლოვდება.

იმ დღეს თბილისი ზეიმობდა. ზურნა-ნადარიათა და ბაიარლებით ვახლა ხალხი მთავარმართებელს. შეტებითან ქვეშევთა გრიალი გაისმა. გორგასალის ქალაქი შეირყა. ჩასვენა შუე იმამისა, რომელიც თბილისის აღებით ექადებოდა.

აფშერონის სახელგანთი პოლიკი, 1700 წლის ივნისში რომ შექმნა პეტრე დიდმა, მრავალი გმირული ბრძოლის შემდეგ, 1819 წელს კავკასიაში ჩამოვიდა და შიველებთან ომში ჩავა, რაც სრული 45 წელი გავრძელდა. „მამაცი აფშერონელების“ სახელი ქუხდა დაღისტანს შივეში. იერიშზე პირველნი გადადიოდნენ. უკან დახევის დროს არიერგარდში ინიშნებოდნენ. მათ ურგით მამე პატრი დუ-

ნიში გამაგრებული შამილის დატყვევებისა, ზურგიდან დაკეზისა. თოკებით აცოდნენ კლდეზე და „კაშის“ ძახილით გადავიდნენ იფრისზე. ლენიბი დაეცა. ეს მოხდა 1859 წლის 25 აგვისტოს.

ეს ბარიატინსკის მთავარსარდალობის დროს მოხდა.

კარატიდან გაქცეული შამილი ლენიბისაკენ გაემურა, იმედი ჰქონდა, რომ ამ მოუვალ მთაზე რუსებში ვერას აევენდნენ. მაგრამ კარატი მიხოვის იგივე გახდა, რაც ვატერლოო ნაპოლეონისათვის. გზაზევე მიატოვა ჯარის დიდმა ნაწილმა, თვით ერთგული ნაიბები ზედიზედ აქცედნენ ზურგს, და უერთგულები ყიბიტ მამადი, თავისი ხალხით, რუსების მხარეზე გადავიდა. ჭოხი დაეცა, ტილიტლი, ირიბი და სხვა აულები ჩამოეცალნენ, და თვითონ შამილს ლენიბისაკენ მიშავალ მისხანე იმამს, გზაზე მისივე ქვეშევრდომი კუიადლები გადაუდგინ. გამარცხე წინამძღოლი. შამილი „შხად იყო პირისაგან მიწისა აღეგავა კუიადი“, მაგრამ აღარაფრის გაკეთება არ შეეძლო! დაღისტანის ლომის დღეები დათვლილ იყო.

ლენიბში ჩასულ შამილს ქვეშევთა ჭუხილით შეხვედა მხოლოდ 400 ერთგული მოღამურე. შვალი მამომედ-შედი და გუმბეტელები.

ლენიბ-დაღის მწვერვალზე შემწყვედული ლომის შეპყრობაში აღარ მონაწილეობს ორბელიანი, მაგრამ თოვლს გადაშწყვეტ ბრძოლებს ხელმძღვანელობდა მისი შვეგობარი, ლეკის რაშმის უფროსი, გენერალ-მაიორი მელიტიშვილი, რომელმაც ბარიატინსკის მხურველ მადლობა დაიმსახურა.

შამილი ვიუტობას განაგრძობდა. ბარიატინსკის ულტიმატუმს, დაეცებდიო, იმამმა უპასუხა: „ჩვენ არ ვიხოვთ თქვენგან ზაფს და არასოდეს არ შევირიდებთ... მხალი გაღესილია და ხელი გამაშადებული“.

მაინ მთავარსარდალმა ქარები გადააჯვავა, დუნობს ალვა შემოარტვა და ქედუბრელი იმამის ერთ მუკა მამაცებს შეუტია. აფშერონელები, გენერალ-მაიორ თარხან-მოურავის ქარები, გრიგოლის გამოწერ-

1 Сем. Эсадзе, Штурм Гуниба и пленение Шамшиля, Тиф., 1909, 193.

2 იქვე, 196.

თბილისი, გულად ქართველ გრენადერთა პოლიე პოდ-პორუიე მიტელადის წინამძღოლობით, კვინიტატე, გაბაიე და სხვანი ყოველის მხრიდან უტევდნენ დანეულ ნაიბებს, რომელთაც შამილთან ერთად აულ დენიბს შეუფარეს თავი.

გადამწყვეტი წამს ასი ფანატკოსი მიურადი ხან-ჯღებით ცვეთა შირვანელ ხიშტოსნებს და ერთიკ არ გადარჩენილა. გენერალმა კესლერმა შამილის ცოცხლად შეპარობა ბრძანა. ბრძოლის ველზე მივიდნენ ჰარიატინსკი და ვრანგელი. მოაგანარდალმა ცეცხლი შეაჩერა და ისევ შესთავაზა შამილს დანაშევა — უახრო ხიცვა-ელტის მსვერპლად ნუ გახდი ქალმსა და ბავშვებსო.

სამიწელმა, გაუთავებულმა ბრძალმა შამილის სულში გადაინაცვლა. არ შეეძლო, ფიზიკურად არ შეეძლო თავის ამაყ მბრძანებელს, რომ დახვარა ზვადიო თავი და დამარცხებულად ეცნო თავი. მთელი დღე აჭიანურებდა მოლაპარაკებას, მთელი დღე იბრძოდა მის გულსა და გონებაში ორი აზრი: დანებება და სირცხვილი, თუ სიკვდილი და სამოთხე? პასუხს ითხოვდა შექმნილი ვითარების მთელი სისასტიკე, ხიშტის ვლყარობა, ქვეშევსა და ხახებია, მავდრეული ქალების ცრემლი... ამოდ ეძებდა მიურიდების სახეზე თანგრძობას. ყველა დუმდა. იმამი მარტო იყო.

ამაღლეებლად აღწერს ისტორიკოსი პოდპოლკოვნიეკი მისონ ესაბე გადაწყვეტი წუთებს, როცა „დიდი მოვლენის მოლოდინში აულის ვარშემო ყოველდღე მივუდნა... ბრძოლაში გამოწრთობილი ათასობით ბული ელოდა გაუთავებელი დრამის გახსნას. მრავალრიცხოვანი ბრწყინვალე ამალით გარემოცული თავადი ბარიატინსკი დიდ ქვაზე იჯდა არწილში და მოულოდნელად ელოდა იმამს. შამილი კი, სულელი დაქვრივებული ერთი შეუპო მიურიდებისა და მოტირალი ქალების თანხლებით, თითქმის ემაფოტზე ასანდელად ეწვადებოდა. სიყვარულით შესცქეროდა თავის მშობლიურ მიუბს... და ემინიდა, რომ ვიქვამათოვანს უკანასკნელი „მაპატიე“, ერთხელ კიდევ ამადად გასწორდა წელში, გულის ზაგა-ბუვისაგან სულშეკლებულმა ხელი სმალზე დაიადო და თქვა: „არა, ჯობს მოვკვდე, ვიდრე თავი სასაცილოდ ჩავუვადო რუბებს“. მაგრამ ეს იყო მხოლოდ მომავლადვის ავრინა... სხვა გამოსავალი არ იყო, და შამილმა კარების უკან დაწვა ითხოვა. მის ისევ იერით დადგურჩნენ. შამინ ითხოვა მამადიანებზე შამინ დასწვიო, რომ არ დაინახონო.

...დაიწყო კავკასიის ომების ეპილოგი. ათი ათასი ხიშტოსანი გამოსადებული იდგა ცეცხლის ან მწვიდობის მოლოდინში. გამონდა ტყუდან მომავალი ლამაზი ვაგაკი, ფერმკრთალი და წვეროსანი. თავზე დადებული დიდი, თეთრი დღობანდი დიდებულ იერს აწვდიდა, თვალეები კი, გუშინ რომ ჯერ კიდევ ელვას აფრქვევდნენ, ახლა მხოლოდ უძილი კაცის დაქანცულობას გამოხატავდნენ. „ნუთუ ის არის?“ — უკვირდა ყველას.

ათი ათასმა კაცმა იქნა ერთად. „ვაშა“ იმამი

შეკრთა, უკან გაბრუნდა. მაგრამ ლახარემა დაარწმუნა, შენს პატივსაცემად იმსახინა შამილი დამევიდდა და ისევ წამოვიდა.

პირველი შევება ვრანგელი — ორბელიანის შეცვლელი. ეს იმკიდა ახლა ჩვენი სარდლის დათებულ ნაყოფს.

— აქამდე მტრები ვიყავით, ამირიდან მეგობრები ვიქნებით! — უთხრა ვენერალმა...

ბარიატინსკის საყვედურზე — ადრე არ მოხვედო ჩემს ბანაში და ახლა მე მოველი შემს ბანაკითო — შამილი დაიბნა, ერთხელ უკვე მომატყუესო, ვერ ვენდობო, და მერე თქვა გენიალური, დამარცხებულ სარდლის საკადრის სიტყვები:

— ხშირად თუ გვამთ, თაფლიც გვებურდება. მოწყინდა ეს ოცდაათწლიანი ომი, მოხარული ვარ, რომ ყველაფერი დასრულდა და მწვიდობიანად ვიციხვებო.

ბარიატინსკის ისლა დარჩა, რომ დებემა გაეცხადებო მუფისათვის და მიულოცა კავკასიის არმიისათვის.

იმპერატორმა აღუქმანდრემ მას საკუთარი ხელით მისწვია:

„მადლობა უფალს! პატივი და დიდება შენ და ყველა ჩვენს მამაც კავკასიელს“...

ამ მამაც კავკასიელთა პირველ რიგებში იყო და მიიხსენებდა ჩვენი პოეტი ვრიგოლ ორბელიანი.

შამილი პეტერბურგს გაიწვიეს.

აღმოსავლეთი კავკასია დამპყრობილი იყო.

„რუსეთის ძლიერების პირიზონტი დაშეშენდა ახალი გამარჯვების ბრწყინვალე ვარსკვლავით, — ვერდა ისტორიკოსი იმ დღეებში. — ჩვენს მატინებში შეტანილია ბედნიერი მოვლენა... სახელგანთქმული, ოდესღაც მრისხანე შამილი — ახლა მორჩილი ტყვეა, ჩვენი სტუმარი“.

ღუნაბის რეზიდენდან 47 დღეც არ იყო გახული, რომ „უქნების სამარალი მონა, შამილი მადლობის წერილებსა სწერს „დიდების შექერას“, „სარდალი“, „თავადთა ვარსკვლავს“, „დიდ ვენერალს — ფელდმარშალს, კავკასიის მხარეთა მბრძანებელს“ ბარიატინსკის ზრუნვისათვის, ატყობინებს, რომ თავანასანად მილოდ მივფემ, ჩინებულად მოეწყო კალუგაში, და ღმერთის სთხოვს ფელდმარშალის გამოკანადებას.

მართლაც, მუფე სწყალობს შამილს, მამინეე ამალში დანიშნა და ოფიცრის წოდება უბრძანა იმამის შეილს ნუამეულ-შეფის.

თავის აღმოსავლურ წერილებში შამილი მოხერხებულად შეასტენებს: კავკასია ხომ დამპყრობილია, შეშისრულე დაიპრება, გამიშეო მექაში სალოცავადო.

— მეერი რამ ვნახე რუსთა დიდი ფაილშაპის ქვეანამში. მეერი ნაყოფი გამოვლია ამ დიდი ხალხის გულმოღვივნებას. ყველაფერი ღმერთის ნებაა. ისეთი მაინე ვერაფერი შევნიშნე, რომ არწივთა საბუდარი დეგრძილია. მხოლოდ სახუდრო ზომადებებსა გაზა-

1 Мюридизм и Шамиль, Военный сборник, 182.

ოცეს, კრონშტადტში რომ დგანან. ჩემი მთები მომავალს. ეს დიდი საქმეა. თქვენი ქვეყანა უძლეველია. მისარია, რომ ჩემი ხალხი ასეთ ქვეყანას ჩაჰპარდა. ვუღალავთ ჩემს ნებას!

შომიზღავა შამილი — დარბაისელი, უადრესად ჭკვიანი, მტკიცე სისიათის, გამჭირბიანი.

შამილი ტყვეა. ბიოგრაფი რუნოსკი მოსწრებულად ხუმრობს: ეს კი ვიცი, შამილთან ტყვედ აღარ მოხვდებო, მაგრამ სხვა რამით მატყვევებო!

ტყვე შამილი ხედებს სწავლულს, აღმზავლეულის მყოდნეს, წიგნების ავტორს, აქლვეს კითხვებს — ასწავლით თუ არა ვერანა? იციან თუ არა რუსებსა არაბული გრამატიკა? და ა. შ.

რაც შეეძება თვით შამილის ცოდნას, არ უნდა გაგვივიწოდდეს, რომ მას არ სყოფნია არა თუ ამოღონ ისინი ამტკიცებულის არსებობა, არამედ მისი სახელიც, და როცა რუნოსკიმ მის პირველ კითხვაზე, რა გქვიაო, უპასუხა „აპოლინი“, შამილმა და მისმა შვილმა დადი წყალებით გაამეორეს „აფლონი... აფილინი“. მოეწინა ეს სახელი: პეტერბურგში ვუღალა ნიკოლოზი ჭკვიანი, კავკასიაში კი — ივანო!

ბალეტს დარბაისლური თვითმკურთხეველებად და, როცა ჰქითხეს, მოეწინა თუ არაო, მიუტო:

— ასეთ რამეს წინაშე მტყუარული მხოლოდ საიქიოში დაგვიპირდა. მოხარული ვარ, რომ აქაც ვნახეო.

ვევლაფერში იმენდა თავს შამილის თავისებური რწმენა და ხასიათი.

რუნოსკიმ სიხოფა ტყვე შამილს, შენი ცოლის სურათს გადაღების ნება მომეციო, იმამყოფილმა შორს დაიჭირა: ამისთავის საჭირო იქნება ჩადრის მოხსნა, აიდათ ხომ არ დავარდევო! მაგრამ როცა არ ეშეებან, სარდალი ხერხს მიმართავს: „თანახმა ვარ, ოღონდ ქალმა გადაუღოსო“. ხილო, როცა მოუვანეს ქალი ფოტოგრაფი, ისეთი ელვა ვცა, რომ მსგავსი, აღბათ, დუნობის დაკარგვის დღეს არ განუტლდა: მის ვგონა, რომ ასეთ საქმეებში ქალი სრულიად უმწირო იქნებოდა. რა გაეწივობოდა, ნება დართო. გვიან, როცა შუანეთას სურათი მიიღო, ჯერ გაუნარდა, მერე კი თქვა: „ჯობდა მოკვებითი თავი მენახა, ვიდრე ესო“.

• • •

1859 წლის დეკემბერში პლატონ იოსელიანი ინიშნება შივარდნარბელის განსაკუთრებულ მინდობილობათა მესუთე კლასის მოხელედ. შივარდნარბელის მინდობი დაწინაურებულ ქართველ მოღვაწეებს ემატება არქაული სტილის ბურჯი, არქეოლოგი, ისტორიკოსი, შვიდნობარი.

ორბელის მხოლოდ აღნიშნავს ამ ფაქტს და ჩანს, საქმისთავის გამოსადგებად მიანიშნა. სამაგიეროდ გაოცებულაა ზისერმანის დანიშნებით ფაზიფუნების ხანად: მაგისი ხანობა შერნაძეოთა არის ხალხისათ. ჩანს, ზისერმანი ვუღი მოხელე იყო, მაგრამ შესანიშნავი ისტორიკოსი კი აღმოჩნდა. არნოლდ ზისერმანი თუშეთის და დალისტანში მსახუ-

რობდა, დაწერა ორტიმანი მემუარები — „ოცდახუთი წელი კავკასიაში“, ბარიატინსკის ბიოგრაფია და ყაზარდის პოეზიას ისტორია... ქაზიფუნების მმართველად არ ფიქრობს, გრიგოლს ეს ცნობა შეეძლოთ მიუღია, ან დროზე გაუგიათ წყენა შივარდნარბელისა, რომლის რახსენასაც ის ვეულაზე ნაკლებად იმსახურებდა, რადგან სწორედ მან შეადგინა ბარიატინსკის სამტომიანი ბიოგრაფია. საქმე იმით დასრულდა, რომ ზისერმანი თუშეთის მმართველად დანიშნეს.

• • •

გვირავსოვლობაც ახლოვდება, გრიგოლი ატენსა მიწვეული შამილს ქალის ბარბარე ორბელიანისა და იოსებ თარხნიშვილის ქორწილში. დასტოვითიდან, როგორც ხუთმეტიოდე წლის წინ კატის ქორწილში. ამათ კი დარდობს, მისებრ საღთად დარწმინდ დიმიტრი ჯორჯაძეს ვერ დაუღოცა გვირგვინი.

სამაგიეროდ თვითონ გრიგოლს ადგამენ შივარდნარბელის გვირგვინს. — საქორწინო გვირგვინი კი ვერ იქნა და ვერ დაიდვა.

1859 წლის 21 მაისს მფუნისნაცვლი გენერალ-ადიუტანტი ბარიატინსკი დროებით პეტერბურგს მიდის, იქიდან ჩერხ-დალისტანისაკენ გასწევს, და თავის ადგილზე ტოვებს გენერალ-ადიუტანტ გრიგოლ ორბელიანს. ამიერიდან ჩვენი პოეტი იქნება საქართველოს კონსული და კავკასიის კარტის მთავარსარდალი. მისისა და ივანისში — მთელი ორი თვე, „საღვთებელს“ ავტორი განაცხადს კავკასიას. ქორწილი ქორწილს მოხდევს. შეღიშედ მოსკოვო ქალები სადომონოვს, დავით ერისთავს, ჭკვიკვაძეს... „შენ კი თვალს დაგიდებ, შე მაიფუნო!“ — ტუქსავს ჩვენი პოეტი ყოველ პირად მიდგინას და, აღბათ, ამ ტუქსავში თავის თავსაც გულისხმობს.

ზეიმი ზეიმი მოსდეს.

1859 წ. 25 აგვისტო — შამილის დატყვევების დღე — კავკასიაში საზეიმო დღედ გამოცხადდა, იმპერატორის თანხმობა ამ საუბანზე ორბელიანს გენერალმა ორბელიანს გადასცა.

1859 წელს 25 აგვისტოს, როცა შამილის ვატხანის შემდეგ ბარიატინსკიც ისევ რუსეთს იყო წასული, მის მოვალეობას კი ისევ ორბელიანი ასრულებდა, ზელმწიფისაგან მიიღო მოხსენება შამილზე გამარჯვების დღის ყოველწლიურად აღნიშვნისა და თბილისში ტრიუმფალური თადის აღმართვის შესახებ.

ეს საქმე, ცხადია, წარმატებით ეწყობა. ჭორი ჭორს მოხდევს.

თბილისში ჭორი დარბა: კვატერინე, დადიანის ქვირილი, ბარათაშვილის ჰაეროვანი სატროფი, თითქოს ესპანეთის მდიდარსა და დიდგვაროვან ეფოს გასყოლოდნენ. გრიგოლი განვიფურებულა, კვატერინესგან უკვირს, — ოუმიკა რა არის ქვეყნად გახაკვირი? — მაგრამ არ კი სურსა. მართლაც, ჭორი გამოდდა.

ხანდახან ჭორიც მართლდება.

საოცარი ამბავი მოხდა თბილისში 1859 წლის ივ-

ლისში: მიწა უნდა იძრასო, ხალხში სხვა გაგარდა, სოლოღაის მძარე „უნდა მიწაში ჩაძვრესო“. შემინებულე მოსახლეობა ბებუთოვის სასაფლაოსაკენ გარბოდა, ზოგიც მივებში. ამაოდ არწმუნებდა პოლიცია, ჭირაიო. პანიკას ბოლო არ ჰქონდა.

მიწისძვრა მართლა მოხდა, ოღონდ არა აგნი რა. გრიგოლს უკვარს, როგორ გამართლდაი ხალხის შიში!

\* \* \*

ბარიატინსკი პეტერბურგშია. ვაკატრინე დადიანის გრიგოლს სწერს, პეტერბურგის ქალები გადარიათ. თვით ვაკატრინე ნაწყენია ბარიატინსკისე და, საცემოა, რომ გადარეულთა შორის იყოს.

მთავარმართებელი კმაყოფილია. მეფე ხელისუფლებზე ატარებს. ვეღლა საქმე მოაკვარა, მალე სასახლე იზენიშებს ტაბტის მეშვიდრის სრულწლოვანებას და იმპერატორ ალექსანდრე მეორის სურვილია ამ ზემოზე თავისი თვალთ იხილოს კავკასიის ომების გმირი თავადი ორბაღიანი.

ბარიატინსკი 16 ივნისს საგანგებო წერილით ატყობინებს ჩვენს პოეტს მეფის ნებას, და მთავარმარხებელიც მადლობით იღებს ხელშეწყობს მიწვევას.

ჯამაკურანიანი ასეთ პატივზე უარს არ იტყოდა, ვერც იტყოდა, რადგან ეს იყო მეფის ნება. სამსახო თუშინთ გასარადა გალი და გაუღება გრძელ გზას „ხალცი თუ სპი დილი“...

აი, ეს თავმოწონე „ხალიფო“ პეტერბურგს მიემზავრება. ასეთი პატივის კომიკურია კონტრასტია გრიგოლის შეხედვრა თავის მოურავთან, ადრეც სხენებულ გვესიანს. თავისი მხარსნებლის სანახავად ჩამოსულა სოფლიდან.

გრიგოლი ეკითხება:

- ვაფლან როგორა ბრძანდება?
- კარგად არის, მგერამ მე კი არ მინახავს, — მიუგო გეუამ.
- ვალეწე, ბიჭო?
- ჯერ მარტო ქერა ვაგლეწე, შენი ჭირიზე!
- დიას, კარგი! რამდენი გამოვიდა?
- ორმოცი კოდე გამოვიდა, მეტი არ გამოვიდა, თქვენი რისხვა არა მჭკვს!

— კარგო, მგერამ გქვს დილორში, რომელშიაც დაითვსა ოთრმეტი გოდი, მხოლოდ ორმოცი კოდე უნდა გამოვიდეს? და რალა სწორედ ორმოცია, რომ არც დააკლდა ერთი ლიტრა ორმოცსა და არც გადამატა?

— რა ვქნა, ბატონო, ახლა ვე გამოვიდა და რა უკყო?

— როგორ დავიჯერო, ბიჭო, რომ ერთმა კოდემა დათესილმა მხოლოდ სამი კოდე მტეტი არ მოიყვანოს?

— რა ვქნა, ბატონო? ღმერთმან იყის და კაცმა იყის, რომ მე არა მომიპარავს რა და რა ვუყო, შე დალოცვილო, რომ მაგის მტეტი არ გამოვიდა?

„მასალა, ბევრი ვინაველე, მგერამ ჩემს ქერს არა მოეშატა რა იმით!“ — შესწივის გრიგოლი წერილიში

ვაფლანს და სთხოვს გაუგოს, რამდენი მოსავალი უნდა გამოვიდეს ერთი კოდე ქერიდან.

თვითონ კი პეტერბურგს მიდის. გვესიანს ვერაფერი გააყო ვენერალმა, რომელმაც მამალი დამოკცა.

არც ვენერალმა ვუმეტლა. ჩანს, არც ისე ეხალისება. 1859 წლის 27 ივნისს ჯორჯიძეს სწერს:

„სწორედ მოგახსენო, ძალიან მესზარება, მგერამ რა უყო, უნდა წაგიდე პეტერბურგს რეის სექტემბრისათვის. — ამაზე თვით ნამქსტიაციცა მწერს და მეც უნდა შეუდგე მომზადებასა, და ამა, თქვენებრ უნდა ხამწელებითა და დამარჩებით შემეწიენო...“

თავის განწყობილებას მომდევნო წერილითაც ადასტურებს: მტად შორსაა პეტერბურგი, სამართი მოდის და სამსახო თუშინთ ვალეც დაშედეგო!

ვამლოვანში მეოფი პოეტი ნახევრად ორიწოლად წერს:

„ჩემი ნამქსტიკობაც დასრულდა. ეკ, ორი დღე სომ ვიფაი, ესეც კმარა თავმოწონებისათვის!“

ნ აგვისტოს, როცა გრიგოლ ორბაღიანი პეტერბურგს ვაემზავრება, ბარიატინსკიც უკვე დაბრუნებული იყო დალისტანს, სადაც ელოდა დიდი ისტორიული მისია — შამილის დაწოქება. ეს მოხდა აგვისტოს ბოლოს. ასე რომ, მას პეტერბურგს წასულ სარდალს, მისისხლე მტერს თან გააყოლეს.

სარდალის გზა ამჯერად აღარ იყო ისე ეკლიანი. თუმცა დალისტანის ომი ჯერ კიდევ არაა დამთავრებული, მას უკვე დამთავრებულად ესახება:

„ჩემი ბატონო დემეტრე! — სწერს დიმიტრი ჯორჯიძე 1859 წლის 5 აგვისტოს. — დალისტანიც დავეცა და დამწვიდდა დუხანომელი მტერი, ასე ანახდელდა, ასე მოულოდნელად, რომ ვროზნდამ ანდიის კოსუსმდის მოველი თითქმის, უკანვითოდ“.

დაბოლოს, ღუნები აღებუღია, ვეშამი შეიპოვილი, ომი დასრულებული. შამილი შეგვრობილი.

პეტერბურგში სხვა სალაპარაკო არაფერი აქვთ. წვეის პრისბექტი აღწელებულია ბარიატინსკისა და შამილის პორტრეტებით. მეფისნაცვლის მოტიშეებით შურით აესმულან, ადგილს ვერ პოულობენ.

ისტორიას უკვარს უკანურობანი. სუთმეტი წელი ებრძოდა გრიგოლი შამილს და ერთხელაც ვერ შეხვდა პირისპირ. ესლა, პეტერბურგში სტუმრად ოთრთადე კვირის ჩამოსხული, შემოსხვეთ ხელება და ეწროზა თვისის ზისისხლე მტერს. პროფესორი აკ. ვაქერელია მოხდენილად ესახის ამ შეხვედრას ფინალს — მთიი ურთიერთობისა და კავკასიის ომის ფინალს; პოეტი წყნარად წერს.

„შამილა ვაგიყან პეტერბურგში. კარგი დარბაისელი კაცი ყოფილა, მგერამ ძალიან გაოცებული იყო უფლითა მით, რასაცა მხედავდა. მითხრა, ენაზო, დედად ვმწუხვარ, რომ ვერ ენახე თქვენი ნათესავნი ქალები, რომ ბოდიში მომიხსოვათ. ესლა ვმხედავ, რასაცა ნაყოფილოვანებამი იყენენ ისინი, მგერამ როგორ მოვიფიქრებდი, რომ კაცები ასე განქცრომიდ მსხებორებენ, როგორც აქაი! — დივის სიმწარით მიაშბო, რომ შიდალატეს ყოველთა მათ, ვინცა იყენენ დაახლოებულნი ჩემთან და ვინცა ჩემს მგერველობას ქვეშე და ჩემის მოწყალეობით მსხებორებდ-

ენო! იმათვე ამიყლებს სრულებით, ასე რომ, ეს ფეთრი ჩიხა ბარიატინსკიმ მიწვალბაო. და ამგვარი მრავალი მელაპარაკა.

შამილის ყველაზე უფრო სიძულად ბიოგრაფიის ავტორი, გენერალ ჩინაივის მუდღე მარია წამაგავა აღმოფთებულა იმ ცალმხრივი დახასიათებით, რასაც „სუსტ მოხუც ტყვეს“ შამილის აძლევს პოლკოვნიკი პრეფერასკი. თვით ჩინაივგა, ისევ როგორც ბოგულასკი, რუნოვსკი, ბარიატინსკი, გრიგოლ ორბელიანი და სხვა გამოჩენილი თანამედროვენი, პირიქით, მოსიბღუელი არიან „გენიალური გმირის“ ზიდიდით, ტკუით, თავდაპერით, რუსეთისადმი კეთილგანწყობილებითაც კი. . . შამილი მუხნედა პრეფერასკის ოპობრობას, რასაც თვით მას სწამებდა, ამიტომ შეიძლება ეს პოლკოვნიკი.

მართლაც, „უფლის შინა შამილი“ ბოღნიშ უხდიდა ბარიატინსკის იმის გამო, რომ ნადრევად სთხოვა მეფეს შექანი გაშვება, როცა კავკასია ჯერ არ იყო დამორჩილებული, და აღიარა, სირცხვილით ეწითლდებოდა, ეს უკვე მოწიხიშ შამილის ტაქტისა და თავდაპერითობას.

სასაბღეში ჯამბაკურაიანი პატარავთ მიიღეს. ყველა ისე ვქვეოდა, როგორც ნათესავსა და მახლობელს.

გრიგოლი პეტერბურგიდან 1859 წლის ოქტომბრის დამდეგს დაბრუნდა.

გზად, შვილის დაღმართზე, რამდენიმე ქართველი ახალგაზრდა შევეხარა. მათ შორის ჭამბუკი ილია ჭაჭავაძეც, ვრავილი ფეხით მიდიოდა, ხელები ზურგზე შემოეწყო, ბაკებიანი გენერალი დაფრქვებული ჩანდა, ამაგი, პირმოციხარი; უკან ბტლი მოაკვებოდა.

პოეტს ხელები ზურგზე შემოეწყო და ტკვიანი თვალებით გასცქეროდა დიდ კავკასიონს, თავის სტიქიას.

— აღმათ ლექსს რასმე უწერს ამ მშვენიერ ბუნებას! — ფიქრობს ჭამბუკი ილია და მოწიწებით შესცქერის დარბაისელ პოეტს.

ქ პირველად ხედვბინ ერთმანეთს გრიგოლ ორბელიანი და ილია ჭაჭავაძეც. პირველი პეტერბურგიდან მოდის, იმპერატორის სასახლიდან, მეორე ნაავადმყოფარია, შვებულებიდან ბრუნდება პეტერბურგს.

ქუბდა თერგი. დემდა ბტეფანწმინდა.

გრიგოლს კარგად ასსოვდა გამოჩენილი წინაპრის ვრედუს სიტყვებ: საქართველოს უკანასკნელი ძალა და სიმტკიცე სტეფანწმინდის მთა არისო. სპარსოსნალებმა რომ შოელი საქართველო აიღონ, სტეფანწმინდას თუ ვერა დააკლეს რა, უნდა იცოდეთ, რომ საქართველოში ვერ გაძლებენ, მაგრამ, თუ სტეფანწმინდაც აიღეს, მაშინ კი, საქართველო წაიქცევა. — ასე ვაუწყობოდა შამის ნათესავნი ვახტანგ ორბელიანის დედას, ვრედუს ასულს.<sup>1</sup>

ასე შევეხარა ერთმეთრეს მამათა და შვილთა ბანაკების ორი ბუმბურასი წინამძღოლი, ერთი რუსეთის მთავალი, მეორე რუსეთიდან მომავალი, სადღაც იქ.

სადაც თერგი რბოდა და დრიალებდა. სიმბოლურია ეს შეხვედრა, თითქმის ისტორია დრწყულ მთველებს ღირსეული შემთხვევებით ავტოგრაფებს.

თხმალ-სპარსეთის, დაღისტნის ქებული გმირი ახალი დროის გმირს ხედება, ნინზად იმისა, რომ ისტორიული ვითარება იცვლება, მაგრამ დიდი ადამიანების დაბადება და ნაკადი არ წყდება მათი ერის საიდგებლად.

გრიგოლი ისევ ლიტერატურული ცხოვრების ფერხელში ებმება. მან ჯერ არ იცის, რა ძალეში მდინარე იღებს სათავეს იმ ჭამბუკში, რომელიც მღვთის დაღმართზე შეხვდა.

უფრო იმას სწებს, რომ ვრანგელს ვერ გამოეწინაურა.

ღუნიბის აძლებს შემდეგ ვრანგელი მუხსვე ტოვებს კავკასიას. მის აფილიზე ინიშნება გენერალ-ლეიტენანტი ლევან მელიქიშვილი, ტატოს შფობარი. პეტერბურგიდან მომავალ გრიგოლს ვრანგელი გზაში ხედება, მაგრამ ერთმანეთს ვერ იცნობენ.

თბილისში გრიგოლს ხაწვენი ამბავი დახვდა: ვარინკა, ილიას ქვრივი ბერლიმა წასულიყო თვალების სამკურნალოდ. თითქმის დაეკარგა მხედველობა. მდის დრო და თან შამბუკს ყველას თვალთა სინათლე. მალე სხეული ბარიატინსკი იძულებული ხდება თბილისი დატოვოს. მას თან შამბუკა კავკასიის შტაბის უფროსი მილიუტინი. ისევ ზეიმი, ისევ გაყოლებია... პლატონ იოსელიანმა დუშეთი ისე განაღდა, რომ პოეტმა შესძახა:

— ეს ჩვენი წიტიანი დუშეთზე ლაპარაკობს თუ სხვა დუშეთიც არის სადმეო?

1860 წელსა. შამილის დაცემის წლისთავს ზეიმიზენ გამარჯვებული ოფიცერობს. სუფრასზე პოლკოვნიკი დემანტოვირი, გრიგოლის ძველი მეზობელი მეგობარი, ხაწვიმოდ ამშობს საკუთარ ლექსს:

Великий подвиг совершился!  
Кавказ торжественно смирился!..  
Лишь на обрывавстом Гундбе  
На ужасоющей скале  
Упорствовал Шамиль безумный!  
Но русские, как вихорь шумный  
На огнемашую высь  
Победоносно поднялись!

ნადიმზვა დაღისტნის მირმანებელი, ნიკოლოზ ბარათაშვილის უახლოესი მეგობარი ლევან მელიქიშვილი.

ფელდმარშალს ადღევრქმელებენ.

ადღევრქმელებენ გენერალ ორბელიანსაც.

1860 წლის ზაფხულში ბარიატინსკიმ ისევ ჩაიფვა წიოელი წინდები, მორჯომში დასახლდა და თავი ავიდუმყოფად გამოაცხადა, კავკასია კი ორბელიანსა და შტაბის უფროსს, მილიუტანს ჩააპარა.

ისევ დაქდა ხელწიფის ტახტზე ვრედუს შთამომავალი, „ფაღიშანი სამი დღიო“. „სამი დღე“—ოთვითონ ამშობს, თორემ თითქმის სამი წელი იყო გრიგოლი ამ საღალ თანამდებობაზე, 1859-1862 წლებში.

<sup>1</sup> ვახტანგ ორბელიანი, თბილისი, 1892, გვ. 33.

სახელი დღეები და მარტის სარჩევანი



1861 წლის მარტში გრიგოლს უკვდება ყოფილი თანამშრომელი—გრიგოლ მუხრან-ბატონი. მეორე მუხრან-ბატონი, კონსტანტინეს, კი მოივითხვეს ორბელიანთა უბნიდან, ყაფლანის პირობით, რომელსაც მისი მამა დაბრუნებას უსურვებს: არ სწამს მისი სამსახური და არც ცდება.

იმევე წლის სექტემბერში იმევე ყაფლანს ახარებს: ტამარის მივდივარო „მედი იყლიმის მშრობელ“ მეფესთან შესაგებებლად. მასპინძელი გრავოლია და დიდ დახვედრას ამზადებს ქუთაისში.

1861 წლის სექტემბერში, გრიგოლ ორბელიანის მოაგონებლობის დროს, ვუბანის, ნოვოროსიისკის, სოხუმის, ფოთისა და ქუთაისის გზით საქართველოში ჩამოვიდა რუსეთის იმპერატორს.

გრიგოლი ხელმწიფეს ყუბანშივე შეხვდა და აღარ განშორებია „ტერითა“ ჩამოვიდნენ ნოვოროსიისკიდან. „ზღვა შავი, შუბოვარი, ცათმდის ზეართების მსროლელი, დამწვარი და წყნარდა თავმოდრეკით, სახვედრიალეთით, შედგა რა მის ქედზედ შედის იყლიმის მკურნალობით“, — სწერდა პოეტი ლევან მელიქიძემ.

ქალაქში მეფეს ნადირობა მოუწყვეს, მაგრამ, ვუხვევება და ტანების ნაცვლად, მხოლოდ ერთი დაბმული შინაური იარაღი გამოეცხადა იმპერატორს.

ქუთაისში მეფე ერცელი სიტყვით გამოვიდა, მადლობა გადაუხადა ქართველ ერს ერთგულებისათვის. ფული და საჩუქრები დაარჩია, „თავისი ერთგული ქართველი თავდაზნაურობის“ სადღერძელი დალია და ეს უდავლეს წყალობად მიანდია!

კავკასიის ომი კი მიიწყო და დამთავრებულა. ამ საქმეში ისევ ერევა ორბელიანი.

1862 წ. 26 მარტს გრაფი დიმიტრი მილატინი პეტერსბურგიდან სწავს ბაოთაბასკის: გრიგოლ ორბელიანს ნება ვძლევია იმპერატორს გარემოებების შესაბამისად, დიდი ძალებს თავმოყრა კი ხვათისთვის რომ გადასდოს, ის ვეუბნებინება.

მთავიანეთში იგივე მილიტერი წულდამარაზის ამშვიდებს: ჯარების ახლებურად ფორმირება ჩინებულად მოუხდენია ორბელიანს და ხელმწიფე იმპერატორი უმოწყალებს მადლობას უგზავნისთ საქმის ასეთი ჩინებული გაძლიერებისთვის.

მოვიანებით 1862 წ. 22 ივლისს კავკასიის მოავარი შტაბის უფროსი კარცელი სწავს ბარბატინსკის, თავადი ორბელიანი ამეცხადა თქვენს ნებართვის ელ-ის რომ, ვდლომითთან შეთანხმებით, გამოიყოს ჯარის ახალი ნაწილები; თანაც ატკობინებს, რომ თვით ორბელიანი პირადად ვერ გწერთ ოჯახური უბედურება ეწეა, საყვარელი ბიძაშვილის, ყაფლანის, ერთადერთი ვაჟი დაეღუპა, ჩვიდმეტი წლის ვაჟაცა, რომელიც შეიღობით უკვარდა, და მთელი ოჯახი დამწვრებულია.

1861 წლის გრიგოლი ინფანტერიის გენერალია. ეს იყო უმაღლესი პატივი, რაც შეიძლებოდა იმპერიის მიერ მისთვის მოღვაწეობისთვის.

მაგრამ არც ინფანტერიის გენერალი უკვარდობის ქართულ მწერლობაში თავმდაბლურება და უნაგარი მოღვაწეობა.

მამინდელი პრეტის თვალის ერთი გადავლენითაც იტანობთ იმ შარავანდედის ხიბობს, რათაც არის გასხვივონებული ეს დიდი მეგობარი, სარდალი, მოღვაწე, ადამიანი. პოეტები, მასწავლებლები, სომეხები თუ ქართველები, წარჩინებულნი თუ მცირეხანი პატივითა და იმდენი შეხვედრით, აღტაცებით ურდუნთან ლეკვებს საღალღო, ზღვა რეზანის ძე ერთისთვის და სხვანი.

ილია არ ფარავს „ცისკრის“ დამსახურებას, რომ ეს ეურნალი აღ. ტავადავას, ნიკოლოზ ბარათაშვილსა და გრიგოლ ორბელიანს ლეკვებსაც ზეჰდას. დროდადრო, რის შეიძლებოდა ხალხი „მწერის ლეკვებში მწვენიერს ენას“ სწევლობს!

• • •

58 წლის გრიგოლს ზოჯერ ჯანი ძალატობს.

1862 წლის 14(26) ივნისს აღ. კრუზენშტერნი კოხრიდან სწავს ბარბატინსკის—გრიგოლ ორბელიანი რახანა თავს ცუდად გრძობს და კოხრში ჩამოვიდა, მაგრამ აქაც ურთის კანონითობას, „და ეს ვარემოება ვვლას ანაღლებს, რადგან ეს ადამიანი ვვლას უყვარს და ვვლანი პატივს სცემს“.

თბილისში ცხელა, პანანაჰება სიცხეა, მოიწეა ბალახი და მოსავალი, მაგრამ უნაგარი ისაა, რომ ამ საზარელ სიცხეა და მტერში „ტალები გულდამწვდებით და კოხტობით მომოსიარობენ გოლოვინის პრისპეტრედ“.

ამავე წერილში პოეტი თავის თანამოკლამეს, უკანაღებულეს თავადს, გენერალ-ადიუტანტს გრიგოლ დადიანს შესწივის, ახლა, ამ მთხვე ვაშს, აშხავი მოვიდა, პრუსიის პრინცი ალბერტი ჩამოდისო ოღების გზით საქართველოში, რასაც პოეტი ძლიერ შეუწუხება: ამ უეცრობაში, სიცხეში, მტკვარში დახვედრისა და შეწყვეთ თავი ხალხი საქსო! სტატუსში კიდევ მეფისნაცვალა ჩამოდის, ბარბატინსკი... მართლაც, „მოდა და გასწიე ლაშაი“!

სხვათა შორის, ვატერანებს წერილიც მოდის: ბარბატინსკის ენას ლონდონში, ზვერი დაპირება მოუცია და, ვნახათ, რას შეუარულებს. ვატერანზე შიშს წავიგა!

1862 წლის ავადმყოფობის გამო ბარბატინსკი კავკასია მიატოვა, მის ნაცვლად მეფემ მოავარაშთებლად დანიშნა თავისი ძმა მიხეილ ნიკოლოზის ძე. მეფის ძმის საქართველოში ჩამოსვლამდე, ოთხი თვის განმავლობაში ამ მძლავრ თანამდებობას ისევ გრიგოლი ასრულებდა. იმპერატორი ალექსანდრე

1 „ცისკარა“, 1861, № 4.  
2 წერილი, გრ. დადიანისადმი, 1862 წ. 21 აგვისტოს თარიღით.

საეკლესიო რეკონსტრუქციის 1862 წლის 17 ოქტომბრის თავის მადლობასა და სრულ ნდობას უცხადებს ორბელიანი გონიერული მმართველობისათვის.

არაფრით არ ჩანს, რომ გრიგოლი მინცა და მინც ძლიერ ატყვევებული იყოს თავისი მადლი თანამედრობით, სამაგიეროდ, წერილებში ბარიატინსკისა და მილიუტინისადმი, დიდ გულისტკივილს გამოხატავს კავკასიიდან ქვეყნის ავ-კარავის მყოფდნ ბარიატინსკის წასვლას გამო, თუმცა ამ წუთილშიც და მთავარმმართველად მუშის ძმის, მიხეილის, ნიკოლოზის შეთხვე შეილის, დანიშნუთი გამოწვეული სიხარულშიც არ შეიძლება არ დავინახოთ თავისი მდგომარეობით ნაკარანხვეი ოფიციალური მრავალ-სიტყვაობა.

გრიგოლს მინც აწუხებს ბარიატინსკის განმარტვლობის მდგომარეობა. 1862 წლის 15 ნოემბრის საშუადრო მინისტრის დებუთი ეკითხება, როგორაა ფულდმარშალი და მალე ჩამოვა თუ არაო. მინისტრის პასუხი ასეთია: თუმცა ახირებს ვალდობან თილისისაგან გზის გაგრძელებას, მაგრამ საუკეთესო განმარტვლობის გაუარესებამ ამის ნება მიხვესო.

ასევე მთავარმმართველს, დიდ მთავარს მიხეილს თავი დინჯად და ტაქტიანად ეცირა. ყოველ შემოსევებაში, ორბელიანს გონიერულად სწერდა 1863 წლის 5 იანვარს:

„სახესითი შევინებელი მაქვს, რაოდენ დიდი და მრავალფეროვანია ჩვენი მომავალი შრომა... მაგრამ ენუგებომ ამ მტკიცე აზრით, რომ ყოველი კავკასიელი მიღწევე უდავოდ პატიონდა შეასრულებს თავის მოვალეობას...“

მიხეილ ნიკოლოზის ძე 1863 წლიდან 1881 წლამდე — მიწელი თვარამეტი წლის განმავლობაში, დარს კავკასიის მთავარმმართველად. რუსეთ-თურქეთის ომში მიხმა ჯარებმა ხელთ იგდეს მუხტარ-ფაშის არმიის დიდი ნაწილი და, სკერთოდ, დაასრულეს კავკასიის ომები.

გრიგოლი კავკასიის ასევე მმართველს სტაგროპოლიში შეხვდა, ვლადიკავკაზიიდან კი ისევ ლეონ მელიქიშვილის სწერს თავის ატყვევას დიდი მთავრის პირიქედით, მისი „სიყვითლი ხავეტ გულით“.

„განათლებული გონებით“, აურქანებლობითა და საქართველოს გაბედნიერების სურვილით.

„მოვიდა სტაგროპოლის მარტო სამი ადიუტანტი-თა, არა როგორც დიდის ხელმწიფის შვალი, დიდის ხელმწიფის ძმა ზეაობით, არა რისხვითა და ძაგებით, როგორც მურავეოვა, არამედ თავ-მდაბლობით, სიწმინდად, მოწყალეობით... მახლას, ამილი შევიქენ ამისი!“ (1863 წლის 23 თებერვლის წერილი).

ასევე მთავარმმართველმა ასევე წიხები შემოიღო, ასევე მოხლეუნი დანიშნა, ასევე გადასახადები დააწესა გადასახადი დამუშედა სასმელზე. ცხენებზე, ქუჩაში სამხინი მახალის დამუშედაზე, მივიდან ხილის ამოღებაზე... ჯერჯერობით ეს იყო „მოწყალები“ შეფინსაველის მიწელი ასაკი.

1864 წელს გლუხთა განათავისუფლების კომიტეტი იღებს მინაწილობას...

გრიგოლის

ორბელიანის მთავარმმართველობის განმარტვლებში სწარმოებს გულის ამარტვებელი მიმოწერას მის უდიდებულესობას იმპერატორ ალექსანდრესა და მის ერთგულ ქვეშევრდომ ბარიატინსკის შორის. ეს უკანასკნელი 1862 წლის დეკემბრისა ივლიდან სწერს, ეტიმები ჩემი გადაღწერის ერთადერთი იმედს სრულ სიმშვიდესა და განუწყვეტელ მუკრნალობაში ხედავენ და, თუ ოდესმე ღმერთმა განმარტვლობა დამიბრუნა, მადლობას შევეწირავ, რომ საშუალება მომიაკლავო თქვენს სამსახურს შევეწირო თავი ჩემიო. მაგრამ ამჟერად ამხელ ნაკლებია და ამიტომ განთავისუფლებას ითხოვ. შეფის კითხვაზე, ვის ისურვებდი, რომ გეხილა შენს ადგილზე მეფისნაცვლადო, ეს ცივი და ზევი კარირისტი მილიტერული პასუხს აძლევს: მისი უმადლებობა, დიდი მთავარი მიხეილი გარტვლებად ღრსხულად კავკასიაში რაც შეეხება ენუგოლ ორბელიანს, ბარიატინსკის აზრით, აღმოსმნებოდა რამდენიმე საკითხი, რომელთა გადაჭრას ეს საკუთარი ძალებით ვერ შეასრულებდა. შეიძლება გრიგოლს მართლა შეხვედროდა ასეთი სიძინელები, მაგრამ რა ნიჭისა და დამსახურების პატრონად გვალეობა მიხეილი, რომელიც დაცვი ასეთი იმედებს ამყარებდა, ეს უკვე არც თვით ფულდმარშალმა იყოდა. მას ესპორტობოდა ანდრია პირველწოდებულის ორდენის აღმასის ნიშნები და უბოას კიდევ იმპერატორმა ექვსი წლის უნჯარო სამსახურისათვის. მთავარმმართველად კი დანიშნა დიდი მთავარი მიხეილი.

რა საკითხი იყო ორბელიანი და კარცივი რომ „ვერ ვივებდნენ“ ბარიატინსკის „ქის“ ან „არას“ გარეშე? ქუთაისის ცხენოსანთა პოლკის მტატების, დასაღლო კავკასიის დასამღობის, საშუადრო სასწავლებლის მტატის და ა. შ. ნუთუ გაუჭირდებოდა ამ საკითხების გადაწყვეტა თავის სამშობლოში ორბელიანს, რომელიც არა მარტო მთავარი შამალის ძლიერება, არამედ სამაგიეროდ მთავარმმართველსაც ასევე მისივე ასევე დაპრობილ კასპისპირა მხარეში?

ორბელიანმა საწმით დამტკიცა, რომ შეეძლო გასდლოდოდა სამხედრო თუ სამოქალაქო საქმეებს, როცა მეღმე და სამხედრო მინისტრმა ჯარების დიდი წევიტინა მისთხოვეს. მან ეს დაუწყებლად ჩათვალა და წარუდგინა თავისი პრიქტი, რომლის მიხედვითაც შემოკარება ხდებოდა მხოლოდ შესაძლებელ ფარტვლებში: 18000 ქვეითის, 8 ესკადრონი ცხენოსანის და ა. შ. ეს ხარტვება შეამყარებდა და მხარის უმმარტვებაც უზრუნველყოფილი იქნებოდა.

1863 წლის ივნისის დამდეგს საქე მურთუშამ ზაქათალის ლეკები აქმულა მეფის მთავრობას. მუამხობებმა მოკლეს გენერალი შალიკაშვილი და მიადგინენ ზაქათალის ციხეს. რუსეთის ჯარებმა ისინი მალე დაამარტვეს. როგორც აღინიშნა, ამ მხარის დამხედვება და დამსახვეთა დასჯა დავალა რ. ორბელიანს, რომელიც მხარე დააწინა და თავისი აზრი წარადგინა.

\*\*\*

არ უნდა დაევიწყოთ, რომ სადაც საქმე ძველი, დიდი თავადების ღირსებას ეხებოდა, იქ უანგარო ორბელიანი იქვეოდა ამაყ ჯამბაყურთანად.

1864 წელს წერტილმა თავად-ანზაურობამ თბილისის გუბერნიის მარშალად დიმიტრი ფილიანის გაცვანა მოინდომა. ივანე მუხრან-ბატონი და ვრიგოლ ორბელიანი სასტიკად აღუდგნენ წინ ამ განზრახვას.<sup>1</sup> მაგრამ ღრომ თავისი გაბატანა, დიმიტრი, ღირსეული მამულიშვილი, მარშალად აირჩიეს 1864 წლის 16 თებერვალს. ჩვენს პოეტს პატარა არისტოკრატიული მარცხი შეემთხვა: ლოცინად ჩავარდა.

თვით დიმიტრის მოციუნებით, „თავად ვრიგოლ დიმიტრის ძე ლოცინად ჩავარდა და თვენახვეარი იქცა. მეფის მოადგილე ნახულობდა მის და აშვილებდა, რომ ყიფიანს არ დაამტკიცებენ“.<sup>1</sup>

მაგრამ არჩევნების ამ დამახასიათებელ ამბავს უფრო ვრცლად უნდა შევხებით.

მარშლის არჩევა ხდებოდა იმ დროს, როცა გლეხთა განთავისუფლება მზადდებოდა.

კრებს სწორედ მუხრან-ბატონის სახლში გაიმართა (სადაც მურე კლუბი გახსნა). ზოგს გენერალ რევან ანდრონიკაშვილის არჩევა უნდოდა, ნამდვილი ჯარსაკაცისა. ანდრეილმა მარშალმა ზაალ ზარათაშვილმა თვითონ თქვა: ამვანად ქვეყანას სწორედ ისეთი კაცი ესაჭიროება, როგორიც ფილიანიათ, და ეს ქვეყანური აზრი იყო. ხალხმაც მის კითხვასზე, ვინ გინდათ მარშალად, ერთხმად იქუზა:

— დიმიტრი ფილიანი!

წინა რიგებში ისხდნენ გრ. ორბელიანი, ივანე მუხრან-ბატონი, ვიოროგა რომანის ძე ერისთავი, ამილახვრები, ანდრონიკაშვილები, თარხნიშვილები, ზოლოფაშვილები და სხვები.

გრ. ორბელიანი თავიდანვე შეერთებულა: როგორც უბრალო აზნაური თავად-ანზაურობის წინამძღოლად დასასაძღვრეს (კანდიდატურა მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ წამოაყენა, ვინც ბარიატინსკი შეყვალა). უმრავლესობა ფილიანს ასახლებდა, ეს დიდი თავადები კი მზრთანებლის კილოთი უფროდნენ ხალხს, რომ ეს არ მოხდებოდა. დარბაზს არ ესრებოდა.

ღარბაზში სხვათა შორის, ისხდნენ მანანა ორბელიანი, ქეთო სუმბათაშვილისა, ელენე ბატონიშვილი, ქეთევან ორბელიანი (მამუკას მეუღლე)...

რევან ანდრონიკაშვილმა იგრძნო სასოგადოების განწყობილება და თვითონვე ითხოვა განთავისუფ-

ლება, რასაც დარბაზი მადლობის შესახებებით შესხვდა: „გემუხრან ღმერთთან!“

ზოლოდ ვრიგოლ ორბელიანს მარშალად აირჩიეს ნაომარსა კაცმა და დიდმა თავადმა, პატივი დაეცემ, კენჭი იყარო.

ხალხმა იგრძენია: ვათავისუფლებით! ორბელიანი წამოიღვა და დაიწყო:

— თქვენ მოფარათ, საქართველოს კეთილშობილს თავად-ანზაურობას, სად არიან დღეს სახელოვანი გვარი სოლოდამეილებისა, მარათაშვილებისა, და სხვათა? განიფანტნენ, გაქრნენ... დავეცენით, დავმერთდით, წარუხდით, ვაი ჩვენს თავსა!... ნუ გვაკმევთ ხარცხელსა, ვინც დავარდით, ნუ დავესაყვამთ თავზე ჩვენ, ქართლ-კახეთის დამპყროვნებულ გვართა, აზნაურიშვილსა, აბამიძის წაზნაურების შვილსა!...

— ტაუშარჯოს დიმიტრი ფილიანი! — იქუზა პრეტენტის წინადაც ხალხმა. — მარშალად ფილიანი, ყიფიანი!

ეს იყო ისტორიული წუთები, სახელოვან ორბელიანს — არა გვართ, არამედ ნიჭით სახელოვანს — ხიზართლ არ აყენეს. აქ ის ცდებოდა. პროტრუსულე ძალა პროგრესულ ბიროვნებას ითხოვდა.

აქ ორბელიანმა თავის დამპყრობებულ ღირსიძებებსაც მიმართა: თავისი უმაღლესი ოფიციალური მფლობელობის გამაყენება სცადა და როგორც მეფისნაცვალმა, თუ გენერალ-გუბერნატორმა შესძასა:

— ყიფიანი არაკეთილსამიშობისთვის ზოხსნა თანამეფობიდან და მათა არჩევა მოაერთანა არ დამტკიცებო.

ხალხმა უარყავა იქუზა. ეს იყო პროტრუსის ქუზილი დროშოშოქის წინააღმდეგ.

აქ ყიფიანი წამოიღვა, სიტყვის ნება ითხოვა და ზოლოდ ერთი რამ განმარტა: მთავრობის წინააღმდეგი არა ვარ, თორემ არც დამინიშნულდნენ ამ დღებში ითხასას ნაცვლად ათას თოხას მანეთს პენსიას, ხოლო თუ მარშალად ამირჩევთ, მზად ვარ ვეშასუროთ და ცენჭსაც ვყარო.

აქ ივანე მუხრანსკი წამოიჭრა. ამ უიღბლო გენერალს პირადი ანგარიშიც ქონდა ყიფიანთან. 1855-56 წლებში, როცა სამკურჯლოს მუხტარ-ფაშა შემოვიდა, ცხენზე ამხედრებული ჭერიფა ვეატრინედ დადრანი მტერს ვარძოდა, თვითონ უკან დახევბს მეტი არაფერი გაუკეთებია, ამასთან დაწვა სანოვაც და ამ საქმეზე ძივაც დაინიშნა. პატიოანსმა დიმიტრი ფილიანმა მამინ მათა სანინაღმდეგე ჩვენება მისცა და ეს ახსოვდა დამწარბეულ მუხრანსკის.

წინამძღოლად მტერის, და ისიც აზნაურის არჩევამ გააცოფა მუხრან-ბატონი, და თითქოს ხელქვეით

2 დ. ყიფიანი, მოგონებანი, 101.



ღურმა ხარკმა შეაწუხა ისედაც წელში გატეხილი წკრილი ხელონიშმა, გაძვირდა პური, პროდუქტები. ფესპოტის ხელი პირველსავე წელს იგრანო ქვეყანა.

ყველა თანამედროვე ერთხმად ადასტურებს, რომ 1855 წლის თბილისის ამქართა ამბოხების მიზეზი იყო საერთო სიღატაკე, უუფლებობა, სიძვირე, გაღასანადები. მასში მონაწილეობდნენ ქართველები, რუსები, სომხები, თათრები, და არავითარი რუსების საწინააღმდეგე გამოსვლა ეს არ ყოფილა.

1857 წ. თბილისში ფუთი, ფეკილის ფასი 3 მანეთიდან ხუთ მანეთზე ასულა. გაძვირებულა ღვინოც.

მიიმე ღღუმი ჩაფარდნენ ხელისნები, ხარახები. დურღლები, მჭედლები, კალატორები, მუწალები, აგრეთვე საყვები, მქანამეები, ფხხე მოვატარნი... გატარებებზე ჩიოდნენ დიდფაროვანნიც და თვით მეფის მიხედვებითც

შემოსახულია ამბავი თვით მაშინველი მთავარ-მართებლის გატარებებსა. გრგოლ ორბელიანი თურმე აიყანზე გამოიდა, დალა ილია მიდიოდა (ამბობენ, ილია ტაგევაძეო, მაგრამ უფრო სჯობს ვერაძეო, რომ ეს იყო ილია აბხაზი).

— ერთი მოდი, ნახე ჩემი გატარებებო, — უთქვამს გრაგოლს. — მეფისნაცვალი ვარ, ვფინები, შემა არ მიმიტანეს, ყველა ცრობო.

რაკი მეფისნაცვალს უჭირდა, რაღა მტკიცება უნდა ხალხის გასაჭირს! ამ დაბნეებულ მოქალაქეებს ხარკსა და ხაეს ასდევინებდნენ, საათის, კატის, ძაღლის მფლობელსაც კი ბეგრავდნენ. წელმოწვეტილი ხალხი უსამართლობის წინააღმდეგ აღდგა.

ხალხში აიტატორებმა დაიწვეს სიარული, შექმნეს წყება, ჯგუფები. იმართებოდა ერთგვარი ყრილობები ვაშლილ ადგილებზე სომხების სასაფლაოზე, კრწანისას ველზე, ორთაქალაში, ვერც პოლიციე უღებდა აღდოს. ქალაქელთა კონსპირაციის.

ბოლოს განიზრახეს ქალაქის თავის რუსიდენიის აკლება და მისი მოყვლა, რადგან ის ვერნათ ყველა უბედურების მიზეზი. მთავრობამ მხოლოდ მაშინ გაიგო, როცა ხალხი უკვე ამ მიზნის ასარღებლად დაიძრა.

გამოსვლა დაინიშნა 1865 წლის 27 ივნისს. მოლატატს სიღატაკე და სიუფილი ვლოდა.

მართლაც, ამ დღიდან ქალაქი „დაფრუდა“, როგორც წერს ზაქარია ტვიტინაძე. ადარაფერი არ დამზადდა, ყველაფერი უსასპო. ვნახით, როგორ იცხოვრებენ მზაკვრელი უჭეოდო, ამბობდა ხალხი. პურსაც ვეღარსად იმოყვდა კაცი.

პოლიციამ უტკამამება დააპატიმრა, მაგრამ საქმეს ანარ არ უშველა. ახალი გადასახადების სიმძიმე, მუშებისა და უღარიბესი მოქალაქეების გარდა, დააწვა ამქრებს, რომლებიც კონკურენციას ვეღარ უღლებდნენ. უმსაყფილება ქარისზღად იქცა.

ხალხში ხმა დაიარხა: მალე გადასახადი დაიწვებო!

მა ვერცხლის ტამარზე, ქათამზე, ჩიხაზე, კვერცხზე... ასეთი იყო ლოტკა! ხალხი აირია, აყუანდა, მოედანზე გამოიდა, იქცა-იქცა. ბოლიციის უფროსი ვერაფრის გახდა, ვერც-სამოქალაქო გუბერნატორის ორდოვსკის მოადგილე ნიკო ტაგევაძე, ვერც თვით გრიგოლი, სამასათასიანი არმიის ხარდალმა, რომელმაც ტყვიის გასროლა არ იკადრა, ტკბილი ვნით სხვადა ხალხის დამომიწინება:

— გონს მოდი, შეიღებო, კანონი ყველასათვის ერთია, კაცო შეყონსაცვალი ვარ და ცხენის ქირას მეც ვიხდიო, — უთხრა ხალხს.

— ეჰ, დალოცვილო, — მიუგო ერთმა ყარაოზულმა, — თქვენი საქმე სხვა არის: თქვენ ცხენს ინახავთ, ჩვენ კი ცხენი გვინახავს. საიდან მიეცეთ, თუ არა გეპაქს?

ამბობენ მამბეუქოვის ასაყლებად მიწავალმა წალხმა მთავარმართებლის სახლს ჩაუარა, გრიგოლი აიგანზე ვადმოდგა და ხალხი გააფრთხილა: „ორ ზარბაზნს დაედეგევიანებ კვირაცხოველთან და შტვერს აეადღეო“, მაგრამ ხალხი ზღვასათვის შეტრამანდა და გზა განაგრძო.

მეფისნაცვალს მარც შეეცადა პირადი მოლაპარაკებით დაემეფებინა აღუღებული მოქალაქეები, შეწყალებს შეპირდა, ვადასახადების აგრეთის შეწყვეტას და ა. შ.

ტკბილი სიტყვით 'ამბოხება იმეთათად დაუწყნარება ვინზე. მთავარმართებელი მინ დაბრუნდა, ხალხი თავისი გზით წავიდა.

ქალაქში ნორმალური ცხოვრება შეწყდა, შრომითი ხალხი „კაიხიზა“. ორბელიანს ვადასახადის გაუქმება მოსთხოვეს, მაგრამ მეფისნაცვალს ამას უღებდა არ ქიონდა.

რაკი უტკამამებსაც არ უშვებდნენ, ორმოცი ათასამდე კაცი ვორონცოვის ძველისაყენ დაიძრა, გაუარეს კვირაცხოველს და პოლიციის უფროსს, ხაჯრის ამკრეფ მამბეუქოვის სახლს მიაშურეს.

— რას გაჩერებულხართ! — შესძახა უტკამამმა: ითხებამ! — უნდა ავიდეთ, ვამოწნოთ და მოველათ ის ახალდებული ხალხის მტარჯველი!

ხალხი შეიჭრა საქუფელი მოხელის სახლში, გადმოაგდეს, დაჭროლს ცხენის „დედა“ დაარტყეს და მოკლეს.

უკან გამობრუნებულ ხალხს ჯარი დახვდა. ატყდა სროლა. დიდი გულმოდგინება გამოჩენილა ყაზახ ვახალმა. ორი კაცი მოუკლავს, შეიდა დაუჭრია. იქვე აღექსანდრეს ბალის კუთხეში, გრიგოლ ორბელიანი გამოიფდა, ცხენზე ამხედრებული. აჯანყების მეთაურმა, პოეტის მიერ უტკამავეოფილმა ლიპიანამ გრიგოლის დანახვებზე შესძახა:

— ენაშო, ერთი ძირს ჩამობრძანდით და თქვენს ხელით უთავაზეთ ამ ბოროტ ვასილას!

გრიგოლმა დიდი ტაქტი გამოიჩინა. კაცი ავარიელებს აწყარებდა სიტყვით, ქართველებს მოთაფლვა ხომ არ გაუჭირდებოდა! მოელაპარაკა, დაამწყვდა, დაპატირდა დახმარებას, ვასილა კი დაპატიმრდა ციხეში ჩასვა: შენ ვინ მოკვც ნება იარაღის ხმარებისაო!

მაგრამ ხალხი მაინც არ იყო დაწყნარებული. ახ-

1 წ. ტვიტინაძე. „თბილისის ამბოხება ანუ დიდი ბუნტი. 1865 წ.“



ზდენ და საბრძოლოდ ემზადებოდნენ. ორბელიანს საფუძვლიანი შიში ჰქონდა: „ვაი თუ სოფელიც დაეზმაროს ქალაქსო! — და განდარმთა გენერალი მინკვიცი შიშისო, კოჯრადან შტაბის უფროსი კარცოვი დაიბარა.

მინკვიცი გრიგოლს ეახლა, საქმის ვითარება მოასხენა. გრიგოლმა მიუღო, ჩემთვის ცნობილია ეს ამბები, მაგრამ სროლის მომხრე არა ვარო. ამ დროს დაღისტინიდან ჩამოვიდა გენერალ-გუბერნატორი დავით ჭავჭავაძეც. სამივე გენერალი ხალხთან მოსალაპარაკებლად წავიდა.

ხალხმა შეისმინა მათი ხიტყვა, დაუჯერეს ნიგოს—მტყიც ფასებს დავაწესებთ, საქმეს მოვაგვარებთო. ოღონდ თავიანთი უსტაბამების განთავისუფლებათხოვეს. გრიგოლი დაჰპირდა.

ხალხი დაიშალა. ისევ გაიხსნა დუქნები, ქალაქში ცხოვრება ჩვეულებრივი გზით წავიდა.

1865 წლის 10 ივნისს თბილისს მოქალაქეთაგან არჩეულმა გაკლენიანმა პირებმა — სვერნიკოვმა, შიოგვამ, თამაშველმა, კონტაქემ და სხვებმა ორბელიანს მიართვეს არსა, რომლითაც სიხოვდნენ ახალი გადასახადების გაუქმებას, რომ ასეთივე უბედურება არ განმეორებულყო.

ასე იყო თუ ისე, მღვდლმარება ჩაატრეს. ქალაქის თავი შერბაზან-ვართანოვა, განტყვების ვაცი, თანამდებობიდან გადააყენეს. მოქალაქეებს თვით მთავარმართებელი დაჰპირდა, ხალხის მიერ არჩეული პირები მიიღებოდა მართვა-გამგეობაში მონაწილეობას, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. ამჟამათა უფლებები, პირიქით, შეამცირეს.

მეფისნაცვალს საკმაოდ დაწვრილებით გაუვია და ჩაუწვრილა კოდექს არულობის მონაწილეების ამბავი, ნეტადრე აღუშფოთებია სომეხთა „ნაციონალნიზის“ და მატერიალიზმის მოჭადვავთა საქციელს.

მადლობის რესკრიპტში, რაც გრიგოლმა მიიღო პეტერბურგიდან, ბრალი ედებოდათ წამქმნებელთად. ამქრის უფროსებს.

გრ. ორბელიანმა მეფისნაცვალს, დიდი მთავრის ნიხელ ნიკოლოზის ძისაგან მიიღო რესკრიპტი, რომელშიაც მეფისწული სანანულს გამოსთქვამდა, რომ ასეთი რამ მოხდა, ახიც თბილისში, რომელსაც ხელმწიფე ერთგულ ქვეშევრდომად თვლიდა. რესკრიპტში მადლობა ეტყაღებო ორბელიანს სასწრაფო ზომების მიღებისათვის. მეფისნაცვალი თან რწმუნებს გამოთქვამს, რომ ეს აღარ განმეორდება.

რესკრიპტი ხალხში გამოცხადდა, მეფისნაცვალს მოვალეობას შემარულეებელმა პეტერბურგში თავაზიანი პასუხი ვაგზავნა. დამნაშავეები დაისაჯრენ — ყულაფერი რიგზოა.

რუკეთის მმართველობამ ამჟამათ ამბოხებას პოლიტიკური ხარული დაუდო. ეს ამბოხება პრესაშიც რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლად მიიწინეს, გრიგოლ ორბელიანს ბევრი სდებოდა ბრალს. ხალხს ესროლაო. ნაჯრამ ეს მოხდა გვიან, როცა ყველა მშვიდობიანი ღონისძიება ამოცამოღდა. როცა თვით მთავარმართებელს კვები დაუშინეს.

კვები არ არის, ვინმე სხვა მთავარმართებლის დროს რომ მომხდარიყო ასეთი არეულობა, ბევრად მეტი ადამიანის სისხლი დაიღვრებოდა. გრიგოლს გარდუვალი მოვალეობის კანახით ამოქმედებდა, მეტი ღონიერება მხოლოდ გაართულებდა ხალხის და თვით მთავარმართებლის საქმეს. იონა მენუნარტის საყურადღებო შედარება მოსაყავს: დეკაბრისტების დასამოწმინებლად ნიკოლოზი თვითონ ეს არ გავიდა მოედამზე, აჯანყებულებს ტყვია დაუშინაო.

გრიგოლის პირადი გამოვლვა მუამოხებთან იყო მისი შორივი გაბედული ნაბიჯი და ნიშანი იმისა, რომ მთელი თავისი ზუნებით პოტი იყო.

„კავჯიხი“ 1865 წ. 31 ივლისს მოკლე ოფიციალური ცნობით იუწყება 27-28 ივნისს მომხდარი არეულობის ამბავს, მთავრობის ფაქრთხილვას, ამჟამათა ზელით გადასახადთა ამქრეუ ბამშვექ-შელიქოვის ხიკვდილას და მეფისნაცვლის ორბელიანის წინამე წინამძღოლთა მიერ დადებულ პირობას, რის შედეგადაც ქალაქში წესრიგი აღდგა. არც იმას მალავს, რომ ჯარს მიუხედა იარაღის ზმარება, ამასთან სახავედილოდ დაიჭრა სამი და მათუქად — 8 კაცი.

როგორც თავის დროზე აღნიშნეს პრიფესორებმა შ. ჩხეტიამ, ალ. ფირცხალაიშვილმა, ლ. მელიქიეთბეგმა და სხვებმა, თბილისის ამჟამათა 1865 წლის „ჯანუი“ მიანე ბერყად უფრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა იყო, ვიდრე მთავრობის ოფიციალურ დოკუმენტებში ჩანს. ოფიციალური წრეებში ჩქმალავდნენ მის საერთო-სახალხო ხასიათს, საერთოდ მეფის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ხელს და სახამართლოზე ცელიობდნენ მის ისე დასატყვას, თითქმის ეს იყო მხოლოდ ამჟამათა გამოსვლა გადასახადების გამო, განზრახ ამსუბუქებდნენ მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელთა და თბილისის მოხალეობის მონაწილეობას.

ამავე გზას ადგა თვით მეფისნაცვალი ორბელიანი, რომელმაც თავიდანვე მამამეტილური დაწყანარებით, დამნაშავეთა დასჯითა და საქმის გამოძიებით მეფის მადლობას იშამურებს.

1 საისტორიო მოამბე, თბ., 1947, წიგ. 3, გვ. 1-6; „საქ. სახალხო მეზეუმის მოამბე“, X გვ. 66; III. Чхетия, Тбилиси в XIX столетий (1865—1869) და სხვ.

მ ა მ ა თ მ ბ ა ნ ა კ ი ს ბ უ რ ჯ ი



ივანე ბატონიშვილის მემორიალი

დაღისტანში თბილისში დაბრუნების შემდეგ გრავოლ ორბელიანის ცხოვრების წლები შედარებით „კარგი“აა. თუ შეიძლება რაიმე აღინიშნოს, ესაა ოფიციალური ვიზიტები, ვაცოლებანი, ამქართა გამოსვლები, მარშლის არჩევნები, ბანკის საქმე და კულტურული ღონისძიებანი, რომლებშიც მოხუც პოეტ-გენერალს მონაწილეობა მიუღია. მაგრამ არის წლები, რაც მის ცხოვრებაში საყუარსების ველ-რადურს ეკუთვნის.

1866 წლის აპრილში ორბელიანი მეფის ბრძანებით ფარაბაბადს წავიდა, კასპიის ზღვაზე, სპარსეთის შაჰის შესახებ რაღაც, შაჰს კასპიის ფლოტილის ნახვა ანტიკრეპტად, თანაც ვაშლიცაა იქნებოდა — შევადგენ თუ ვერა ზღვიანი ვაკრობაში მოგზაურობას. მეფე ნახა, იმაში ნახა, ახლა შაჰად ნახავს, „მოწყვედვისათვის ასეთი ბედნიერება იშვიათია. — ირონიულად წერს პოეტი 1866 წლის 5 აპრილს. — ჩემს ანაღას შეადგენდნენ: ბაქოს გუბერნატორი კოლონაიანი, პრინცი, თავადნი დათიკო და ვირო ორბელიანი, ვრახვი, ბარონი მიუგენი, ღორის-მელიქოვი და ფლიგელადიუტანტი შლიტბერგი. ახუდაც, რა ბრწყინვალე ტიტულები ამწვენიებენ ჩემს საეღორსა“.

მავე წლის 26 ოქტომბერს ორბელიანი დაინიშნა კავკასიის მოავარსამმართველის სამბოს წევრად. ეს იყო თავისიანი დაქვეითება.

მაღე უნდა მომხდარიყო რეფორმა, გენერალ-გუბერნატორობა უნდა გაუქმებულყო და ორბელიანი სამაშარის გარეშე უნდა დარჩენილიყო. ასეც მოხდა.

თავისებური ორონიით ეთხოვებოდა სამაშარის კავკასიის პირველი კაცი:

— ვთხოვთ, პატივცემულო ალექსი პეტროვიჩი, მიიღო ჩემგან სამაშარად ორა ბუდაც (ხუდა) და ერთი მოდარაჟე, რომლებიც ნიშნად წარსულის დიდებისა, ჩემს სახლთანაა დგანან და, თუ შეიძლება, მხოლოდ დამლაშობით-ღა უდარაჯონ ხოლმე და დაიყვან ჩემი სიცილებე“.

სახალხო კომისართა საბჭო მხურვალედ მიესალმა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას ხარკოვში და ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა მას.

1917 წლის 19 დეკემბერს სახკომსაბჭოს დადგენილებით უკრაინის სავანგე-

ბო კომისრად დაინიშნა. ს. ორჯომიკიძე, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისათვის უკრაინაში.

1918 წლის 15 იანვარს კიევის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭომ გამოიტანა დადგენილება ცენტრალური რაღის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების დაწყების შესახებ. ექვსი დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, საბჭოთა ჭარბების დახმარების შედეგად, ცენტრალური რაღა განდევნილი იქნა კიევიდან. კიევში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა.

ცენტრალური რაღის ხელმძღვანელებმა ქიტომირში მოიკალათეს და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ დახმარებისათვის გერმანელ იმპერიალისტებს მიმართეს.

უკრაინის ბურჟუაზიული რაღა თავის კონტრრევოლუციურ საქმიანობას საბჭოების წინააღმდეგ ნაციონალურ-დემოკრატიული ფრაზეოლოგიით ნიღბავდა და ცდილობდა საბჭოთა საბჭოთა კონფლიქტისათვის ნაციონალური ელფერი მიეცა. მაგრამ ეროვნული ინტერესების დაცვის საბაბით რაღა მშრომელი მასების ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდა და უკრაინაში ბურჟუაზიის ბატონობას ამკვიდრებდა.

ჭერ კიდევ 1913 წ. დაწერილ შრომაში „კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საქითხზე“ ვ. ი. ლენინი წერდა: „ველიკოროს და უკრაინელ პროლეტართა ერთიანი მოქმედებისას თავისუფალი უკრაინა შესაძლებელია. ამ ერთიანობის გარეშე მასზე ლაპარაკიც კი ზედმეტია“.<sup>1</sup>

ოქტომბრის რევოლუციამ შექმნა პირობები რუსი და უკრაინელი მშრომელების ერთობლივი ბრძოლისათვის. ამ ერთობლივი ბრძოლის შედეგი იყო ცენტრალური რაღის ძალაუფლების დამხობა და საბჭოთა ხელისუფლების გავრცელება მთელს უკრაინაში.

1917 წლის 25 ოქტომბერს მინსკში

მიღებული იქნა ცნობა პეტროგრადის შეიარაღებული აჯანყების გამარჯვების შესახებ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების მინსკის საბჭომ, რომელსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, გამოსცა ბრძანება № 1. ამ ბრძანებით მთელი ძალაუფლება ქალაქში საბჭოს ხელში გადადიოდა.

26 ოქტომბერს მინსკის საბჭოს ინიციატივით შეიქმნა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედაც არჩეულ იქნა ბოლშევიკური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე ა. ფ. მიასნიკოვი. ახლადარჩეულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა დიდი მუშაობა გააჩაღა მთელს ბელორუსიაში და დასავლეთის ფრონტზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის.

ბრძოლა საბჭოების ძალაუფლებისათვის ბელორუსიაში დიდ დაბრკოლებას აწყდებოდა ნაციონალისტური, კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისა და შემთანხმებლური პარტიების მხრივ. მათი ხელშეწყობით 27 ოქტომბერს მინსკში ჩამოყალიბდა კონტრრევოლუციური „სამშობლოსა და რევოლუციის ხსნის კომიტეტი“. რამდენიმე დღის განმავლობაში გააფთრებული ბრძოლები წარმოებდა ძალაუფლებისათვის მინსკის საბჭოსა და ხსნის კომიტეტს შორის.

დასავლეთის ფრონტის რევოლუციური ნაწილების დახმარებით მინსკის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ უზრუნველყო კონტრრევოლუციური „ხსნის კომიტეტის“ დამარცხება და თავის ხელში აიღო ძალაუფლება.

1917 წლის ნოემბრის შუა რიცხვებისათვის საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა ბელორუსიის მთელ რიგ ქალაქებში: გომელში, ორშაში, სმოლენსკში, ვიაზნაში, ვიტებესკში და სხვ.

ბელორუსიის სახკომსაბჭომ და დასავლეთის ფრონტის სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის 5 დეკემბერს გამოაქვეყნეს მოწოდება

ხალხთა მეგობრობისა და ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცების შესახებ.

შეზღუდულია

რუსეთის ყველა ეროვნების მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცებისადმი მოწოდებაში ნათქვამი იყო, რომ მიწის, ზავის და სახალხო ხელისუფლების განმტკიცებისათვის წარმოებულ დიად ბრძოლაში ბურჟუაზია ცდილობს შეიტანოს განხეთქილება მშრომელი მასების ერთიანი არმიის დაქსაქსვის, სხვადასხვა ეროვნების მუშებისა და გლეხების გამიჯვნის გზით. ბურჟუაზიას სურს მშრომელთა ყურადღება კლასობრივი ბრძოლის ამოცანებიდან ნაციონალური ინტერესებისათვის ბრძოლაზე გადაიტანოს და ამ გზით მათ შორის უთანხმოება დათესოს, პროლეტარიატის, გლეხებისა და ჯარისკაცების ერთი ნაწილი მეორეს წაჰკიდოს.

მოწოდებაში დაგმობილია ცენტრალური ნაციონალისტური ორგანიზაციების, სხვადასხვა რადებისა და კავშირების მისწრაფება შეექმნათ ნაციონალური პოლკები და ამით უნდობლობა და განხეთქილება ჩამოეგდოთ ჯარისკაცთა მასაში.

ზემოაღნიშნული დოკუმენტი მთავრდებოდა შემდეგი სიტყვებით: „მოეუწოდებთ რა რუსეთის ყველა ერებისა და ხალხების მშრომელებს სახალხო კომისართა მთავრობის დეკრეტებში გამოცხადებული საერთო პროგრამის საფუძველზე ერთსულოვანი, შეწყობილი მუშაობისა და სახალხო ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლისაყენ, ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ პროლეტარიატი, გლეხობა და სახალხო არმიები ამ დიად ბრძოლაში ხელისუფლებას დაიკავებენ ივლიან და კლასობრივი რევოლუციური ბრძოლის სწორი გზიდან თავს არ გადააცდენინებენ ნაციონალისტებსა და სოციალ-შოვინისტებს.“<sup>1</sup>

ბელორუსიის სახკომსაბჭოსა და დასა-

<sup>1</sup> Из истории установления Советской власти в Белоруссии и образования БССР. т. IV, стр. 315—316, Минск, 1954 г.

ვლეთის ფრონტის რევოლუციური კომიტეტის მოწოდება მიმართული იყო ბელორუსიის ნაციონალისტური ორგანიზაციების „რადისა“ და „გრომადის“ წინააღმდეგ, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბელორუსიის „დამოუკიდებლობის“ დროში.

ბელორუსიის „რადისა“ და „გრომადის“ ინიციატივით 1917 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში, მინსკში მოწვეული იქნა სრულიად ბელორუსიის პირველი ყრილობა, რომელიც ორ ნაწილად გაითიშა. ყრილობის მემარჯვენე ნაწილი, რომელიც რადის მომხრეებისაგან შედგებოდა, მოითხოვდა რუსეთისაგან ბელორუსიის დაუყოვნებლივ გამოყოფას და დასავლეთის ფრონტის რევოლუციური კომიტეტისა და დასავლეთის მხარის სახალხო კომისართა საბჭოს ლიკვიდაციას. ყრილობის მემარცხენე ნაწილი, რომელიც ფედერალისტებს აერთიანებდა, რუსეთთან ფედერაციული ურთიერთობის მომხრედ გამოდიოდა.

ყრილობამ არ ცნო საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები, სახალხო კომისართა საბჭო და საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ბელორუსიაში და დასავლეთის ფრონტზე. ამის საპასუხოდ დასავლეთის მხარისა და ფრონტის სახკომსაბჭომ დაადგინა გაერეკა ბელორუსი ნაციონალისტების მიერ მოწვეული ყრილობა. ყრილობა დაშლილი იქნა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დელეგატების აქტიური მხარდაჭერით, რომლებიც მტკიცედ უჭერდნენ მხარს ბელორუსიაში უკვე არსებულ საბჭოთა ხელისუფლებას.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მკვეთრად შეცვალა მდგომარეობა ამიერკავკასიაში.

ცნობა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესახებ თბილისში მიღებული იქნა 1917 წლის 26 ოქტომბერს. მუშათა და ჯარისკაც-

თა მრავალრიცხოვანი მიტინგებში თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში მხურვალედ მიესალმებოდნენ ცენტრში გამარჯვებულ საბჭოთა ხელისუფლებას და გამოსთქვამდნენ მხადყოფნას მის დასაცავად.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას მიესალმნენ, აგრეთვე, კავკასიის ფრონტის რევოლუციური ჯარის ნაწილები.

1917 წლის 28 ოქტომბერს გაიმართა თბილისის გარნიზონის ნაწილების დელეგატთა კრება, რომელსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ. კრება მიესალმა პეტროგრადში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას და მოითხოვა ჯარისკაცთა დეპუტატების ესერულ-მენშევიკური საბჭოს გადარჩევა. დელეგატთა კრების მიერ გამოყოფილმა საგანგებო კომისიამ თავის ხელში აიღო გარნიზონის ხელმძღვანელობა.

ხალხთა მასების გარეგოლუციურებასთან ერთად მიმდინარეობდა კონტრრევოლუციური ძალების დარაზმვა. ეგრეთწოდებული, „სახოცადობრივი უშიშროების კომიტეტის“ მიერ თბილისში 1917 წ. 11 ნოემბერს მოწვეული იქნა თათბირი, რომელზედაც ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიების ბლოკი ჩამოყალიბდა. თათბირმა არ ცნო სახალხო კომისართა საბჭო და გამოიტანა დადგენილება ამიერკავკასიაში „დამოუკიდებელი“ სამხარეო ხელისუფლების შექმნის შესახებ.

თათბირზე ბოლშევიკებმა გამოაქვეყნეს რსდმ(პ) სამხარეო კომიტეტის დეკლარაცია, რომელიც აღიარებდა საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობაზე არჩეულ სახალხო კომისართა საბჭოს ხელისუფლებას და კონტრრევოლუციური ელემენტების ინიციატივით მოწვეულ თათბირში მონაწილეობის პილებზე უარს აცხადებდა.

1917 წლის 12-14 ნოემბერს ჩამოყალიბდა ეგრეთწოდებული ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელშიც შევიდნენ მენშევიკების, ესერების, დაშნაე-

პის, მუსავატელებისა და სხვა კონტრ-რევოლუციურ ნაციონალისტური პარტიების წარმომადგენლები.

20 ნოემბერს, თბილისში, მენშევიკების ინიციატივით მოწვეულ იქნა საქართველოს ეროვნული ყრილობა, რომელმაც საქართველო საბჭოთა რუსეთისაგან გამოყოფილად გამოაცხადა. ყრილობაზე შეიქმნა ეროვნული საბჭო, რომელსაც მენშევიკები ხელმძღვანელობდნენ. საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან ერთად შეიქმნა სომხეთის და აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოები. მათი საერთო ხელმძღვანელობისათვის თბილისში ჩამოყალიბდა ეროვნებათაშორისო საბჭო მენშევიკ ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით. ეროვნული საბჭოები მომავალი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობების ჩანასახს წარმოადგენდნენ.

ამიერკავკასიის კომისარიატი მენშევიკ ე. ჯეგუჰორის მეთაურობით კონტრრევოლუციურ პოლიტიკას ანხორციელებდა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის დარგში. მას არ გადაუწყვეტია და არც შეეძლო გადაეწყვიტა მიწის, ზავის, ეროვნული და სხვა საჭირობო საკითხები. პირიქით, მან ამიერკავკასია ეკონომიურ კატასტროფად და პოლიტიკურ დაშლამდე მიიყვანა.

ამიერკავკასიის კომისარიატი და „ნაციონალური საბჭოები“ მჭიდრო კავშირს ამყარებენ ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედ გენერალ კალენდინისა და კარაულოვის ბანდებთან და ყველა საშუალებით ხელს უწყობენ მათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. კომისარიატი იარაღს ართმევდა თურქეთის ფრონტიდან მომავალ რევოლუციურ ჯარებს და მათ ხარჯზე აიარალებდა ქართულ, მუსლიმანურ და სომხურ ეროვნულ პოლკებს, რომლებიც მენშევიკურ-კონტრრევოლუციური კომისარიატის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდნენ.

კავკასიის ფრონტის რევოლუციურად განწყობილ ჯარისკაცთა მასების ზეგავ-

ლნით 1917 წ. 10 დეკემბერს თბილისში მოწვეულ იქნა კავკასიის არმიის II სამხარეო ყრილობა. ყრილობამ აღიარა მუშურ-გლეხური მთავრობის — სახალხო კომისარათა საბჭოს ხელისუფლება, სცნო მისი დეკრეტები მიწის, ზავის, მუშათა კონტროლის და სხვათა შესახებ, უარყო ამიერკავკასიის კომისარიატის, როგორც კონტრრევოლუციური ორგანოს, ხელისუფლება.

ყრილობამ ამხილა და დაგმო ამიერკავკასიის კომისარიატის კავშირი ჩრდილოეთ კავკასიის კონტრრევოლუციური ბანდების მეთაურ კალენდინთან და დაადგინა — დაეწყო მის წინააღმდეგ ბრძოლა.

კავკასიის არმიის II სამხარეო ყრილობამ აირჩია სამხარეო საბჭო, რომელშიც უმრავლესობა წილად ზედათ ბოლშევიკებს. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბოლშევიკი გ. ყორღანოვი. სამხარეო საბჭომ თავისი შემადგენლობიდან გამოჰყო აღმასრულებელი ორგანო — კავკასიის არმიის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი გ. ყორღანოვის მეთაურობით, რომელმაც დიდი მუშაობა ჩაატარა სამხარეო ყრილობის მიერ მიღებული დადგენილებების განსახორციელებლად და ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გასაგრძელებლად.

1917 წლის ნოემბრის მეორე ნახევარში შეიქმნა ხელსაყრელი ვითარება საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში. მაგრამ რსდმ(ბ) კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტის მიერ დაშვებული სერიოზული შეცდომების (თბილისის გარნიზონის ნაწილების სადღეუგატო კრების დაშლა და სხვ.) გამო ვერ მოხერხდა შეიარაღებული აჯანყების დაწყება და მენშევიკური ხელისუფლების დამხობა.

კონტრრევოლუციური ნაციონალისტური ხელისუფლების ორგანომ ამიერკავკასიის სეიმმა 1918 წ. 22 აპრილს ამიერკავკასია „დამოუკიდებელ ფედერაციულ რესპუბლიკად“ გამოაცხადა და ამით იურიდიულად გააფორმა იგი-

ერკავკასიის მოწყვეტა საბჭოთა რუსეთისაგან.

სახალხო კომისართა საბჭო ქმედით დახმარებას უწყევდა ამიერკავკასიის კომისარიატის კონტრრევოლუციური პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლ მუშებ-სა და რევოლუციურ ჯარისკაცებს. 1917 წლის 16 დეკემბერს სახალხო საბჭომ განიხილა კავკასიაში არსებული მდგომარეობის საკითხი და ბაქოს საბჭოს თავმჯდომარე ს. გ. შაუმიანი 1917 წლის 18 დეკემბრის დეკრეტით კავკასიის საქმეთა დროებით საგანგებო კომისრად დანიშნა, ვარდა ამისა, სახალხო კომისართა საბჭომ კავკასიის ბოლშევიკების საქიროებისა და ჩრდილოეთ კავკასიის კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისათვის გამოყო 500 ათასი მანეთი.

1917 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში სახალხო კომისართა საბჭომ განიხილა და დაამტკიცა დეკრეტი „თურქეთის სომხეთის“ შესახებ, რომელიც 31 დეკემბერს გაზეთ „პრავედაში“ გამოქვეყნდა. ამ დეკრეტით სახალხო საბჭომ აღიარებდა რუსეთის მიერ ოკუპირებული თურქეთის სომხეთში მცხოვრები სომეხი ხალხის თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებას და მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის საქიროდ მიაჩნდა შემდეგი ღონისძიებების გატარება: თურქეთის სომხეთის ტერიტორიიდან ჯარების გამოყვანა; ლტოლვილი და ემიგრანტი მოსახლეობის დაბრუნება სომხეთში; თურქეთის ხელისუფალთა მიერ თურქეთში ძალდატანებით გადასახლებულ სომეხთა უკან დაბრუნება; თურქეთის სომხეთის დროებითი სახალხო მმართველობის შექმნა დემოკრატიულ საწყისებზე არჩეულ დეპუტატთა საბჭოსა და სომხეთის კომიტეტის სახით.

სახალხო კომისართა საბჭომ დაავალა კავკასიის საქმეთა დროებით საგანგებო კომისარს ს. შაუმიანს ქმედითი ზომები მიეღო ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

დეკრეტს თან ერთვოდა შენიშვნა:

რომლის მიხედვითაც თურქეთის სომხეთის გეოგრაფიული საზღვრებს დადგენა ევალეზოდათ სომეხი მხარეების მიერ არჩეულ წარმომადგენლებს მოსაზღვრე ოლქების წარმომადგენლებთან შეთანხმებით და კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრის მონაწილეობით.<sup>1</sup>

რევოლუციური მოძრაობისა და საბჭოთა ხელისუფლების პირველი შუქურა ამიერკავკასიაში ბაქო იყო. ბაქოს პროლეტარიატი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ოქტომბრის რევოლუციას და საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლთა ავანგარდში ჩადგა. 1917 წლის 31 ოქტომბერს გაიმართა ბაქოს საბჭოს გაფართოებული სხდომა საქარხნო, სატყეაო, არმიისა და ფლოტის კომიტეტების წარმომადგენლებთან ერთად, რომელმაც ს. შაუმიანის მოხსენების გამო, მიიღო გადაწყვეტილება საბჭოების ხელში მთელი ძალაუფლების გადაცემის შესახებ.

პროლეტარული ბაქო, რომელმაც ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებიდანვე სცნო საბჭოთა ხელისუფლება, კონტრრევოლუციის წინააღმდეგ მებრძოლი რევოლუციური ძალების ფორპოსტი იყო ამიერკავკასიაში.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან გაათავისუფლა აღმოსავლეთის განაპირა მხარეების ხალხები: თათრები, ბაშკირები, ყირგიზები, უზბეკები, თურქმენები, ტაჯიკები და სხვ. სულ 30-მდე მილიონი კაცი.

თურქესტანი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით წარმოადგენდა ხიდს სოციალისტურ რუსეთსა და აღმოსავლეთის ჩაგრულ ქვეყნებს შორის და, ამიტომ, თურქესტანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას და განმტკიცებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი აღმოსავლეთისათვის.

1917 წლის 28 ოქტომბერს ტაშკენ-

<sup>1</sup> Политика Советской власти по национальному вопросу за три года, стр. 15.

ტის მუშებმა და ჯარისკაცებმა ბოლშე-  
ვიკური პარტიის ხელმძღვანელობით  
დაიწყეს შეიარაღებული აჯანყება დრო-  
ებითი მთავრობის ხელისუფლების წი-  
ნაღამდეგ.

ტაშკენტში დაწყებული შეიარაღებუ-  
ლი აჯანყება 1917 წ. 31 ოქტომბერს  
პროლეტარიატის გამარჯვებით დამთავ-  
რდა. დროებითი მთავრობის თურქეს-  
ტანის კომიტეტი დაპატიმრებულ იქ-  
ნა, მთელი ძალაუფლება მუშათა და ჯა-  
რისკაცთა დეპუტატების სამხარეო სა-  
ბჭოს ხელში გადავიდა.

1918 წლის დამდევისათვის საბჭოთა  
ხელისუფლებამ გაიმარჯვა თითქმის  
მთელ თურქესტანში, გარდა ზუხარისა  
და ხივის სახანოებისა, სადაც ანტისაბ-  
ჭოთა ძალების კოალიცია დამკვიდრდა.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლება  
სწრაფად გავრცელდა მთელ რუსეთში  
და ზედმიხედ მოედო განაპირა მხარე-  
ებს. მაგრამ აქ იგი წააწყდა წინაღი-  
მდგომას ჯერ კიდევ ოქტომბრის რე-  
ვოლუციამდე შექმნილი ბურჟუაზიულ-  
ნაციონალისტური მთავრობების საბით.  
სოციალისტური რევოლუციის შეჩე-  
რების მიზნით ამ მთავრობებმა ომი გა-  
მოუცხადეს ცენტრში გამარჯვებულ რე-  
ვოლუციას. მაგრამ საბჭოთა ხელისუფ-  
ლებისა და განაპირა მხარეების მუშე-  
ბისა და გლეხების ერთობლივი იერიშის  
შედეგად, ეს მთავრობები სასტიკად  
იქნენ დამარცხებული.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის მი-  
ერ შექმნილი ახალი სახელმწიფო ხე-  
ლისუფლების ორგანიზაცია განამტკი-  
ცა და ფედერაციის საწყისებზე საბჭო-  
თა რესპუბლიკების სახელმწიფოებრი-  
ვი მოწყობის გეგმა შეიმუშავა საბჭო-  
ების სრულიად რუსეთის მესამე ყრი-  
ლობამ, რომელიც პეტროგრადში მიმ-  
დინარეობდა 1918 წლის 10-დან 18 ია-  
ნვრამდე.

12 იანვრის სხდომაზე საბჭოების  
ყრილობამ ერთსულოვნად დაამტკიცა  
ვ. ი. ლენინის მიერ შედგენილი „მშრო-  
მელი და ექსპლოატირებული ხალხის  
უფლებების დეკლარაცია“. ამ ის-

ტორიულ დოკუმენტში შეჯამებული  
იყო ის უდიდესი მუშაობა, რაც  
საბჭოთა ხელისუფლებამ დასრულ-  
ციალური და ეროვნული ჩაგვრისა-  
ვან რუსეთის ხალხების განთავისუფლე-  
ბის მიზნით. მასში საბჭოთა რესპუბლი-  
კების სახელმწიფოებრივი მოწყობის  
გეგმად წამოყენებულია ფედერაცია სა-  
ბჭოთა საფუძველზე.

საბჭოების ყრილობამ დაამტკიცა, ავ-  
რეთვე, სახალხო კომისართა საბჭოს  
დეკრეტები ფინეთისა და სომხეთის და-  
მოუკიდებლობის შესახებ.

საბჭოების ყრილობამ მიიღო სპეცი-  
ალური რეზოლუცია სახკომსაბჭოს პო-  
ლიტიკის შესახებ ნაციონალურ საკი-  
თხში.

მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დე-  
პუტატების საბჭოების სრულიად რუ-  
სეთის ყრილობა, ნათქვამია რეზოლუ-  
ციაში, მიესალმება და მთლიანად იწო-  
ნებს სახალხო კომისართა მთავრობის  
ნაციონალურ პოლიტიკას...

ყრილობა მტკიცედაა დარწმუნებუ-  
ლი, რომ საბჭოთა ხელისუფლების შემ-  
დგომი ნაბიჯები ამ მიმართულებით  
ხალხთა ჩაგვრაზე და ძალადობაზე და-  
მყარებულ რუსეთის ყოფილ იმპერიას  
გადააქცევნ ფედერაციულ საწყისებზე  
გაერთიანებულ საბჭოთა რესპუბლიკე-  
ბის ძმურ კავშირად.<sup>1</sup>

ამრიგად, საბჭოების სრულიად რუ-  
სეთის მესამე ყრილობამ შეაჯამა საბ-  
ჭოთა ხელისუფლების პირველი ნაბიჯე-  
ბი ნაციონალური პოლიტიკის დარგში  
და შეიმუშავა მრავალეროვანი სოცია-  
ლისტური სახელმწიფოს მშენებლობის  
გეგმა.

სრულიად რუსეთის საბჭოების მესა-  
მე ყრილობაზე წარმოთქმულ საბოლოო  
სიტყვაში ვ. ი. ლენინი წინასწარმეტ-  
ყველურად ამბობდა:

„...მე ღრმად ვარ დარწმუნებული,  
რომ რევოლუციური რუსეთის ირგვ-

<sup>1</sup> Третий Всероссийский съезд советов рабочих, солдатских и крестьянских депута-  
тов, стр. 94, 1918 г.

ლივ სულ უფრო და უფრო შემოიკრიბება თავისუფალი ერების ცალკეული სხვადასხვა ფედერაცია, სრული ნებაყოფლობით, სიცრუისა და მახვილის გამოუყენებლად, გაიზარდება ეს ფედერაცია, და იგი უძლეველია“.<sup>1</sup>

ვ. ი. ლენინი იყო ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის პოლიტიკის შთამავონებელი და პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა ამ პოლიტიკის ცხოვრებაში განხორციელებას. მისი უშუალო ინიციატივით შეიქმნა თანასწორუფლებიან ერთა ნებაყოფლობითი გაერთიანება — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. საბჭოთა კავშირის შექმნამ მოახადა ყველა საჭირო პირობა ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის, წინათ ჩაგრული ხალხების მოწინავე, სოციალისტურ ერებად გარდაქმნისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

სოციალიზმის გამარჯვებასთან ერთად საბოლოოდ გაიმარჯვა ერთა თანასწორუფლებიანობის, მეგობრობისა და ძმობის საბჭოთა იდეოლოგიამ. საბჭოთა კავშირის ხალხთა ურდვევი მეგობრობა, რომელმაც მრავალ განსაცდელს გაუძლო, საბჭოთა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ მძლავრ მამოძრავებელ ძალად იქცა.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26. გვ. 562.

სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების შედეგად ძირეული ცვლილებები მოხდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში, საბჭოთა საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში, ეროვნული ურთიერთობის დარგში. ისტორიაში პირველად გადაიჭრა ხალხთა ეკონომიური და კულტურული უთანასწორობის ლიკვიდაციის პრობლემა. ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში შეიქმნა დიდად განვითარებული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, აღიზარდნენ მუსათაკლასისა და ინტელიგენციის ეროვნული კადრები. ყოველმხრივ განვითარდა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა ახალი ეტაპის დასაწყისია ეროვნული ურთიერთობის დარგში, რომლის ძირითადი დამახასიათებელი თავისებურებებია სოციალისტური ერების შემდგომი დაახლოება და მათი სრული ერთობის მიღწევა.

ეროვნული საკითხის გადაჭრა და მის საფუძველზე საბჭოთა კავშირის ხალხთა ურდვევი მეგობრობის მიღწევა ოქტომბრის რევოლუციის უდიდესი ისტორიული მონაპოვარია. სკკპ თვალისჩინივით უფროთხილდება მას და წარმატებით აზორციელებს ხალხთა მეგობრობის განმტკიცების ლენინურ პოლიტიკას.



### 3. ი. ლენინი—სულიწამდგამელი და ორბანიზატორი სოციალისტური მშენებლობისა საქართველოში

კომუნისტური პარტიის შემქმნელისა და მათგან სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზატორის ვ. ი. ლენინის უკუდავ სახელთან განუყრელადაა დაკავშირებული, როგორც საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხის, ასევე საქართველოს მშრომელთა გმირული ბრძოლა სოციალისტური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლობისათვის.

ვ. ი. ლენინის მითითებანი, რომლებიც მოცემულია მის მოხსენებებსა და ცალკეულ გამოსვლებში, დირექტივებში რკპ (ბ) კავკასიის ბიუროსადმი და პირადად ს. ორბანიზატორისადმი, საქართველოს რევკომისადმი, წერილებში, ტელეგრაფებში, და ცალკეულ მოღვაწეებთან გამართულ საუბრებებში, მოიცავენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის ყველა ძირითად საკითხს. ეს საკითხები შეეხებიან: ეკონომიური სიძნელეების დაძლევისა და მიწოდების წინააღმდეგ ბრძოლის, მემათა და გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის ამაღლების, ღონისძიებებს; საქართველოს კომუნისტური პარტიის მფლობელობაში ადგილობრივი პარტიზანთა და თავისებურებების მაქსიმალურ გათავისუფლებას, ისეთი ტაქტიკის შემუშავებას, რომ შეეძინებოდეს არ იქნეს ვადმოტანილი საბჭოთა რუსეთის გამოცდილება ანუ, როგორც ლენინი იღნიშნავს, „რუსული შებლონი“; საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის თავდაცვით-არმიის განმტკიცებას, წითელი არმიის ქართული ნაწილების შექმნას; ამიერკავკასიის ხალხთა შეგარობის განმტკიცებას და მის განვითარებას; ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებისა და, მათ შორის, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ მშენებლობას (ა.ე. ფედერაცია); მას თუ რას უნდა მიეჭყეს უმთავრესი ყურადღება სოციალისტური მშენებლობის პროცესში.

ლენინმა კარგად იცოდა, რომ მენშევიკების

ბატონობის უკანასკნელ პერიოდში საქართველოს მოსახლეობა მიწმობილდა და სახალხო მეთრნეობის არც აღდგენა, არც სოციალისტური მშენებლობის დაწყება არ შეიძლებოდა თუ ბოლო არ მოეღებოდა მიწმობისას. ამიტომ ლენინმა, უპირატესეს ყოვლისა, ამ საკითხს მიჰქცია ყურადღება.

თბილისში XI არმიის შემოსვლისთანავე შემოტანილ იქნა ათობით ვაგონი პური, შაქარი და სხვა პროდუქტები, სამრეწველო საქონელი. შემდეგ დღეებში სურსათის შემოზიდვა მართლმას, მაგრამ ცალკე მძიმე მდგომარეობა როგორც ქალაქებში ისე სოფლად. ამასთან დაკავშირებით, 1921 წლის 15 აპრილს ლენინი სპეციალური დეპეშით დაავალბას აძლევს სასურსათო საქმეთა სახალხო კომისარიატის როსტოვის რწმუნებულს, რათა მიიღონ ვადამწევეები ზომები „ბაქოსა და ამავე დროს საქართველოსა და სომხეთის მომარაგებისათვის და თანაბმად № 293 დეპეშისა, მომარაგების ღონისძიებათა შესახებ რეგულარულად იცნობონ ცენტრს ფაქტური მომარაგების ღონისძიებათა შესახებ“<sup>1</sup>. 7 ივლისს ლენინი ამავე რწმუნებულს კვლავ აძლევს დაავალბას: „ეკითვალისწინებ რა საქართველოს მამყე სასურსათო მდგომარეობას, წინადადება გეძლევა ივლისის განმავლობაში ვაგზაჯნოთ თბილისში საქართველოს სასურსათო კომისარიატის მისამართით 100 ათასი ფუთი პური. დეპეშის მიღება და შესრულება დამიდასტურეთ“<sup>2</sup>.

მაგრამ ამ დროს საბჭოთა რუსეთში მძიმე ეკონომიური მდგომარეობა იყო (ომის შედეგები, ბლოკადა, 1920-1921 წლების გვალვა და მოუსავლიანობა). მაგალითად, 1921 წლის გვალვამ მოიცვა 34 გუბერნია 30 მილიონი მოსახლეობით. ამიტომ ლენინი კავკასიელი კომუნისტებისაგან, მათ შორის, ქართველი კომუნისტებისაგან მოითხოვს, რომ დიდი იმედები

<sup>1</sup> Ленинский сборник XX. стр. 228.

<sup>2</sup> Газ. «Правда Грузии», 14 июля 1921 г. № 109.

არ დაამყარონ დახმარებაზე და უტრადღება გამამხვილონ ადგილობრივი რესურსების გამოიხმება და გამოყენებაზე.

ამასთან დაკავშირებით, ლენინი ს. ორჯონიკიძეს 1921 წლის 9 აპრილს დეპეშით აცნობებდა:

„მივიღე თქვენი დამიჯრული დეპეშა, რომ სურათის მხრივ ამიერკავკასიაში საშინელი მდგომარეობაა. ჩვენ მივიღეთ მთელი რიგი ღონისძიებები, ცოტაოდენი ოქრო მივეციეთ სომხეთს, დავადასტურეთ სასურსათო კომიტეტისათვის მიცემული ყოველგვარი დავალეხანი, მაგრამ უნდა გავფიქრობოთ, რომ აქ ძალიან გვივირს და ვერ შევძლებთ დავეხმაროთ, დაბეჭდებით მოვიხსნებ შექმნათ საოლქო სამეურნეო ორგანო მთელი ამიერკავკასიისათვის, მთელი ძალებით დააწიეთ კონცესიონებს, განსაკუთრებით საქართველოში; შეეცადეთ იყიდოთ თესლი თუნდაც სახლვარგარეთ და წინ წასწიეთ რწყვა ახერხაიდანში ბაქოს რესურსების დახმარებით, რათა განვითარდეს მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, აგრძელებ შეეცადეთ განვითაროთ საქონლევაყვლა ჩრდილოეთ კავკასიისთან“.

როგორც ამ დეპეშიდან ჩანს, ლენინი განსაკუთრებით საქართველოსათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კონცესიებს. ამ საკითხზე სხვა მრავალი დოკუმენტებიც არსებობს: ოღონდ ვაუწყობესაღეს მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობა და ლენინი წინადადებას იძლევა არ იძენონ კაპიტალისტებთან საკონცესიო გარიგებების დადების დროს, როცა ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის ისედაც უსუსტი მრეწველობის აღდგენა მხოლოდ იწყებოდა, ტრანსპორტი თითქმის მთლად იყო საწყაის უქმარობის გამო, საკონცესიო გარიგებები აუცილებელი იყო. მაგრამ კაპიტალისტებთან საწარმოო ურთიერთობა უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე წინასწარ შეიძლებოდა ვარაუდი. კონცესიების საკითხშიც თავი იჩინა კაპიტალისტების გაუმადლარმა მხლამ. უკვე 1922 წელს ლენინმა აღნიშნა, რომ კონცესიებისა და იყარებისაგან არაფერი გამოვიდა და განსაკუთრებული უტრადღება მიიქცია ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას, თეთრი ნაჭმარის გამოყენებას, მორწყვას, წილისყელის (წათობი, სპილენძი, ქვანახშირი) დამუშავებას და სხვ.

3. ი. ლენინის დახმარებით საქართველოს მშრომელთა დაძლიეს პირველი ეკონომიური სინდრელები.

სოციალისტური მშენებლობის დაწყებისათვის ისეთ წერილებზე უნდა ვუყვანაში, როგორც კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები იყენენ (ლენინის გამოთქმით „ყოველ უფრო გლე-

ხური ქვეყნები, ვიდრე რუსეთი“).<sup>1</sup> განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა „ქვეყნულური პირობებთან მაქსიმალური შედეგების მიღწევის ტაქტიკის შემუშავებას. ჯერ კიდევ კავკასიის ტერიტორიაზე XI არმიის მოქმედების დროს ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოსახლეობისადმი ფაქიზ და მოყიდებულებას, საჭიროდ მიანდა არმიის მოქმედება საეხებით დაქვემდებარებოდა მოსახლეობის ინტერესებს, განსაკუთრებული გულსმხერებით მომყრობდენ ადგილობრივ ორგანოებს. მოსახლეობის მოპართ დამოკიდებულებას საკითხში ლენინი ყიდვე მეტ სიფრთხილეს მოითხოვდა საბჭოთა ზელისფლების დაყარების შემდეგ, როცა კომუნისტური პარტია მმართველი პარტია გახდა. წერილებში, დეპეშებში და მითითებებში ცალკეული საბჭოთა რესპუბლიკების, ამიერკავკასიის თუ მთელი კავკასიის შესახებ, ტაქტიკის საკითხს. ლენინი უმთავრეს საკითხად, საკითხთა საკითხად თვლის. ყველაზე მნიშვნელოვანია ის — ნათქვამია ლენინის 14 აპრილის წერილში, — რომ ამიერკავკასიის კომუნისტებმა შეივონ თვინათი რესპუბლიკების მდგომარეობის თავისებურება, რუსეთის სხვ რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეივონ იმის აუცილებლობა, რომ ბრძოლ უ არ ვადალონ ჩვენ ტაქტიკა, არამედ მოფიქრებულად შეუფარდონ იგი კონკრეტული პირობების სხვაობას“.<sup>2</sup>

კავკასიაში საბჭოთა ზელისფლების დამყარების მომენტში ზელმქლანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკებისათვის ძნელი იყო ვითარებაში გარყვვა და ტაქტიკის საკითხებში სწორი გზის გამოძევა, რუსეთის გამოცდილების შექარყენი ვადმოტანს სარგებლობას ვერ მოიტანდა, საჭირო იყო სხვაგვარი მოქმედება, სხვაგვარი ტაქტიკა, მაგრამ სახელდობრ როგორი — ამაზე სხვადასხვა აზრი იყო.

„ყოველ გამომეტლენებელი სკობს, — ამბობს მამია ორახელაშვილი, რომელიც საქართველოში საბჭოთა ზელისფლების გამოქვადების პირველ დღეებში რეკომის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა, — ჩვენ მტყიცედ არ ვიციდით როგორ მოვეცევილიყავით. ადგილობრივი პირობები როგორ გავვეთვალისწინებინა საქართველოს ახლადმოხილი საბჭოთა ზელისფლების პოლიტიკურ და ეკონომიური ღონისძიებათა სისტემაში“.<sup>3</sup>

ამ გაურკვევლობიდან კავკასიელი კომუნისტები დიდი ზელადის ლენინის მითითებებში გამოიყენეს. ლენინის მითითებათა საფუძველთა საფუძველი, ძირითადი არსი იყო, რომ კავკასიელი კომუნისტებს რუსული გამოცდი-

<sup>1</sup> 3. ი. ლენინი, ტ. 32, გვ. 397.

<sup>2</sup> 3. ი. ლენინი, ტ. 32, გვ. 397.

<sup>3</sup> გაზ. „კომუნისტი“ 1924, № 92.

ლება მოდიკრებულად შეეფარდებინათ ადგილობრივი პირობებისათვის, ადგილობრივ გამოყენებინათ — 1917-1921 წლების გამოცდილების არა ანბანითყვა, არამედ სული, აზრი, გაცეითლება<sup>1</sup>. ამასთან ერთად, ლენინი კონკრეტულად მიუთითებდა, თუ როგორ მიღვომა იყო საქარო ცალკეული საკითხებისადმი: „მეტი სირბილე, სიფრთხილე და დამთმობლობა წერილი ბერყუაზის, ინტელიგენციას და ვანსაყუთრებით გლეხობის მიმართ... უფრო წელი, უფრო ფრთხილა, სისტემატური გადასვლა სოციალიზმზე — თ რაა შესაძლებელი და აუცილებელი კავასიის რესპუბლიკებისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკებისაგან განსხვავებით. თ რა უნდა შეიგნოთ და რის განზორციელება უნდა შესალოთ ჩვენი ტაქტიკისაგან განსხვავებით“<sup>2</sup>.

ლენინის მიითთებებმა, როგორც ამას ხატოვანად ამბობდა მაია ორაბელაშვილი, „ძლიერი პროექტორის“ რალი შეასრულა, „გავგინათა წრე განსაყუთრებული პოლიტიკური ამოცანებისა, რომლებიც იდგნენ საქართველოს კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე“<sup>3</sup> მაგრამ ვ. ი. ლენინის მიითთებები ძლიერი პროექტორი იყო და არის არამარტო საქართველოს, არამედ კავასიის ყველა კომუნისტისათვის.

ვ. ი. ლენინის მიითთებათა საფუძველზე შემოყვებელი ტაქტიკა იყო ის უძლეული იარაღი, რომლითაც კავასიის კომუნისტები ყოველგვარ სიძნელეებს სძლეოდნენ და უდიდეს წარმატებებს აღწევდნენ თვითნათ ქვეყნების ეკონომიკური და კულტურული აღმაშობლის საქმეში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას ვ. ი. ლენინმა ურადლება მიჰქცია ჯერ კიდევ მაშინ, როცა საქართველოში მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ შექმნილი იყო აჯანყების ხელმძღვანელი შტაბი რევოლუციური კომიტეტის სახით. როგორც ცნობილა, რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელიც 1921 წლის 16 თებერვალს შეიქმნა, თავის თავმჯდომარედ აირჩია ფ. შახარაძე. ამ ორას ის მოსკოვში იმყოფებოდა. საქართველოში გამომავარების წინ 18 თებერვალს ფ. შახარაძე მიიწვია ლენინმა და ესაუბრა მას საქართველოში კომუნისტების მუშაობის მთელ რიგ თავისებურებათა შესახებ, თუ რა საკითხებისათვის მიექციათ უპირველესად ურადლება. ლენინს ფ. შახარაძესთან საუბარი ჰქონდა საქართველოში წითელი არმიის შექმნის საკითხებზედაც<sup>4</sup> ასას-

კირველია ლენინს მხედველობაში ჰქონდა რომ აჯანყება მალე გაიმარჯვებდ და საქართველოში საბჭოების დროში აღიმართებოდა საქმეთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კ წითელი არმიის ქართული ნაწილების შექმნის საკითხი ლენინის ურადლების ცენტრშია. ამ. შესახებ ის 1921 წლის 2 მარტს პირდაპირი მავთულით გადმოსცემს წერილს ორჯონიკიძეს. ლენინს, უწინარეს ყოვლისა, სურდა გავყო, იყო თუ არა სრული თანხმობა ქართველ კომუნისტებში იმის შესახებ, რომ „საქაროა დაუყოვნებლივ შევანარაღოთ მუშები და ულარობისი გლეხები და ანაარად შეექმნათ საქართველოს მტკიცე წითელი არმია“<sup>1</sup>. ორჯონიკიძემ მაშინვე აცნობა ლენინს, რომ საქართველოში „მუშები და ულარობისი გლეხები იარადლებიან“<sup>2</sup> ეს იყო წითელი არმიის ქართული ნაწილების შექმნისათვის მუშაობის დსაწყობი, რაც დიდი წარმატებით დაგვირგვინდა, მაგრამ ამასთან დაკავშირებით, რომ საერთაშორისო რეაქცია (ინვალსელი იმპერიალისტები, მეორე და ორნახევარი ინტერნაციონალი, ქართველი მენშევიკები) კვლავ ცდილობდა რუსეთის საქმეებში ჩარებას. საპართაოლოს ჩამოშორებას რუსეთისაგან, ლენინი შემდეგაც უბრუნდება ამ საკითხს. 1922 წლის 13 თებერვალს ლენინი კვლავ უგზავნის წერილს ორჯონიკიძეს და მას ასეთ დავალებას აძლევს:

„ამხ. სერკო!

ამსოლუტურად აუცილებელია, რომ საქართველოს საბჭოების ყრილობამ მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს წითელი არმიის უძვეელი გაძლიერების შესახებ და რომ ეს გადაწყვეტილება ნამდვილად შესრულდეს...“<sup>3</sup>

საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ 1922 წლის 25 თებერვალს ორჯონიკიძის მოხსენების საფუძველზე მიიღო ასეთი გადაწყვეტილება და ამასთანავე რუსეთის საბჭოთა მთავრობას სთხოვა არ გაეყვანა XI არმიის ნაწილები საქართველოს საზღვრებიდან.

წითელი არმიის ქართული ნაწილების სახით შეიქმნა ძალა, რომელიც იმპერიალისტებს საბჭოთა საქართველოზე თავდასხმის მიდს უყარვდა. წითელი არმია ამასთანავე გადიქცა იმ სახალხო სკოლად, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საქართველოს მშრომელი მასების კულტურის აღმშენებლაში.

ვ. ი. ლენინისათვის იმთავითვე ცხადი იყო, რომ სოციალისტური მშენებლობის ინტერესები მოითხოვდა ამიერკავასიის ხალხთა შორის ერთგვანი შედღას ნაშთების აღმოფხვრას და მათი ძალები გაერთიანებას სამეურნეო-აღმშენებლობით მუშაობაში. ლენინის წერილში

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 32, გვ. 399.  
 2 ვ. ი. ლენინი ტ. 32, გვ. 398-399.  
 3 გაზ. „კომუნისტი“ № 92, 1924 წ. 23 აპრილი.  
 4 გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1957 წ. 19 აპრილი.  
 (გ. მტევენიძის წერილი).

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 32, გვ. 184.  
 2 ვ. ორჯონიკიძე. სტატიები და სიტყვები.  
 1957. ტ. 1, გვ. 211.  
 3 ვ. ი. ლენინი, ტ. 33, გვ. 226-227.

ორჯონიძისაღმის (9 აპრილი) ამის შესახებ ნათქვამი იყო: „დაბეჭდვითი მოვითხოვ შექმნათ სოცლიო-სამეურნეო ორგანიზაციული ამიერკავკასიისათვის“. სოცლიო ორგანიზაციის განვითარება იყო იმისათვის, რომ მის მომართვაში მოეყვანა ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის რესურსები და შესაძლებლობანი. გაერთიანება დაიწყო რკინიგზებითა და საგარეო ვაჭრობით. შემდეგ გაერთიანდა სამეურნეო ორგანიზაციები და ბოლოს მოხდა დროებითი პოლიტიკური გაერთიანება ფედერაციის ფორმით. ამიერკავკასიის ფედერაცია შეიქმნა ბაქოს, თბილისის და ბათუმის მოწინავე მუშების მოთხოვნით, რომელსაც მხარი დაუჭირა აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის შრომელთა ფართო მასებმა.

ფედერაციის შექმნა აუცილებელი იყო, როგორც სამხედრო, ისე მეურნეობრივი თვალსაზრისითაც. საჭირო იყო მენშევიკების ბატონობის დროინდელი ნაციონალიზმის ძლიერი ნაშთების მოსპობა. ვ. ი. ლენინის მოითხოვბათა საფუძველზე საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ მიზნად დაისახა განადგურების ნაციონალიზმი და შექმნას ინტერნაციონალიზმის ქანალი ატმოსფერო ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო დონისძიებათა გაერთიანების საქმის გასაადვილებლად.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის პრაქტიკა დაიწყო ვ. ი. ლენინმა 1921 წლის 28 ნოემბერს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა ეს პრაქტიკა და დაიწყო ფედერაციის პრაქტიკული მშენებლობა.

ამიერკავკასიის ფედერაციამ, თანასწორფედლობის საფუძველზე გააერთიანა საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. ფედერაცია შეიქმნა 1922 წლის 12 მარტს. იმავე წლის დეკემბერში იგი გარდაიქმნა ფედერაციულ კავშირად.

ამიერკავკასიის ფედერაცია იყო დიდი ნაბიჯი სსრკ კავშირის შექმნის გზაზე. სსრკ კავშირი შეიქმნა 1922 წლის 30 დეკემბერს.

ამიერკავკასიის ფედერაციამ 1936 წლამდე იარსება. შეასრულა რა მის წინაშე მდგომი ამოცანები იგი საბჭოების სრულად საკავშირო მერვე საფარვეტო ყრილობის დადგენილების საფუძველზე გაუქმებულ იქნა მის შემდეგ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები უშუალოდ შედიან სსრკ კავშირის შემადგენლობაში.

ვ. ი. ლენინის მამობრივი ზრუნვა ჩვენი რესპუბლიკის მძიმე ეკონომიური მდგომარეობიდან გამოსაყვანად, მუშათა და გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის ამაღლებლად, რესპუბლიკის თავდაცვის უნარიანობის განსამტკიცებლად,

ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის აღსადგენად და მთელი რიგი სსრკ დონისძიებანი, რომლებიც საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ ვ. ი. ლენინის მოითხოვებით განხორციელა, მამართლი იყო იქმნენ, რათა საქართველოს შრომელთა შესაძლებლად წარმოებოდა დაეწყოთ და განეგრძოთ სოციალისტური მშენებლობა, მოეწყოთ სამეურნეო-ეკონომიური თანამშრომლობა, დირსებული ადგილი დიქვირათ სსრკ კავშირის ხალხებს შორის თავიანთი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებით.

იმ დროს, როცა საქართველოში მენშევიკების ბატონობა დაემთო და ქართველი ხალხის ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო. საბჭოთა ქვეყანა გამოდიოდა სამოქალაქო ომის მდგომარეობიდან და იწყებდა მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლას, ძალაში შედიოდა ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც 1921 წლის მარტში მიიღო პარტიის X ყრილობამ.

ვ. ი. ლენინმა პარტიას ამოცანად დაუბაძა სსრკ კავშირის ხალხთა უფლებრივი თანასწორობის განმტკიცება ფაქტობრივ თანასწორობით. უფლებრივი თანასწორობა გამოკვადებული იქნა საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტებით. მაგრამ ეს დეკრეტები დაყარავდნენ თავიანთ მნიშვნელობას თუ ისინი არ დაეყრდნობოდნენ ხალხთა ფაქტობრივ თანასწორობას. ხალხთა ფაქტობრივ თანასწორობის მოსაპოვებლად კი პარტიას ხანგრძლივი მუშაობა ელოდა. ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ დამყარებულყო ყოფილი ვაბატონებული ერის მუშათა კლასის სწორი ურთიერთობა მეფის ყოფილი კოლონიების გლეხობასთან ყველა საბჭოთა რესპუბლიკის შრომელთა ძალისხმევით გააერთიანებლად სოციალისტისათვის ბრძოლაში. ამ ამოცანის ორგანული ნაწილი იყო ხალხთა ეკონომიური და კულტურულ განვითარებაში ფაქტობრივ თანასწორობის მოსპობა.

ყვრდნობა რა ვ. ი. ლენინის ამ მოითხოვბებს, პარტიის მე-10 ყრილობამ, რომელმაც მოისმინა ი. ბ. სტალინის მოხსენება პარტიის მორიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში, დასახა ჩამორჩენილი ხალხებისადმი დახმარების დიდი პროგრამა. „ნაციონალური საკითხის არს იმაში მდგომარეობს, — ამბობდა ი. ბ. სტალინი ყრილობაზე, — რომ მოვსპობო ზოგიერთი ერის ის ფაქტობრივ ჩამორჩენილობა (სამეურნეო, პოლიტიკური, კულტურული), რომელიც მათ მეშვიდობად გადაეცათ წარსულისაგან, რომ საშუალება მიეცეთ ჩამორჩენილ ხალხებს დაეწიონ ცენტრალურ რუსეთს სო-

1 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, გვ. 437.

ხელშეწყობრივადაც, კულტურულადაც და მეურნეობრივადაც.<sup>1</sup> პარტიის მე-10 ყრილობის მიერ შემუშავებული პროგრამა უწინარეს ყოვლისა ითვალისწინებდა წინათ ჩამორჩენილ ერებში მრეწველობის კერების შექმნას და ადგილობრივი პროლეტარული კადრების აღზრდას, ითვალისწინებდა აგრეთვე ეროვნული კადრების მოზადებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის.

ეს ამოცანები მეკეთორად დიანახა საბჭოთა საქართველოს წინაშეც, მაგრამ საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საქართველოს მშრომელების გზა, ისე როგორც ამიერკავკასიის მშრომელთა გზა, განათებულია ვ. ი. ლენინის მიერ უშუალოდ მათთვის დასახული ამოცანებით.

„ნათი, მარგანეცი, ქვანახშირი (ტყუარჩელის მდარეობები), სპილენძი — ასეთია უდიდესი სამთაშენი სიდიდრეთა ოდნავდაც არასრული სია“<sup>2</sup> — მიაგონებდა დიდი ბელადი კავკასიის კომუნისტებს, რათა ხელი მოეყიდათ მათი გამჭოვლებისათვის.

ნათი ეს ბაქოს ნავთობია, რომელიც მაშინ საბჭოთა სახელმწიფოსთვის უდიდესი მთელი საბჭოთა ქვეყნისათვის. ლენინის წინადადებით ბაქოში ჩაეიწყო სპეციალისტთა კომისია, რომელშიც შეიმთხვეა ბაქოს ნავთობის სარეწია აღდგენისა და გაფართოების ღონისძიებანი. არკუბობს ლენინის მიერ ხელმოწერილი ათობით დოკუმენტები, მოითხოვანი, განკარგულებანი, რომლებიც ბაქოსაღმე მშრეწველობის შეეხება. დიდი ბელადის ყურადღების შედეგად ბაქოს დროულად გაეწეა ტექნიკური და მატერიალური დახმარება, რამაც უზრუნველყო ნავთობის წარმოების უმაგალითო გადიდება.

მარგანეცი ეს ქიათურის განთქმული მადნეულია. საბჭოთა ხელისუფლებამ იგი საეალალო მდგომარეობაში მიიღო. არ მუშობდა არც ერთი გამამდიდრებელი ფაბრიკა, რომელთა რიცხვი 1916 წელს 22-ს შეადგენდა, შეწყვეტილი იყო მადნის როგორც ამოღება ისე მისი გატანაც მთხედვად ამისა ლენინს მიაჩნდა რომ ქიათურის მარგანეცს უკვე მაშინაც დიდი სამსახურის გაეწეა შეეძლო ახლავარდა საბჭოთა საქართველოსათვის. ვლადიმერ ბონებრტევიჩი თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ ლენინი დიდ მოშავალს უწინასწარმტყველებდა ქიათურის მარგანეცს.

ვ. ი. ლენინმა იცოდა ქვანახშირის დიდი მარაგის შესახებ საქართველოში. ვ. ი. ლენინის სიცოცხლეში იქნა დასახული ის დიდი ამოცანა, რომ საქართველომ უნდა დაეკმაყოფი-

ლოს ქვანახშირით მთელი ამიერკავკასიის მოთხოვნილება.

ასევე ითქმის სპილენძისა და სპილენძის წიაღისეულის შესახებ.

ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ელექტროფიკაციას. ელექტროფიკაციად ლენინი თვლის არა ცალკეულ ელექტროსადგურების აშორებულად, აგებას, არამედ მთლიანად მთელ სახალხო მეურნეობასთან, ტრანსპორტთან, სოფლის მეურნეობასთან, რომლებიც ასე თუ ისე, პირდაპირ თუ არა პირდაპირ დაეკავშირებულია ელექტროფიკაციის საქმესთან.

ვ. ი. ლენინი არა მარტო დაეაღებებს იმდროულად, არამედ ყველა ზომებს იღებდა ამ დაეაღებათა შესასრულებლად. მავალითად, ცნობილია, რომ მისი წინადადებით რუსეთის სფსრ მთავრობამ სპეციალური კომისია გამოეწავა საქართველოსა და აზერბაიჯანში თეთრი ნახშირის რესურსების შესასწავლად. მარტო ზემოეკავალის პიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის, რომელიც 1922 წელს დაიწყო ლენინის წინადადებით, საბჭოთა მთავრობამ 3 მილიონამდე მანეთი გაიღო ოქროთი.

ვ. ი. ლენინის გენია გადაწვდა საქართველოსა და მთელი კავკასიის სოფლის მეურნეობის საქათხებას. 1921 წლის 14 აპრილის წერილში „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დასტანის და მოთელთა რესპუბლიკის ამაწავაკომუნისტებს“, ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს გლეხთა მდგომარეობას და სახავს იმ ღონისძიებებსაც, რომლებსაც რეალური შედეგის მოცემა შეეძლოთ ამ დარგში.

„ერთაშაღ ვეაღეთ — აღნიშნავს ლენინი ამ წერილში, — გათმობებსით გლეხთა მდგომარეობა და დაწყეთ ელექტროფიკაციის, მოწყვეცის დიდი სამეშაოები“ და აქვე ლენინი იმდევა მორწყვის უდიდესი მნიშვნელობის განსაზღვრას: „მორწყვა, — წერს ის, — ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო ვარდაქმნის მხარეს, ააღორძინებს მას, დაასაშარებს წარსულს, განამტყვეებს სოციალიზმზე გადასვლას“.<sup>3</sup>

გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესება, როგორც ცნობილია, მოიცავს სოფლის მეურნეობის ყველა დარგს და, მასთანადავე, ლენინი მხედველობაში აქვს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარება.

დაახლოებით ასეთია ის ამოცანები, რომლებიც ლენინმა საქართველოს კომუნისტური პარტიის სოციალისტური მშენებლობის დარგში დაუსახა.

საქართველოს კომუნისტური პარტიისა და

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 5, გვ. 42.  
 2 ვ. ი. ლენინი, ტ. 32, გვ. 395.  
 3 ეურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“, № 8, 1953 წ. გვ. 18-19.

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 32, გვ. 400.

საქართველოს მშრომელთა 46 წლის თავდა-  
დებული მუშაობის შედეგები ნათლად ადს-  
ტრებენ, რომ ე. ი. ლენინის მიერ დასახული  
ამოცანები, ისე როგორც სხვა მოკავშირე რეს-  
პუბლიკებში, წარმატებით შესრულდა საქარ-  
თველოშიც. ამას მოწმობენ ის დიდი მიღწევე-  
ბი, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკას ამჟამად  
ვახანია სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

იმ დროს, როცა ლენინი თავის გენიალურ  
მითითებებს აძლევდა საქართველოს, ამიერკავ-  
კასიისა და მთელი კავკასიის კომუნისტებს,  
საქართველო, ისე როგორც მთელი კავკასია,  
ეკონომიკრად ჩამორჩენილი აგრარული ქვეყა-  
ნა იყო. მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხე-  
ლისუფლების არსებობის 46 წლის მანძილზე  
მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. საქარ-  
თველო იქცა დიდად განვითარებული მრეწვე-  
ლობის, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნე-  
ობისა და მაღალი კულტურის ქვეყნად.

იმ დროს, როდესაც ე. ი. ლენინი თავის  
გენიალურ მითითებებს იძლეოდა, საქართვე-  
ლოსა და ამიერკავკასიაში კიდევ საგრძნობ-  
იყო ბერძნუფიელ-ნაციონალისტური მთავრო-  
ბის დროიდან გაღმოსული ეროვნული განკერ-  
ძობელობა და ე. ი. ლენინი ყველა ზომებს  
იღებდა, რათა რაც შეიძლება მალე აღმოფხვ-

რილიყო კაპიტალიზმის ეს საზიზღარი გაღმო-  
ნაშთი. იგი იმედს გამოსთქვამდა, რომ კვე-  
სიაში შეიქმნებოდა „ბერძნუფიელ-ნაცი-  
ონალური და ბერძნუფიის დროა შექმნილი  
ეროვნული მშვიდობიანობის ნიშნები“.<sup>1</sup>

ასოულდა დიდი ბელადის წინასწარხედვა!  
დიდი ხანია, ეროვნული მშვიდობიანობის ნი-  
შნები არა მარტო კავკასიის საბჭოთა რესპუბ-  
ლიკები, არამედ მთელი საბჭოთა ქვეყანა, რო-  
მელიც თანასწორუფლებიან ხალხთა მძლავრ  
კავშირსა და ერთიანობას წარმოადგენს.

ე. ი. ლენინის მიერ დასახული ამოცანების  
ცხოველყოფილობა და აქტუალობა დიდია  
ამჟამადაც. ის გზის მანათობელ შექერას წარ-  
მოადგენს კომუნისტებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რეს-  
პუბლიკის ბრწყინვალე მიღწევები კომუნის-  
ტურ მშენებლობაში, მისი მრეწველობის,  
სოფლის მეურნეობისა და კულტურის აყვავე-  
ბა, მშრომელთა კეთილდღეობის განუწყვეტე-  
ლი ზრდა თვალსაჩინოდ მოწმობს, რომ მხო-  
ლოდ ლენინის მიერ ნაჩვენები გზით ხელსა,  
მხოლოდ სოციალიზმსა და კომუნისტურ შეუჭ-  
ლია იხსნას ხალხები კაპიტალიზმის უღლისა-  
გან და შეუქმნას ბედნიერი ცხოვრება!

<sup>1</sup> ე. ი. ლენინი, ტ. 32, გვ. 397.



პიოკგი რომიძე

## ზოგადკაცობრიული, ინტერნაციონალური უკუღებულობის, ინტერნაციონალური და პროფესიონალური ღირსების პენალობები

3

ზოგადკაცობრიული, ინტერნაციონალური და პროფესიონალური-უკუღებულობის წარმოშობილი პარაზონია, ერთი კამუზის ორი სიშია, არწივის ორი ფრთაა, ურომლისოდათ არც სიმღერა შეიძლება და არც სივრცეში ფრენა. „არწივი, რომელიც თავისი მთებიდან არ მიფრინავს შორეულ სივრცეებში სანაგარდოდ, — წერდა რ. გამსაატოვი, — არწივი კი არა, მხოლოდ წიწილია. ხოლო ის ფრინველი, რომელიც შორეული სივრცეებიდან არ ბრუნდება მშობლიურ ბუდეში, ასევე, არა თუ არწივი, თეთრი ყვავიცი კი არაა“.<sup>1</sup>

გაბედული, შემართებული ღრმა აზრი, ნიჭი და უნარი დაინახო არა მარტო პატარა სივრცე სარკმლის წინ გაშლილი, არამედ სამყაროს შორეული სივრცეები — აი რა ასხამს ფრთებს შემოქმედებას და აპყავს იგი მაღლა. მაგრამ ამ მოპოვებულ სიმალეს უნდა ჰქონდეს საიმედო სულიერი და ემოციური საყრდენები მიწიერ ყოფიერებაში, კონკრეტულ, ადამიანურ, ეროვნულ ნიადაგში, რომელმაც აღმოაცენა მწერალი და გაიყვანა იგი მსოფლიო ხელოვნების ორბიტაზე. თუ მარტო საკუთარ ბოსტანში ბარავ მიწას და ირგვლივ არ იხედები, მთავარს ვერ დაინახავ, ვერ იგრძნობ ცხოვრების მთელ ბუმბერაზობას, სირთულეს და მთლიანობას, ვერ მოუხმენ დროის გულისცემას. მაგრამ საშიში და

სახიფათოა უკუღებულობა საკუთარი ენა, კულტურა, ხალხი, ისტორია, ყველაფერი ის, რამაც შენ მოგცა გული, გონება, მხედველობა, სიცოცხლე.

შველევართა ერთი ჯგუფისათვის ეროვნულია ის, რაშიც არ შეიძლება იყოს ინტერნაციონალური, რაც უაღრესად სპეციფიკურია, რაც სხვას არ ჰგავს და არ გააჩნია არავითარი შეხების წერტილი სხვა ეროვნულ კულტურებთან. კრიტიკოსთა მეორე კატეგორიისათვის ინტერნაციონალურია ის, რაც აბსოლუტურად გაუმწიფილია ეროვნულისაგან და თავის თავში შეიცავს მხოლოდ და მხოლოდ ზოგადს, საყოველთაოს, უნივერსალურს, რაც საყვებით თავისუფალია ეროვნულის ყოველგვარი ნიშნისაგან. მაგრამ ხელოვნებაში არ არის და არც შეიძლება იყოს ასეთი დაყოფა, ერთ თვისებებთან მეორე თვისებების ასეთი დაპირისპირება.

მიემართოთ მაგალითს კინოხელოვნების სფეროდან. რეჟისორ რ. ჩხეიძის კინოფილმმა „ქარისკაცის მამამ“ მსოფლიოს საზოგადოებრიობის მოწონება დაიმსახურა, ხოლო ამ ფილმის მთავარი როლის შემსრულებელი ს. ზაქარაიძე დააგვირგვინეს უმაღლესი ჯილდოთი — ლენინური პრემიით.

რამია ფილმის გმირის — გიორგი მახარაშვილის მომზიბლობა? განა წარმოსადგენია ერთი მეორის საწინააღმდეგო ორ მხარედ გაგვევითო ეს კოლორიტული, თვითმყოფი, მკვრივი სახე — ესე იგი, ცალკე

<sup>1</sup> «Литературная газета», 1965 წ. 6 მარტის ნომერი.

განვიხილოთ ამ ბერიკაცის წმინდა ეროვნული, განმასხვავებელი მხარეები და ცალკე — საყოველთაო, ზოგადი, ინტერნაციონალური მხარეები? დიას, გიორგი მახარაშვილს ვერ არ ვერც რუს და უკრაინელ, ვერც კახაკ და მოლდაველ, ვერც თურქმენ გლეხში. მის სახეში უმაღლეს ცნობ ქართულს ყოფაცქვევას მრავალი, საკუთრად მისთვის ჩვეული ნიუანსებით, ჩაფიქრებით, ფსიქოლოგიური და ემოციური თავისებურებებით. მაგრამ მახარაშვილის ხასიათში არ არის არაფერი სამუხეუმო, არაჩვეულებრივად ეთნოგრაფიული, პატრიარქალურად გაყინული და გაქვევებული. ჯარისკაცის მამაში ფეთქავს საბჭოთა ადამიანის, კეთილი და ამასთან მკაცრი საბჭოთა ადამიანის დიდი სათუთი გული და გული მამულიშვილისა, რომელიც ებრძვის მტერს თავგანწირვით, „სიძულვილის მთელი ძალით“. ეროვნულად თავისებური და განუყოფელი მახარაშვილის სახეში გაუთიშავად შედუღებულა მისი ნატურის, მისი მსოფლმეგრძნების და შეხედულებების საერთო საბჭოურ თვისებებთან. მახარაშვილის მომხიბლაობის საიდუმლო სწორედ ამასია — მისი ხასიათის ღრმა თვითმყოფობაში და საყოველთაობაში, ხასიათისა, რომელიც არ ექვემდებარება მექანიკურ დაყოფას.

სწორად წერდა ტაჯიკეთის სსრ სახალხო არტისტი ბ. კიმიანგროვი: „...მხატვრული სახის ეროვნული შეფერილობის, ეროვნული გარკვეულობის ძიება არ უნდა იყოს თვითმიზნური, ცოცხალი ადამიანური ხასიათის მთელი სიმართლის ძიებისაგან მოწყვეტილი. ამას ბრწყინვალედ ადასტურებს, კერძოდ, უკანასკნელ დროს ისეთი შესანიშნავი აქტუალური ქმნილებები, როგორც არის ქართული კინოს შესანიშნავი ოსტატის ს. ზაქარაძის როლი ფილმში „ჯარისკაცის მამა“, როგორც ყირგიზი მსახიობის გ. ბეიმენალიევის მიერ შექმნილი მასწავლებლის დიუმენის სახე, როგორც ლიტველი არტისტის დ. ბანიონის მიერ შესრულებული ვაიტკუის როლი სურათში „არავის არ უნდოდა სიკვდილი“, როგორც ტაჯიკი მსახიობის ზ. დუსმატოვის მიერ განსახიერებული მთავარი რო-

ლი ფართო მაცურებლისათვის ჯერ კიდევ უცნობ, ტაჯიკი ფილმის მიერ დადგმულ სურათში „მეგახსის სიკვდილი“<sup>1</sup> ეროვნული არ არსებობს ადამიანურის გარეშე, ხოლო ადამიანური სოციალურის გარეშე. მხოლოდ ის მხატვრული სახე აღწევს შემოქმედების დიდ იდეურ-ემოციურ ძალას, რომელშიც ყველა ეს თვისება ცოცხლობს არა ერთი მეორის შემდეგ, არამედ დუნაწევრებულ ერთიანობაში ისე, როგორც ეს არის ცხოვრებაში, და სხვაგვარად არც შეიძლება იყოს.

მხატვრული სიტყვის ხელოვანი (ასევე კინორეჟისორიც, კომპოზიტორიც, ფერმწერიც) მაშინ ამუშავებს ნაციონალურ საღებავებს, იმ შემთხვევაში მიმართავს წინასწარგანზრახულ კოლექციონერობას ამ საღებავებისას, როცა მას არ ყოფნის ძლიერი გამომსახველი საშუალებანი დიდი სახალხო ხასიათის — მოაზროვნე, ცხოვრებაზე ღრმად დაფიქრებული, გონებრივად ამალეებული სახალხო ხასიათის შესაქმნელად.

დაიჭირო თავისებური ფსიქოლოგიური, ეროვნულად ინდივიდუალური თვისებები, ვთქვათ, ინდუსტრიული მუშის, მეფოლადის, სწავლულ ფინიკოსის, თუ მათემატიკოსისა, რასაკვირველია, ბევრად უფრო ძნელი და რთულია, ვიდრე იგივე თვისებები უპოვო მივარდნილ-მიყრებული სოფლის მცხოვრებს. აქ თვით გარემოცვა, ბუნების პირობები, ყოფითი ვითარება ისეთია, რომ წარმოშობს განუყოფლობის, თვითმყოფობის შეგრძნებას. თავის-თავისადმი ნაკლებ მომთხოვნი მხატვარი კმაყოფილება მოვლენათა გარეგნული მხარის წარმოსახვით, ამაზე გადააქვს ამოცანის მთელი სიმძიმე. ამის შედეგად ვლენულობთ არა ცხოვრების გამოკვლევას, არამედ მისი, ყველაზე მკვეთრი, ყველაზე მკაფიო, „თავისთავად მეტყველი“ მხარეების უბრალო ფოტოგრაფირებას. ეროვნული საღებავების სიუხვე და სიჭრელე, ამ შემთხვევაში, მოწოდებულია შესცვალოს თანამედროვე ადამიანის სულიერი ცხოვ-

<sup>1</sup> ვაზ. «Советская культура». 1967, 17/1.

რების დიალექტიკა. როცა იგივე მხატვარი იწყებს თანამედროვის, ვთქვათ, მეცნიერის, კონსტრუქტორის, მფრინავის ესე იგი, ისეთი პიროვნების სახის გამოკვეთას, რომლის ეროვნული თვისებები უმაღლე თვალში არ გვეცემა, იგი (მხატვარი) ვარდება ასალ უკიდურესობაში, — ცვლის არქაულ ილუსტრირებას და კოლექტიონურობას სრული უსახებოთ. მის მიერ შექმნილი ხასიათები პირწმინდად კვარკავენ ეროვნულსა და საერთოდ ადამიანურ გარკვეულობას. ისინი ჩვენს თვალ წინ ჩანან პირობით ფიგურებად, ჩვენი თანამედროვის პირობით გამოსახულებად, რომელსაც არ გააჩნია არაფერთარი გამოსარჩევი თვისება და თავისებურება. ეს ხდება იმის გამო, რომ მხატვარს, ხელოვანს არ აქვს უნარი, ან სურვილი გასცილდეს ჩვეულ სქემებს, სტანდარტებს, მოძველებულ წარმოდგენებს ეროვნული ხასიათის შესაძლებლობაზე და ფარგლებზე. ზოგიერთებისათვის ეროვნული ხასიათი არის მხოლოდ ერთი რომელიმე ერისთვის დამახასიათებელი, დანარჩენი ერების გამოცდილებაში განუმეორებელი თვისებების შეფასება. მათთვის არ არსებობს ხასიათის არაფერთარი თვითმყოფი თვისება; არის მხოლოდ რაღაც საყოველთაო, ზოგადი ხასიათი, სავსებით ერთგვარი და ერთნაირი ყველა თავისი „ეროვნული ვარიანტი“. ეროვნული თვისებების ასეთ შეტაფიზიკურ გაგებას თან სდევს ილუსტრაციულობა, ეროვნული ყოფიერების გარდასული და წარმავალი მხარეების სკრუპულოზური წარმოქმნა. ეროვნულად იგულისხმება ის, რამაც ერთბაშად და მკვეთრად უნდა გამოაჩინოს თავი, როგორც ერთადერთმა და განუმეორებელმა, ხოლო მეორე მხრით, თანამედროვე ადამიანის ასახვისას, ეროვნული ქრება სრულიად, რადგან გამოუკვლეველი რჩება მისი გამოვლინების ახალი რთული ფორმები. ხდება ასეც: ნაციონალური რომ შეინარჩუნონ, და არ დაიკარგოს ნოვატორული თანამედროვე ადამიანის ხასიათში, მიმართავენ ასეთ საშუალებას: ძველი ფსიქოლოგიური და მხატვრული არსენალიდან მოტანილ ეროვნულ თვისებას, როგორც სამკაულს, ჩამოკიდებენ ხოლმე თანამედროვე გმირს

და ასე ლამობენ მიიღონ ეროვნულიც და თანადროულიც. ბევრი ლაპარაკობს არქაულად იმის მტკიცებას, რომ აქედან გამოდის სულ საწინააღმდეგო შედეგი.

ყველაზე უფრო ძნელი ხელოვნებაში — ეს არის შექმნა ჩვენი დღეების გმირის სახე მისი ადამიანური, ეროვნულ-სოციალისტური ერთიანობით. ეს ამოცანა ჯერ კიდევ მთლიანად გადაწყვეტილი არ არის.

ცალკეულ მკვლევარებს არა სავსებით სწორად და ზუსტად ესმით მხატვრული სახის შინაგანი ერთიანობა და დაუნაწევრობა. ეროვნულად განმასხვავებელ თვისებებს ისინი თიშავენ საზოგადოებრივ-სოციალურ ნიადაგს, რომელმაც მათ სიცოცხლე მიანიჭა და სორცი შეასხა. ეროვნულად განსხვავებული მათთვის რჩება რაღაც გარეგნულ-უცვლელ ატრიბუტად, რომლის მიგნება და გამოცნობა უადრესად იოლი საქმეა. ისინი ანგარიშს არ უწყვენ ეროვნულის მოძრავ ბუნებას, რომელიც ცხოვრების ახალი ვითარების შესაბამისად ცვლის თავის გამოვლინების არა მარტო ფორმებს, არამედ არსსაც.

ლიტერატურისმცოდნე ა. ოფარენკო ეკამათებოდა რა ამ სტრიქონების ავტორს, წერდა: „ტყუილად ვერ ბედავს გ. ლომიძე თქვას: ხასიათის ეროვნული თვისებებებანი გლინდებიან არა მარტო უნაში და ზნე-ჩვეულებებში, არამედ ემოციურ და ფსიქოლოგიურ წყობაში, აზრის ფიგურალობაში, გრძნობის ნახატში, პოეზიონ რა უნატიფეს ასახვას მათი გამოთქმის ყველა ფორმაში. მათი მიგნების და მხატვრულად გადმოცემის უნარი — არის ყველაზე ძნელი უნარი, მაგრამ უამისოდ არ ყოფილა და არც შეიძლება ოდესმე იქნეს ნამდვილი ხელოვნება.“

რა თქმა უნდა, რამდენადაც ჩვენ წინ მივდგართ კომუნიზმისაკენ, იმდენად ხდება ეროვნული ფორმების ურთიერთდაახლოება. მაგრამ, ჯერ ერთი; დაახლოება არ ნიშნავს ნიველირებას და თანდათანობით კვდომას; მეორე, დაახლოების პროცესი რთული, ძალიან ხანგრძლივი პროცესია. ყოველივე დაძველებულისა და დრომოჭმულისაგან ეროვნული ფორმების განთავისუფლებასთან ერთად, ამ ფორმებში ხდე-

ბა ყოველივე ნაყოფიერის და ნამდვილად თავისებურის სწრაფი განვითარება. ინტერნაციონალური და ეროვნული ურთიერთს კი არ ებრძვიან, როგორც ეს წარმოუდგენიათ ი. ანდუნასს და ი. გრეკულს, ერთი როდი აძეგებს მეორეს, არამედ მოქმედებენ ურთიერთზე, ამდიდრებენ ერთმანეთს<sup>1</sup>.

კრიტიკოსი, რომელმაც საერთოდ სწორი აზრები გამოთქვა, ვარდება ამკარა წინააღმდეგობაში. დავეთანხმეთ მას, რომ ხასიათის ეროვნული თავისებურებანი ვლინდებიან ენაში, ზნე-ჩვეულებებში, ემოციურ და ფსიქოლოგიურ წყობაში, აზრის ფიგურალობაში, გრძნობების ნახატში, პპოვებენ რა უნატიფეს ასახვას მათი გამოთქმის ყველა ფორმაში. ბუნებრივად აღიძვრის კითხვა: რაშია ეროვნულისა და ინტერნაციონალურის ურთიერთზემოქმედების და გამდიდრების პროცესის კონკრეტული დიალექტიკა და არსი? ურთიერთმოქმედებასა და ურთიერთგამდიდრებაში განა არ ხდება ეროვნულად განსხვავებული თვისებების, მათი გამოვლინების და არსებობის ფორმების ერთგვარი გარდაქმნა? თუ ეროვნული ვითარდება ინტერნაციონალურთან ერთიანობაში, მაშინ ეს ერთიანობა, როგორც ჩანს, ნიშნავს გამდიდრებას, როგორც ინტერნაციონალურისა, ასევე ეროვნულისაც. სხვაგვარად, არ იქნებოდა ურთიერთზემოქმედება მათ შორის. მაშასადამე, თვით ნაციონალურს სცილდება, შორდება რაღაც ნიშნები და მასში ჩნდება ახალი, ძველის მიუმსგავსებელი ნიშნები. ემოციური და ფსიქოლოგიური წყობანი ისტორიული, დინამიურად განვითარებადი კატეგორიებია და არა ერთ ადგილზე გაყინული, გაქვავებული ცნებები. ცხოვრების პირობების, სოციალური ვითარების ცვლილება თავის შემოქმედებას ახდენს ადამიანთა ემოციურ და ფსიქოლოგიურ წყობაზეც. გავეცნოთ უფრო ახლოს ალტაელი პოეტის ლაზარ კოკიშვიის ნაწარმოების („პოემა ელამ ტუბას შესახებ“) გმირს. ტუბა გახლდათ გაუბედავი, მშვიდობიანი, მორჩილი, თვინიე-

რი ეაცი. ადგილობრივი თავადები სარგებლობდნენ რა მისი გულკეთილობით და უბოროტო ხასიათით, დაუნდობელ ექსპლოატაციას უწევდნენ მას. მაგრამ სოციალისტურმა რევოლუციამ გააღვიძა ტუბაში ადამიანი, გამოავლინა მასში არაჩვეულებრივად მდიდარი სულიერი ძალა. იგი ხდება მამაცი მეთმარი, გულადი შურისმგებელი, თამამად მოლაპარაკე, ჭკვიანი და გამჭირავი. ტუბას ემოციურ და ფსიქოლოგიურ წყობაში მისდა მძაფრი ძვრები, შეიცვალა მისი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, ადამიანური ყოფიერების მრავალი მხარისადმი. ყოველივე ამის შემდეგ, ტუბა როდი გამხდარა ეროვნული თავისებურებების ყოველგვარ ნიშანს მოკლებულ რაღაც ზოგად პიროვნებად, იგი დარჩა ალტაელად, მაგრამ რამდენადმე სხვაგვარი ემოციური და სოციალური ტიპის ალტაელად. თუ ადამიანის ემოციურ და ფსიქიურ წყობას განყენებულად, მისი მოძრაობის და კანონზომიერი გარდაქმნის გაუთვალისწინებლად, განვიხილავთ, გარკვეულ სიძნელის წინაშე აღმოჩნდებით. რა კრიტიკიუმი უნდა გამოვიყენოთ ტუბას მიმართ, მისი ეროვნული ხასიათის გამოსარკვევად? ტუბამ თვითგანვითარების გრძელი გზა გაიარა მანამდე, სანამ ისეთი ადამიანი გახდებოდა, რომელიც რამდენადმე უკვე აღარ ჰავეს წინანდელ ტუბას. რომელ ვითარებაში არის იგი უფრო ეროვნული: თვინიერების და მორჩილების მდგომარეობაში, თუ ბრძოლის და ახალი ყოფის შექმნის ვითარებაში? ცხოვრების დაუცხრომელი მდინარება ბევრ რამეს ცვლის ადამიანის ფსიქიკაში, ზნეჩვეულებაში, გრძნობებში, აზრებში, ამკვიდრებს ახალ ზნეობრივ ნორმებს და წარმოადგენებს.

დარგოელი მწერლის ახმედზან აბუ-ბაკარის მოთხრობის „ჩვეულის“ გმირი—მოხუცი მთიელი ბადავი გაოცებით აღიარებს: „იმ ხანებში მე ვნახე კიდევ ისეთი რამ, რასაც ჩემს ყმაწვილობაში არაფრის გზით არ დავიკვირებდი. მე დავინახე, რომ დარგოელი ქალიშვილები და დედაკაცები პატივისცემით ეკიდებოდნენ ჯიგიტის არა სიჩაუქეს, არამედ მის შრომისმოყვარეობას, მის განს-

<sup>1</sup> «Дружба народов», 1965, № 9, с. 239.

წავლულობას, მის უნარიანობას, რაც იმა-  
ლება ახალ, წინათ მათთვის უცნობ ცნება-  
ში „კვალფიციანა“. ჩემს სიჩაუქეს, ჩემს  
უნარს—შევსვა სხვა მამაკაცზე სამჯერ მე-  
ტი ღვინო, არაფრად არ ავღებუნ ჩვენი თა-  
ნამედროვე ქალები და ქალიშვილები“.

ბადავის ეს აღსარება მნიშვნელოვან აზრს  
შეიცავს. იცვლება ცხოვრება, მისი შინაარ-  
სი. ამისდა შესაბამისად ცვლილებას განიც-  
დის ადამიანთა ფსიქოლოგიური წყობის  
ზოგიერთი არსებითი თვისება, მათი წარ-  
მოდგენები, ჩვეულებანი, ადამიანთა მოქ-  
მედების მორალური ღირებულების შე-  
ფასება. საიდუმლო არ არის, რომ ცალ-  
კეული ზნე და ჩვეულება, რომე-  
ლიც წარსულში ცხოვრების გარემოებათა  
ძალდატანებით შეიქმნა, ავტომატურად  
როდი ხდება ხალხის ეროვნულ თავისებუ-  
რებად და როდი ქმნის ხალხის ეროვნულ  
არსს. უფრო სწორად, მათი მიხედვით რო-  
დი უნდა ვიმსჯელოთ ეროვნული ხასია-  
თის სპეციფიურობის შესახებ. თუ საკითხს  
ზედაპირულად მივედგებით, სადავო არა-  
ფერია. ის, რითაც გამოირჩეოდა და გა-  
მოირჩევა ამა თუ იმ ეროვნების ადამიანი,  
სწორედ ის არის მისი და მისი ერის და-  
მახასიათებელი ეროვნული თავისებურება.  
ახლა ვეძებთ ამ თავისებურებათა ფესვე-  
ბი? სად, რა ნიადაგზე აღმოცენდებიან  
ისინი, რა ფაქტორები წარმოშობენ მათ?  
შეესაბამებიან თუ არა ისინი ფართო ის-  
ტორიულ პოზიციიდან განხილულ ერის  
ზნეობრივ ფიზიონომიას? არ შეესაბამე-  
ბიან. ყოველ შემთხვევაში არა ყოველთ-  
ვის!

ჯერ კიდევ ოცდაათიან წლების დამდეგს  
გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში ადი-  
ლემა მწერალმა თ. კერაშვილმა გამჭირა-  
ხი თვალთ შენიშნა განსხვავება ეროვნუ-  
ლი ხასიათის ბუნებრივ, ისტორიულად ნორ-  
მალურ მხარეებსა და ეგრეთწოდებულ  
ეროვნულ ფსიქოლოგიის იმ მხარეებს შო-  
რის, რომელნიც თავზე მოხვეული აქვს  
ხალხს გარედან, მისი მძიმე საარსებო პი-  
რობების წყალობით. თ. კერაშვილი წერდა:  
„ადიდებების ისტორიული წარსული —  
მხედრულ-ლაშქრული ცხოვრება, მეომ-  
რულობა, ყოფითი სიღატაკე, საწარმოთ —

ნაყოფიერი შრომისაგან განაპირება — არ  
ყოფილა მათი ეროვნული თვისება, რომ-  
გორც ამის დამტკიცებას ლამობდნენ რუ-  
სი იმპერიალისტები. ეს იყო ცხოვრების  
იძულებითი პირობები“. არაკანონზომიე-  
რიან განვიხილოთ ადამიანთა ფსიქიური  
და ემოციური წყობა, როგორც ერთხელ და  
სამუდამოდ დადგენილი, უძრავი და ერთ-  
ნიშნოვანი რამ. არა სწორი იქნებოდა, ერ-  
ოვნულად თავისებური გვეძებნა მხოლოდ  
თვალსისაცემ მხარეებში, ადამიანთა მკვე-  
თიად და შიშვლად გამორჩეულ თავისე-  
ბურებებში. საბჭოთა საზოგადოებრივ წყო-  
ბილების ვითარებაში, ადამიანის ხასიათში  
ეროვნულად განსაკუთრებული ხდება  
მრავალფეროვანი და ფაქიზი თავისი გამო-  
ვლინების ფორმებით. ეროვნული ორგანუ-  
ლად ერწყმის სოციალისტურს და ღებუ-  
ლობს მისგან ახალ იმპულსებს შემდგომი  
მოძრაობისათვის. დიდად მნიშვნელოვანია  
დავიჭიროთ, შევამჩნიოთ ეს დიალექტიკა,  
ეროვნულის ეს ცოცხალი კავშირი ცხოვ-  
რებისეულ ფაქტორებთან და გარემოებებ-  
თან, რომლებიც მასზე მოქმედებენ, შეაქვთ  
რა ეროვნულში ნოვატორული თვისებები.

კრიტიკოსი ი. კარასევი შეეხო მნიშვნე-  
ლოვან საკითხს — ერთიანი ინტერნაციო-  
ნალური კულტურის შექმნის გზების სა-  
კითხს, სტატიაში „აყვავება დაახლოების  
საშუალებით“, იგი წერდა: „ისმება კით-  
ხვა, როგორ, რა გზით მივაღოთ ყველა  
ერისათვის საერთო ინტერნაციონალურ კუ-  
ლტურამდე, თუ შემიძინება, დავიცავთ  
და განვაავითარებთ მხოლოდ იმას, რაც  
ასხვავებს ერთ კულტურას მეორისაგან? ეროვნულ  
კულტურებში ეროვნულის „დაგ-  
რობების“ პროცესი ხომ შეიძლება დაუს-  
რულებლად გაგრძელდეს? თუ წინასწარ  
არის ნავარაუდები, რომ, როცა ბოლოს  
დადგება ყოველი კულტურის აყვავების  
მომენტი (თუმცა როგორ გაავარკვიოთ, უკ-  
ვე დადგა თუ არა ეს მომენტი, და როგორ  
მივხედეთ, რომ ეს კულტურები, რომელ-  
თაგან თვითეული თავის თავად, დამოუ-  
კიდებლად ვითარდებოდა, მაინც „მომწი-  
ფდნენ“ დაახლოებით ერთი და იმავე  
დროისათვის), მათი შეერთებით შეიქმნება  
ერთიანი კომუნისტური კულტურა?

არა, ეს არ შეიძლება მოხდეს. მომავლის ერთიანი კულტურა — ჯამი კი არაა, არამედ სინთეზი, ნაკუწებისაგან შეკერილი საბანი კი არაა, არამედ ფერადოვანი მთლიანი ხალიჩა.<sup>1</sup> მე გონია, ი. კარასევმა მთლიანად უსუსტად როდი განსაზღვრა მომავლის ერთიანი კომუნისტური კულტურის არსი. მე უფრო ვეთანხმები ყაზახ მეცნიერს ჯ. ჯანდილიდინს, რომელიც ამტკიცებდა: „უნდა ვიფიქროთ, რომ ყველაფერი საუკეთესო, რაც უკვე არსებობს და რასაც ყოველი ხალხის კულტურა მოიპოვებს, თავისი განუმეორებელი თვისებით, თავისებური დამახასიათებელი ელფერით დაიკავებს შესაფერ ადგილს კაცობრიობის უმაღლეს სულიერ ქმნილებათა ჩინებულად შეწყობილ ორკესტრში“.<sup>2</sup>

ეროვნულ ლიტერატურებში ნაციონალურის „დაგროვების“ პროცესი, რაზედაც ერთგვარი ნაღვლიანობით წერს ი. კარასევი, მართლაც, შეიძლება გაგრძელდეს ძალიან დიდხანს. მაგრამ განა ღირს შევწყობდეთ და ვიდარდოთ ამაზე, თუ ეროვნულ ღირებულებათა დაგროვება ხელს შეუწყობს ეროვნული კულტურების ზრდას და სიმწიფეს? და განა შესაძლებელია ძალდატანებით შევანეროთ ეროვნულ ღირებულებათა დაგროვების პროცესი, მით უფრო, იმ შემთხვევებში, თუ ეროვნული ფასეულებანი ჯერ კიდევ საესეებით გამოვლენილი და ამოწურული არ არის? მომავლის ერთიანი კომუნისტური კულტურა, ი. კარასევის მტკიცებით, ჯამი კი არა, სინთეზია, ნაკუწებისაგან შეკერილი საბანი კი არა, ნაირფერადი ერთიანი ხალიჩაა. ვთქვათ, რომ მომავალში ყველაფერი ასე მოხდება. მაგრამ ი. კარასევი არაფერს არ ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა გზებით წარიმართება ცალკეულ ეროვნულ კულტურათა სინთეზირების პროცესი, იქნებ, თვითონი მათგანის გაუპიროვნების გზით? მაშინ რა მიანიჭებს ამ მთლიან ხალიჩას მკვეთრ ნაირფერობას? საიდან მოვა ეს მკვეთრი ნაირფერობა? ყველა ერისათვის საერთო-

საკოვლოთა ინტერნაციონალური კულტურა არ გულისხმობს ყველა საბჭოური ეროვნული კულტურის ძალდატანებით ან მექანიკურ გაუქმებას.

ერთ-ერთმა მკვლევარმა (ნ. ჯუსოითი, ჟურნალ «Дружба народов»-ის 1967 წლის № 1-ში), მწარედ შენიშნა, რომ მცდარი შეხედულება კულტურაში ინტერნაციონალურის და ეროვნულის დიალექტიკურ თანაფარდობაზე, თავის სათავეს ღებულობს, ალბათ, საბჭოური კულტურის განვითარების კანონზომიერებათა მეტაფიზიკური გაგებიდან. თანახმად, ამ წარმოდგენისა, სოციალისტური ხელოვნება არის ორი შესაგრების — ინტერნაციონალურის და ეროვნულის მეტაფიზიკური ჯამი, თუ მატულობს პირველი, შესაბამისად უნდა დაიკლოს მეორე. ამიტომ ინტერნაციონალური კულტურის განმტკიცების პროცესმა, როგორც ამას წერს ნ. ჯუსოითი, მსგავს შეხედულებათა მომხრეების აზრით, გარდუვალად უნდა მიგვიყვანოს ნაციონალური საწყისის დაძვებამდე და განდევნამდე, რადგან მათ მიერ ინტერნაციონალური გაგებულია არა როგორც ცხოვრების სოციალისტური შინაარსის უმაღლესი გამოხატულება, არა როგორც ჩვენი დროის ყველაზე მოწინავე საზოგადოებრივი კონცეფცია, არამედ როგორც ყველა ეროვნული კულტურის ესთეტიკური უნიფიკაცია, როგორც ეროვნულად განუმეორებელი თვისებების მოხსნა და გაუქმება. მაგრამ შესაძლებელია თუ არა ეროვნული სათავეებისაგან სრულიად მოწყვეტილი, ყველა ტრადიციისაგან, ხალხის ყველა მხატვრული მონაპოვრისაგან გათიშული კულტურა? თუ კი ასეთი კულტურის არსებობა დასაშვებია, მაშინ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისი კვალიფიკაცია, როგორც ინტერნაციონალური კულტურისა, რადგან როგორც ლენინი გეასწავლის, ინტერნაციონალური კულტურა არ არის უეროვნულო, არ არსებობს არც პოლონური, არც უზბეკური, არც რუსული არც სხვათა „წმინდა“ კულტურა. თუ წინათ, ბურჟუაზიული საზოგადოების პირობებში, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, მხარს ვუჭერდით არა „ეროვნულს“, არამედ ინტერნაციონალურ კულ-

<sup>1</sup> „Лит. газета“. 1965, 19. 8; ხაზგასმა ავტორისაა.

<sup>2</sup> «Коммунист», 1966, № 5, გვ. 70.

ტურას, რომელშიაც ყველა ეროვნული კულტურიდან შედიოდა მხოლოდ ნაწილი, სახელდობრ, ყოველი ნაციონალურის მხოლოდ თანმიმდევრულად დემოკრატიული და სოციალისტური შინაარსი, ახლა ეროვნული კულტურისა და ინტერნაციონალური კულტურის მსგავსი დაპირისპირება არაკანონ-ზომიერი იქნებოდა; ახლა თანმიმდევრულად დემოკრატიული და სოციალისტური შინაარსი წარმოადგენს ყოველი ეროვნული კულტურის არა ნაწილს, არამედ ფუნდამენტს; შედგებია, არაა საჭირო გამოვყოთ, გამოვთიშოთ ინტერნაციონალური ელემენტები ეროვნული კულტურებიდან; სოციალისტური შინაარსი შეადგენს მათი არსებობისა და განვითარების საფუძველთა საფუძველს.

ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ამით ეროვნული კულტურების ბედთან დაკავშირებული პრობლემა წყდება ავტომატურად, და შედგებია ჩვენ ვიდავით და ვიკამათით ხელოვნებაში ინტერნაციონალურის და ეროვნულის თანაფარდობაზე? ყოველ სოციალისტურ ეროვნულ კულტურაში ინტერნაციონალური მოცემულია, როგორც შინაგანი პროტენცია, მაგრამ ყველა შემთხვევაში როდია იგი გამოხატული საკმაო სიჩრთულით და მასშტაბურობით. ყოველი ეროვნული მოვლენა, ყოველი ეროვნული პრობლემა, ხელოვნების ნაწარმოებებში განსახიერებელი, თვითნებურად როდი გადაიქცევა ინტერნაციონალურ მნიშვნელობის ღირებულებად. საქმე რომ ასე იყოს, მაშინ ეროვნული ინტერნაციონალურის სინონიმი იქნებოდა, ხოლო ინტერნაციონალური სინონიმი ეროვნულისა. ჯერჯერობით ჩვენ არ შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ორი ცნება სავსებით ერთმანეთს ემთხვევა. ინტერნაციონალური — შეეროვნული კი არ არის, არამედ ეროვნულის არსებობის საშუალება მის უმაღლეს, ისტორიულად ყველაზე უფრო პროგრესულ სოციალისტურ გამოხატულებაში. როცა ინტერნაციონალური კულტურის შესახებ ლაპარაკობენ, უნდა ვიფიქროთ, მხედველობაში აქვთ ეროვნული კულტურების საუკეთესო მიღწევები, რომლებიც ქმნიან ინტერნაციონალურ ოქროს ფონდს, და არა რაღაც სინთეტიკუ-

რი კულტურა, ინდივიდუალურ სახეს და გულს მოკლებული, გამოფიტული, სიცოცხლისაგან დაცლილი, ამპუტირებული კულტურა. ხელოვნების ინტერნაციონალურობის არსი იმაშია, თუ საზღვრო ცხოვრების რა მხარეებს შეეხო მხატვარი, რა ხილრმით, რაოდენი სისრულით და იდეური განმჭვრეტელობით წარმოქმნა ხელოვანმა ნახული; რამდენად მნიშვნელოვანია სხვებისათვის ის, რის შესაბამეც იგი მოგვითხრობს. ინტერნაციონალიზმი მხატვრულ ნაწარმოებებში — სოციალური თვისებაა, მწერლის და თვით გმირების მსოფლმხედველობრივი, იდეურ-ესთეტიკური მხარეა და არა თემატკური, თუმცა, ეჭვგარეშეა, რომ არსებითია თვით თემაც ინტერნაციონალიზმისა. მაგრამ მნიშვნელოვანი მხატვრული მიგნებების და აღმოჩენების გარეშე, გარეშე მოწინავე მსოფლმხედველობისა, რომელიც ჩვენს წინაშე შლის უფართოეს პერსპექტივებს და გვეხმარება შევიცნოთ მოვლენები მათი ნამდვილი არსით, მათ ცოცხალ შეუკავებელ მოძრაობაში, რთულ და დახლართულ კავშირუროთიერთობაში, — ყოველივე ამის გარეშე მწერალი ვერ შექმნის ნაწარმოებს, რომელიც შესძლებს მობოვოს სერიოზული ინტერნაციონალური მნიშვნელობა. საბჭოთა ლიტერატურის ნაწარმოებთა ინტერნაციონალისტურ-პუბლიცისტურ პათოსს ქმნის — გმირების მორალური სახე, მათი ყოფაქცევა, აზრები, ხასიათი, შობილნი და განვითარებული სოციალისტურ სინამდვილეში; ამ პათოსს ქმნის ის, რასაც ფიქრობენ და როგორ ფიქრობენ გმირები, რას აკეთებენ და რის გასაკეთებლადაც არიან ისინი მომზადებული. ამ პათოსს გამოხატავს ადამიანის ცხოვრების იმ მხარეთა ზოგადმნიშვნელოვანება, რომელთაც ისინი ანსახიერებენ. ინტერნაციონალური ელერადობის ნაწარმოებია არა ის ნაწარმოები, რომელიც ფანტაზიის ფრთებით სინამდვილეზე, ცხოვრების ვითარებაზე, ცხოვრების გარემოებებზე მალა აფრენილა და რომელშიც ყველაფერზე ყველაფერია ნათქვამი, „მაზე“ — კონკრეტულზე კი მხოლოდ რაღაცაა ნათქვამი. მ. შოლოხოვის „წყნარი დონი“ მთლიანად ჩაძირულია რუსულ სტიქიაში. მასში მოხ-

სენებულია რეალურად არსებული კაზაკთა ნუტორების რეალური სახელწოდებანი. „წყნარი დონის“ მოქმედ პირთა დიდი უმრავლესობა რუსები არიან. მიწაც, ცაც, ვითარებაც — ყველაფერი რუსულია. მაგრამ მ. შოლოხოვის კოპეაში დაყენებულია მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის პრობლემები. მასში ნაწვევებია ბედი ადამიანისა და ხალხისა; პიროვნების მიერ თავისი ადგილის ძიება რევოლუციისა და რეაქციის ძალებს შორს გამართულ გიგანტურ ორთაბრძოლაში; ტრაგიკული პასუხისგება შეცდომებისათვის; საგულისხმო-ყურადსაღები გაკვეთილები განვლილი გზისა, რომელიც ადამიანმა გაიარა ძველის ნგრევისა და ახლის დაბადების იმ მძიმე მშფოთვარე წლებში. მ. შოლოხოვის „წყნარი დონი“ თავის არსებით, მასში გამოსატყუი ცხოვრების ფილოსოფიის, სოციალური კონფლიქტების და ბრძოლების მასშტაბურობით, ინტერნაციონალურია.

ერთიანი ინტერნაციონალური კულტურა გულისხმობს კონკრეტული ესთეტიკური ფორმების სიმდიდრეს, დიდ სიუხვეს და მრავალფეროვნებას. თუ წინათ ეროვნულად განსაკუთრებული, ცხოვრებისეულ გარემოებათა ძალით, ურთიერთისაგან ხალხების გათიშვა-განკერძოებას იწვევდა, ახლა ეროვნულად განსაკუთრებული საპიროსპირო ფუნქციას ასრულებს. ახლა იგი მხატვრულად ამკვიდრებს და განამტკიცებს ცხოვრების ახალ სოციალურ შინაარსს, ხდის სოციალიზმს უფრო ახლობელს და მშობლიურს. შეიცვალა ეროვნული თვისება, მისი ფუნქციები მშობლიური კულტურის განვითარებაში. ეროვნულის ამ ცოცხალ ცვალებად დიალექტიკას ზოგიერთი კრიტიკოსი და მკვლევარი ხშირად მხედველობაში არ ღებულობს. ეროვნულს ისინი განიხილავენ როგორც ჩამორჩენილობის ნიშანს, როგორც რაღაც გადმონაშთს, რაღაც უძრავს და გაქვავებულს, რომლის უქონლობა აღიარებულია ინტერნაციონალური კულტურის უმაღლეს ფორმად. არა ნაკლები მანკიერებაა ეროვნული ყოყონობა, ანგარიშმიუცემლად მუხლმოდრეკა ყველაფრის წინაშე, რაც შემორჩა და რამაც ფეხი მოიკიდა,

ან ახლაც არსებობს ერის ცხოვრებაში ეროვნული ყოფიერების ყველა მხარის გაღმერთებას, იმისგან დამოუკიდებლად, პროგრესულია, თუ რეაქციული, მიყვებარო ეროვნულ ფეტიშიზმამდე, ბურჟუაზიულ ნაციონალიზმამდე. მხოლოდ სოციალისტური ინტერნაციონალიზმი აძლევს სწორ მიმართულებას ეროვნულ გრძნობას, ეროვნულ თვითშეგნებას, მჭიდროდ უკავშირებს რა ეროვნულად განსაკუთრებულს და განუმეორებელს ზოგადინტერნაციონალურის განვითარების ინტერესებს. საკუთარ ერთან სიახლოვე, მისადმი ერთგულება სრულიადაც არ წარმოადგენს ზღუდეს, რომელიც ხელს გვიშლის ჩავწვდეთ სხვა ერების ფსიქოლოგიურ და ესთეტიკურ სამყაროს და შევითვისოთ მსოფლიო კულტურის საუკეთესო მხარეები. ეროვნული ინტერესების სიფართოვე სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანმა უარყოს თავისი ერი, მისი ზნეჩვეულებანი, ტრადიციები, ხასიათი და ამ უარყოფის მეოხებით გახდეს თითქოს უფრო სრულყოფილი პიროვნება, მსოფლიოს მოქალაქე. ყოველ ერს, სულ ერთია, რაოდენობით დიდია თუ მცირე, მოეპოვება ის, რითაც მას უფლება აქვს იამაყოს და რითაც ის არის თავისებური და საინტერესო. და უთუოდ მართალია მანსიელი მწერლის იუგანე შესტალოვის მოთხრობის „კასლანის ლურჯი ქარის“ გმირი, ტემპერამენტიანი, არა ჩრდილოეთურად ფიცხი და გულმხურვალე არსენტი, როცა იგი გესლანი ირონიით და მტრული გრძნობით ლაპარაკობს თუთიყუშ ადამიანებზე, რომელთაც დაუკარგავთ, აღარ ახსოვთ თავის პირველწარმოშობა, ჩუცვამთ ყალბი, ფსევდოინტერნაციონალური ტანსაცმელი. — „არიან ჩვენს თვისტომთა შორის თუთიყუშები, — მძიმე ამოოხვრით, თითქოს სმამალა ფიქრობს, გაბმით თქვა არსენტიმ, — მართალია, ცოტა, მაგრამ მაინც არიან!.. შენ იცი, რას ამბობენ ხალხში ასეთ თუთიყუშებზე? — არარა ადამიანები მზად არიან არარაობად ჩასთვალონ მშობლიური ხალხი და ცდილობენ გაემიჯნონ მას. ასეთ ადამიანებს ზურგს აქევენ თავისიანები და არც სხვები ცნობენ... სულით ძლიერი ადამიანები იბრძ-

ვიან იმისათვის, რომ ასახელონ მშობლიური ხალხი, გააბედნიერონ იგი.

ი.რ. აბაშიძემ ლექსში „კატამონთან“ (წიგნიდან „პალესტინა, პალესტინა“), ნამდვილი ჰიმნი უმღერა მშობლიურ დედაენას. პოეტი ამბობს, რომ ბევრი რამ დედამიწაზე განწირულია გარდუვალი დაღუპვისა და გაჭრობისათვის, დრო მკაცრ და სასტიკ მსჯავრს დებს ზოგიერთს, თითქოს, მარადიულს, უხრწებელ ღირებულებას, მტვრად და ფერფლად აქცევს მას. ისტორია უღმობელია. ის, რაც უნდა მოკვდეს და არყოფნაში გადავიდეს, ვერ გაქცევა თავის ხვედრს. მაგრამ მშობლიური ენა იცოცხლებს დიდხანს.

ირაკლი აბაშიძის პოემის აზრებს და განწყობილებებს ეხმაურება რუსი საბჭოთა პოეტის იაროსლავ სმელიაკოვის ლექსი «Русский язык». სმელიაკოვი სიამაყით ლაპარაკობს რუსული ენის სიცოცხლისუნარიანობაზე, უდრეკობასა და გამძლეობაზე, იმ მიმომე ტრაგიკულ განსაცდელზე, რომელიც მას წილად ხვდომია. მაგრამ რუსულმა ენამ გაუძლო და სძლია ყველაფერს. ყალიბდებოდა რა ხალხური ცხოვრების წიაღში, ისრუტაჲდა რა ხალხის სიბრძნეს და გამოცდილებას, რუსული ენა იძენდა ძალას, სიმტკიცეს, მოქნილობას; უმაღლე იღუპებოდა და ქრებოდა ყველა, ვინც ხელს აღმართავდა რუსული ენის, მიიარისის შესამუსრავად, ხოლო რუსული ენა განაგრძობდა სიცოცხლეს, ხდებოდა უფრო და უფრო მრავალხმოვანი, მშობლიური და ძვირფასი.

საკუთარი ენის და ერის, საკუთარი ისტორიის და მშობლიური ხალხის სულიერი საუნჯის სიყვარული — ბუნებრივი და გასაგებია. ეროვნული სიამაყის გრძნობა, თუ იგი ინტერნაციონალურ ნიადაგს ეწყობება, უადრესად კეთილისმყოფელი გრძნობაა. მაგრამ ამ გრძნობას არაფერი საერთო არა აქვს ეროვნულ ჰეგემონობასთან, ბურჟუაზიულ ნაციონალიზმთან, მისწრაფებასთან — ყოველ მხრივ სხვა ხალხებზე მალე დააყენო საკუთარი ხალხი, დაუპირისპირო იგი სხვა ხალხებს. საბჭოთა პატრიოტიზმი ორგანულად ერწყმის სოციალისტური ინტერნაციონალიზმს, იმის ნათელ გაგებას,

რომ სხვა საბჭოთა ხალხების ბედთან თანაზიარობა და ერთიანობა წარმოუდგენლად აძლიერებს შენი საკუთარი ხალხის შემოქმედებითს ენერგიას და შესაძლებლობებს. მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობა დიდი ხნით შეაფერხებდა ერების, მცირე და დიდი ერების, სოციალისტური აღორძინების, სწრაფი ზრდის და აყვავების პროცესს, გასწირავდა მათ მიმომე და გაჭირვებული არსებობისათვის. საბჭოთა ხალხების ერთობლივი ცხოვრების გამოცდილებამ დაამტკიცა: სხრკ-ში შემაჯალმა ხალხებმა სწორედ ურთიერთდახმარების და მეგობრობის წყალობით დინამიურად განავითარეს თავისი ეკონომიკა, კულტურა, ნივთიერი და სულიერი ყოფიერების ყველა მხარე. სწავლობდნენ რა ერთიმეორისაგან, გადმოჭონდათ და შემოქმედებითად ამუშავებდნენ რა ყოველივე ძვირფასს და ღირებულს, რომელიც ყოველ მათგანს მოეპოვებოდა, საბჭოთა ერები ხდებოდნენ უფრო ძლიერი და აღწევდნენ ეროვნულ შესაძლებლობათა გამოვლინების მწვერვალებს.

საბჭოთა ხალხების ინტერნაციონალური ერთიანობა — მათი ეროვნული დამოუკიდებლობის უადრესად საიმედო გარანტიაა. ამიტომ ღვიძლი სიყვარული თავის ერისა, თავისი მიწაწყლისა, თავისი ენისა ბუნებრივად და აუცილებლად შეიცავს სიყვარულს საერთო სოციალისტური საშობლობადმი, რომლის ნაწილიც არის საკუთარი მშობლიური მიწა. კერძოსი და საერთოს, ინტერნაციონალურის და ეროვნულის გაუთიშობის და შემტკიცებულობის ეს შეგრძნება კარგად არის გადმოცემული ბალყარელი პოეტის კაისინ ყულიევის ლექსში „ჩემი დედის სიხარული“. პოეტი აღიარებს, ხშირად ვიგონებ საკუთარ სახლს, და ამაში სრულიად არ ვხედავ რაიმე მანკს.

კაცს, რომელიც თავის ძირებს, თავის ფესვებს არ ცნობს და უარყოფს, ძალა არ შესწევს პატივი სცეს სხვებს. მაგრამ ის, ვინც მოწინებით კვიდება თავის მიწაწყალს, თავის კერას, ამავე დროს ხედავს შრავლად-განტოტებულ კავშირს „საკუთარსა“ და საერთოს შორის. ამით „თავისი“, „საკუთარი“ ხდება უფრო მნიშვნელოვანი, უფრო

შემცველობითი, ხოლო საერთო ხდება რა „თავისის“, „საკუთარის“ შემადგენელი ნაწილი, აფართოებს „თავისის“ სოციალურ და ფსიქოლოგიურ ფარგლებს.

შეიცვალა აზროვნების მასშტაბურობა, ცხოვრებისეულ ფასეულობათა ურთიერთ დამოკიდებულების გაგება. რომ არ ყოფილიყო დიდი სახლი — სოციალისტური სამშობლო, რომელიც სათუთად უფრთხილდება და იცავს საბჭოთა ადამიანების სიცოცხლეს და კეთილდღეობას, მაშინ საკუთარი მშობლიური სახლი, მთავი იქნებოდა იგი, თუ ბარში, ვერ გადაურჩებოდა დროთა ქარიშხლებს და გამანადგურებელ გრიგალებს. საკუთარი ბედნიერების სიმტკიცის და გამძლეობის საფუძველი — სახალხო ბედნიერების სიმტკიცე და შურუყველობაა.

საბჭოთა ადამიანების ინტერნაციონალური ერთიანობის აღმავლობას თითქოს უნდა მოჰყოლოდა ეროვნული გრძნობების შესუსტება და თანდათანობითი ქრობა, ეროვნული შეგნების შეცვლა ერთგვარი საერთო-საყოველთაობის შეგრძნებით, რომელშიც ეროვნული ადგილს უთმობს მეორე ისტორიულ-ფსიქოლოგიურ კატეგორიას, უფრო ფართოს და უნივერსალურს, ვიდრე ეროვნული გრძნობაა. ერთი შეხედვით, თითქოს ხდება ურთიერთთან შეუთავსებელი მოვლენების — ინტერნაციონალიზმის ყოველმხრივი განმტკიცება და განვითარება, რაც იმავე დროულად იწვევს ეროვნულ გრძნობის, ეროვნული სიამაყის გაძლიერებას? ხომ არ არის აქ წინააღმდეგობა: თუ ღრმად ჩავეფიქრდებით, ნათელი გახდება ამ ორმაგი პროცესის სათავე.

ეროვნულ გრძნობათა შინაარსი სხვადასხვაგვარია სხვადასხვა ისტორიულ ვითარებათა მიხედვით. კაპიტალიზმის პირობებში, როდესაც ერთი ერი ჩაგრავს მეორეს, დაჩაგრულ ერში უკიდურესად მძაფრდება ეროვნული პირველნათესაობის გრძნობა. ეროვნული გრძნობის მეტისმეტი გამძაფრება კი უნებურად იწვევს იმას, რომ თითქმის ყველაფერი, რასაც კი ეროვნული თვითმყოფობის ოდნავ შესამჩნევი ნიშანი აზის, ჩანს ცხოვრებისეულ წარუვალ ღირებულებად, რომელიც აუცილებლად გადარჩენილი უნ-

და იქნას მტრის ძალადობის, ბოროტი ნების ხელყოფისაგან. კოლონიალიზმის მუხრუჭებში მოქცეული, დაჩაგრული ერი ცდილობს შეინარჩუნოს საკუთარი ისტორიული სახე, ცდილობს გაბატონებული ერის ანიმილიზატორულ პოლიტიკას დაუპირისპიროს თავის ეროვნული ყოფიერების მრავალფეროვანი არსენალი. ზოგჯერ მწერალი ვერ ბედავს ხელი აიღოს, უარი თქვას იმაზედაც კი, რასაც უკვე დაკარგული აქვს თავისი აქტიური შინაარსი. მოძალადესთან ბრძოლაში თავისი ეროვნული არსებობის შესანარჩუნებლად ყველაფერი მისაღები და გამოსადეგი ჩანს.

ხალხთა მშური მეგობრობის და ინტერნაციონალური ერთიანობის პირობებში ეროვნული გრძნობა სხვა ხასიათსღებულობს. ეს არის სოციალისტური ეროვნული სიამაყე, იმით გამოწვეული, რომ ყოველი ხალხი ხედავს და ცნობს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში თავისი მოღვაწეობის წონადობას და მნიშვნელობას. ახალი ქვეყნის საამშენებლო მოედანზე ხალხები მოვიდნენ არა ხელცარიელნი, არამედ თავისი მატერიალური და სულიერი კულტურის საუნჯით უხვად დატვირთულნი. როგორ არ უნდა გახარებდეს საკუთარი ერის შესანიშნავი ზეალმავლობა, როგორ არ უნდა ამაყობდე შენი ერის ჭკუა-გონებით, ნიჭიერებით და შრომითი მიღწევებით, მისი ქმედითი ენერჯის, შეუნელებელი ძლიერებით, ენერჯის, რომელიც ხელახლა იქნა გამოვლენილი და გაძლიერებული სოციალისტური საზოგადოების ვითარებაში.

სოციალისტურ საზოგადოებაში ინტერნაციონალური შეგნება და ეროვნული გრძნობა როდი არსებობენ და არც შეიძლება იარსებონ განკერძოებით, ცალ-ცალკე, ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად. აღვნიშნავთ რა ეროვნულ გრძნობათა აქტივობას, ჩვენ მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ მათი შინაგანი სოციალურ-ფსიქოლოგიური არსი. ეროვნული გრძნობების გამოვლინების ფორმები და ელფერი, სხვადასხვა ხალხებს უთუოდ სხვადასხვანაირი და ინდივიდუალურად თავისებური აქვთ.

მაგრამ რა აერთიანებს საბჭოთა ადამიან-

ნების ეროვნულ გრძობებს, რაშია ძალა და მნიშვნელობა ეროვნული გრძობებისა, რომლებიც ასე გარკვევით და მკაფიოდ არის გამოხატული საბჭოთა ლიტერატურის ბევრ ნაწარმოებში? ეროვნული გრძობის დი-  
 ლექტკია ცხოვრების მოძრაობით გამოწვე-  
 ული მის (ე. ი. ეროვნული გრძობის) გარ-  
 დაქმნასა და გამდიდრებაში მდგომარეობს.  
 სოციალისტურ საზოგადოების პირობებში  
 ეროვნული გრძობები არ ქრებიან და არც  
 ძალდატანებითს ნგრევას განიცდიან, როგ-  
 ორც ამას მომაბუძრებლად სწორედ ჩვენი  
 მოწინააღმდეგენი საზღვარგარეთ. ეროვნუ-  
 ლი გრძობა არ იქცევა რაღაც უსახო-უპი-  
 როვნო და შეუმჩნეველ მოვლენად, ამასთან  
 წარმოგვიდგება თავის განახლებული ის-  
 ტორიული თვისებით. ეროვნული გრძობა,  
 სოციალისტური შინაარსით გამსჭვალული,  
 პარზონიულად ერწყმის ინტერნაციონალურ  
 შეგნებას, რადგან წყარო, საიდანაც იგი  
 იღებს ძალას თავისი ნაყოფიერი განვითარ-  
 რებისათვის, — ეს არის საბჭოთა ხალხე-  
 ბის ინტერნაციონალური ერთიანობა. თვით  
 ცხოვრებისეული ნიადაგი, რომელიც აყა-  
 ლიბებს და ანახლებს ეროვნულ გრძობას,  
 ინტერნაციონალურია თავისი „შედგენი-  
 ლობით“, თავისი შინაარსით. ამიტომ ერ-  
 ოვნულ გრძობებში ვითარდება და მტკი-  
 ცდება სოციალისტური თვისებები. რაც შე-  
 ესება ეროვნული გრძობების იმ თავისებუ-  
 რებებს, რომლებიც წარმოიშენენ ხალხის  
 ისტორიული გამოცდილების საფუძველზე,  
 ისინიც არ რჩებიან უცვლელი, იქნენ რა  
 ახალ სოციალურ-საზოგადოებრივ აზრს.

ამრიგად, ეროვნული გრძობები, სოცი-  
 ალისტური სინამდვილის ზეგავლენით, თავისუფლდება რა ყოველივე მიტმასწნილი-  
 საგან, შემთხვევითისა და ისტორიულად  
 არანაყოფიერისაგან, პოულობს ჭეშმარიტ  
 შინაარსს. ეროვნულ გრძობებს, თუ მათ მა-  
 ფორმირებელ ელემენტებად გამოდიან  
 უწონასწორო, ბრმა ემოციური აღტყინება-  
 ნი და ეროვნული ცრურწმენანი, შეუძ-  
 ლიათ დაღუპონ ადამიანი, გაანადგურონ  
 მისი პიროვნება. ეროვნული შეზღუდულო-  
 ბა, თავისი ეროვნული მეს წინ წამოშვერა,  
 ნაციონალისტური ცრუშეზღუდულებანი და  
 ქიმურები ხელს უშლიან ერის ჯანსაღ გან-

ვითარებას, ნორმალურ სინსლმინოქვეყნას  
 ეროვნულ ორგანიზმში. ნაციონალიზმი,  
 რომელიც მიმართულია ერთა-გათმევისა-  
 კენ, ერთა შორის მტრობის და შუღლის გა-  
 ლვიებისაკენ, მათი დაპირისპირებისაკენ,  
 საბოლოო ანგარიშში, ანგრევს და ანადგუ-  
 რებს ერის ნაციონალური არსებობის საყ-  
 რდენებს. ურთიერთ-ინტერნაციონალური  
 სოლიდარობა და დახმარება არა თუ  
 ბღალავს ერის დამოუკიდებლობას, მის ის-  
 ტორიულ თვითმყოფობას, პირიქით, ქმნის  
 ერის პროგრესული განვითარების გარანტი-  
 ას.

ეროვნული კულტურების, მათი ბედის და  
 მომავლის საკითხები დიდად აინტერესებთ  
 ჩვენს საზღვარგარეთელ მეგობრებს.

1965 წლის ოქტომბერში სოფიაში გაი-  
 მართა თეორიული კონფერენცია ბულგარუ-  
 ლი ლიტერატურის ნაციონალური თავისე-  
 ბურების პრობლემებზე; კონფერენცია მო-  
 იწვია ბულგარულ მწერალთა კავშირის პარ-  
 ტიულმა ორგანიზაციამ. მის მუშაობაში  
 მონაწილეობდნენ ბულგარეთის თითქმის  
 ყველა წამყვანი მწერალი — პროზაიკოსები,  
 დრამატურგები, პოეტები და ლიტერატურის  
 მცოდნეები. გამორჩენილ მეცნიერ ბ. ი. ბურ-  
 სოვთან ერთად ამ სტრიქონების ავტორსაც  
 ხვდა პატივი მონაწილეობა მიეღო კონ-  
 ფერენციის მუშაობაში. ამ კონფერენციაზე  
 გამართული ცხარე, ტემპერამენტიანი დავა-  
 კამათი, მრავალმხრივ იყო საინტერესო და  
 საგულისხმო. კონფერენცია ინტერვალებით  
 მიმდინარეობდა და დაახლოებით ათ დღეს  
 გაგრძელდა. თვალში გვეცმოდათ ერთი შე-  
 სანიშნავი ფაქტი: ბულგარეთის მწერალთა  
 კავშირის დარბაზები, ანგელ კინჩევის ქუ-  
 ჩაზე, ხალხით იყო გაჭედილი. თავისუფალ  
 ადგილს ვერსად იპოვიდით. კონფერენციის  
 მონაწილენი გამახვილებული ყურადღე-  
 ბით უსმენდნენ ორატორს და აშკარად, პირ-  
 დაპირ გამოსთქვამდნენ ორატორთან თავის  
 სოლიდარობას ან დაუთანხმებლობას. ეს  
 იყო დავა მეგობრების, თანამოაზრეების,  
 სინსლხორცველად იმით დაინტერესებულ-  
 ების, რომ საერთო ღონისძიებებით მიაგ-  
 ნონ ჭეშმარიტებას. კონფერენციას ესწრებო-  
 დნენ სხვადასხვა ასაკის და თაობის ლიტე-  
 რატორები: ლიუდმილ სტიანიოვი, დიმი-

ტრი დიმოვი, ანდრეი გულიაშვი, გიორგი ჯაგაროვი, ანა კამენოვა, პანტელეი ზარევი, მლადენ ისავეი, დრაგომირ ასენოვი, ცვეტილია ლაჩევა, ივანე რუჯი, ბოგომილ ნონევი, ტოდორ ხარმანჯიევი, ცვეტან სტოიანოვი, ვასილ კოლევსკი, ივანე ცვეტკოვი და სხვ. და არა მარტო ესწრებოდნენ, უმრავლესობამ მონაწილეობა მიიღო კამათში.

თეორიულ კონფერენციას წინ უსწრებდა დისკუსიები ტრადიციების და ნოვატორობის, კლასიკური მემკვიდრეობის, თანამედროვე კულტურის განვითარების გზების, ლიტერატურების ურთიერთკავშირისა და ურთიერთგამდიდრების საკითხებზე. დისკუსიები მიმდინარეობდა ეურნალების — „პლამეისი“, „ლიტერატურენ მისლის“ და გაზეთ „ლიტერატურენ ფრონტის“ ფურცლებზე. თუ მოკლედ ვიტყვით ამ დისკუსიების შინაარსსა და ხასიათზე, მათი არსი მდგომარეობს შემდეგში: დისკუსიების მონაწილეთა ნაწილი ძალიან გაბედულად უჭერდა მხარს ეროვნული ტრადიციების გადაფასებას, მათ რადიკალურ გარდაქმნას და დაძლევას. ამ ამხანაგებს მიაჩნდათ, რომ ბულგარული ლიტერატურის კლასიკოსების — ბოტევის, ვაზოვის, სმიჩენსკის, კარასლავოვის, მილევის, იავოროვის და სხვების ტრადიციებმა თანამედროვე პირობებში დაკარგეს თავისი ქმედითი, მაფორმირებელი როლი. მათი აზრით, ახალი დროება თავისი მისწრაფებით, დინამიური ტემპებით, არაჩვეულებრივი სწრაფი და მოულოდნელი გარდაქმნებით და ცვლილებებით მოითხოვს შესაბამის სტილს და რიტმს, შებოჭილობისაგან პოეტური აზროვნების გამოსხნას. ამიტომ თავისუფალი ლექსი მათ მიაჩნიათ ყველაზე უფრო მისაღებ ფორმად თანამედროვე ადამიანის ინტელექტუალური და ემოციური სამყაროს გამოსახატავად. თავისუფალი ლექსის დამკვიდრებისათვის უარყოფდნენ კლასიკურ მემკვიდრეობას, რომელმაც სოციალისტურ გარდაქმნათა ეპოქაში, თითქოს, სრულიად დაკარგა თავისი მნიშვნელობა. ამავე დისკუსიაზე გამოითქვა თვალსაზრისი, რომლის თანახმად განვითარების თანამედროვე პირობებში სრულიად იხსნება კულ-

ტურის ეროვნული თავისებურების პრობლემა, ლიტერატურის ნაწარმოებებში ეროვნული ხასიათის შექმნის პრობლემა. ამ აზრს იმით ასაბუთებდნენ, რომ ხალხთა სოციალისტური ცხოვრების პირობებში ადამიანთა როგორც ფსიქიკაში და შეგნებაში, ასევე მხატვრული შემოქმედების სფეროში თანდათან ქრება განმასხვავებელი, სპეციფიკურად განუმეორებელი მხარეები. დისკუსიების მონაწილეთა მეორე ნაწილი, წინააღმდეგე ნიპოლისტებისა, იცავდა ყოველსავე ეროვნულ, თვით ნაკლებად მოწინავეს და ნაკლებად ნაყოფიერსაც კი ეროვნული კულტურის ისტორიაში. ამრიგად, ჯერ კიდევ თეორიული კონფერენციის დაწყებამდე, გამოირკვა ერთმანეთისადმი დიამეტრულად დაპირისპირებული ორი თვალსაზრისი. კონფერენციაზე მწერალმა გ. ჯაგაროვმა პირველი თვალსაზრისის წარმომადგენელნი დაახასიათა, როგორც „ეროვნული ნიპოლისტები“, მეორე თვალსაზრისისა — როგორც „ეროვნული გერმეტისტები“.

რამია ეროვნული თავისებურების საიდუმლოება? სად უნდა ვეძიოთ ლიტერატურის ნამდვილი ხალხურობის სათავეები? ნიჭიერმა ბულგარელმა პოეტმა და დრამატურგმა გიორგი ჯაგაროვმა ასეთი პასუხი გასცა ამ კითხვას: „ჩვენი ხალხი, ჩვენი ეროვნული ხასიათი უნდა განვიხილოთ, როგორც რეალისტებმა, შევისწავლოთ და ავსახოთ ისინი იმგვარად, როგორც იყვნენ სინამდვილეში და არ ვეძიოთ მათი არსი მისტიკის სფეროში, მესიანურ სახეებში. რამდენადაც უფრო მეტი სიმართლით და მეტი სიღრმით, რამდენადაც უფრო ნიჭიერად და პარტიულად ასახავს ბულგარული ლიტერატურა თავის ერის ცხოვრებას, აზრებსა და გრძნობებს, იმდენად უფრო ეროვნულად თავისებური იქნება, იმდენად უფრო მეტ საყოველთაო-სახალხო მნიშვნელობას მოიპოვებს იგი“.<sup>1</sup>

ეროვნული თავისებურება — სახალხო ცხოვრების ცოცხალი სისხლი და ზორცია. იგი არ არსებობს, როგორც რაღაც დამოუკიდებელი, იმანენტური არსი, რომელსაც ერთ-

<sup>1</sup> „რამოტინჩესკო დელო“ (ბულგარულ ენაზე) 24 ოქტომბერი, 1965 წ.

ხელ და სამუდამოდ აქვს გარკვეული თავისი გამოვლინების ფორმები. იგი მოძრავი და დინამიურია. მართალია, მთლად ზუსტი არ იქნებოდა, თუ ვიტყვოდით, რომ გარდატეხის ყოველ ეტაპზე ეროვნული თავისებურება, რომელიც ამ ეტაპის დაწყებამდე არსებობს, ჰკარგავს თავის თვისებას, ისპობა მთლიანად, ხოლო შემდეგ კვლავ წარმოიშვება ისე, რომ არაფრით არ უკავშირდება იმას, რაც წინათ იყო. ეროვნული თავისებურების ჩამოყალიბება — ხანგრძლივი ისტორიული პროცესია. ეროვნულში თვისებათა შეცვლა წინანდელ თავისებურებათა მექანიკური ჩამოცილების და ახლის ავტომატური დაბადების გზით როდი ხდება. მიმდინარეობს ძველის რთული ხელახალი გააზრება და გადადნობა. ეროვნული მემკვიდრეობის უარყოფა, ეროვნული კულტურის ისტორიულად გამომუშავებული და დროთაგან შემოწმებული ტრადიციების უკუგდება — ნიშანია სისუსტისა და არა ძლიერებისა. კონფერენციაზე ორატორები (ა. გულიაშვილი, ტ. ქერევი, გ. ჯაგაროვი, ბ. ზარევი, ლ. სტოიანოვი და სხვ.), ეროვნული სიამაყის გრძნობით ლაპარაკობდნენ ბოტევის, ვაზოვის, მილევის, სმირნენსკის, რადევსკის, კარასლაევის, ელინ-პელინის, ვაპცაროვის და სხვების შემოქმედებაზე. ჩამოთვლილი მწერლები ცხოვრობდნენ და შემოქმედებითს მოღვაწეობას ეწეოდნენ სხვადასხვა ისტორიულ პირობებში. ეპოქამ, რომელმაც ისინი წარმოშვა, მწერლების შემოქმედებას გარკვეული ბეჭედი დაამჩნია, და არა მარტო მათი მსოფლმხედველობის ხასიათს, არამედ ესთეტიკასაც, სამყაროს მხატვრული აღქმის თავისებურებასაც, მაგრამ ბულგარელისათვის ახლობელი და ძვირფასია ბოტევიც, ვაზოვიც, ვაპცაროვიც, თუმცა ეს უკანასკნელი ბოტევეზე და ვაზოვეზე რამდენიმე ათეული წლით გვიან ცხოვრობდა. მხატვრული სიტყვის დიდოსტატი თავისი გენიის წყალობით ქმნის წარუვალ ესთეტიკურ ფასეულობას, წინასწარ გრძნობს და ჭერეტს მომავალს, წინ უსწრებს რა თავის დროს. მაგრამ ზოგჯერ იგი უფრო თანამედროვეა, ვიდრე ჩვენნი დროის ზოგიერთი სხვა მწერალი. ამიტომ ტრადიციების დაცვის და

განგრძობის პრობლემა უნდა განვიხილოთ არა ქრონოლოგიური თარიღების თვალსაზრისით, არამედ კლასიკური გამოცდილების მნიშვნელოვანების პოზიციიდან.

ბულგარელი მწერლების კონფერენციაზე საინტერესო დავა გაჩაღდა ეგრეთწოდებულ რეგიონალური სპეციფიკის ანუ რეგიონალური ნიშნის გარშემო მწერლის შემოქმედებაში. ბულგარელმა ლიტერატურისმცოდნემ ტონჯო ჟერევიმა სტატიაში „ლიტერატურული განვითარების ეროვნული თავისებურება“<sup>1</sup> საფუძვლიანად განიხილა ამ პრობლემის სხვადასხვა ასპექტი. იგი წერდა: „ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის მწერალი უფრო მკვეთრად და განუყოვრებლად ანსახიერებს ეროვნულ სულს და ხასიათს, რომელიც მტკი სისრულით გამოხატავს ქალაქის ანუ სოფლის ეთნოგრაფიულ და ენობრივ თავისებურებას. ამ გზით იქმნებოდა და მტკიცდებოდა ერის კულტურული სტაბილურობა, ამ გზით მიმდინარეობდა ბულგარული ერთიანობის გაგება, შინაგანი შემცველობა და შემჭიდროება“. შემდეგ ჟერევი ლაპარაკობს იმაზე, რომ არ შეიძლება, მაგალითად, გავიგოთ მწერალი ლიუბენ კარაველოვი იმ გეოგრაფიული გარემოს გარეშე, რა გარემოშიაც იგი ცხოვრობდა და შემოქმედებას ეწეოდა. კუპრივიშიცა (ბულგარეთის არაჩვეულებრივად ლამაზი, კოლორიტული კუთხე) უზგად ამარაგებდა მწერალს „მკაფიო და საამური საღებავებით“; ძნელია წარმოვიდგინოთ ივანე ვაზოვი მისი მშობლიური სოპოტის გარეშე, ხოლო იორდან იეკოვი განუყოფელია დობრუჯის ველმინდგრებისაგან, მისი განუყოვრებელი თავისებურებისაგან და ა. შ.


ტ. ქერევის ამ გამოხატვაში ცოტა სიმართლე როდია. ეჭვს გარეშეა, რომ მწერალი ცხოვრობს გარკვეულ ქვეყანაში, გარკვეულ ადგილას, გარკვეულ პირობებსა და გარემოცვაში; ყველაფერი ეს შემოქმედებას ანდენს მისი შემოქმედების თავისებურებაზე, მის ნაწარმოებთა „მატერიალურ სისხლსა და ხორცზე.“ მაგალითად, შეიძ-

<sup>1</sup> გაზეთი „ლიტერატურენ ფრონტ“ ბულგარულ ენაზე, 1965, 21 ოქტომბერი.

ლება თუ არა წარმოვიდგინოთ მიხვილ შოლოხოვის შემოქმედება დონისაგან, დონის სტეპების არომატისაგან, დონის ცისაგან, დონელი კაზაკებისაგან განკერძობებულად, ყოველივე ამისგან გამოთიშულად? მაგრამ მ. შოლოხოვის გენიალობა ის არის, რომ კონკრეტულ გეოგრაფიულ და ცხოვრებისეულ პლაცდარმებზე იგი ერთმანეთს აჯახებს ბუმბერაზულ ადამიანურ ვნებებს, ადამიანთა ბედ-იღბალს, აყენებს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის პრობლემებს. დიდი მხატვარი გამოდის რა კერძოა, ინდივიდუალურისა და განუმეორებლობისაგან, მიდის დიდ ფილოსოფიურ განზოგადებებამდე. მისი განზოგადებების, მისი ყოვლისმომცველი აზრის შუქზე ხდება კერძობითის, ინდივიდუალურობის გარდაქმნა ზოგადად და საყოველთაოდ. მთავარი ის კი არ არის, თუ რა ცხოვრებისეულ მასალას იღებს მწერალი, თავისი ქვეყნის რომელ კუთხეზე წერს იგი. ამაში როდია მისი ძალა, როგორც ეროვნული მხატვრისა. მწერალს ჭეშმარიტად ეროვნულს ხდის არა ამა თუ იმ ერისადმი მისი ფიზიოლოგიური კუთვნილება, არამედ უნარი მიაგნოს ხალხის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანს, ძირეულს, აუცილებელს და არსებითს, და თავისი შემოქმედებით ხელი შეუწყოს ის-

ტორიული სინამდვილის, მომწიფებული და მომწიფებაში შესული პრობლემების გადაწყვეტას. შეიძლება ცხოვრობდე პროვინციაში, შეიძლება წერდე პროვინციის შესახებ და იყო მსოფლიო მნიშვნელობის მწერალი. შეიძლება ცხოვრობდე დიდ ინდუსტრიულ ქალაქში, წერდე ვერეთწოდებულ კოსმოსურ, ზოგად კაცობრიულ პრობლემებზე, მაგრამ იყო სულიერად და ინტელექტუალურად პროვინციელი. ყველაფერი დამოკიდებულია აზრის მასშტაბზე, მწერლის სოციალურ გამჭირაობაზე, მისი იდეალის პროგრესიულობაზე, მისი ტალანტის ძლიერებაზე.

ადამიანის აღმოცენება და ზრდა ხდება ეროვნულ ნიადაგზე; ამ ნიადაგიდან ღებულობს იგი ენერჯიას მოქმედებისათვის. მაგრამ ეს ეროვნული ნიადაგი თვისობრივად ახალი შემადგენლობისაა. მასში შეერთებულია ეროვნული და სოციალისტური. მათი ერთიანობისაგან იქმნება ჭეშმარიტად საუცხოვო შენადნობი. სოციალისტური წარმოგვიდგება არა უხილავი ძალის სახით. იგი შემოსილია ცოცხალი ეროვნული სორცით. ეროვნული ამკვიდრებს თავის თავს და იძენს თავის განახლებულ ისტორიულ არსს მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტურთან ერთიანობაში.



მოსა მიიღვარი

კ კ კ ი შ ა ნ ი კ ე

დაბადების 80 წლის შესრულების გამო

ქართველური ენათმეცნიერების საფუძვლის ჩამყრელი და მისი პირველი ეტაპის დამგვირგვინებელი იყო ალექსანდრე ცაგარელი, ხოლო მეორე პერიოდის ქართველოლოგიური კვლევა-ძიების მებაიარახტრედ ნიკო მარს მიიჩნევენ, მესამე ხანის მეთავეობა წილად ზედა აკაკი შანიძეს, რომელიც თბილისის საენათმეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელია და მისი საუკეთესო ტრადიციების დამამკვიდრებელი.

აკაკი შანიძე გამოსულია პეტერბურგის ქართველომეტყველების სკოლიდან, რომელსაც მეთავეობდა დიდი მეცნიერი ნიკო მარი. აქ მიიღო მან სოლიდური საუნევერსიტეტო განათლება, აქვე ეზიარა სამეცნიერო კვლევა-ძიების მეთოდოლოგიას, აქ გამოქვეყნდა მისი პირველი მეცნიერული შრომები.

პეტერბურგი იმთავითვე ორიენტალისტური მეცნიერების ცენტრად ითვლებოდა. საიმპერატორო უნივერსიტეტში და მეცნიერებათა აკადემიაში მოღვაწეობდნენ საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები, სამეცნიერო სკოლების მეთაურები. საკმარისია დავესახელოთ აკაკი შანიძის მასწავლებლები, რათა დაერწმუნდეთ, რა სოლიდური საუნევერსიტეტო განათლება შეეძლო მიეღო იმდროინდელ სტუდენტს. ესენი იყენენ: მარი (ქართული და სომხური ფილოლოგიის საგნები), უუკოვსკი (სპარსული ენა), ბართოლდი (აღმოსავლეთის ისტორია), კრაჩკოვსკი (არაბული მწერლო-

ბის ისტორია, ახალი არაბული ენა), ჯავახიშვილი (საქართველოს ისტორია), შჩერბა (ექსპერიმენტული ფონეტიკა), ბოდუენ-დე-კურტენე (ზოგადი ენათმეცნიერება).

საკვლევაძიებო მუშაობაში აკაკი შანიძე სტუდენტობიდანვე ჩაება. აკადემიკოს ნიკო მარს ამ დროს გვერდში ჰყავდა ამომდგარი პრივატ-დოცენტი ივ. ჯავახიშვილი, მისი ყოფილი მოწაფე. ეს ორი პიროვნება არაჩვეულებრივი ნაყოფიერებითა და ენერჯიის დაძაბვით მუშაობდა იმ ქართველ სტუდენტებთან, რომლებიც ნიქით გამოირჩეოდნენ და მიდრეკილებას იჩენდნენ ქართველოლოგიური კვლევისადმი. ივ. ჯავახიშვილი 1909 წელს აარსებს „ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეს“, რომელსაც 1911 წლიდან აკაკი შანიძე თავმჯდომარეობს. ამ წრის როლი და მნიშვნელობა განუზომელია. «Грузинская библиография», რომელიც შემდგომ დაიბეჭდა, ამ წრის დიდი მუშაობის მშვენიერი ნაყოფია.

სტუდენტი შანიძე 1912 წელს მოიწვიეს „რუსული ენციკლოპედიის“ («Русская энциклопедия») თანამშრომლად. აქ მოათავსა მან მთელი რიგი სტატიები ქართული კულტურის საკითხებზე («ვახტანგ VI», „დავით გურამიშვილი“, „ქართული ანბანი“, „ქართული ენა“ და სხვ.).

1913 წელს კათედრის ხელმძღვანელი

პროფესორი ნიკო მარი აკაკი შანიძეს უნივერსიტეტში ტოვებს საპროფესოროდ მოსამზადებლად. ამავე დროს იგი იგზავნება სამეცნიერო მივლინებაში მთის კილოების მასალების შესაგროვებლად.

1913 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში იბეჭდება აკაკი შანიძის პირველი მეცნიერული ნაშრომი ქართული დიალექტოლოგიის სფეროდან.

აკაკი შანიძის სტუდენტობისა და ასპირანტობის წლები დაემთხვა ქართველოლოგიის უმაგალითო აღმავლობისა და გაფურჩქვნის ხანას პეტერბურგში. ნიკო მარმა ტიტანური მუშაობა გაშალა და ქართველთ-მეტყველება მალე საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო დისციპლინად აქცია. დავიმოწმით ამ სკოლის ერთ-ერთი ბურჯის — ივ. ჯავახიშვილის მიერ მოცემული ფორმულირება, გამოთქმული გვიან, 1937 წელს: „პროფ. ნ. მარმა, — ამბობს იგი, ქართული... ფილოლოგიის დონე ერთბაშად იმ სიმაღლემდე აიყვანა, რომელზედაც დასავლეთ ევროპის თანამედროვე ფილოლოგიაა“. სწორედ ამ დროს ქვეყნდება ძველი ქართული წერილობითი ძეგლები, ქართველურ ენათა გრამატიკები, ლექსიკონები, იწერება ისტორიული ზასიათის გამოკვლევები... ნიკო მარმა და ივ. ჯავახიშვილმა აკაკი შანიძე ფართოდ ჩააბეს სამეცნიერო საქმიანობაში და გეზი და მიმართულება მისცეს ახალგაზრდა მეკვლევარს. ამავე სამეცნიერო მუშაობაში იყვნენ იმ დროს ჩამოშლნი უნიჭიერესი ქართველი ახალგაზრდები, შემდგომში ცნობილი მეცნიერები: ძმები ყიფშიძეები — იოსებ და დავით, ვუკოლ ბერიძე, გიორგი ჩიტაია, სილიბისტრო ლომია, ვლადიმერ ფუთურაძე, კარპეზ დონდუა, გიორგი ჩუბინაშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი.

ახალი ძალების შემატებასთან ერთად გადაიშალა უმაგალითო პერსპექტივები. ქართული ფილოლოგიის საერთაშორისო რეზონანსს განსაზღვრავდა როგორც,

ერთი მხრივ, მასალის (ე. ი. ქართული ლიტერატურული ძეგლები) მნიშვნელობა, ისე, მეორე მხრივ, მისი მუშაველელი დისციპლინის (ე. ი. პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის) მეცნიერული პრესტიჟი.

ქართული ენის ისტორიული შესწავლის აუცილებლობამ ბუნებრივად დაბადა დიალექტების მასალების შეგროვებისა და მათი სისტემატიზაციის აუცილებლობა. უნდა შემუშავებულიყო ფართო გეგმა და დასახულიყო ამოცანები. მარმა აკაკი შანიძეს და იოსებ ყიფშიძეს დაავალა, შეედგინათ ქართული დიალექტოლოგიის მასალათა შეკრების ამომწურავი პროგრამა-ინსტრუქცია, რომელსაც უნდა გაეთვალისწინებინა სავლეთ მუშაობის მეთოდოლოგია და გრამატიკულ-ლექსიკური ფაქტების აღნუსხვის წესები. მართლაც, 1916 წელს პეტერბურგში იბეჭდება შანიძე-ყიფშიძის მიერ შედგენილი ეს მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ქართულ დიალექტოლოგიაში წარმოადგენს პირველ სერიოზულ საინსტრუქციო ხასიათის ნაშრომს.

ერთ-ერთ ფუნდამენტალური მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენდა ქართული ბიბლიური ტექსტის დადგენა და გამოცემა. მარმა წინასწარი სალექსიკონო მასალების შესაგროვებლად და ტექსტებზე სამუშაოდ შეადგინა საგანგებო კომისია, რომელშიც, გარდა თვითონ მარისა, შედიოდნენ: ივ. ჯავახიშვილი, იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ჩუბინაშვილი და ამერიკელი რობერტ ბლეიკი (შემდგომ ცნობილი პროფესორი, ჰარვარდის უნივერსიტეტში ქართველოლოგიური ძიებების მეთაური).

ბიბლიის გამოცემა პეტერბურგში არ დასრულებულა და მხოლოდ ჩვენს დროში, 1947-1948 წლებში, აკაკი შანიძემ მის მიერ დაარსებულ გამოცემათა სერიაში — „ძველი ქართული ენის ძეგლები“ გამოაქვეყნა ნაკვეთები 978 წლის ხელნაწერების მიხედვით, მაშინ, როდესაც ეოცნალი აღარ იყვნენ მარი,

ჯავახიშვილი და ყიფშიძე. წიგნის წინასიტყვაობაში აკაკი შანიძე ამბობს: „ამ ნაეკეთის გამოშვებით განახლებულია ოცდაათი წლის წინათ შეწყვეტილი მუშაობა ოსკური ხელნაწერის კრიტიკული გამოცემისათვის. რაგინდ სასიხარულოც უნდა იყოს ეს ამბავი, — განაგრძობს შანიძე, — არ შემძლია მაინც დიდი გულსტიკივით არ აღვნიშნო: ვაი რომ სამუდამოდ შესვენებულია ამ საქმის წამომწყები დიდი ნიკო (გარდ. 1934 წ.) და ორი მისი თანამშრომელი: დიდი ივანე (გარდ. 1940 წ.) და ნიჭიერი იოსები, რომელიც ადრე გამოცემულა წუთისოფელს (გარდ. 1919 წელს). ამ სტრიქონების ავტორს, — დასძენს ა. შანიძე, — ვალად აძევს, განაგრძოს და ბოლომდე მიიყვანოს მათი სანუკვარი საქმეო“.

1915 წელს აკაკი შანიძე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში შეუდგა ფუნდამენტური გამოკვლევის ბეჭდვას ქართული ზმნის პრეფიქსების თაობაზე. მის მიერ აღმოჩენილმა კანონმა შესაბამის პირის ობიექტური პრეფიქსის გამოყენების შესახებ აღიარება პოვა სპეციალისტთა წრეებში და ახალგაზრდა მეცნიერის ხელმძღვანელმაც ეურნალ «Христианский Восток»-ის ფურცლებზე განაცხადა, რომ შანიძის მიერ დადგენილი მორფოლოგიური კანონზომიერება დიდად მნიშვნელოვანია ქართული ზმნის სტრუქტურის კვლევაში.

გავიდა დრო, მომწიფდა აზრი ქართული უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. იმათათვე ამ საშვილიშვილო საქმის მებაირახტრობა თავს იღვა ივანე ჯავახიშვილმა — შემდგომ ეროვნულ ნიდავზე ქართული მეცნიერების აღორძინების მეთაურმა, ქართული მეცნიერების პატრიარქმა.

1917 წლის 1 მარტს ივანე ჯავახიშვილმა პეტროგრადში, თავის ბინაზე გამართა თათბირი ქართული უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. ამ ისტორიული თათბირის მთავარი მონაწილე და ერთერთი სულსჩამდგმელი აკაკი შანიძე იყო.

გარდა ივანე ჯავახიშვილისა და აკაკი შანიძისა, თათბირს ესწრებოდნენ: იოსებ ყიფშიძე, შალვა მჭედუძიძე, სილიბისტრო ლომია...

შემდეგ აკაკი შანიძე ბრუნდება სამშობლოში და ივანე ჯავახიშვილის მეთავეობით მხურვალე მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის ორგანიზაციის უაღრესად რთულ და საპატიო საქმეში.

აკაკი შანიძე შედის უნივერსიტეტის პირველ პროფესორთა კოლეგიაში.

თავდაპირველად უნივერსიტეტში შეიქმნა მხოლოდ ორი საენათმეცნიერო კათედრა: ზოგადი ენათმეცნიერებისა (გამგე — პროფ. გიორგი ახვლედიანი) და ქართული ენისა (გამგე — პროფ. იოსებ ყიფშიძე). 1919 წლიდან ამ კათედრას სათავეში ჩაუდგა აკაკი შანიძე.

სხვადასხვა დროს აკაკი შანიძე იყო მდივანი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტისა, პროფესორთა საბჭოსი, „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის“ რედაქტორი, სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი და სხვა და სხვა.

1920 წელს ა. შანიძე იცავს სადოქტორო დისერტაციას. ეს იყო პირველი დისერტაცია, დაცული თბილისის უნივერსიტეტში.

1920 წელს ა. შანიძე სამეცნიერო მიზნით მიემგზავრება სვანეთში.

ეს იყო პირველი სამეცნიერო მივლინება, მოწყობილი თბილისის უნივერსიტეტის მიერ.

1924 წელს ა. შანიძე სამეცნიერო მიზნით მიემგზავრება სომხეთში (გ. ჩუბინაშვილთან, ლ. მელიქსეთაშვიტთან და ნ. სევეროვთან ერთად).

ეს იყო პირველი სამეცნიერო ექსპედიცია, მოწყობილი თბილისის უნივერსიტეტის მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ.

• • •

ფართოა და მრავალმხრივი სამეცნიერო პრობლემათიკა, რომელიც იზიდავს აკაკი შანიძეს, როგორც დიდი

ერუდიციისა და არაჩვეულებრივი ნიჭის მკვლევარს. ქართველური ენების სტრუქტურა და ისტორია, ქართული დიალექტოლოგია, ლექსიკოლოგია, ტექსტოლოგია, ეპიგრაფიკა, რუსთველოლოგია, ალბანოლოგია, ფოლკლორის-ტული ტექსტოლოგია, აი, უმთავრესი დარგები, სადაც ჩვენს დაუღალავ მკვლევარს ფუძემდებლური ნაშრომები შეუქმნია.

სადოქტორო დისერტაციაში აკაკი შანიძემ ძველი ქართულისა და ცოცხალი მტრჯველების მონაცემების ნიადაგზე უცილობლად გააჩვენა ქართული ენის მორფოლოგიის საკვანძო საკითხი, რომელიც საფუძვლად დაედო შემდგომ ძიებებს ზმნის სტრუქტურის შესწავლის დარგში. ეს მონოგრაფიული გამოკვლევა სანიმუშოა კვლევის მეთოდების გამოყენებითა და მასალის სკრუპოლოზური ანალიზის თვალსაზრისით.

ჩვენი ზმნის სირთულემ ქართული გრამატიკის ერთ ავტორს ასეთი ფრაზა წამოაცდენინა: „ქართულისა ენისა ზმნანი ყოველნივე არიან უკანონონიო“. აკაკი შანიძის შრომამ სათავე დაუდო ამ ზღაპრულად გადაჭარბებული შეხედულების გაქარწყლებას. ერთგან იგი ამბობს: „რთული რამ ყოველთვის მარტივად წარმოგვიდგება, თუ ანალიზი სწორიაო“. სწორედ ჩვენს მკვლევარს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ მან ქართული ზმნის ხლართებში გავგარკვია და მის წყვედი-ადში მეცნიერული შუქი შეიტანა. აკაკი შანიძემ ხსენებული გამოკვლევითა და მომდევნო წლებში ახალი ზმნური კატეგორიების აღმოჩენითა და დადგენით ფარდა ახადა ქართული მორფოლოგიის ამ ურთულესი ნაწილის საიდუმლოებას და სწორი მეცნიერული ანალიზის წყალობით გამოამზეურა ის საგანძური, რომელიც მის აღნაგობაშია ჩამარბული.

დავიმოწმით აკაკი შანიძის მეცნიერული შორსმკვრეტელობის ერთი მაგალითი.

თავის მონოგრაფიაში ავტორმა ყურადღება გაამახვილა ორ ზმნაზე, რომ-

ლებიც საყოველთაო წესს არ ემორჩილებიან და საზოგადო წესებს, გამონაკლისს შეადგენენ. მან ასეთი-გაზედული და, შეიძლება ითქვას, საკვირველი ვარაუდი გამოთქვა: ალბათ, ოდესღაც არსებობდა დიალექტი, სადაც ყველა ზმნას პრეფიქსად ხ (ხანი) მოუდიოდაო; ამის შორეული ან ყრუ გამონაკრთომი ჩვენამდე მოღწეული ორი ზმნა (ხარ, ზუალ) არისო. შემდგომ აკაკი შანიძე დაუკვირდა სხვა ანალოგიური ვითარების შემცველ ფაქტებს და უნივერსიტეტის მოამბეში დასაბეჭდად გადასცა ნაშრომი, რომელშიც დამატებითი დასკვნებია მოცემული. ეს წერილი ჯერ კიდევ დასტამბული არ იყო, როდესაც აკაკი შანიძე იმყოფებოდა პეტროგრადში, სადაც იგი ვაგზავნილი იყო (კორნელი კეკელიძესთან ერთად) ექსპერტად, მონაწილეობა მიეღო საკითხის განხილვაში, რომ საქართველოს გადმოსცემოდა ქართული სიტყვლები, კერძოდ — ზელნაწერები. მოსკოვში გაელისას, ერთ დღეს, დილით კორნელი კეკელიძეს უკითხავს აკაკი შანიძისათვის: „რა იქნება, აკაკი, რომ სადმე ამოგორდეს ქვა მეექვსე საუკუნის წარწერით, ასე თხუთმეტიოდე სტრიქონიო? „აკაკი შანიძეს უპასუხნია: „სულ ხანებით (ხ ასოებით) იქნება საესეო“ (აქ იგულისხმება, რომ ყველა ზმნას თავსართად ხ ექნებაო).

რა იცოდა აკაკი შანიძემ, რომ სწორედ ამ დროს თბილისში ივანე ჯავახიშვილს წილად ზედა უდიდესი ბედნიერება — აღმოეჩინა პალიმფსესტები, რამაც გადატრიალება მოახდინა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლის დარგში. ეს იყო ჭეშმარიტად უდიდესი აღმოჩენა, რომლის შესავსი არ იცის ქართული ფილოლოგიის ისტორიაში.

ეს ტექსტები სულ ხანებით არის საესე!

ამის თაობაზე აკაკი შანიძეს სასწრაფო წერილი მიუღია პეტროგრადში გიორგი ახვლედიანისგან 1923 წლის 17 მარტის თარიღით, „სიხარულისაგან

(მოგვესთ ლხენა)... ძალზე ამიჩქროლდა გულიო“, ამბობს აკაკი შანიძე. „როგორ ვიფიქრებდი, თუ... ჩემს გამოკვლევაში (იგულისხმება უნივერსიტეტის მოამბეში დატოვებული წერილი. შ. ძ.) მოყვანილს რამდენიმე გასაკვირალ ფორმას ასე მალე გამოუჩნდებოდა აუარებელი პარალელები, ოღონდ არა მიწიდან ამოღებული ქვების წარწერებში, არამედ ვადარეცხილ-გადაფხევილი ეტრატის ფურცლებზე, ხოლო თვით გამოკვლევა ისე მალე დაძველდებოდა ამ ახალი აღმოჩენის გამო, რომ სტამბაში უდროოდ დაბერებულს ორიოდ სიკაბუჯის დღეც კი არ ეღირსებოდა ცოტა ადრე გამოქვეყნებითო“. ივანე ჯავახიშვილი კი ახალი აღმოჩენების გამო თავის წინასწარ ცნობაში ამბობდა: „აქამოდ IX საუკუნეზე უწინარესი არც ერთი ქართული ხელნაწერი არ იყო ცნობილი და ესლა ერთბაშად სამი საუკუნით უფრო ადრინდელი ძეგლის ნაწყვეტი აღმოჩნდა! მღელვარებისაგან ცოტა ხნით შეწყვეტილი მუშაობის განახლების დროს ვცდილობდი დავრწმუნებულყავ, რომ თვალი არ მატყუებდა და შეცდომა და მოჩვენება არ იყო ის, რასაც ვკითხულობდიო“. საქმე ისაა რომ ჯერ კიდევ 1897 წელს ამ ნაწყვეტისათვის ყურადღება არ მიუქცევია ნიკო მარს, რომელსაც იგი მოუვიდა ინგლისიდან გასამიფრავად. ივანე ჯავახიშვილი დაძქნს: „ის გარემოება, რომ მარმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია, მაფიქრებინებდა, რომ ეს ნაწყვეტი ქართული მწერლობისათვის ალბათ უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო“. რაკი ამ ნაწყვეტს მე-17 საუკუნეზე უწინარესი ხანის ნიშნები ეტყობოდა, ივანე ჯავახიშვილი ამბობს: „გადაწყვეტილი მჭონდა ოქსფორდის წიგნთსაცავისათვის მიმელოცა, რომ ის უძველესი ქართული ხელნაწერის ორი ნაწყვეტის მფლობელი იყო“. იქნებ თბილისშია საგულველი უძველესი ხელნაწერები? და, აი, აღმოჩნდა პალიმფსესტები, რომლებმაც

რეალურად დაადასტურეს აკაკი შანიძის ენათმეცნიერული ვარაუდი.

შემდგომ ამ ამბებს მოჰყვარებდნენ ახალი აღმოჩენები, ახალი სიხარული: აკაკი შანიძემ მიაკვლია და აღმოაჩინა უძველესი ხელნაწერები, რომლებშიც ხანის ადგილას ჰაე გვხვდება ზმნის პრეფიქსად. ესაა ე. წ. ჰაემეტი ტექსტები. კიდევ ახალი ფურცელი ქართული ენა-საბჭოების შესწავლის ისტორიაში... მალე მის მიერვე ხანმეტ მრავალთავის მიგნება... გაფართოვდა კვლევის არე, ქართული მწიგნობრობის რეალური ისტორია რამდენიმე საუკუნით ადრე გადაიწია, ჩვენს წინაშეა V-VI საუკუნეების ქართული ენის უტყუარი დოკუმენტები. ისახება ახალი მეცნიერული პერსპექტივები. აკაკი შანიძის მეცნიერული წინასწარმეტყველება გამართლდა: მკვლევარის მიერ ადრე მოცემული დაკვირვების გზით მიღებული შედეგები რეალური, წერილობითი ძეგლებით იქნა განმტკიცებული და დადასტურებული. ასე იცის ფაქტების მართალმა ანალიზმა!

შემდგომ და შემდგომ აკაკი შანიძე აარსებს ფილოლოგიური გამოცემების სერიებს: „Caucasus Polyglottus“ (1935 წ.), „ძველი ქართული ენის ძეგლები“ (1944 წ.), „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები“ (1955 წ.). დღის სინათლეზე გამოდის უნიკალური ხელნაწერები, შემკული ფართო სამეცნიერო აპარატით, გამოკვლევით, ლექსიკონით. ამ უკანასკნელ სერიაში, მაგალითად, გამოსულია 11 ტომი, ამათგან 4 ტომი თვით აკაკი შანიძის გამოცემით, დანარჩენი 7 კი — მისივე რედაქციითა და ხელმძღვანელობით. შანიძისეული პუბლიკაციები დამყარებულია ქართულ ფილოლოგიაში ახალ პრინციპებსა და მეთოდებზე, სალიტერატურო ენის განვითარების საფესურების წარმოჩენასა და გამოვლინებაზე.

ოციანი წლებიდან მოყოლებული ზედმეტ ძველდება აკაკი შანიძის სპეციალური გამოკვლევები ქართული ენის

სტრუქტურისა და ისტორიის საკითხებზე. ახალი გრამატიკული კატეგორიების დადგენა და წარმოჩენა ამზადებს მკვიდრ ნიადაგს მეცნიერული გრამატიკის შესაქმნელად. და, აი, 1930 წელს დღის სინათლეზე გამოდის შანიძისეული პირველი მეცნიერული გრამატიკა ახალი ქართული ენისა. ამ წიგნმა უდიდესი როლი შეასრულა ევროპაში ქართული ენის სტრუქტურული თავისებურებით დაინტერესებისა და, საერთოდ, ქართველოლოგიური კვლევის გაცხოველების თვალსაზრისით. შემდგომ ჩვენი დაუღალავი მკვლევარი ავსებს და ამდიდრებს თავის გრამატიკულ ნააზრევს და 1953 წელს აქვეყნებს ფუნდამენტურ ნაშრომს — „ქართული გრამატიკის საფუძვლები“, რომელშიც შეჯამებულია და განზოგადებული ადრე მიღებული შედეგები. ეს 672-გვერდიანი წიგნი უნდა მივიჩნიოთ საბჭოთა ქართველოლოგიის მიღწევად.

ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“, კორნელი კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორია“, გიორგი ჩუბინაშვილის „ქართული ხელოვნების ისტორია“, აკაკი შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლები“, — ეს ფუძემდებლური წიგნები, — უდიდესი მონაპოვარია ქართველი ხალხის ისტორიისა და მისი მდიდარი სულიერი კულტურის შესწავლის დარგში.

დიდია აკაკი შანიძის დამსახურება ქართული დიალექტოლოგიის, სვანურის, მეგრულ-ქანურის სტრუქტურისა და ლექსიკის კვლევა-ძიებაში. მისი „უმლაუტი სვანურში“ საეტაპო მნიშვნელობის გამოკვლევაა, რომელმაც ახალი პერსპექტივები გადაგვიშალა ამ ძალზე საინტერესო ქართველური ენის შესასწავლად. აკაკი შანიძემ ვარლამ თოფურიასთან ერთად სათავე დაუდო საქართველოში სვანური დიალექტოლოგიური მასალების მეცნიერულ პუბლიკაციას. ამ ორი მეცნიერის მიერ ერთად გამოქვეყნებული რამდენიმე ტომი სვანური ტექსტებისა, დიხაჯე სანიმუშოა და ძვირ-

ფასი მასალა ქართველური ენების ისტორიულ-შედარებითი ძიებებისათვის. აკაკი შანიძე, ნიკო მარტოხიძე, ერთად, ქართული მეცნიერული დიალექტოლოგიის მამამთავარია. თავისი გზისგამკვლევი ნაშრომებით მან ჩაგვანება ხალხური მეტყველების უძირო ზღვაში და ნათელი გახადა განსაკუთრებით ქართული ენის მთის დიალექტების მნიშვნელობა ჩვენი ენის ისტორიული თვალსაზრისით შესწავლისათვის.

აკაკი შანიძემვე, როგორც ლექსიკოლოგმა, დიდი ამაგი დასდო ქართული ენის სიტყვობრივი ფონდის გამომხეურებას და იმ საუნჯის დღის სინათლეზე გამოტანას, რომელიც დაცულია ჩვენი ენის საგანძურში.

აკაკი შანიძე ქართული ფოლკლორისტული ტექსტოლოგიის საფუძვლის დამდებია და ხალხურ პოეზიაში მიმოზნეული მარგალიტების გამამხეურებელი. 1931 წელს გამოცემული კაპიტალური წიგნი, რომელშიც გადმოშლილია ხევსურული ზეპირსიტყვიერების ფასდაუდებელი ნიმუშები, — ვრცელი სამეცნიერო აპარატით აღჭურვილი, — მოასწავებს ახალ ეტაპს ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიაში.

ჩვენი მეცნიერის საკვლევაძიებო თემატიკაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია შოთა რუსთაველის უკვდავ ქმნილებას — „ვეფხისტყაოსანს“, მისი ტექსტის კრიტიკულად დადგენას, შერყვნილი და დამაზინჯებული ადგილების გამართვას და ზრუნვას პოემის მეცნიერული გამოცემისათვის. შარშან, რუსთაველის დღეებში გამოსული მისი ფუნდამენტური წიგნი „ვეფხისტყაოსნის საკითხები“ პირველი ნაშრომია, სადაც მოცემულია რუსთაველის ენის ცალკეული საკითხების ღრმა ანალიზი.

აკაკი შანიძე პირველია, რომელმაც გაშიფრა და გამოიკვლია ალბანური დამწერლობა და ამ ენის ფონეტიკური სისტემა. მისმა ალბანოლოგიურმა ნაშრომებმა მსოფლიო მეცნიერების ყურადღება მიიპყრო.

აკაკი შანიძე არ არის კარჩაკეტილი მეცნიერი და მარტოოდენ თეორიული პრობლემების მკვლევარი. იგი დაინტერესებულია ქართული სალიტერატურო ენის პრაქტიკული საკითხებით. 1920 წელს გამოსულმა მისმა წიგნმა „სალიტერატურო ქართულისათვის. პროექტი ქართული ორთოგრაფიისათვის სადაო საკითხების მოსაწესრიგებლად“ (გიორგი აბულედიანის, სერგი გორგაძის, კორნელი კეკელიძის, ვუკოლ ბერიძის თანაავტორობით და შანიძისევე რედაქციით) სათავე დაუდო სალიტერატურო ენის პრაქტიკული საკითხების მეცნიერულ საფუძველზე გადაჭრას. შემდგომ იგი იყო ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე; მისივე

პროექტების საფუძველზე დადგენილია და მიღებული რამდენიმე ნორმა ჩვენი ენისა.

გიორგი შანიძე

მადლიერმა სამშობლომ ზეიმით აღნიშნა სასიქადულო მეცნიერის დაბადების 80 წლისთავი. ეს იყო ზეიმი თბილისის უნივერსიტეტისა, რომლის ერთ-ერთი მესაძირკველ თავად ბრძანდება, ზეიმი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა, რომლის საფუძვლის დამდგენი ჩვენი იუბილარიცაა, ეს იყო ზეიმი მთელი ქართველოლოგიისა, რომლის განვითარების ახალი საფეხური მის სახელთან არის დაკავშირებული, ზეიმი სპეციალისტთა მთელი არმიისა, რომლის წრთობა და დავაჟიკაცება აკაკი შანიძის ღვაწლს მიეწერება.



## ათასი უთი ბაღლვა

ბანდელი და ბაზონელი

ბანდელის სახასოვო

იმ დღეს ისევ ატყდა აურსაური ჩვენს „რადიო-ოთახში“. მე რომ მივედი, ყველა მიმღებთან იჯდა და ყურმილებით ისმენდნენ გადაცემას. პოლომ ხელით მინინა დაკეციო. მარინამ ყურმილი მომაწოდა, გებელის ხმა გაგივონე. მისი რადიო-გამოსვლები ზეერაერ მჭონდა მოსმენილი და აღვილად ცვნიბდი. ამჯერად კი გებელის ხმა განსაკუთრებით პათეტიურად ელერდა. იგი ლაპარაკობდა „განვების ნებაზე, რამაც იხნა ფიურერი განსაცდელისაგან“. „მტერმ: თავისი მუხანათური ზელი აღმართა მის წინააღმდეგ, მაგრამ მამა-ზეციერმა გადარჩინა ვერმანელი ხალხისა და მოთფლიის იმედი“ — ისმოდა ყურმილში გებელის ამცნობა მთელ ქვეყანას; რომ მოეწყო თავისხმა პიტლერზე, აფეთქება მოხდა მის შტაბში, რამდენიმე კაცი დაიღუბა ან დაიჭრა. პიტლერი ცოცხალია. შეოქმულება — განადგურებულა. მონაწილენი — დაპატიმრებული ან დახვრეტლი.

ეს იყო აჯანება ტელეფონებით და ჩვენ ის ჩავახშეთ შახანის რამდენიმე გასროლით. ამიტომაც უნდა შევძახოთ: ჰაილ!... და კიდევ ჰაილ!...და... ისევ საშვების ჰაილ, ჩვენს ფიურერს!... — დაასრულა მან თავისი სიტყვა....

უფრო გვიან თვითონ პიტლერიც გამოვიდა და განაცხადა:

—გერმანელო თანამემამულენო, ბატონებო და ქალბატონებო! არ ვიცი, უკვე რამდენჯერ მომიწევს თავდასხმა, მაგრამ ამოიღ. და თუ მე ახლა თქვენ მოგმართავთ არის ორა მიზეზი: ჯერ ერთი: ჩემი ხმა გაგივონოთ და დაგარწმუნოთ, უკლებელი და ჯანმრთელი რომ ვარ: მეორე: შეგატყობინოთ დანაშაულის შეახებ, რომლის მსგავსი იშვიათია ისტორიაში: ოფიცრების მყირე ხროვას უნდოდა ჩემი მოკლა და გენშტაბის ამოხოცვა. პოლკოვნიკ ბრაუშტაუფენბერგის მიერ დადებული ნაღმი ჩემგან ორი მტერის დაშორებით აფეთქდა. ზეერი ჩემი ძვირფასი

ამანაგი მიმედ დამავდა, ერთი მოკვდა. მე სრულიად უცნებელი ვარ. ამიტომ ვუყურებ ამას, როგორც განვების ძალის გამოყენებას, რათა კვლავ განვადრდო ჩემი ცხოვრების მიზნის განხორციელება...

მერე კიდევ ერთხანს ილაპარაკა განვების მითითებაზე Fingerzeig der Vorsehung „უზურბატორების“ განადგურებაზე, კომლერის სარეზერვო არმიის სარდლად დანიშნაზე. გუდერიანისა — გენშტაბის უფროსად; სხვა არაფერი იცვლებაო, გამოაცხადა და დაფდაფების ხმაურში დაამთავრა თავისი გამოცხება...

...ბენდელბლოკში კომლერი და კალტენბრუნერი გამოცხადდნენ, ამით შეთქმულება დამთავრდა, დაიწყო შურისძიება...

ჯერ სამხედროებისათვის „ღირსების სამსჯავრო“ შექმნეს ფელდმარშალ რუნდშტედტის მეთაურობით სამსჯავროში შედიდნენ კაიტელი, გუდერიანი და სხვები.

ფელდმარშალ რუნდშტედტს „ღირსების სამსჯავროში“ არც თუ ისე ღირსეული მოვალეობის შესრულება მოუხდა. იგი თვითონ იყო შეთქმულების საქმეში განდობილი. მართალია, საქმიანი მონაწილეობა არ მიუღია მასში, მაგრამ იცოდა კი ვველაფერი, არც ხდებოდა. შეთქმულების კურსში ის თვით რომმელა ჩააყენა, მაგრამ ზედმეტად ფრთხილმა რუნდშტედტმა უპასუხა:

— თქვენ ახალგაზრდები ხართ, კარგად იცნობთ და ციყვართ ხალხი. თვითონ გააკეთეთ ეს ყველაფერი!

ახლა კი მის სამსჯავროს წინაშე უნდა წარმდგარიყვნენ ისინი, ვინც „ეს გააკეთა“.

„ღირსების სამსჯავროს“ წევრები დამნაშავეებს ჯერ არმიიდან აძებებდნენ, მერე კი სპეციილურ „სახალხო სასამართლოში“ გზავნიდნენ, სადაც მხოლოდ ერთი განაჩენი იყო: სიკვდილით დასჯა. ასეთი განაჩენი თვითონ პიტლერის მიერ იყო წინასწარ გამოტანილი.

— დამნაშავეებთან ლაპარაკი მოკლე იქნება, — განაცხადა მან, — არავითარი სამხედრო ტრიბუნალი ჩვენ მათ წაყაყუნებთ სახალხო სასამართლოს წინაშე და არ მიიყვამთ განცხადებების უფლებას. სასამართლო იმოქმედებს სინათლის სისწრაფით. მისი საათის შემდეგ კი განაჩენი სისრულეში იქნება მოწყვნილი: ჩამოხრჩობა — ყოველგვარი შენდობის გარეშე...

ამგვარი „სასამართლოსათვის“ შედგამიჭრილი სწორედ რწინაღდ ფრისლერია იყო. თავისი სისაბრტყით პიიღრნიხს შემდეგ მას პირველი ადგილი ეცრა. უხემობაში კი ბადალიც არ ქაყედა, რაც მან „სახალხო სასამართლოშიც“ დაამტკიცა.

პირველი პროცესი 7 და 8 აპრილის გაიშარდა. „სასამართლებდნენ“ ფელდმარშალ ფონ ვიცილებენს, გენერალ ჰოპნერს, გენერალ შტიეს, გენერალ ფონ პახენ; ოფიცერებს: ჰაგენს, ვლასუნენს, ბერნარდისსა და გრაფ პეტერ იორც ფონ ვარტენბერგს.

გებულების განკარგულებით მთელი პროცესი, თუნდაც ერთი წუთი ინტერვალის გარეშე, გადაღებული უნდა ყოფილიყო კინოფირზე. განზრახული ქონდათ ამ ფილმის ჩვენება სამხედრო ნაწილებისა და მოსახლეობისათვის — „როგორც მაგალითისა და გაფრთხილებისა“.

წინასწარ ყველაფერი ისე იყო მოწინააღმდეგელი, რომ დამნაშავენი რაც შეიძლება მტკადა დემეცირებინათ. არავითარი პატროისცემა ტრადიციის, სამხედრო წოდების, ადამიანობისა თუ შართლმსაკულებს, ბრალდებულები საშინლად აწამეს გესტაპოს რურღმულებში, გახადეს სამხედრო ფორმები, ძინძენი შემოსება, ამომიიღეს, წურვრელით მოკლეს და ასე სასომხიხილად წარუდგინეს „შალალ სამსჯავროს“.

ფრისლერს ადამიანის დამეცირების განსაკუთრებული ნიჭიც აღმოაჩნდა. დამნაშავეებისათვის რომ უფრო სასაცილო და საყოფაცი შეხედულება მიეცა, მისი განკარგულებით წინასწარ დაატარეს შარულბზე ღილები. და, როცა თინი დარბაზში შემოსეყადით, შარფალი ყველას ხელით ეცრა. ეს ვითომ „შალიან სასაცილო“ იყო! ის კი არა, ყველას წინასწარ წამების კვალი აჩნდა. ზოგს ხელი ქქონდა მოტყნილი. ზოგს—ფეხი, სახე დაღურჭებული და დახისხილანებული. განსაკუთრებით საყოფაყად ერთ დროს ამაყი და წარმოსადგეი მოხუცი ფელდმარშალი ვიცილებნი გამოიყურებოდა. მას წინასწარ ჩაქურით ჩაუმტკრეებს ზელონური კბილები, რომ უფრო ბებრული გამოშვტყველება ქქონდა. ძინძეზიდან დასისხლიანებული სხეული მოჭანდა, სახეზე კი ქირის ოფლი გადასდიოდა... იფგა ასე უწყეოდ ფრანღურის წინაშე და შარფალი რომ არ ჩაგარღნიდა, ორივე ხელით ქქონდა ჩაბღურჯული.

— ეი, შე ქუჭუყანი ბებერი, რას ჩაბღურჯობსარ მეგ შარფალს, გაესებული ხომ არა გაქვს! — დაუძახა ფრისლერმა, გადაცეული ესესელებით საყებ დარბაზში ხარბარი ატყდა. კინოკამერა განუწყუტკლე ტრიალებდა. ხმის ჩაწყერი აპარატებიც... პრალღებულებს უყვიროღნენ, ემუქრებოღნენ, დას-

ცინოღნენ, მეგრამ, მათ შაინც ღირსეულად გეგრამთათე. ყველაზე უფრო კი ახალგაზრდა ურსფ იორს.

— შე ღორო, რატომ უღალატე მტრტანს? — დაუყვირა მას ფრისლერი.

— შე არასოდეს არ ყყოფიღვარ და არც შეგემლო ყყოფიღვაყო ნაცისტური პარტიის წყერი, — მიუეოთითყმა.

ასეო განცხადებებს შეეძლო გებულის მიერ შეეველილო ფილმი გავუტყებინა. პიტლერსაც ხომ ნათქვამი ქქონდა, ბეგრს არ ვღალაპარაკებო. და იორკი ჩააწყეს. არც სხვებს მისცეს ხმის ამოღების უფლება. ფრისლერია უყვიროდა მათ: ღორო, ძალილო, ტუჭყუყანიო მთხოფარო, მოღალატე, არამადა... და ა. შ.

ფრისისათვის დამეცველებს იყენენ გამოძახებუღლი, მეგრამ მათ შთოღოდ იმის უფლება მისცეს, რომ სასიყვიღილო განაჩენისათვის მოეწყრათ ხელი. ფელდმარშალ ვიცილებენს „დამეცველმა“ კი იმღენი „პროფესიული გამმეღაობა“ გამოიჩინა, რომ ფრისლერს სთხოვა, ჩემს დასაცაც პირს, როგორც შევლელს, რაც შეიძლება უფრო მძიმე სახეული დაადეთო...

ო, როგორ არ გეგდა ყველაფერი ეს ნორნბერგის პროცესს, სადაც საერთაშორისო საშართლის ყველა წყეს უკიდურესი სიხუსტით იცადღენენ.. ამერიკელმა ბრალმღებელმა ჯეკსონმა თქვა კიღეც:

— ჩვენ მათ დაცვის ისეთ საშეალებებს ვაძღვეთ, რომელთა შგაყესაც თვითონ არასოდეს მიეყვითთავანთი თანამემამულეებისათვის!..

ან რა დაცვაზე შეიძლებაოღა ლაპარაკი, როცა განაჩენი წინასწარ იყო გამოტყანილო!

ფრისლერი მბროღდ კითხულობდა, თუყეა ბიღლის საყთანა კომენტარსაც უყეობდა. მას ჩეეუღებად ქქონდა, ლაპარაკის დროს თითქმის ყოველი წინადაღების შემდეგ წამოეძახა: ჰალო პიტლერი! მაგალითად, ასე:

— ამ ღორებს ჩამოყაბრბობით და ჩვენ დავებრუნდებით ცხოყრებას, ბრძოლას, ჰალო პიტლერი! ამათთან საერთო არაფერი გვაქვს, ჰალო პიტლერი! საღახე გათავისუფლღება და განიწმინღება მათგან, ჰალო პიტლერი! ჩვენ ვაბძებთ და არმა ყსაღმება ამ ღონისძიებებს, ჰალო პიტლერი! შეე ვსაღმებთ, ჰალო პიტლერი! ასე ჩამოყვიშორებთ გზიღან სამიმ მტრებს და გავეწეო წინ, ტოტალური ნაბიჯებით, ჰალო პიტლერი! საბოლოო გამარჯყენისაყენ, ჰალო პიტლერი! და ისეე ჰალო პიტლერი.. და ისეე სამ გზის ჰალო პიტლერი, ჩვენს საყყარღდ ფურგრს...

...ბრალდებულებს რომ სიყვიღის უსაყიღნენ, ეს, ვოჭკობ, ვასაყებოყა. ომის დროს სახელმწიფოს მეთარყნა და მოყარბარდაღლე თყედსამხმის მონაწიღური, კანთის ძალით, მაროღაც, სასაყელის უნაღღებს ზომას იმსაბერგენ და ეს არავითვის ბრალღებად არ წაყუნებოათ, მეგრამ ვასაყარბო, თვითონ ფორმა სიყვიღლით დასყისა. როცა გენერალებს სიყვიღლით სყან, ჩეეუღებრიღად, ღირხების რაღც წყეს შაინც იყყენ. ჩამობრბობას დას-

ურტით უცვლიან. თვითმკვლელობის საშუალებას აძლევენ ამ თუ ჩამოსაბრძოლ, სამხედრო ფორმას როდი ხდინამ აქ კი სწორედ ამის სრული წინააღმდეგობა იყო. გუნდებმა რომ მოიგონა, სიკვდილისჯი-ღები პირადა დააწვიანეთ, რომ მოწვეულ ნაჯახს თვალი მიპკრასო, ეს კიდევ არაფერი; არც ის, და-ნტეს უჯოხებით დამანაშავეებს წყენებით რომ კი-დებდნენ. ჯალათის ფანტაზია ამ შემთხვევაში უფრო შირს წაიღია.

არ ვიცი, ვინ მოიგონა ეს, პიტლერმა, ისევ გერი-ნგმა თუ პიტლერმა, რომელსაც გრეგორ შტრას-სერი იმთავითვე უსახს უწოდებდა. ამბობენ, თვი-თონ პიტლერმათ. შეჰაძლებელია თუმა ვეცტარია-ნელ პიტლერისათვის ასეთი ვახებრა ფანტაზია არც თუ ისე შეესაფერისაქ...

ასე თუ ისე, სადაღ, სარდაფში, შართლაც, „სა-ყახბო“ მოაწვევს. დასლიც დააყენეს და კედლებზე დაკლული ღორების ჩამოსაკიდებელი ჩანალებიცი მიაშვრეს. თან ფოტოკურსებთანდებრები და კინო-ოპერატორები მოიწვიეს, რომ მთელი ეს პროცე-დურაც ფირც ყოფილიყო აძებქდილი და მოსაკე-დლთა უკანასკნელი წამობანლი თუ ხრიალი ჩაწე-რალი. ყველაფერი რომ მოამზადეს, წამებით სულის ამობდამდე მიყვანილი ფელდშარშალი ვიქლებენი და სხვა გენერლები შემოიყვანეს ამ „სასახბოში“ და რიკში დააყენეს. ერთს რომ სიკვდილით სჯიდნენ, სხვებს უნდა ვუკრებინათ, რათა წინასწარ გახეცდათ ეს სამინერლები... გერნიკის რეჟებტის მიხედვით, მოწვეულ ნაჯახს მსხვერპლი რომ ერთი წამით თვალს შეავლებს — ეს არაფერია, შეიძლება გაა-ზრებაც ვერ მოასწროს. აქ კი ყველაფერს შეიძლე-ზა დააკორდეს და გარჯადაც გაიგოს, რაც მოიღოს.

სიკვდილით დასჯის პროცედურა ასეთი იყო: ზელ-ფშეშკურული მსხვერპლი უნდა მოეგვინათ კედლ-თან და კოხლად. ნიკაპით ჩამოეკვათ ღორების და-საკიდებელ ჩანაგულზე! სხვები უკრებდნენ, სანამ ის...

ერთი სიტყვით, მერე სხვას მიიყვანდნენ, რომ იგივე გაემოკრებინათ. ეს „პროცედურა“ გარჯა ხანს გრძელდებოდა. მსხვერპლი დიდხანს ფართხალბედა ჩანაგულზე, ვიდრე სული გაეყრებოდა სხეულს. მუსი-კის მოყვარულმა პიტლერებებმა ამას „სიკვდილი პიანი“ უწოდეს. ეს, შართლაც, ძალიან წელა ხდებო-და. კინოკამერები შოიკლებდნენ, ჯალათი ვესხვლე-ბა კი მოთინებით უყდიდნენ, ვიდრე ჩანაგულზე ჩა-მოიკიდებულ „ღორს“ სული ამოხდებოდა. მერე იმას ჩამოხსნიდნენ და მეორეს მიიყვანდნენ ჩამოსაკიდებ-ლად...

რამდენიმე გენერლის შემდეგ მიწოტავრივით სტელიკსირა ვესხვლბემა ზელ-ფშეშკურული მოხუცე-ბული ფელდშარშალი ვიქლებელი შიიტბრეს კედელ-თან და ასწავს. უკანასკნელი მომერტში ფელდშარ-შელმა თავი გაქანია. ჩანაგლი ვებამი მოხვდა და თვალში გამოუვიდა. პიტლერის მითითების მიხედვით კი, სიკვდილიმსჯილისათვის ჩანაგლი აუვილებლად ნიკაპქვემ უნდა გამოეღოთ. ამიტომ ვესხვლებმა „შეუღომა“ გაასწორეს, ისევ ჩამოხსნეს ფელდშარშა-

ლი და ახლა სწორედ ნიკაპქვემ გუაყარს ჩანაგლი-ფურცრის მითითება ამ შემთხვევაში უკუტად იქნა შესრულებული.

**საქონის შემოღ**

შემდეგ სხვა გენერლებიც ჩამოტყვევ-ჩანაგულს კრე-რიგობით...

... ყველაფერი ეს, როგორც პროცესი, ისე სიკე-დილით დასჯის სცენა, რამდენიმე ათას მეტრ ფირ-ზე იქნა გადარებული. ფოლში გამოვიდა! პიტლერმა იმავე დამეს ნახა. ერთხელ კი არა — რამდენჯერმე. როგორც კალტენბრუნერმა ვეიამბო ნიურნბერგში, პიტლერია ტებებოდა თურმე ყოველივე ამის ვერე-ბით. ხოლო, როცა ვესხვლები ფელდშარშალ ვიქ-ლებემს კიდებდნენ ჩანაგულზე, აღვზნებული წამოს-ტა აფელიდან და რაც ხელში მოხვდა, ყველაფერი კრანს ესრალა, თან ვეიკრდა:

— ასე, ესე უნდა მაგას!...

ამბობენ, გუელზმა ჯერ აიტანა ამის ყურება და თვალბეზე ორივე ხელი აიფარაო. სხვებს კი ამის საშუალებაც არ მიცეს. პიტლერის ბრძანებით ყველა გენერალი ვალდებული იყო ენახა ეს ფოლში „ჭკუის საწაველები“. კალტენბრუნერი შეკრებდა მათ, შეიყვანდა კინოდარბაზში, თვითონაც იქვე იჯდა და უთვალთვალბედა. როგორც კი ამ სამინელი სანა-ხაობით შედრწუნებული რომელიმე გენერალი თავა გვერდზე მიბარუნებდა ამ თვალბეს დახევადა, კალტენბრუნერი უყვირებდა:

— გვერდზე წე იყურებით, თვალბე გაახილეთ!... თუ ვინმე შაინც გაკოტტებოდა, შემდეგ სენან-ზეც დატოვებდა და შაინც აუკრებინებდა...

... მეც რამდენჯერმე ვეიად ამ ფოლმის ყურება, მაგრამ ბოლომდე ვერც ერთხელ ჯერ გაეუბლი. სა-სამართლო „პროცესს“, ასე თუ ისე, შაინც ვეყურე-დი, მაგრამ საყახბოს სცენებს!...

ეს შართლაც ყოველგვარ ადამიანურ შესაძლებ-ლობას აღემატებოდა!... კალტენბრუნერს კი ვეიოხე ნიურნბერგში:

— რატომ აკეთებდით ასე, ამ თქვენ თვითონ რა-ტომ აიძულებდით გენერლებს ვუკრებინათ ამ სამი-ნელებისათვის?

გაციონლ სახეზე რაღაც შემზარაგმა ღინილმა გა-დაურბინა და ისე მითბრა, ასე რომ არ მოცქვეუ-ლყავი, შეეც ამ ღორბებით დამკიდებდნენ ჩანაგულ-ზეო...

... მერე თვითონ კალტენბრუნერი დაჯდა საბრალ-მდებლო სკამზე. დარბაზში სინათლე ჩაქრეს და მისი თანაშემწის, ნებუს, ბინამი ნაპოვნი ის კინო-ფოლში დაატრიალეს.

სექციალურა ელექტროგაფანილობით შხოლოდ ბრალდებულების სახეები იყო განათებული. დარბაზ-ში შოოფი გქიშები და ფსიქოლოგები აკვირდებოლ-ნენ მათ რეპქციას. კალტენბრუნერი გატევაუბული იჯდა, გაყინული, შიშველი და შვევაუბული. მე კი ყველაზე სამინლად ის მყვენა, რომ დროდადრო

მოწყენილობისაგან ამოქანაბრდა და ბოლოს ძილი ისე მოერია, რომ თვალებაც მიღუღა...

მისთვის არავის დაუყვირია, თვალები გაახილეთ, არც ფილმის ჩვენება გაუმოგონებია...

... შეგნით დარბაზში კი წარმოუდგენელი გუნური იდგა... „საყვასობს“ სენა რომ დაიწყო... აჭა-იქ ქალების კვიცილი გაიხმა... ვიღაც რაღაცას ყვიროდა... ლორუყნისი ამოად აბრახუნებდა მავთლზე ხის ზაქურს... ჩემი წვეთბარი ფრანკ; პოეტო კი მანინდელივით გაიძახოდა:

— ვივა ციცილიზაციამ!.. ვივამ!

ფილმის დემონსტრაცია რომ დამთავრდა და დარბაზში ხინათლე ანთეს... იქ შეყოფიდან ნახევარზე მეტს ზურგი ჰქონდა ეკრანისათვის შექცეული...

სამხალხოპიარო კომედიამ...

ტერორი კი სულ უფრო და უფრო მჭინვარებდა. პიტლერელები ინკვიზიტორული სისასტიკით დაერივნენ შეთქმულებს. 4 ფელდმარშალი, 45 გენერალი, უამრავი ოფიცერი და სამოქალაქო პირი შევიწროა ამ ტერორს. ამბობენ სულ 7 ათასი კაცი იქნათ და-პატიმრებული, 49800—სიკვდილით დასჯილი. ბევრმა თვითმკვლელობა არჩია ასეთ სამინდელ სიკვდილს... შეთქმულების ერთ-ერთმა მთავარმა ხელმძღვანელმა გენერალმა ტრესკოვმა, 21 ივლისს, დილით, როგორც კი გაიფო შეთქმულების წამლის ამბავი, თავის უახლოეს მეგობარს შლაბრენდორფს უთხრა:

— ეხლა ყველა ჩვენ მოკვადგება და დავიცივებს ლანდშაისს, მერამ ჩემი რწმენა ურვევი რჩება — ჩვენ ვემსახურებოდით მართალ საქმეს. პიტლერი არა მარტო გერმანიის არქიმტერია, არამედ მთელი ქვეყნიერებისაც. რამდენაში წუთის შემდეგ მე წარსუ-დგები ღმერთის სამოყაროს წინაშე და პასუხს ვა-გებ ჩემს მოქმედებასა და შეცდომებსზე. იმედი მაქვს, რომ დავიციავ საკუთარ სიბნელის, ყველაფერს, რასაც ვაკეთებდი პიტლერის წინააღმდეგ. ისე, ცაცმა რომ ღკვას, ადამიანის ღირსება იმაშია, თუ რამდენადაა ის შხად თავი გასწირობს რწმენისათვის.

ტრესკოვის უნდოდა საკუთარ მავალითზე დამტკიცებინა ეს. იმავე დილით ის წავიდა 28-ე მაროლელ დივიზიში, კისერზე ჩამოიკიდა ნაღმი, გამოქერა სული და...

მძლავრმა აფეთქებამ თავი ააგლიჯა სხეულს.

რამდენიმე დღის შემდეგ ასევე მოიქცა გენერალ-კვარტირმასტერი ვაგნერი...

...შურისძიების ცეცხლი კი მაინც არ ცხრებოდა. ბრალდებულების შემდეგ მათ ოჯახის წევრებსაც დაერივნენ. შტაუფენბერგის მოხუცი დედა და ძმა დახოცეს, მის ომს შეიღეს კი გვარი შეუცვალეს და უპატრონოთა თავშესაფარში გაგზავნეს. არც „ჰეკმი-ტანილები“ და „მურყეები“ დანდეს... ვიხუდაც გუ-

შე კი ასე მეგონა, რომ იმ ერთ საათში დანტებს ჯოჯობეთის ცხრავე გარის მოვიარე, და რაღაც ბნელსა თუ გაურკვეველ არაფრამან სწფერინო მოვ-სედელ... სრულიად დაკარგულბუნდო... და! დასტალო ჩემზე ადამიანური არსებობისაგან...

ის ამხუარი პოეტო კი ისევ ისე ზახუნული ხმით ზამბახოდა ყურში:

— ecce homo!.. ზომ ზედაც ecce homo! —

ეს არისო ადამიანი!...

აბა, იმას თავი სად მჭონდა, რომ პასუხი გამეცა იმ სანტიმენტალური ცინიკოსხათვის... ის კი არა, ამბოჰრებული დარბაზზე უღებ დაწინარდა და სამ-რისებური სიმუშე ჩამოვარდა... ჩანს, ყველა თავის ფიტრს მიცა ან სულ დაიცილა ფიტრებისაგან...

მანს მიიტანდნენ, დაუყოვნებლივ ხერტდნენ ან სა-კონცენტრაციო ბანაკებში გზავნიდნენ. ამ არეულო-ბაში დამინავევებს ალალ-მართალიც ბევრი მიაყო-ლეს. ან ბრალიან-უბრალოს ვინ ვაარჩევდა, როცა მეთნაობა უფრო ჰქრდა, ვიდრე საბუთი. ფრის-ლერსა და პიტლერს ვეფლასათვის მხოლოდ ერთი განაჩენი ჰქონდათ:

სიკვდილი!...

გრადო მულენბერგი და პასელი ჩამოახრვებს ასეთივე ბედი ეწია გენერალ ლინდემანს, პოლკოვნიკ ბეულდავერს, გრაფ ჰელდორფს, ლოიშერს, ნებეს და მრავალ სხვას; მათ შორის გენერალ ფელიციუს-საც. ვერვ გენერალი ფრომმა ბისნა თავის გულმოდ-გინებობამ 20 ივლისის სიხლიან ღამეს. მორე დღეს ის დაპატიმრა ქამლერმა. ბევრი იპართეს თავი, შე არაფერ შუაში ვარ, პირიქით, შეთქმულებს ვე-ბრძოდით, მერამ მაინც ჩამოახრვებს.

„ამას არაფრით არ მოვლლოდი“ — თუქამს მას უკანასკნელ მიმენტში შლაბრენდორფისთვის. თვათონ შლაბრენდორფი რაღაც სასწაულით გა-დაურჩა სიკვდილს. უფრო გვიან ისიც დაპატიმრეს და „სამხალხო სასამართლის“ წინაშე დააქრეს. სწო-რედ მაშინ, როცა ფრანკლერი სასიკვდილო განაჩენს უკითხავდა მას... ამერიკული თვითმფრინავები დაე-სხნენ ბერლინს... ერთ-ერთი ვუმბარა პირდაპირ სა-სამართლოს შუნბახს მოხვდა და სწორედ იმ ადგი-ლას, სადაც ფრისლერი იდგა. მძლავრმა აფეთქე-ბამ ის „ბნელეთის მოციქული“ ქვეყარული ზიტტა-ნა... შლაბრენდორფი კი გადარჩა, მერე საკონცენ-ტრაციო ბანაკში მოხვდა, საიდანაც ამერიკელებმა გაათავისუფლეს. ომის შემდეგ მან მეპუარებიც და-წერა შეთქმულების შესახებ...

ასევე გადარჩნენ გენერალი პალდერი და იალმარ შახტი, რომელიც ნიურნბერგში ფიცის ქვეშ ამბობდა, მეე ვიღებდი შეთქმულებაში მონაწილეობას...

... გამოძიების კვლამ გესტაპო პარტიზმი მიეყვანა. ფელდმარშლები რომლები და კლუბე გაიხსენეს. გაიგებ, რომ ისინი ცდილობდნენ პიტლერის დასჯისთვის და დაეგმირებოდნენ გერმანულ ეზონაჟერს და ზესტაპოლი შეთანხმებისთვის ზედწილობით.

როგორც ჩანს, ფელდმარშალი კლუბე ვერ მოიქცა რაიმეადაც. მან და მხედელმა ყველაფერი გენერალ შეილერს მიჰყვანა და კლუბე კი ხელხელს დასაბამს სცადა. მას ნიავიერს, რომ ადრე თვითონაც თანაურკმნიობდა შეთქმულებას; „ახლაც ასე ვიქნებოდი, ის ღირს პიტლერი, რომ მოეკლათო“, — იმართლა მან თავი.

მართლმანებელი ღამით კაიტელმა გამოიძახა „მეღის ბუნაგში“. ის მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს; მისი შეთქმულების დოკუმენტები და თავის მოსაყვალად წავიდა ვერდენში, სადაც პირველი მსოფლიო ომის დროს მეთაურობდა პატალიონს. აქ მან გააჩერა მანქანა. ერთხელ კიდევ მოელო თვალი სახელგანთქმულ ბრძოლის ველს, მერე მდინარე მასის არბთან მივიდა, რეგულური იძრო, ლუმა საფეოქელთან მივიდა და ისრიალა. მძღოლმა მდინარისად ძლივს ამოთარია მძიმედ დაჭრილი გენერალი და ვერდენის პოსტატალიში წაიყვანა. აქ მას პირველი დასმარება გაუწიეს, მაგრამ ორივე თვალთ დაბრმავებული იყო. მიუხედავად ამისა, პიტლერმა გასცა განკარგულება დაუფრთხილებელი ჩაეყვანათ ის ბერლინში. აქ თითქმის მოამკვდევინა, ბრძანებრილი საკაცევე დაწოლილი წარუდგინეს ფრანკურის სამსჯავროს და ორი საათის შემდეგ ჩაითარჩეს კიდევ...

...ფელდმარშალმა კლუბემ იფიქრა, იქნებ თავს ეწვეული და... „იმ დღის პიტლერს“ გადარჩენა მიუღო. ავსტრისკო შუა რიყვებაზე ის კიდევ სარდლობდა დასავლეთის ფრონტს; 17 ავსტრისკო შოულოდნელად დაადგა თავს შემცვლელი სარდალი ფელდმარშალი მოდელი. კლუბე მიხვდა, რომ მისი ბედის კარა უკუღმა დატრიალდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ის მართლაც გამოიძახეს ბერლინში. ამბობენ, კლუბემ ჯერ გაქცევა სცადაო, ფაღურში წავიდა, რომ საზღვარი გადაეკლამა და ამერიკელთა კარებს ჩაბარებოდაო. მაგრამ, როგორც ჩანს, მერე გადაიფიქრა; ერთხანს კიდევ იყვანა და ბოლოს მაინც დაემორჩილა პიტლერის ბრძანებას. იგი ავტომანქანით გამეჯავრა ბერლინისაკენ, მაგრამ მიუახლოვდა თუ არა გერმანიის საზღვარს, საპოლოთ გადაწყვეტილება მიიღო და საწამლაგი დალია. წინასწარ კი ასეთი წერილი მიწერა პიტლერს:

— როცა შევედ ამ სტრიქონებს წაკითხავთ, მე აღარ ვიქნები... სიყვარულს უკვე არც აქვს აზრი ჩემთვის... ორივე, რომელსა და მე წინასწარ ვიციდით, რომ საქმე ასე წავიდოდა, მაგრამ ჩვენ არავინ მოვიცინინა... მე მივეძვება, რომ ფელდმარშალმა მოხელმა შეჭლის მდგომარეობის გამოწვრება... თუ ეს ასე არ იზრდა და თქვენმა სანუკარმა ახალმა იარაღმა ვერ მოაღწია მისამს, ჩემი ფიურერ, მოიკრიბე გონება და

შესწყვეტე ეს ომი. გერმანელმა ხალხმა იმდენი ტანჯვა გამოიარა, რომ დროა ბოლო შოელის ამ სამხედროებს...

მე ყოველთვის აღტაცებული ვაქნები იმდენად... თუ ბედისწერა უფრო ძლიერია, ვიდრე თქვენი ნებისყოფა და გენია, რას იზამთ, ასეთი ყოფილა განგების ნება...

იოდლა შექვა, ნიურნბერგში პიტლერმა ჩემად წაიფიხება ეს წერილი და ისე გადმომცა, რომ ხმაც არ ამოუღიაო...

...გერმანელი ხალხის კერპი და პიტლერის უსაყვარლესი ფელდმარშალი რომელიც შეთქმულების დღეებში პარტიის პოსტატალიში იწვა. ადრე მის მანქანას ლიეროსთან (კლუბედა) თავს დაესხნენ მოკავშირეთა თვითმფრინავები და მძიმედ დაჭრეს. როცა შეთქმულების ამზავი გაიხსნა, რომელიც პოსტატალიდან გამოწვერა და ისვენებდა თავის სახლში ჰერლინგენში, უღმის მასლობლად. ჰერლინგენში უკვე შეხორცეული პქონდა, მაგრამ მარცხენა თვალის ტყვიის ურიოდა და შეურნალობას განაგრძობდა. მასთან იყო მუდღე ლიუსი ნოლდანი. ფრონტიდან მამის სანახავად ხშირად ჩამოდიოდა მანფრედი. ის იმ დღეც მასთან იყო. მამამ და შეილმა ერთად იანუშუმეს, ლიუსი არც გამოსულა ოთახიდან. მანფრედმა გაუკვარადა ღელის საქვიელი. მერე შენიშნა, რომ ფელდმარშალიც ადრეველი ჩანდა. მან ზედი მოკიდა შეილს და ბაღში გაიყვანა. მანფრედმა იგრძნო, რაღაც მნიშვნელოვანი რომ უნდა ეთქვათ მისთვის.

— დღეს ბერლინიდან ორი გენერალი ჩამოვიდა ჩვეთან... — დაიწყო ფელდმარშალმა...

...გესტაპო, მართლაც, მაკვია რომელიც შეთქმულებისთან კავშირის კვალს. ჯერ, როგორც ამბობენ, ვერდენის პოსტატალის სათქურაციო მაგიდაზე წოლის დროს გენერალმა შეთქმულმაგვლმა ახენა მისი სახელი. მერე წამების დროს პოლონეთმა პოფაყრმა, რომელიც შვილი მანფრედი ველაფერს გერმანულ შაიდელს აბრალებდა. შაიდელმა რომელიც ჰერლინგენში ინახულა, თავის სახლში და მერე დღესვე გესტაპოში ამოკყო თავი...

— ის პათოლოგიური მატყვარა, — უთქვამს რომელიც შაიდელისათვის პიტლერის შესახებ, — ახლა სულ შეიშალა. მან თავისი სადღის 20 ივლისის შეთქმულების მონაწილეებისადმი მიმართა და ეს იქნება მისი დასასრული...

რომელიც იყო, რომ მისი სახლი გარემორტყმული იყო უშიროების სამსახურის აგენტებით. როცა ის მასობლად ტყვენი მიდიოდა სასყარნოდ შეილთან ერთად, ორივეს რეგულური ვლით ჯიბეში — ყოველ შემთხვევისათვის...

...პიტლერს რასტენბერგში რომ მიუტანეს პოფაყრის დაკითხვის ოქმი და სხვა მამოხლებელი საბუ-

თუბი, მანინვე გადაწყვიტა რომშელის მოყვლა, მაგრამ, ვინაიდან ის უდიდეს პოპულარიზით სარგებლობდა ხალხში, სპეციალური ზომებიც მიიღო კვლის დასაყარავად. კაიტელი ამბობდა ნიურნბერგში, რომ ამის გამელაგება უდიდესი სკანდალი იქნებოდაო გერმანიაში. ამიტომაც მოეროდნენ რომშელის დაატარებას და ფრისლერის სამსახურისათვის გადაცემას. სამაგიეროდ მველულობის უფრო ვერაგული გეგმა შედგა: პიტლერისა და კაიტელის ჩანაფიქრით, რომშელისათვის უნდა წარედგინათ საბრალმდებლო აქტი და მიეყათ არმევანი: თავის მოყვლა ან „სახალხო სასამართლო“. თუ ის პირველს აირჩევდა, დიდი პატივისცემით დაასაფლავებდნენ და ცოლმეუღლასე ხელს არ ახლებდნენ, თუ არა...

...1944 წლის 14 ოქტომბერს, 12 საათზე რომშელის სახლს პიტლერის ადვოკატები—გენერლები ბურგდორფი და მაიხელი მიადგნენ. იქვე ხუთი მანქანა გაჩერდა. მანქანებში შეიარაღებულ ესქესელები იხსდნენ. ისინი პიტლერის მითითებით გამოეწაფნენ რომშელთან. ნიურნბერგის პროცესზე კაიტელმა სთქვა ამის თაობაზე:

— მე მივეცე ბურგდორფს რომშელის საბრალმდებლო საბუთების ასლი. თუ ის აღიარებდა, რომ ყველაფერი ეს მართალია, სათანადო გადაწყვეტილება უნდა მიეღო, თუ არა და, წარმდგარიყო სამსახურის წინაშე.

— თქვენ სომ დავაღვთ ბურგდორფს თან საწამლავე წაეღო, ანუ არა? — კითხვს კაიტელმა.

— დიახ, —უპასუხა კაიტელმა, — მე დავაღვთ ბურგდორფს წაეღო საწამლავე, რათა საჭიროების შემთხვევაში გადაეცა რომშელისათვის...

...ბურგდორფი და მაიხელი შევიდნენ რომშელთან და განუცხადეს, რომ პირისპირ სურთ მასთან საუბარი. სამიწენი მეზობელ თაბში გაიყიდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ მანტრედმა დაინახა როგორ შევიდა ფელდმარშალი ლუსის ოთახში.

მატსული გენერლები გაივდნენ რომშელის კაბინეტთან და მანქანასთან დაელოდნენ ფელდმარშალს. 45 წუთის შემდეგ რომშელი გამოვიდა მუჯლის ოთახიდან. მან ხელი მოკიდა მანტრედს, შეიფანა თავის კაბინეტში და სრულიად მშვიდი ტონით მიმართა:

— მე უკვე ვუთხარი დედაშენს, რომ უნდა მოეკვდ 15 წუთის შემდეგ. პიტლერი ბრალად მდებს სახელმწიფო ღალატს. ჩემი დამსახურების გამო აფრაიკაში, მე შეძლევა უფლება მოეკვდე საწამლავეს მიღებით. იმ ორმა გენერალმა მომიტანეს კიდევ ისეთი საწამლავე, რომ 3 წამში მოქმედებს. თუ ასე ნოვიტევა, არავითარი ზომები არ იქნება მიღებული ოჯახის მიმართ... მე დამსახულავებენ საუფაოოდ. საამისოდ უკვე გაოცალისწინებულა ყველა წერილმანი. 15 წუთის შემდეგ შენ მიიღებ ცნობას ულმის

ქოსპიტალიდან, რომ თათბირზე მიმავლა ხსნხლი ჩამტყვა ტენიში...

ამის შემდეგ რომშელმა ჩაიფტა სახელმწიფო ადრიკული კორპუსის ტყავის ფორმა, აიღო ფელდმარშალის კვერთხი, დაემშვიდობა მანტრედს და ჩაქდა მანქანაში. მას მიყენენ ბურგდორფი და მაიხელი.

ქერლინგენს რომ გაყდნენ, მანქანამ ტყისკენ შეუხვია და გაჩერდა. ბურგდორფმა საწამლავე მისცა რომშელს. მაიხელი და ესქესელი მძღოლი გადმოვიდნენ მანქანიდან... ერთი ორი წუთის შემდეგ კისევე დაბრუნდნენ და ნახეს უკანა საეარტელზე გადაწოლილი მკვდარი რომშელი...

...უსტკად 15 წუთის შემდეგ ულმის ქოსპიტალის კვიმმა დაურეკა რომშელის მუედლეს:

ორმა გენერალმა ეს ეს არის მოიტანა ფელდმარშალის ცხედარი. იგი გარდაიცვალა თავის ტენის დამშლით, რაც ადრე მიღებული კრილობების მუედბია...

ბურგდორფმა აუკრალა კვიმებს გაყვეთათ რომშელის ცხედარი.

— მის გვამს ხელი არ ახლოთ. ყველაფერი შეთანხმებულია ბერლინთან! — უკრძანა მან მთავარ კვიმს...

...მერე დაიწყო სამკლოვიარო კომედია. ფელდმარშალმა მოდღმა გამოსცა ბრძანება დასაღვთის ფრონტის ჯარებისადმი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „ადრე მიღებული კრილობებისაგან გარდაიცვალა გერმანელი ხალხის უდიდესი სარდალი...“

პიტლერმა ასეთი დეკუმეა გაუგზავნა რომშელის კვრთვ:

— მიიღეთ ჩემი გულწრფელი თანგრძნობა იმ დიდი დანაკლისის გამო, რაც განიცადეთ თქვენი მუედლის გარდაცვალებით. ფელდმარშალი რომშელის სახელი სამარადსოდ იქნება დაკავშირებული ჩრდილოეთ აფრიკის გმირულ ბრძოლებთან...

პიტლერის ფარსცელობას გერინგმაყ აუბა მხარი. იგი წერდა რომშელის მუედლეს:

— იმ ფაქტმა, რომ თქვენს მუედლებს წილად ხედა გმირული სიკვდილი მიღებული კრილობებისაგან, მას შემდეგ, რაც იმედი გქონდა, რომ ის დაარტობდა გერმანულ ხალხთან, ღრმად დამამწუხრა მე...

...ფელდმარშალი რომშელი, მართლაც, დიდი პატივისცემით დაასაფლავეს. კაიტელმა პიტლერის სახელით ცოცხალი ყვავილების გვირგვინით შეამკო მისი ცხედარი. გამოსახთხვარი სიტყვა წარმოსთქვა რუნდმეტდამა:

— მის გული ვუყოფინოდა ფორერს! — სთქვა მარკ ანტონიუსის როლი გამოსულმა ფელდმარშალმა.

მერე კი ფიცქემ ირწმუნებოდა ნიურნბერგში, რომშელის მოწამლის შესახებ არაფერი ვიცოდი, თორემ სი-

ტყვას როგორ წარმოუტყავდით. ვინ იყოს, მართლაც ასე იყო ეს, თუ არა... ფაქტი ის არის, რომ რუნდ-შტედტსა და გუდერიაზს პრეტესტო არც მაშინ ვაპუყნებდებოდა, როცა ღირსების სამსჯავროში ვესტაპოს მიერ გადაყვანილ სიბის მიხედვით ასობით სამხედრო პირს ხდებდნენ ღირსებას და ავსაწინდნენ ფრანგების სამსჯავროში, იქიდან კი... ვსაფოტ-ზე...

...კანცლერობის კანდიდატი გერმანული დროსვე გავეცა იტალიის და შვეიცარიის სახელმწიფოებში გაიპარა. პიტლერმა ერთი მილიონი მარკა ევალიცხადა ჯილდოდ, თუკი ვინმე მიცემდა ცნობას მისი ადგილისამყოფელის შესახებ. გერმანული ყალბი საბუღალტრო პიონა და იმალეობდა. 19 აგვისტოს ის უკვე კონტრაგულში იყო. რამდენიმე დღე შიშით იმალეობდა ტყვეში. მერე თეოქარა, აქ ვინ მივინობო, ტყვიან გაიშვიდა და რესტორანში შევიდა სასაუნ-შიდა. მსახური ქალი შეარყული დააკვირდა და იყინო. თურმე ის ერთხელ გერმანული ავარაკის გვერდით მსახურობდა რაუშენში. ერთი მილიონი მარკა არც ისე მცირე ჯილდო იყო, რომ შეარყვლს ამის გამო სინდისი არ გავედო...

გერმანულმა იტალია, რომ უთვალთვალეობდნენ, საუბრე მიატოვა და ისევ ტყისკენ გაემართა. ამასობაში შეარყული დატრიალდა და...

გერმანული შეიპყრეს. 8 სექტემბერს მის ხელკიდ-ლიც მოსაყავს, მაგრამ პიტლერმა „თავის განკარ-გულუბანში“ დაიტოვა. ერთხანს იყვნება კიდევ სა-კუთარი მიზნებისათვის, წერილებსაც აწერილებდა ინგლისში. გერმანული თავის მხრივ პიტლერსაც უფრნა ვეზქვეშ ფიანდას: აქებდა, ადილებდა, შე-ვედით, ანაბებდა, მაგრამ... 1945 წლის აპრილს, როცა ის უკვე არავის სჭირდებოდა, მინც ჩამოახრ-ჩვეს...

ასეთივე ბედი ეწია აღმწარალ კანარისს. იგი და-აპატორეს, მაგრამ კიტლერმა ცხნა ფრანგების სა-სამართლოსაგან. შემდეგ პიტლერის განკარგულუ-ბით თავისი ტრინუნალის წინაშე უნდა წივეწინი-ნათ, მაგრამ არც ეს მოხდა. ამბობენ, 9 აპრილს ის-იც ჩამოახრჩვეს, ბევრს ეს არ სჯუროდა. იმის დამთავრების შემდეგ მთელი ათი წლის განმავლო-ბაში წარმოებდა ამ საქმის გამოძიება. მერე თით-ქოს მოწმებმა დადასტურეს, რომ სწორედ 9 აპ-რილს, ის და მისი მოადგილე, გენერალი ისტერი სრულიად შიშველნი გაიყვანეს საპატიმროდან და, როგორც „მუსიკის მოყვარული“, რიიანის წერილი მეთულოთ ჩამოახრჩვეს...

...ასე დამთავრდა 20 ივლისის ეპოქა. ვინ მოხელის, რამდენი რამაა ამის შესახებ დაწერი-ლი. ისტორიკოსები აცხადებენ, მთელ მთელ მოფ-ლიო რმე არ დაწერილა იმდენი, რაც ამ შექმნულების შესახებო. შეიძლება ეს მართლაც ასეა. 20 ივლისის შექმნულების ამბები დიდხანს იყო ყურადღების ცენტრში. ვვლდა, ვინც მასში მონაწილეობდა და გა-დარჩა, ავტორია რამე წივინას ამის თაობაზე. ისინიც, ვინც ამ შექმნულების სიხსნში ჩაბზობო „ისახელეს თავი“, შეპყრობილი არიან წერის მა-ნით. დღემდე გამოდის აუარებელი მემუარული ლიტერატურა, დოკუმენტების კრებულები, დღიურები და სამსახურბოიჩი ჩანაწერები.

ყოველივე ამის მიზანი ერთია, უნდათ თქვან: ხომ ხედავთ, ჩვეს ვიბრძოლით პიტლერის წინა-აღმდეგ.

პირუთენული ისტორია უკვეთ გააჩვენს, ვან რო-გორ იბრძოდა და რატომ: თავის გადასარჩენად თუ ქვეყნის საკეთილდღეოდ?...

შაპარკული სფლანი...

ვერც ამ ტერიონს უშველა პიტლერს. „განგებამ“ საბოლოოდ შეაქცია მის ზურგი. მეორე ფრონტის გახსნის შემდეგ საბჭოთა არმიებიც ვადავიდნენ სა-ერთო მტრევაზე. 10 ივნისს მტრის პოზიციებზე იე-რითი მიიტანა კარგლის ფრონტმა. ერთ კვირის შემდეგ საბჭოთა არმიის ითმი ფრონტი ვრთად და-იძრა ვერ თრშისა და ვიტესკოს, ხოლო შემდეგ მოვლითვის მიმართულენით: ივლისში სხვა ფრონ-ტებმაც განაეითარეს შეტევა და თითქმის ვვლუგან გაარღვეეს გერმანელების თავდაცვის ხაზი. მერე სამხრეთის ფრონტიც ამოძრავდა. ის, რასაც აქ აშ-დებნას ველოდით, 20 აგვისტოს დაიწყო. უკრაინის მეორე, მესამე და მეოთხე ფრონტებმა ვრთად მიი-ტანეს იერიში მტრის პოზიციებზე. ცენტრში უკრაი-ნის მე-2 ფრონტი მოქმედებდა, ფლანგებზე — მარჯ-ვნიე უკრაინის მე-4, ხოლო მარცხნიე მე-3 ფრონტი.

იღებდა ამ შეტევაში მონაწილეობას. ჩვენი ფრონტის მთავარი დარტყმა ქ. იასის ჩრდილოეთით იყო მი-მართული: უკრაინის ფრონტისა კი დნესტრის ნა-პირებზედან ქ. ხუშისკენ. სადაც ორივე ფრონტი უნდა შეხვედროდა ერთმანეთს და აღეყმი მოექცი-თი კომინიოე-იასის მიდამოებში მოქმედი გერმანელ-რუმინელთა შენაკრებები.

ეს მართლაც საოცარი ძალის დარტყმა იყო! ორსაათნახევარს გრძელდებოდა საარტოლერიო მომ-ზადება. რამდენიმე ათასი ზარბაზანი და ნაღმა-ტყორცნი უშენდა ეუმბარებს მტრის მოწინავე პოზი-ციებს. რეაქტული ნაღმსატყორცნი (კატაუშე-ბი“) ნაყარტული ამქვედნენ ვველფერს. ეს იყო „პარტენი“. თავდასხმის პირველ იარუსს მოიერი-შე „ლიუშინები“ წარმოადგენდნენ. ისინი სულ რა-ღაც 30-50 მტრის სიმაღლეზე ვადაუქროლებდნენ და გულმოდიენდ „აუთოვებდნენ“ მოწინააღმდეგის

90 საბჭოთა დივიზია და 7 სატანკო კორპუსი

სიმარტყებს. მეორე იარუსად მიდიოდნენ ასობით ვეშაპარმეზები და ანადგურებდნენ მტრის კომუნაციებს ხილრემში. სულ ზევით, მესამე იარუსზე, გაშანადგურებულეს ქთანდათ საპატრო ბრძოლა გამაროული. ეს და დედამიწა ერთმანეთში ირეოდა. ირგვლივ მტრის ისეთი კორიანტები იდგა, რომ თვითმფრინავების ხილუეტიც ძლიერ ჩანდა. მეგრ ტანკებიც გადაფოდნენ იერისზე და მათი შეზღუბების ხრქილმა სულ გადაყრუა იქაურთა...

...ასეთი დიდი შეტევის დროს ჩვენი განყოფილების ოპერატორი მუშაკები მოქმედ არაიებსა და დივიზიებში ეყავათ განაწილებული. შეტევის წინ „მფრინავი ფილანონია“, „ფრთების უნივერსიტეტი“ და „ფრთების საყვირები“ გაპლიერებულ პროპაგანდას ეწეოდნენ მტრის ჯარებში. ასი-ათასობით „მფრინავი ფრთელი“ ვრცელდებოდა მიწინავე პოზიციებსა და ზურგში. შეტევის დარწყების დღიდან კი უფრო ოპერატორი დავალებები გვერდა: ტექნიკის დაუყოვნებლო დაკიზება, რომ ოპერაციების განვითარების დროს, სარდლობას მშედველობაში მიეღო მათი ჩვენება. ასევე მინიშნულოვანი იყო ნადავლი დოკუმენტებიც. ზოგჯერ ტანკისტები ისე მოულოდნელად შეიჭრებოდნენ მტრის შტაბებში, რომ ისინი დოკუმენტებს გატაცებას ან განადგურებას ვერც ასწრებდნენ. ასეთ დროს საჭირო იყო გერმანულის ან რუმინულის მყოფე რევიერა, რომელიც ადგილზევე ნახავდა ამ დოკუმენტებს, და თუ რამ საყურადღებო იქნებოდა, მაშინვე აცნობებდა სახდლობას...

მე და ზვეი იმ დღეებშიც სატანკო კორპუსის შტაბში მოეხდით. მე, როგორც გერმანელი „ფრთელი“, ის როგორც რუმინელი „პოპესკუ“. სატანკო არმიებსა და კორპუსებში არ იყო ჩვენი განყოფილების ქსელი და ისინი უფრო საჭიროებდნენ უსტოვების მყოფდნეთა დახმარებას. ეს ჩემს ცნობისმოყვარობასაც აკმაყოფილებდა და ამტომაც ენთულოში დი სწორედ სატანკო შენაერთებში მიხედვრას. მაშინაც ასე მოხდა და მეც, უკვე მესამედ, გახვდი ამ ჯანმრთელი ურჩხულების“ გრანდიოზული შეტაკებს მიწვე.

ისას ჩრდილოეთით ერთი „უსახელო“ მადლობია. ჩვენი სატანკო კორპუსის შტაბი სწორედ ამ მადლობზე იყო სანგრებში „ჩამარხული“. იქმდნ მშვენიერად ჩანდა ბრძოლის ველიცა და იასიკე. ქალაქის თეთრი შენობები და ცულსიების უამრავი გუმბათები მზესე თვალისამოჭრელად დალაპებდნენ. მე ერთი სული მქონდა, ჩილის შევადოდი ამ ქალაქში. გამეგრება, რომ იქ იყო დასახლავებული ჩვენი სასიქადლო პოტი ბენარინ გაბაშვილი, რომელიც უკუღმართმა ბეღმა „გასტყვარინა“ ასე შორს და სახლაც უსტოვობის მიწას მიხატრა მისი ზემტი. მაშინ გულუბრყვილოდ მეჯეროდა, ქალაქში შესვლისთანავე ვიპოვიდი მის საფლავს და ცოცხალი ვვაგილებით შევამოვბდი ჩვენი ერის სასახელო შეილს...

